# საქართველოს ჟურნალისტური

# ეთიკის ქარტია

## სტატიების ანალიზი

თბილისი
2010

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

# საქართველოს მედიის ხელშემწყობი პროგრამა

# Media Strengthening Programme for Georgia

პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება გაზეთებისა და ახალი ამბების გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის (WAN-IFRA), აირექს ევროპის, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტისა და რეგიონული მედიის ასოციაციის მიერ.
The programme is funded by the European Union and is implemented by the World Association of Newspapers and News Publishers (WAN-IFRA), IREX Europe, Civic Development Institute and Georgian Regional Media Association.

This project is funded by
the European Union

წიგნი მოამზადა სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა: www.cdi.org.ge

ეს პუბლიკაცია შეიქმნა ევროკავშირის დახმარებით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. წიგნი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას აღქმული, როგორც ევროკავშირის შეხედულებების გამხმოვანებელი.
This publication has been produced with the assistance of the European Union. The contents of this publication are the sole responsibility of The Civic Development Institute and can in no way be taken to reflect the views of the European Union.

## შესავალი

წინამდებარე წიგნში თავმოყრილი და გაანალიზებულია 20 სტატია, რომლებიც ქართულ პრესაში გამოქვეყნდა და რომელთა ავტორები დაგვთანხმდნენ, მათი ნამუშევრები საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასთან შესაბამისობაში განეხილათ სპეციალურად მოწვეულ მონიტორებს.

წიგნი ჩაფიქრებულია, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო ეთიკით დაინტერესებული ჟურნალისტებისთვის. იგი ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია: თითოეული საგაზეთო მასალის ტექსტი, ინფორმაცია სტატიის შესახებ, მონიტორის მიერ ჩატარებული საქმიანობის აღწერა და კითხვები. მეორე ნაწილი კი შედგება სტატიის არსებითი განხილვისგან და დასკვნისგან. ნებისმიერ მკითხველს შეუძლია, ამა თუ იმ სტატიის პირველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ, თავად ცადოს დასაბუთება, – ქარტიის რომელი მუხლია დარღვეული და რატომ; მეორე ნაწილში კი შეუძლია, მონიტორის არგუმენტებს გაეცნოს.

წიგნი პირველი მცდელობაა, ქართველი ჟურნალისტების სტატიები გაანალიზდეს ეთიკური სტანდარტის დაცვის კუთხით. დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ ყველა ავტორს, რომელიც დაგვთანხმდა, რომ მისი სტატია წინამდებარე წიგნის ნაწილი გამხდარიყო. აგრეთვე, მადლობას ვუხდით მონიტორებს – ნინო დანელიასა და მაია მეცხვარიშვილს – რომლებმაც ქართველი მედიაექსპერტებისთვის უჩვეულო შრომა გასწიეს და ოცი სტატია გააანალიზეს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასთან შესაბამისობის კუთხით.

წიგნი გამოიცემა „საქართველოს მედიის ხელშემწყობი პროგრამის“ ფარგლებში, რომელსაც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ოთხი ორგანიზაცია ახორციელებს: გაზეთებისა და ახალი ამბების გამომცემლების მსოფლიო ასოციაცია (WAN-IFRA), IREX Europe, საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია და ჩვენ – სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი.

ია ანთაძე

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

პრეამბულა

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ–ერთი ძირითადი უფლებაა. ჟურნალისტის ნებისმიერი პროფესიული უფლება–მოვალეობა გამომდინარეობს საზოგადოების უფლებიდან, იყოს ინფორმირებული მოვლენებისა და თვალსაზრისების შესახებ.
ქარტია ეფუძნება ევროპის საბჭოს „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის" მე–10 მუხლსა და „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის" მიერ აღიარებულ „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციას". ეს პრინციპები პროფესიული ქცევის სტანდარტად დამკვიდრდა იმ ჟურნალიტებისთვის, რომლებიც მოიპოვებენ, გადასცემენ და ავრცელებენ ინფორმაციასა და კომენტარებს მიმდინარე მოვლენებზე.
საქართველოს მედიის წარმომადგენლები ვცნობთ და ვაღიარებთ ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვის ვალდებულებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას. საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, პროფესიულ საკითხებს მხოლოდ ჩვენივე კოლეგების უფლებამოსილებად განვიხილავთ და გამოვრიცხავთ ხელისუფლების ან სხვა ძალის ნებისმიერი სახით ჩა-რევას ამ უფლებამოსილებების განხორციელებაში.

1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

2. დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.

4. ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.
5. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული

არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

6. ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო.

7. ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

8. ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

9. სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისაგან.

10. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:
ფაქტის განზრახ დამახინჯება;
ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;
პლაგიატი.

# ნაწილი პირველი

## საგაზეთო მასალა №1

### მერის შვილის კვალი კრიმინალურ საქმეში

გასულ კვირას, პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქუთაისის მერის ნუგზარ შამუგიას უმცროსი შვილი, 15 წლის პაპუნა შამუგია პოლიციამ ქურდობის ფაქტზე დააკავა თანამზრახველთან - ვინმე დავით ზოსიაშვილთან ერთად. როგორც გაზეთ „ვერსიაში" გამოქვეყნებული სტატიის ავტორი იტყობინება, პოლიციამ შამუგია და ზოსიაშვილი 4 მაისს, იერუსალიმის ქუჩაზე დააკავა ზუსტად მაშინ, როცა ორი ახალგაზრდა ნაქურდალ ნივთს - ტელევიზორს მანქანაში დებდა. როგორც ჟურნალისტი მიუთითებს, დანაშაული ზოსიაშვილმა აიღო საკუთარ თავზე და ამით პაპუნა შამუგია სისხლის სამართლებრივ პასუხიმგებლობას აარიდა. „ვერსიაში" გამოქვეყნებულ სტატიაში იმაზეცაა საუბარი, რომ ამ შემთხვევაში შამუგიას მამობამ გაჭრა და ქალაქის მერის შვილს დანაშაული ამის გამო არ დაუმტკიცდა.

იმავე გაზეთის ცნობით, შამუგიას შვილები ძნელად აღსაზრდელთა კატეგორიას მიეკუთვნებიან.

„მათი ქმედებებით შეწუხებული მასწავლებლები მხოლოდ ჩუმად საუბრობდნენ და რეალურად, მათ თავხედურ გამოხტომებს ყურადღებას არ აქცევდნენ. ზეწოლის ქვეშ იყო სკოლის დირექტორიც, რომელმაც თავის დროზე ორჯერ გადადო ძმები შამუგიების პირადი საქმე და მოითხოვა მათი სხვა სკოლაში გადაყვანა. თუმცა, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ქალაქის მერმა სკოლაში წარმოქმნილი კონფლიქტი, „მამაშვილურად" მოაგვარა და სკოლის დირექტორი იქით დატუქსა: „ხომ არაფერი გეშლება? ხომ იცი, შემიძლია სახლში გაგიშვა... ამ სიბერეში გაჩენილ შვილებს ვეღარ მიმიხედავ?" - ნათქვამია საგაზეთო პუბლიკაციაში.

აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ქუთაისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნუგზარ შამუგიამ გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართა იმერეთის გუბერნატორს მიხეილ ჩოგოვაძეს.

„ახალი გაზეთი" ამ ფაქტის გადამოწმებას შეეცადა. ჩვენ, პირველ რიგში, ქუთაისის პოლიციის უფროსს ბადრი დვალიშვილს დავუკავშირდით და მას შეკითხვით მივმართეთ, მართლაც იყო თუ არა პაპუნა შამუგია ძარცვის ფაქტზე დაკავებული?

„ასეთი ჭორი გავრცელდა ქუთაისში და მე არ ვიცი, საიდან. ეს ფაქტი არ შეესაბამება სიმართლეს. პაპუნა შამუგია ჩვენ არ დაგვიკავებია," - განაცხადა ბადრი დვალიშვილმა.

ამის შემდეგ ჩვენ ქუთაისის №3 საჯარო სკოლის დირექტორს თამაზ ჭაბუკიანს დავუკავშირდით. სწორედ აღნიშნულ სკოლაში სწავლობს შამუგიას შვილი - პაპუნა შამუგია. ჭაბუკიანმა გვითხრა, რომ ოპერაცია გაიკეთა, მკურნალობას გადის და ამ ფაქტის თაობაზე არანაირ ინფორმაციას არ ფლობს. შემდეგ მასთან ის ფაქტი გადავამოწმეთ, ნამდვილად შედგა თუ არა მასსა და ნუგზარ შამუგიას შორის საუბარი, როდესაც ქალაქის მერი მას თანამდებობის დატოვებით დაემუქრა, თუკი მისი შვილების სათანადოდ „შენახვას" ვერ უზრუნველყოფდა.

„ასეთი საუბარი ჩვენს შორის არ ყოფილა. მე და ბატონი ნუგზარი დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს და გამორიცხულია ასეთი რამ. არც არსებობდა ამის არანაირი საფუძველი. მისი შვილები ძალიან გონებაგახსნილი ბავშვები არიან. არც მათი ყოფაქცევის შესახებ შემიძლია, რამე ცუდი ვთქვა. შეიძლება ბავშვი ცელქი იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი საქციელი ნეგატიურად შეფასდეს," - განაცხადა თამაზ ჭაბუკიანმა.

ჩვენ, ბუნებრივია, თავად ნუგზარ შამუგიასთანაც ვცადეთ დაკავშირება, თუმცა მან ამ საკითხებზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა. როგორც მერიის აპარატის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარმა სპეციალისტმა, ქეთი დეისაძემ, გვითხრა, ნუგზარ შამუგიას შვილი ძარცვაში არ მონაწილეობდა და ის არც პოლიციას დაუკავებია. მისივე თქმით, მერს არც თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაუწერია და ეს მისგან არც არავის მოუთხოვია.

მიუხედავად ამისა, საფიჩხიაზე, უბანში, სადაც ქალაქის მერი და მისი ოჯახი, ასევე, ზემოთ ხსენებული დავით ზოსიაშვილი ცხოვრობს, პირად საუბრებში, არავინ უარყოფს, რომ ძარცვის ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი და რომ პოლიციამ ნამდვილად დააკავა ფაქტზე პაპუნა შამუგია და დავით ზოსიაშვილი, რის შემდეგაც დანაშაული საკუთარ თავზე ამ უკანასკნელმა აიღო.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: „მერის შვილის კვალი კრიმინალურ საქმეში".

სტატიას ავტორი არ ჰყავს და მასზე პასუხისმგებლობას გაზეთის რედაქცია იღებს. გაზეთის მთავარი რედაქტორი ია ბობოხიძე ეთიკის ქარტიის ხელმომწერია.

სტატია გამოქვეყნებულია გაზეთში „ახალი გაზეთი".

გამოქვეყნების თარიღი: 11 მაისი, 2009 წელი.

სტატია ეხება ქალაქში არაოფიციალურად გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ქუთაისში მერის შვილი პოლიციამ ქურდობისათვის დააკავა და შემდეგ გაათავისუფლა. ასევე, გაზეთი საუბრობს იმაზე, რომ თითქოს ქალაქის მერმა ამ ამბის შემდეგ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, თუმცა, ამ ფაქტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი ან კომენტარი სტატიის ავტორმა ვერ მოიძია. პირიქით, ქუთაისის პოლიციის უფროსი ამ ინფორმაციას ჭორს უწოდებს. სტატიაში მოყვანილია ციტატა გაზეთიდან „ვერსია", სადაც საუბარია იმაზე, რომ მერის ორივე შვილი რთული ხასიათის ბავშვია და ამის თაობაზე მათი მასწავლებლები ჩუმად, არაოფიციალურად საუბრობენ. ამ ინფორმაციასაც „ახალი გაზეთი" ვერც ერთ წყაროსთან ვერ ადასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში ყველა წყარო, ვისაც ჟურნალისტმა მიმართა „ვერსიის" ინფორმაციის გადასამოწმებლად, ფაქტს არ ადასტურებს, სტატიის ფინალი მაინც ასეთია: „მიუხედავად

ამისა, საფიჩხიაზე, უბანში, სადაც ქალაქის მერი და მისი ოჯახი, ასევე, ზემოთ ხსენებული დავით ზოსიაშვილი ცხოვრობს, პირად საუბრებში არავინ უარყოფს, რომ ძარცვის ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი და რომ პოლიციამ ნამდვილად დააკავა ფაქტზე პაპუნა შამუგია და დავით ზოსიაშვილი, რის შემდეგაც დანაშაული საკუთარ თავზე ამ უკანასკნელმა აიღო.''

**აღწერითი ნაწილი**

სტატიის ავტორი

მონიტორის მთავარი კითხვა იყო ის, თუ რატომ მიიჩნია საჭიროდ გაზეთმა გამოექვეყნებინა ინფორმაცია, რომელსაც ფაქტობრივად ვერ ადასტურებდა. ია ბობოხიძის პასუხი ასეთია:''ჩვენ შევეცადეთ, აღნიშნული ინფორმაცია ყველა სავარაუდო წყაროსთან გადაგვემოწმებინა, სამწუხაროდ, მათ ეს ფაქტი არ დაადასტურეს. თუმცა, ქუთაისში, პირად საუბრებში, ძალიან ბევრი ადასტურებდა ამ ფაქტის რეალობას. ეს იყო დაახლოებით ისეთი სიტუაცია, როგორიცაა ,,გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა''. ყველამ ყველაფერი იცის და თანაც – არაფერი. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს ფაქტები, ჩვენ გადავწყვიტეთ ამ სტატიის გამოქვეყნება. იმავე კვირაში გაზეთ ,,ვერსიაში'' გამოქვეყნდა სტატია ამ თემაზე, რამაც ძალიან დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია. ჩვენს სტატიაში მოტანილი იყო ეს საგაზეთო მასალა. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ,,ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები'', გადავწყვიტეთ ამ თემაზე სტატიის მომზადება.

მონიტორის კითხვაზე-რატომ გამოაქვეყნა გაზეთმა არასრულწლოვანის ფოტო და ხომ არ მიაჩნია მას, რომ ამით გაზეთმა ქარტიის მერვე მუხლი დაარღვია? - ია ბობოხიძე ამბობს: ,,ვთვლი, რომ ნამდვილად დაირღვა ეს მუხლი. მაგრამ რადგანაც მოზარდი იყო ქალაქის მერის შვილი და საზოგადოებრივი ინტერესი იყო მაღალი, გადავწყვიტეთ, რომ ღირდა ამ რისკზე წასვლა. ფოტოს გამოქვეყნების იდეას კი ნამდვილად არ ვეთანხმები.''

გაზეთმა თავიდანვე ჩათვალა, რომ ეს წერილი რთული ეთიკური მაგალითი იყო, ამიტომ მათ წერილი საჯარო განხილვისათვის ერთ-ერთ ინტერნეტფორუმზეც დადეს. თუმცა, საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ საზოგადოებრივი ინტერესის გამო წერილი გამოექვეყნებინათ.

დაზარალებული მხარე

დაზარალებული მხარე ამ შემთხვევაში მოზარდია. მონიტორი მას არ დაუკავშირდა, სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ კიდევ ერთხელ არ მიეყენებინა მისთვის ტრავმა. მონიტორი დაუკავშირდა მერის პრესსამსახურს და სთხოვა ამ წერილთან დაკავშირებით

მერის რეაქციის გახსენება. „მე, როგორც მერის პრესსამსახურის უფროსს, მომერიდა კიდეც ამ წერილის მერისათვის შეტანა. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც პრესა მის შვილზე მსგავს რამეს წერდა, სრულიად დაუსაბუთებლად. მახსოვს, მან რომ ეს წაიკითხა, ძალიან მძიმედ აღიქვა. ყველამ ვიცოდით, რომ ტყუილი იყო.'' მონიტორი დაინტერესდა, რატომ არ სთხოვა მერმა გაზეთს შემდეგ ნომერში ბოდიშის მოხდა დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოქვეყნების გამო. მერიის პრესსამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მერმა არ ისურვა ამის გაკეთება და თქვა, რომ ფაქტის დადასტურება ან უარყოფა მხოლოდ სამართალდამცავების პრეროგატივა იყო და ის ამაში რაიმე მონაწილეობას არ მიიღებდა.

მონიტორი

მონიტორის არსებითი ინტერესი ეხებოდა იმის გარკვევას, თუ რამდენად დაეხმარა სტატია მკითხველს, მიეღო ზუსტი ინფორმაცია. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ექნებოდა თუ არა მკითხველს უფრო მეტი სანდო ინფორმაცია იმისათვის, რომ ზუსტად გაეგო, გაზეთ „ვერსიაში'' და შემდეგ „ახალ გაზეთში'' გამოქვეყნებული ინფორმაცია სიმართლე იყო თუ მხოლოდ დაუსაბუთებელი ჭორი. მართლაც დაწერა გადადგომის შესახებ განცხადება ქუთაისის მერმა, თუ ესეც მხოლოდ ჟურნალისტის ვარაუდი იყო. გაიგო თუ არა მკითხველმა „ახალი გაზეთიდან'' უფრო მეტი და უფრო ზუსტი ინფორმაცია ძმები შამუგიების ქცევზე სკოლაში. და საერთოდ, რამე კავშირი თუ ჰქონდა სკოლაში მათ ქცევასთან ქუთაისში მომხდარ ქურდობას. მონიტორის აზრით, „ახალმა გაზეთმა'' ცადა გაზეთ „ვერსიის'' ინფორმაციის გადამოწმება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ვერ შეძლო ვერც ერთი ფაქტის დადასტურება, მაინც კიდევ ერთხელ დაბეჭდა ინფორმაცია გავრცელებული ჭორის შესახებ.

**კითხვები:**

1. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მიიღო თუ არა მკითხველმა უფრო მეტი და უფრო ზუსტი ინფორმაცია, ვიდრე მანამდე ჰქონდა?
2. ამოწურულია თუ არა ყველა შესაძლებლობა იმისა, რომ მოიძებნოს ვინმე, ვინც გავრცელებულ ინფორმაციას დაადასტურებს?
3. რის საფუძველზე შეიძლება მათი ნდობა, ვინც მხოლოდ პირად საუბრებში ადასტურებს ფაქტს და უარს ამბობს, საჯაროდ გაიმეოროს იგივე?

**საგაზეთო მასალა №2**

## ლუგანსკელი ტანია

ერთი ლუგანსკელი რუსის გოგო „კანონიერმა ქურდმა" ლანჩხუთში ჩამოიყვანა და საყვარლად ჰყავდა. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ეს „შავი ტიპი", რადგან საკავშირო ძებნილი იყო, უგზო-უკვლოდ გადაიკარგა. ტანიას რაღა ექნა და ლამის ყველა ლანჩხუთელისთვის კარი ღია ჰქონდა. ორი წლის შემდეგ ბიჭი გაუჩნდა, თუმცა, არავინ იცოდა, ვისგან.

ერთ დღეს ქალაქის კოლორიტები ჯუმბერ ფირცხალაიშვილი და იმედო დუნდუა ქუჩაში მიდიან და ტანია შემოხვდათ ბავშვთან ერთად. ბატონ ჯუმბერს ჩაულაპარაკებია: - ხედავ, ტანიას რა კაი ბიჭი ჰყავსო?

- რაია გასაკვირი, მაგ ბაღანას მთელი ლანჩხუთი აკეთებდა და კაი გამევიდოდა, აბა რაიო, - „გაარკვია საქმეში" ბატონმა იმედომ.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სათაური: „ლუგანსკელი ტანია''.

მასალას კონკრეტული ავტორი არ გააჩნია, შესაბამისად, აღნიშნული მასალის გამოქვეყნებაზე პასუხიმგებელია გაზეთის რედაქტორი - გია სიხარულიძე, რომელიც არ არის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრი.

მასალა გამოქვეყნებულია გაზეთში „გურია ნიუსი''.

გამოქვეყნების თარიღი: 16 თებერვალი, 2010 წელი.

მასალა გამოქვეყნებულია „გურია ნიუსის'' იუმორისტული რუბრიკის - „ა, კიდო!'' - ეგიდით. მასალაში აღწერილია ლანჩხუთში მცხოვრები ეთნიკურად რუსი ქალბატონის პირადი ცხოვრების დეტალები. კერძოდ, ნათქვამია, რომ ლუგანსკელი ტანია ლანჩხუთში ჩამოიყვანა „კანონიერმა ქურდმა'' და „საყვარლად ჰყავდა''. ერთი წელიც არ იყო გასული, როდესაც აღნიშნული „კანონიერი ქურდი'' ძებნილად გამოცხადდა და უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. „ტანიას რაღა ექნა და ლამის ყველა ლანჩხუთელისთვის კარი ღია ჰქონდა. ორი წლის შემდეგ ბიჭი გაუჩნდა, თუმცა, არავინ იცოდა, ვისგან'', - ნათქვამია მასალაში. ამის შემდეგ გაზეთი აღწერს ერთ ეპიზოდს, როდესაც ლანჩხუთელი კოლორიტები - ჯუმბერ ფირცხალაიშვილი და იმედო დუნდუა ქუჩაში შეხვდნენ ტანიას ბავშვთან ერთად, რასაც მოჰყვა ფირცხალაიშვილსა და დუნდუას შორის ასეთი დიალოგი:

„ბატონ ჯუმბერს ჩაულაპარაკებია:

- ხედავ, ტანიას რა კაი ბიჭი ჰყავსო?

- რაია, გასაკვირი, მაგ ბაღანას მთელი ლანჩხუთი აკეთებდა და კაი გამევიდოდა, აბა რაიო, - „გაარკვია საქმეში'' ბატონმა იმედომ''.

## აღწერითი ნაწილი

ავტორი

გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას კონკრეტული ავტორი არ აწერს ხელს. გაზეთის რედაქტორმა მონიტორს განუმარტა, რომ „მოტანილი მაგალითი გახლავთ არა „სტატია", არამედ მკითხველის მიერ მოყოლილი ანეკდოტი, რომელიც ტრადიციულ იუმორისტულ გვერდში, რუბრიკით „ა, კიდო!" გამოქვეყნდა, შესაბამისი „ქუდით". ამ გვერდში მკითხველები, რეგიონში მცხოვრები კოლორიტები, ანეკდოტებს ჰყვებიან, თუმცა, პერსონაჟების ვინაობას, იდენტიფიცირების თავიდან აცილების მიზნით, ხშირად ვცვლით". ეს ნიშნავს, რომ რედაქტორი ახდენს ამ გვერდზე განთავსებული მასალების (თუნდაც ანეკდოტების) რედაქტირებას და, შესაბამისად, პასუხს აგებს აღნიშნულ გვერდზე დაბეჭდილი მასალების შინაარსზე.

რედაქტორმა ითანამშრომლა მონიტორთან და ყველა დასმულ შეკითხვას უპასუხა. შეკითხვების მიზანი იყო იმის გამორკვევა, თუ რა იღონა რედაქციამ ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და რამდენად ჰქონდა ადგილი რედაქციის მხრიდან ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრის ფაქტს.

აღნიშნულ შეკითხვებთან დაკავშირებით რედაქციამ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა პოზიცია: „მიგვაჩნია, რომ ანეკდოტის მოყოლაზე უფრო საშიში, ამ შემთხვევაში, „სტერილური", კომპლექსებით და სტერეოტიპებით დატვირთული მედიის შექმნის მცდელობა უფროა. ამასთან, ეროვნების, კანის ფერის, სექსუალური თუ სარწმუნოებრივი კუთვნილების მიმართ არანორმალურად „რაფინირებული" და სტერეოტიპული მიდგომები უფრო შეურაცხმყოფელია ამ ჯგუფებისთვის, ვიდრე ბუნებრივი და თავისთავადი მოპყრობა/გაშუქება."

დაზარალებული მხარე

დაზარალებულ მხარეს წარმოადგენს „ლუგანსკელი ტანია", რომლის სახელი, წარმომავლობა და ეროვნება, რედაქციის განმარტებით, შეცვლილია. შესაბამისად, აღნიშნულ პირთან დაკავშირება მონიტორმა ვერ მოახერხა.

მონიტორი

მასალის წაკითხვისთანავე, პირველ რიგში, მონიტორისთვის თვალშისაცემი აღმოჩნდა რედაქციის მხრიდან ტანიას წარმომავლობაზე (ეროვნება) ხაზგასმა და მისი პირადი ცხოვრების დეტალების გამჟღავნება. შესაბამისად, მონიტორის მიერ დასმული შეკითხვების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გაერკვია, თუ რა იღონა რედაქციამ ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე

პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და რამდენად ჰქონდა ადგილი რედაქციის მხრიდან ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრის ფაქტს.

**კითხვები:**

1. რისი ხაზგასმა სურდა რედაქციას სათაურში სტატიის პერსონაჟის - ტანიას წარმომავლობის მითითებით?
2. მასალის დასაწყისში ტანიას შესახებ მოცემულია თითქმის ამომწურავი ინფორმაცია - დასახელებულია სახელი, ეროვნება, წარმომავლობა და აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ ცოლად გაჰყვა ლანჩხუთელ ,,კანონიერ ქურდს". ამ ,,კანონიერი ქურდის" ვინაობას კი რედაქცია არ ამჟღავნებს. რით არის ეს განპირობებული?
3. რედაქცია იძლევა ინფორმაციას ტანიას პირადი ცხოვრების დეტალების შესახებ. რატომ დაინტერესდა გაზეთის რედაქცია ამ დეტალების გამოქვეყნებით?

**საგაზეთო მასალა №3**

## ჩაფიძის კლინიკიდან უსახსრობის გამო გამოწერილი მამაკაცი დაიღუპა

ჩაფიძის კლინიკაში მიყვანილი პაციენტი, რეანიმაციის განყოფილებიდან, უსახსრობის გამო, მწვავე ინფარქტის დიაგნოზით გამოუშვეს და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

45 წლის იასონ ბეჟანიშვილი, რომელიც კლინიკაში გულის შეტევით სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს და რეანიმაციულ განყოფილებაში მწვავე ინფარქტის დიაგნოზით მოათავსეს, მეორე დღეს თავის ფეხით წავიდა სახლში. როგორც გარდაცვლილის ახლობელი, თამარ მოლაშვილი, „რეზონანსთან" საუბარში აცხადებს, ის საავადმყოფოდან გამოსულს თავად ელაპარაკა და როცა ბეჟანიშვილმა საავადმყოფოდან წამოსვლის ამბავი უთხრა, ეს ხუმრობა ეგონა.

„მე გასულ ორშაბათს ველაპარაკე მას. მითხრა, მწვავე ინფარქტი მაქვს, მაგრამ საავადმყოფოში ვერ დავრჩიო. გამიკვირდა, ასეთი რამ ვერ წარმოვიდგინე და ჩავთვალე, რომ ხუმრობდა. სამწუხაროდ, ის გასულ შაბათს გარდაიცვალა. შემდეგ მოვიძიე და გავარკვიე, რომ ჩაფიძის კლინიკაში მიყვანილი ბეჟანიშვილი ექიმებმა რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს და დიაგნოზიც დაუსვეს - მწვავე ინფარქტი. შემდეგ აუხსნეს იასონს, რომ რამდენიმეკვირიანი მკურნალობა სჭირდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაიცვლებოდა და დაუსახელეს გარკვეული თანხა, საკმაოდ სოლიდური, რადგან ამ კლინიკაში მაღალი ფასებია. ჩემი ახლობელი ერთი უბრალო ოჯახიდან იყო და ხელოსნობით ირჩენდა თავს. ის ბუნებრივია, ვერ გადაიხდიდა ამ თანხას და საავადმყოფოდან წამოსვლა გადაწყვიტა. ექიმებმა კი, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, ის აუცილებლად მოკვდებოდა, მაინც გამოუშვეს და გარდაიცვალა კიდეც შაბათს", - გვითხრა მოლაშვილმა.

როგორც მედიკოსთა პროფკავშირში „რეზონანსს" განუცხადეს, არც ერთ ექიმსა და არც ერთ კლინიკას, თუნდაც კერძოს, არანაირი უფლება არ აქვს, საავადმყოფოში მიყვანილი, თუნდაც უიმედო, სასუნთქ აპარატზე შეერთებული პაციენტი, უსახსრობის გამო, სახლში გაუშვას. ეს ყველა ექიმისთვის პროფესიული და დაუწერელი კანონია.

„რეზონანსი" დაუკავშირდა ჩაფიძის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებას, თუმცა იქ მხოლოდ მორიგე ექიმი იმყოფებოდა, რომელმაც ჩვენთან დასალაპარაკებლად ვერ მოიცალა. ჩვენ მომავალში დავბეჭდავთ მათ კომენტარს, თუკი ამ ფაქტთან დაკავშირებით კლინიკის ხელმძღვანელობა აზრის გამოთქმას მოინდომებს.

### ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: „ჩაფიძის კლინიკიდან უსახსრობის გამო გამოწერილი მამაკაცი დაიღუპა".

სტატიის ავტორი - ნინო კეკელია - არ არის ქარტიის ხელმომწერი. თუმცა, გაზეთის რედაქტორის მოადგილემ, ელისო ჩაფიძემ სრულად აიღო პასუხისმგებლობა წერილზე. ელისო ჩაფიძე ქარტიის ხელმომწერია.

სტატია გამოქვეყნებულია გაზეთში „რეზონანსი“.

გამოქვეყნების თარიღი: 10 მარტი, 2010 წელი.

სტატია ეთმობა ერთ-ერთი პაციენტის, 45 წლის იასონ ბექანიშვილის გარდაცვალების მიზეზს. ჟურნალისტის ინფორმაციით, პაციენტი მწვავე ინფარქტის დიაგნოზით მოათავსეს ჩაფიძის სახელობის კლინიკაში. მას შემდეგ, რაც პაციენტს მედპერსონალმა მისი მკურნალობისათვის საჭირო თანხის რაოდენობა გააცნო, პაციენტმა უარი თქვა მკურნალობაზე. მისი ახლობლის თქმით, ბეჯანიშვილი ხელოსნობით ირჩენდა თავს და მკურნალობისათვის საჭირო თანხის გადახდის საშუალება არ ჰქონდა. ჟურნალისტის ინფორმაციით, კლინიკიდან გაწერის შემდეგ, პაციენტი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

### აღწერითი ნაწილი

სტატიის ავტორი

ელისო ჩაფიძემ, გაზეთ „რეზონანსის" რედაქტორის მოადგილემ, საკუთარი ინიციატივით წარადგინა წერილი განსახილველად. მისი თქმით, წერილში შეცდომაა დაშვებული. საქმე ისაა, რომ პაციენტი მიიყვანეს არა ჩაფიძის კლინიკაში, არამედ ჩაფიძის სახელობის კლინიკის შენობაში მდებარე სხვა სამედიცინო დაწესებულებაში. გაზეთ „რეზონანსის" რედაქტორის მოადგილის, ელისო ჩაფიძის თქმით, სტატაიში დაშვებული შეცდომა განაპირობა იმან, რომ დაზარალებულის ოჯახის წევრებს, რომლებმაც გაზეთ „რეზონანსს" მიაკითხეს, ახლდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი თამარ მოლაშვილი, რომელიც „რეზონანსისთვის", ელისო ჩაფიძის თქმით, მაღალი ნდობით სარგებლობდა. ასევე, ელისო ჩაფიძის თქმით, მასზე გარკვეული ზეწოლა იყო გარდაცვლილის ახლობლების მხრიდან, რომლებიც ამბობდნენ, რომ სტატიას „რეზონანსი" არ დაბეჭდავდა, რადგან ელისოც ჩაფიძეა და კლინიკაც ჩაფიძის სახელობის არის.

დაზარალებული მხარე

ამ სტატიის დაბეჭდვის შედეგად, ჩაფიძის სახელობის კლინიკა დაზარალდა. კლინიკის მესვეურები დაუკავშირდნენ გაზეთს, მიუთითეს შეცდომაზე, რის შემდეგაც, „რეზონანსის" მომდევნო ნომერში, იმავე ადგილას, სადაც კლინიკის დასახელება შეცდომით იყო დაბეჭდილი წერილში, გამოქვეყნდა გაზეთის საპასუხო სტატია სათაურით: „ჩაფიძის კლინიკას უსახსრობით დაღუპულ მამაკაცთან შეხება არ ჰქონია". წერილში ნათქვამია, რომ პაციენტი მიიყვანეს არა ჩაფიძის კლინიკაში, არამედ, იმავე შენობაში განთავსებულ თერაპიის ეროვნული ცენტრის

რეანიმაციულ განყოფილებაში. წერილში არამარტო ,,რეზონანსი'', არამედ, მისი ინფორმაციის წყარო, თამარ მოლაშვილიც ბოდიშს უხდის ჩაფიძის კლინიკას. ჩაფიძის სახელობის კლინიკა დაკმაყოფილდა გაზეთის ბოდიშით.

მონიტორი

მონიტორის აზრით, 10 მარტის წერილში მნიშვნელოვნად დაირღვა პროფესიული სტანდარტები და ეთიკის ქარტიის პირველი მუხლი, თუმცა, შემდეგ ნომერში გაზეთმა დაშვებული შეცდომა ყველა წესის დაცვით გამოასწორა, რაც მსგავს ვითარებაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო.

**კითხვები:**

რატომ არ გადაიდო სტატიის დაბეჭდვა მანამ, სანამ შესაძლებელი იქნებოდა იმ წყაროსთან დაკავშირება, ვის მიმართაც გამოთქმულია ბრალდება სტატიაში?

## საგაზეთო მასალა №4

### საარჩევნო ადმინისტრაციები – შემადგენლობა და კვალიფიკაცია

როგორაა დაკომპლექტებული საუბნო საარჩევნო კომისიები, ვინ არიან და როგორ ინიშნებიან მისი წევრები

საარჩევნო უბნის 13-კაციანი შემადგენლობიდან ექვსი წევრი საოლქო საარჩევნო კომისიიდან ინიშნება.

„ეს წევრები კონკურსგავლილები არიან. 210 კაცის მიღება შეგვეძლო და 300-ზე მეტი განცხადება შემოვიდა. ვეცადეთ, უპირატესობა უმუშევრებისთვის მიგვენიჭებინა", - ამბობს 37 ახალციხის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე ლეილა ნარიმანიშვილი.

ახალციხის ოლქში არჩვენებს ხუთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი დააკვირდება: „ჩვენ თვითონ", „რესპუბლიკური პარტია", „კონსერვატიული პარტია",„მრეწველობა გადაარჩენსსაქართველოს",„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა". ახალციხისგან განსხვავებით, ადიგენის ოლქში ხუთ ოპოზიციურ პარტიას მხოლოდ ერთი - „ლეიბორისტული პარტია" ემატება.

„რადგან ჩვენთან ლეიბორისტებმა წევრები არ წარმოადგინეს, ოლქი ვალდებული იყო, კონკურსი ხელმეორედ გამოეცხადებინა. ამდენად, მეცამეტე წევრები ჩვენ დავამატეთ", - გვიხსნის ლეილა ნარიმანიშვილი.

„კონსერვატორებისა" და „რესპუბლიკელების" წარმომადგენლები, რომლებიც ახალციხეში მუშაობენ, აცხადებენ, რომ უბნებზე "სხვა პოლიტიკური პარტიების სახელით დაკომპლექტებული ნაციონალები არიან".

„ბოლო არჩევნებზე ასე იყო. ეს ოპოზიციის სისუსტის ბრალია", - ამბობს კონსერვატიული პარტიის წევრი საოლქო საარჩევნო კომისიაში ნინო ბაღდოშვილი და დასძენს, რომ ლეიბორისტებმა ამჯერადაც ნაციონალებს დაუთმეს ადგილი: „საოლქო სვამს მათ ნაცვლად წევრებს, საოლქოს ჩასმული კი რაცაა, ყველამ კარგად ვიცით".

„რესპუბლიკური პარტიის" ახალციხის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის თამარ გოგოლაძის თქმით, პარტიები, რომლებსაც რაიონებში ორგანიზაციები არ აქვთ, ადგილს იმ პარტიებს უთმობენ, რომლებსაც რეგიონებში თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ: „ჩვენთვის ეს არავის შემოუთავაზებია".

ახალციხის საარჩევნო ოლქში 35, ადიგენის საარჩევნო ოლქში კი 18 უბანია.

7 მაისს „სამხრეთის კარიბჭე" რამდენიმე საარჩევნო უბანზე იმყოფებოდა.

ადიგენის საარჩევნო ოლქის 7 ვარხნის უბანზე მდივანი - ნარგიზა მსხვილიძე, პოლიტიკური გაერთიანების - „ჩვენ თვითონ" წარმომადგენელია. თუმცა, არც პარტიის საარჩევნო პროგრამას იცნობს და არც ის იცის, ამ პარტიაში როგორ მოხვდა.

„რაც უნდა ყველა ოპოზიციას, ის გვინდა ჩვენც. პროგრამიდან რა ვიცი ახლა. ამ პარტიაში რომ უნდა ვყოფილიყავი, ასე გაგვაცნეს საოლქოდან, არსენა რომ ჰქვია, იქიდან, („ს.კ"სტილი დაცულია)" - ამბობს ნარგიზა მსხვილიძე.

გარდა მდივნისა, უბანზე კიდევ სამი მსხვილიძეა წარმოდგენილი. მათ შორის ერთ-ერთი მარინა მსხვილიძე სოფლის რწმუნებულის დედაა. ნარგიზა

მსხვილიძის განმარტებით, იგი „უბანზე ნაციონალებიდანაა ჩასმული": „ჩვენ არანაირი ნათესაური კავშირი არ გვაქვს, სხვადასხვა გვარები გვაქვს, უბრალოდ, რძლები ვართ და ქმრების გვარზე ვწერივართ".

ახალციხის 30 საარჩევნო უბანზე 14:09 საათზე უბნის მორიგეები არ იმყოფებოდნენ. ეს უბანი საბავშვო ბაღის შენობაში მდებარეობს. „დღეს აქ არავინ გამოჩენილა", - გვითხრეს ბაღის თანამშრომლებმა.

16:35 საათზე არავინ იყო ახალციხის 28 საარჩევნო უბანზეც. „არავინ გამოჩენილა", - გვითხრა საბავშვო ბაღის აღმზრდელმა.

ამ უბნებისგან განსხვავებით მორიგეები ადგილზე დაგვხვდნენ ახალციხის 8 საარჩევნო უბანზე. საუბნო კომისიის მდივანი ლია სუდაძე ოპოზიციურ პარტიას „ჩვენ თვითონ" წარმოადგენს: „პროგრამას ძირფესვიანად არ გავცნობივარ, მაგრამ ამ გადასახედიდან მომეწონა. აქ არ ვიცი, ვინაა პარტიის უფროსი. ზუსტად ვინ ხელმძღვანელობს პარტიას, ნამდვილად ვერ გეტყვით. საიდუმლოა, პარტიაში როგორ მოვხვდი". („ს.კ" სტილი დაცულია).

ლია სუდაძემ არ იცის, რომ პარტიას, რომელსაც უბანზე თავად წარმოადგენს, ახალციხეში ორგანიზაცია არ აქვს.

ახალციხის 4 საარჩევნო უბანზე მდივანი ლელა ბურდული პარტია „მრეწველებიდანაა". მას პარტიის პროგრამიდან „ყველაზე მეტად ის მოსწონს, უმუშევრებს რომ დაასაქმებენ": „პარტიაში ვინ დამარეგისტრირა, არ ვიცი, ახალციხეში დავრეგისტრირდი".

ადიგენის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ალექსანდრე ბალახაშვილის თქმით, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მათ არ დაუკომპლექტებიათ. იმავეს აცხადებს ახალციხის საოლქო კომისიის თავმჯდომარე ლეილა ნარიმანიშვილიც: „თავიანთი წევრების სიები პარტიებმა თავად გადმოგვცეს. უბნები დავაკომპლექტეთ და მათი მორიგეობის განრიგსაც მკაცრად ვაკონტროლებთ".

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: „საარჩევნო ადმინისტრაციები – შემადგენლობა და კვალიფიკაცია:

როგორაა დაკომპლექტებული საუბნო საარჩევნო კომისიები, ვინ არიან და როგორ ინიშნებიან მისი წევრები".

ქვესათაური: „საარჩევნო უბნის 13კაციანი შემადგენლობიდან ექვსი წევრი საოლქო საარჩევნო კომისიიდან ინიშნება".

სტატიის ავტორი - თამუნა უჩიძე – საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერია.

სტატია გამოქვეყნებულია გაზეთში „სამხრეთის კარიბჭე".

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 10 მაისი, 2010 წელი.

სტატია ეხება საარჩევნო ადმინისტრაციების წევრების კვალიფიკაციას და მათი შერჩევის წესს – თემას, რომელიც განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესს იმსახურებს. ჟურნალისტი ინტერესდება ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების

წარმომადგენლებით საარჩევნო კომისიებში. იგი თავად იმყოფებოდა რამდენიმე საარჩევნო უბანზე და ესაუბრებოდა კომისიის წევრებს. მაგალითად, ადიგენის საარჩევნო ოლქის მე-7 ვარხნის უბნის მდივანი, პოლიტიკური გაერთიანების – „ჩვენ თვითონ" წარმომადგენელი - ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორია მისი პოლიტიკური გაერთიანების საარჩევნო პროგრამა და როგორ მოხვდა ის ამ პარტიაში, პასუხობს: „რაც უნდა ყველა ოპოზიციას, ის გვინდა ჩვენც. პროგრამიდან რა ვიცი ახლა. ამ პარტიაში რომ უნდა ვყოფილიყავი, ასე გაგვაცნეს საოლქოდან. არსენა რომ ჰქვია, იქიდან."

ჟურნალისტი ამბობს, რომ „კონსერვატორებისა" და „ლეიბორისტების" წარმომადგენლების თქმით, უბნებზე „სხვა პოლიტიკური პარტიების სახელით დაკომპლექტებული ნაციონალები არიან." შემდეგ კი ესაუბრება ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს და არკვევს, რომ მათ არც საკუთარი პარტიის პროგრამა იციან, ზოგჯერ არც ის, აქვთ თუ არა წარმომადგენლობა რეგიონში და არ აზუსტებენ იმას, თუ როგორ მოხვდნენ პარტიაში. მაგ. მრეწველების წარმომადგენელი ამბობს, რომ პარტიაში ვინ დაარეგისტრირა, საერთოდ არ იცის. სტატია სრულდება ადიგენის საარჩევნო კომისიის წევრისა და ახალციხის საოლქო კომისიის თავმჯდომარის ციტირებით, რომ პარტიებმა თავად მიაწოდეს მათ საკუთარი წარმომადგენლების სიები და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მხოლოდ ოპოზიციურმა პარტიებმა წარადგინეს.

### აღწერითი ნაწილი

სტატიის ავტორი

სტატიის ავტორის თქმით, მას მექანიკური შეცდომა გაეპარა და ნაცვლად ახალციხის 30-ე საარჩევნო უბნისა, უნდა იყოს ახალციხის მე-6 საარჩევნო უბანი. ჟურნალისტმა მონიტორთან საუბრისას თქვა, რომ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გაზეთის ერთ-ერთ რედაქტორთან 30-ე უბნის თავმჯდომარემ დარეკა და დაშვებული შეცდომა გააპროტესტა. ჟურნალისტის თქმით, რედაქციაში შემდეგ ნომერში შეცდომის გასწორების გამოქვეყნებაზე იფიქრეს, მაგრამ ჟურნალისტს თავად უნდოდა, საკუთარი შეცდომის გამო პირადად მოეხადა ბოდიში ამ ადამიანისათვის. "სულ მიწევს მათთან მუშაობა და ინტერვიუს ჩაწერა. ამიტომ, პირადად მინდოდა დამერეკა და ბოდიში მომეხადა," - ამბობს ჟურნალისტი. ამიტომ მან საუბნო და საოლქო კომისიებში დარეკა და, გარდა 30-ე უბნის თავმჯდომარისა, ბოდიში ახალციხის 37-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესაც მოუხადა. ორივე კომისიის თავმჯდომარემ ჟურნალისტს მადლობა გადაუხადა და კონფლიქტიც ამოიწურა.

აქვე ჟურნალისტმა მონიტორს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა.

რედაქციაში ზარები მოჰყვა სტატიის იმ ნაწილსაც, სადაც ჟურნალისტი პოლიტიკური გაერთიანება – "ჩვენ თვითონ" წარმომადგენელს ესაუბრა. მას ეუბნებოდნენ, რომ ფაქტი დაამახინჯა და პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენელს მსგავსი არაფერი უთქვამს. ჟურნალისტს დღემდე აქვს შენახული ჩანაწერი დიქტოფონზე, სადაც ნარგიზა მსხვილაძე ზუსტად იმას ამბობს, რაც ჟურნალისტის მიერაა ციტირებული.

დაზარალებული მხარე

დაზარალებულია საარჩევნო უბნის თავმჯდომარე, რომელიც რეალურად იმყოფებოდა უბანზე და მას არყოფნა დაბრალდა. მისთვის საკმარისი და მისაღები აღმოჩნდა ის, რომ ჟურნალისტმა მას დაურეკა და პირადად მოუხადა ბოდიში დაშვებული შეცდომისათვის. მას არ მოუთხოვია არც ჟურნალისტისათვის და არც გაზეთის რედაქტორისათვის შეცდომის გასწორება ოფიციალურად და ამ გასწორების გაზეთში გამოქვეყნება.

მონიტორი

მონიტორს სტატიის კითხვისას რაიმე დისკომფორტი არ ჰქონია. ყველა ფაქტს, რომელიც მოყვანილია სტატიაში, ჰყავს წყარო: თავად ის ადამიანები, ვისაც ეხება სტატიის თემა – საარჩევნო პროცესი ახალციხეში. სტატია განხილვის საგანი არ გახდებოდა, რომ არა გაზეთის მიერ მოწოდებული ცნობა, რომ საარჩევნო უბნის ნომერი შეცდომით იყო მითითებული.

მონიტორის აზრით, ჟურნალისტის მიერ პირადად წყაროსთვის გადახდილი ბოდიში ძალიან მნიშვნელოვანი პროფესიული გადაწყვეტილებაა, რაც მის მიმართ წყაროს ნდობის ამაღლებას და პროფესიული ურთიერთობის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. თუმცა, მკითხველის პოზიციიდან, კარგი იქნებოდა, მკითხველებსაც ჰქონოდათ ინფორმაცია, რომ სტატიაში დაშვებული იყო არსებითი შეცდომა. რადგან, ჟურნალისტი, პირველ რიგში, მკითხველებისათვის წერს და მათ აწვდის ინფორმაციას. ამ შემთხვევაში კი მკითხველმა დაშვებული შეცდომის შესახებ ვერაფერი გაიგო. მონიტორის აზრით, შეცდომის გასწორების გამოქვეყნება რედაქციის პასუხისმგებლობა უფრო მეტადაა, ვიდრე ჟურნალისტის. ამიტომ, უკეთესი იქნებოდა, რომ რედაქციას შეცდომის გასწორების გადაწყვეტილება მიეღო.

**კითხვები (გაზეთის რედაქციას და არა ჟურნალისტს):**

1. რატომ არ გამოაქვეყნეთ შეცდომის გასწორება?
2. მკითხველმა შეიტყო, რომ სტატიაში შეცდომა იქნა დაშვებული?
3. გაქვთ თუ არა შენახული ჩანაწერი, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი სიმართლის დამტკიცებაში, თუკი წყაროს პრეტენზია ექნება, რომ თქვენ არ გადმოეცით ზუსტად მათი სიტყვები?

## საგაზეთო მასალა №5

### გარდაცვლილი გმირის დედა გაზეთის რედაქციას საჯაროდ ბოდიშის მოხდას სთხოვს

აგვისტოს მოვლენების, რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული, ჩოხატაურელი მერაბ ახობაძის დედა, ლალი დოლიძე გაზეთ „გურია ნიუსის" რედაქციას და ჟურნალისტ ნატო გოგელიას მისი ოჯახის მიმართ შეურაცხმყოფელი სტატიის გამოქვეყნების გამო საჯაროდ ბოდიშის მოხდას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ის რედაქციის შენობასთან საპროტესტო აქციის გამართვას აპირებს. „ახლა აღდგომის კვირაა, ჯვარცმის დღე, როცა მაცხოვარი კაცთა ცოდვებისთვის ეწამა, დიდებული და ბრწყინვალე აღდგომაა. ახლა ყველა მართლმადიდებელს და მათ შორის მეც, ჩემი გარდაცვლილი შვილის ცრემლად და ლოცვად ქცეულ დედას, სანთელი უნდა ეკავოს და მუხლმოდრეკილი ლოცულობდეს უფლისთვის, მაგრამ ასეთ დღეებშიც კი, ვერავის მივცემ უფლებას შეურაცხყოს შემი ოჯახი და ჩრდილი მიაყენოს ჩემი გმირიშვილისხსოვნას.გაზეთ„გურიანიუსის"ოცდამერვენომერშიგამოქვეყნდა სტატია სათაურით, „სამი ძმანი გურულები", სადაც არარსებული ფაქტების გამო, შეურაცხყოფა მოგვაყენა რედაქციამ და ჟურნალისტმა მთელ ჩვენს ოჯახს, რის გამოც მოვითხოვთ საჯაროდ ბოდიშის მოხდას" - გვიყვება ლალი დოლიძე და იქვე აგრძელებს. „ოჯახში დაგვირეკეს თავდაცვის სამინისტროდან და გვაცნობეს, რომ უნდა გადმოეცათ მერაბის თავგანწირვისთვის უმაღლესი ხარისხის ჯილდო. ჩვენ დავუკავშირდით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მამუკა დოლიძეს და ვთხოვეთ, რომ აღნიშნულ დაჯილდოვებასთან დაკავშირებით მოეწვია ჟურნალისტები, რათა საჯაროდ მთელ გურიას გაეგო მერაბისთვის გმირის წოდების მინიჭება. 9 აპრილს, 14 საათზე ჩამოვიდნენ სამინისტროს წარმომადგენლები, რაიონის გამგებელს მაშინვე ვაცნობეთ, ჟურნალისტები მოეყვანა ოჯახში. ცოტა ხანში რეკავს მამუკა დოლიძე და გვეუბნება, რომ „გურია ნიუსის" ჟურნალისტები დაკავებულია, წამოვიყვან ფოტოკორესპონდენტს, გადავიღოთ და შემდეგ გავაშუქოთო. მამუკა დოლიძე დაუკავშირდა ნატო გოგელიას, რომელსაც თურმე იმ დროისთვის არ ეცალა და გამგებელს გამოაყოლა ფოტოკორესპონდენტი, გოგელიამ არ ჩათვალა საჭიროდ, გამგებლის თხოვნა სხვა ჟურნალისტებისთვის გადაეცა, თუმცა ისინი, მათივე განცხადებით, თავისუფალი იყვნენ და შეეძლოთ მოსულიყვნენ და დასწრებოდნენ დაჯილდოვებას.

ორშაბათს, „გურია ნიუსის" ზემოთ ხსენებული ნომრის წაკითხვის შემდეგ დავუკავშირდი ნატო გოგელიას და მოვთხოვე ბოდიში მოეხადა გმირის ოჯახის შეურაცხყოფისთვის, ამასთანავე ჩემს ახლობელ გოგონას ვთხოვე (რადგან მე შვილის დაღუპვის შემდეგ სახლიდან არ გავსულვარ, მხოლოდ შვილის საფლავზე დავდივარ), მისულიყო გოგელიასთან და გაერკვია რაში იყო საქმე, რომელთანაც საუბრისას გოგელიამ განაცხადა, რომ მას ჩვენს ოჯახზე ჰქონდა კომპრომატები, ისიც კი მოგვამადლა, რომ ფოტოკორესპონდენტი გამოგვიგზავნა. - მადლობელი იყვნენ ფოტოკორესპონდენტი, რომ გამოუგზავნეო - უთქვამს. მადლობა რისთვის უნდა გადავუხადო, როცა

მიუხედავად იმისა, რომ ფოტოკორესპონდენტმა რამდენიმე კადრი გადაიღო, გაზეთში გამოქვეყნებულ ფოტოზე არც ჯილდოა, არც მერაბის და ოჯახის წევრის არცერთი სურათი არაა. გოგელია ალბათ იმ ადამიანებისგან მიიღებს მადლობას, რომლებიც ფოტოზეა აღბეჭდილი. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა გითხრათ, რომ ჩემი აზრით, ყველაფერი წინასწარ იყო გამოთვლილი, ალბათ სტატიაც „სამნი ძმანი გურულებიც" უკვე დაწერილი იყო. თუ ჟურნალისტი ოჯახში მოვიდოდა, ის აუცილებლად აიღებდა ინტერვიუს, როგორც ჩემგან, ასევე ირაკლისაგან და თუ თვითონ ვერ მიხვდებოდა, რატომ არ იმყოფებოდა ირაკლი მიტინგზე, პასუხს ჩემგან მიიღებდა" - გვითხრა, ლალი დოლიძემ. (ცნობისათვის: საქართველოს ეროვნული გმირის, რუსეთ საქართველოს სამამულო ომში გმირულად დაღუპული მერაბ ახობაძის ძმა, ირაკლი, ამჟამად „რესპუბლიკური პარტიის" ლიდერია. „გურიის მოამბის" რედაქცია)

როგორც ქალბატონი ლალი ამბობს, ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთ „გურია ნიუსის" რედაქციაში მიტანილი საპასუხო წერილიც, არ დაუბეჭდეს, რის გამოც გაზეთის გამომცემელს დაუკავშირდა. „დავწერე საპასუხო წერილი და არ დამიბეჭდეს, დავურეკე გაზეთის გამომცემელს - ქალბატონ ია მამალაძეს, რომელმაც გმირის შეურაცხყოფილ და აღელვებულ დედას სატელეფონო საუბრისას მითხრა, რომ ეს პოლიტიკურია და თუ ირაკლის არ შეუძლია, გაუძლოს ზეწოლას, პოლიტიკიდან წავიდესო. „რჩევისთვის" მადლობა ქალბატონ იას, მაინტერესებს, როგორ მიგაჩნიათ გმირის ოჯახმა მადლობა უნდა გადაუხადოს თუ არა ჟურნალისტს გაწეული „სამსახურისთვის", რადგან მან ფოტოკორესპონდენტი გამოაგზავნა დაჯილდოვების გადასაღებად და ეს არის პოლიტიკური?... „ნოდარ დუმბაძის სკვერში ჯდომა, მზესუმზირის კნატუნი და გართობა" გმირის ძმის იმ დროს, როცა ყველანი გამოუთქმელ მწუხარებაში ვართ, ასეთი ტყუილის დაწერა შეიძლება და ესეც პოლიტიკურია? მოვითხოვ ბოდიშის საჯაროდ მოხდას, წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქციის წინ დავჯდები და ყველას გავაგებინებ, რომ გოგელია ჟურნალისტი კი არა ..." - აღშფოთებულმა გვითხრა მერაბ ახობაძის დედამ.

ჩვენ დავუკავშირდით ამ თემაზე ჟურნალისტ ნატო გოგელიას, თუმცა სამწუხაროდ, მან ჩვენთან საუბარზე უარი განაცხადა.

„გურიის მოამბე" ბოდიშს უხდის ქალბატონ ლალის, რომ გასაგები მიზეზების გამო ვერ ვბეჭდავთ წერილს, რომლის დაბეჭდვაზეც „გურია ნიუსმა" უარი განაცხადა, ასევე, ბოდიშს ვუხდით ჩვენს კოლეგებს „გურია ნიუსიდან", თუმცა აუცილებლად მიგვაჩნია, ნებისმიერ ადამიანს მიეცეს საშუალება, ღიად დააფიქსიროს თავისი მოსაზრება და მითუმეტეს, დაიცვას საკუთარი ღირსება, როცა ის მას შელახულად მიიჩნევს. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა ოჯახის წინაშე მთელი საქართველო ვალშია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ქალბატონ ლალის შვილმა თავი იმიტომ არ გასწირა, ჩვენ რომ თავისუფლად და დამოუკიდებლად წერის უფლება გვქონოდა?

აქვე აღვნიშნავთ, რომ მასალა იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: „გარდაცვლილი გმირის დედა გაზეთის რედაქციას საჯაროდ ბოდიშის მოხდას სთხოვს"

სტატიის ავტორი - გიორგი სირაძე - არ არის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერი.

სტატია გამოქვეყნებულია გაზეთში „გურიის მოამბე".

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 27 აპრილი, 2009 წელი.

სტატია ასახავს ჩოხატაურში მცხოვრები ერთ-ერთი ქალბატონის - ლალი დოლიძის - კონფლიქტს გაზეთ „გურია ნიუსის" რედაქციასთან. სტატიის ავტორი იტყობინება, რომ ლალი დოლიძე არის აგვისტოს ომში დაღუპული ჩოხატაურელი ჯარისკაცის, მერაბ ახობაძის, დედა, რომელიც გაზეთ „გურია ნიუსის" რედაქციისგან ითხოვს საჯაროდ ბოდიშის მოხდას, ამავე გაზეთში მისი ოჯახის შეურაცხმყოფელი სტატიის გამოქვეყნების გამო. ამის შემდეგ სტატიის ავტორი გვთავაზობს ლალი დოლიძის ვრცელ კომენტარს, რომელიც აღწერს აღნიშნულ ქალბატონსა და გაზეთ „გურია ნიუსის" რედაქციას შორის კონფლიქტის წარმოშობის მიზეზს: „გურია ნიუსის" ოცდამერვე ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით, „სამი ძმანი გურულები", სადაც არარსებული ფაქტების გამო, შეურაცხყოფა მოგვაყენა რედაქციამ და ჟურნალისტმა მთელ ჩვენს ოჯახს, რის გამოც მოვითხოვთ საჯაროდ ბოდიშის მოხდას," - ამბობს ლალი დოლიძე სტატიის ავტორისთვის მიცემულ კომენტარში. როგორც სტატიიდან ირკვევა, „გურია ნიუსში" გამოქვეყნებული სტატიის - „სამი ძმანი გურულები" - ავტორი ჟურნალისტი ნატო გოგელიაა. ლალი დოლიძისა და მისი ოჯახისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა დასახელებულ სტატიაში გოგელიას მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია - „ირაკლი ახობაძე და გია ნინიძე ნოდარ დუმბაძის სკვერში, მზესუმზირის კნატუნით ირთობდნენ თავს". საქმე ის არის, რომ ირაკლი ახობაძე, რომელიც ჩოხატაურში რესპუბლიკურ პარტიას ხელმძღვანელობს, ლალი დოლიძის მეორე ვაჟია, ანუ აგვისტოს ომში გარდაცვლილი მერაბ ახობაძის ძმა.

გიორგი სირაძის მიერ მომზადებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ლალი დოლიძე დაუკავშირდა ნატო გოგელიას და მისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო; ასევე, მან „გურია ნიუსის" რედაქციას მიმართა საპასუხო წერილით, რომელიც გაზეთში არ დაუბეჭდეს და ამის შემდეგ მიმართა გაზეთ „გურიის მოამბის" რედაქციას. აღნიშნული წერილი ლალი დოლიძეს არც „გურიის მოამბეში" დაუბეჭდეს. თუმცა, ამ წერილიდან გამომდინარე, ჟურნალისტმა გიორგი სირაძემ აიღო მისგან ინტერვიუ და ამ ქალბატონის ნაამბობზე დაყრდნობით მოამზადა საგაზეთო სტატია.

## აღწერითი ნაწილი

სტატიის ავტორი

სტატიის ავტორმა ითანამშრომლა მონიტორთან და უპასუხა ყველა დასმულ შეკითხვას, რომლებიც ეხებოდა იმის გარკვევას, თუ რამდენად ეცადა ჟურნალისტი, რომ ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველებისთვის.

სტატიაში ავტორი მთლიანად ეყრდნობა ერთადერთ წყაროს - ლალი დოლიძის მონათხრობს. მონიტორის შეკითხვაზე, თუ რა გზით და როგორ შეამოწმა მან ლალი დოლიძის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე, ავტორმა განმარტა: „თავდაპირველად ქალბატონმა ლალი დოლიძემ მოგვმართა განცხადებით. ჩვენ განცხადებაში მოყვანილი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით ვესტუმრეთ მას სახლში. მივმართეთ, ასევე, მეორე მხარეს - ნატო გოგელიას.“ სტატიაში ავტორი აცხადებს, რომ ის ინფორმაციის გადამოწმების მიზნით დაუკავშირდა ნატო გოგელიას, რომელმაც, როგორც სტატიაშია მითითებული, ამ საკითხზე ჟურნალისტთან საუბარი არ ისურვა.

სტატიაში გამოყენებული ერთადერთი წყარო - ლალი დოლიძე - თავის მონათხრობში ერთ-ერთი ფაქტის მონაწილედ ასახელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს - მამუკა დოლიძეს, რომელსაც სტატიის ავტორი, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, არ დაჰკავშირებია და ისე გაავრცელა ლალი დოლიძისგან მიღებული ინფორმაცია.

სტატიაში, ასევე, დასახელებულია „გურია ნიუსის“ გამომცემელი ია მამალაძე, რომელსაც, როგორც ლალი დოლიძე ამბობს, ის დაუკავშირდა იმის გასარკვევად, თუ რატომ არ გამოქვეყნდა „გურია ნიუსში“ მისი საპასუხო წერილი. დოლიძის თქმით, მამალაძემ მას სატელეფონო საუბრისას „ურჩია“, რომ „ეს პოლიტიკურია და თუ ირაკლის არ შეუძლია გაუძლოს ზეწოლას, პოლიტიკიდან წავიდესო“. სტატიაში არ არის აღნიშნული, რომ ავტორი შეეცადა ია მამალაძესთან დაკავშირებას და ფაქტის გადამოწმებას, თუმცა, მონიტორის შეკითხვაზე მან განმარტა: „ვეცადეთ, მაგრამ როგორც ქალბატონმა ნატომ, ასევე, ქალბატონმა იამ არ გვიპასუხეს. ვინაიდან ნატოც და იაც ამ ამბავში, ფაქტობრივად, ერთი და იგივე მხარეა, ერთი მოვიხსენიეთ და მეორეს მოხსენიებით, უბრალოდ, აღარ გავმეორდით“.

დაზარალებული მხარე

სტატიაში დაზარალებულად შეგვიძლია განვიხილოთ გაზეთ „გურია ნიუსის“ გამომცემელი ია მამალაძე და ჟურნალისტი ნატო გოგელია, მაგრამ სტატიაში ახსნილია, რომ ავტორი მათ დაუკავშირდა ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, მაგრამ თავად არ ისურვეს ამ საკითხებზე საუბარი. ამასთანავე, მანამდე (სტატიის გამოქვეყნებამდე) იმავე ფაქტებთან დაკავშირებით მათ დაუკავშირდა სტატიის მთავარი

წყარო ლალი დოლიძე და არც აღნიშნულ ქალბატონთან ისურვეს თანამშრომლობა (არ დაუბეჭდეს საპასუხო წერილი). შესაბამისად, მონიტორის აზრით, ისინი ვერ ჩაითვლებიან დაზარალებულ მხარედ. სტატიის გამოქვეყნებით, ამ შემთხვევაში, დაზარალებულია მკითხველი, რომელმაც ვერ მიიღო ზუსტი ინფორმაცია.

მონიტორი

სტატიის წაკითხვისთანავე, მონიტორისთვის თვალშისაცემი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ავტორი მხოლოდ და მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობა, რომელიც ცალმხრივად იძლევა ინფორმაციას. სტატიაში ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია არ გვხვდება.

შესაბამისად, მონიტორის მიერ დასმული შეკითხვების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გაერკვია, თუ რამდენად ეცადა სტატიის ავტორი ბოლომდე გადაემოწმებინა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა ზუსტი ინფორმაცია. ასევე, გამოერკვია, ხომ არ ჰქონდა ადგილი ფაქტების მიჩქმალვას ან განზრახ დამახინჯებას.

**კითხვები:**

1. სტატიაში გამოყენებულია მხოლოდ ერთი წყარო - ლალი დოლიძე. მიმართა თუ არა ავტორმა კიდევ რომელიმე სხვა წყაროს? ან რა გზით შეამოწმა იმ ინფორმაციის სიზუსტე, რაც ლალი დოლიძემ მიაწოდა?
2. ლალი დოლიძე სტატიაში ასახელებს სამ პიროვნებას - ნატო გოგელიას, ია მამალაძეს და მამუკა დოლიძეს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან. სტატიაში მითითებულია, რომ ავტორი შეეცადა დაკავშირებოდა ნატო გოგელიას. ჰქონდა თუ არა ავტორს დანარჩენ ორ პირთან დაკავშირების მცდელობა?
3. სტატია იბეჭდება შემოკლებით. შესაძლოა, აქედან გამომდინარეობს ის, რომ სტატიაში ნათლად არ იკითხება, თუ რაში გამოიხატა შეურაცხყოფის მიყენება გოგელიას მხრიდან. ვინ მიიღო გაზეთში სტატიის შემოკლებული ვერსიის დაბეჭდვის გადაწყვეტილება და იყო თუ არა შემოკლებული ტექსტი სტატიის ავტორთან შეთანხმებული?

## საგაზეთო მასალა №6

### მეოთხეკლასელი გოგონა სამმა თანატოლმა ბიჭმა დაიჭირა და თმები გაკრიჭა... ბავშვმა ისეთი ტრავმა მიიღო, რომ მშობლებმა აურზაურის გარეშე გაარიდეს და სხვაგან გადაიყვანეს

რამდენიმე წელია, არსებობს საკანონმდებლო სივრციდან ამოვარდნილი საჯარო სკოლა, სადაც სწავლების საავტორო მოდელიც მუშაობს და სწავლაც ფასიანია. სანამ N34-ე სკოლას ვესტუმრებოდით, იქ არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაცია გადავამოწმეთ. ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა გაზეთში საკუთარი ვინაობის დაფიქსირებაზე კატეგორიული უარი განაცხადა, თუმცა ჟურნალისტთან საკუთარი პოზიცია მაინც დააფიქსირა.

მშობელი:

N34-ე სკოლაზე არჩევანი სკოლის პროგრამიდან გამომდინარე გავაკეთეთ. სკოლას ფისო სვანიძის საკმაოდ ცნობილი საავტორო მოდელი აქვს და პროგრამაც კარგია, მაგრამ იმის გამო, რომ სკოლაში არ არის დისციპლინა, ვერ ხდება პროგრამის ათვისება და ფულს წყალში ვყრით...

- რომელ ფულს? საჯარო სკოლაში სწავლა ხომ უფასოა?

- ამ სკოლაში თითოეული მოსწავლე გადასახადს იხდის. გადასახადის ოდენობა კლასების მიხედვით მერყეობს. როგორც ვიცი, პირველ კლასში 1500 ლარია, ზემოთ - 1200 და ასე შემდეგ. 600 ლარი სწავლის საფასურია, დანარჩენი სახელმძღვანელოების, რომლის ავტორიც თავად ქალბატონი ფისო გახლავთ. არც სახელმძღვანელოების ხარისხით ვართ უკმაყოფილო, მაგრამ თვითონ სკოლის გარემო და მასწავლებლები საშინელებაა!.. რაც ყველაზე მიუღებლად მეჩვენება, არის ის, რომ მიუხედავად ამხელა საფასურისა, თითოეულ კლასში 28 და 30 მოსწავლეა. ხომ შეიძლებოდა, რომ რამდენიმე პარალელური კლასი გაეკეთებინათ, რომ ბავშვთა რაოდენობა დაბალანსებულიყო?

- როგორ მოხდა, რომ საჯარო სკოლაში საავტორო პროგრამა მუშაობს? ეს ხომ აშკარა კანონდარღვევაა?

- იცით, ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ როცა პრეტენზია გაქვს, რომ საავტორო და გამორჩეული სკოლა გქონდეს, იქ პედაგოგების განსაკუთრებული შერჩევაც უნდა მოხდეს. სკოლაში ბავშვებს შორის ურთიერთობა და დისციპლინა საგანგაშოა და ხშირად ბავშვები სახლში ფიზიკურად დაზიანებულები მიდიან. პედაგოგები იმდენად არაკვალიფიციურები არიან, რომ ბავშვებთან ურთიერთობას ვერ ამყარებენ. დაწყებით კლასებში რომ ასეთი პრობლემებია, ხომ წარმოგიდგენიათ, ზედა კლასებში რა ხდება? თავის გატეხვა, წარბის გახეთქვა და ასე შემდეგ ამ სკოლაში ჩვეულებრივი მოვლენაა. რამდენიმე თვის წინათ ერთ-ერთი მეოთხკლასელი გოგონა სამმა თანატოლმა ბიჭმა დაიჭირა და თმები გაკრიჭა, თუ გადაპარსა. ბავშვმა ისეთი ტრავმა მიიღო, რომ მშობლებმა აურზაურის გარეშე გაარიდეს და სხვაგან გადაიყვანეს. იანვრის შემდეგ ამ ყველაფერმა გაცილებით მწვავე ფორმა მიიღო. ბავშვები აგრესიას ვერ ფარავენ და სკოლის გარემო აბსოლუტურად არ შეესაბამება ნორმალურს.

- ამ პრობლემაზე დირექტორთან დალაპარაკება არ გიცდიათ?

- ვინც სცადა, მათი შვილები ისე ამოიჩემეს, რომ დანარჩენს ამის სურვილი აღარ გაგვჩენია.

მშობელთან საუბრის შემდეგ, N34-ე სკოლის ისტორია გავიხსენე. სკოლა 2 კორპუსისგან შედგება. პირველიდან მერვე კლასამდე მოსწავლეები ავლაბარში, ყოფილი N91-ე სკოლის შენობაში სწავლობენ და ზედა კლასები - მთაწმინდაზე. სხვათა შორის, თავის დროზე N91-ე სკოლის ოპტიმიზაცია - ლიკვიდაციას სწორედ ქალბატონი ეთერ (ფისო) სვანიძის საავტორო სკოლის ინტერესებს უკავშირებდნენ.

N34-ე სკოლაში პირველად მისვლისას სკოლის დირექტორი, ქეთევან ნატროშვილი, ადგილზე არ დაგვხვდა. ადმინისტრაციის დანარჩენმა წევრმა და საავტორო მოდელის ხელმძღვანელმა, ფისო სვანიძემ კი, ჯერ ჩემი კითხვები მოისმინეს და შემდეგ გამომიცხადეს, რომ დირექტორის ნებართვის გარეშე, კომენტარს ვერ გააკეთებდნენ. ქალბატონ ქეთევანს მეორე დღეს შევხვდი და ჩვენი საუბარი სამეურვეო საბჭოს ორი წევრის თანხლებით გაიმართა.

ქეთევან ნატროშვილი, N34-ე საჯარო სკოლის დირექტორი:

- ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1994 წელს გაიხსნა საავტორო-საგანმანათლებლო კომპლექსი „ქართული სასწავლებელი“. ეს სკოლა იყო საავტორო, სანამ შეიცვლებოდა კანონი, გადაინომრებოდა სკოლები და გახდებოდა საჯარო. 2006 წელს სკოლას ეწოდა N34-ე საჯარო სკოლა.

- და N34-ე საჯარო სკოლაში გადმოგყვათ პროგრამა, რომელსაც საავტორო სკოლაში ასწავლიდით? ეს ხომ საკანონმდებლო სივრციდან ამოვარდნაა?

- ზუსტად ვერ ვხვდები, რაზე მელაპარაკებით, მაგრამ როგორ მოხდა იცით? ჩვენს სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო. როცა სკოლა სამეურვეო სტრუქტურაზე გადავიდა, სამეურვეო საბჭოდან შემოვიდა მოთხოვნა, რომ სკოლა სტრუქტურულად და შინაარსობრივად იგივე დარჩენილიყო და საავტორო პროგრამა, რომელიც მანამდე იყო, გაგრძელებულიყო. ეს საავტორო პროგრამა მოიაზრებს სკოლის სტრუქტურას შინაარსობრივად, თუნდაც იმას, რომ კლასში 24 ბავშვზე მეტი არ უნდა იყოს.

- თქვენს სკოლაში 28 და 30 ბავშვიანი კლასები არ არის?

- არის პირველ კლასში, მაგრამ ესეც სამეურვეო საბჭოს მოთხოვნით მოხდა. დამატებით კლასებს ვერ ვხსნიდით და რაკი მოთხოვნა იყო, ორ კლასში ასე მოხდა... ერთგან არის 28 ბავშვი, მეორეგან... თუმცა ძირითადად გაკვეთილებზე ეს რაოდენობა შუაზე იყოფა და გაკვეთილები უტარდება არა 26 და 28, არამედ 13 ან 14 ბავშვს. ეს მაღლა სწევს სწავლის ხარისხს.

- სკოლაში რამდენი მოსწავლეა?

- 683.

- ამათგან რამდენია ქართული სკოლის საავტორო პროგრამაში?

- აბსოლუტურად ყველა, ოღონდ მე მინდა, ხაზგასმით ვთქვა, რომ თქვენ არასწორად მისვამთ კითხვას. რას ნიშნავს საავტორო პროგრამა?

- თავადაც ბრძანეთ, განათლების კანონის მიღებამდე სკოლა საავტორო პროგრამით მუშაობდა. მას შემდეგ რა შეცვალეთ?

- ახლა არის საჯარო სკოლა. კანონში წერია, რომ საჯარო სკოლამ უნდა დააკმაყოფილოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და ამის შემდეგ უფლება აქვს, სტანდარტს ზემოთ სწავლება

განახორციელოს მის მიერ დაქვემდებარებულ სკოლაში.

- თქვენი თქმით, საავტორო სწავლების მოდელს თუ სტანდარტს ზემოთ სწავლებას დავარქმევთ, ყველაფერი წესრიგშია? ანუ პრობლემა სახელწოდებაა?

- ძალიან კარგი კითხვა დამისვით. კანონით სკოლას არ შეუზღუდეს შემოქმედებითობის, წინსვლის და განვითარების უფლება, რომ სკოლამ მაქსიმალურად შეასრულოს გეგმით გათვლილი ყველა მოთხოვნა და თუკი სურვილი და საშუალება აქვს, შეუძლია, სტანდარტს ზემოთ აკეთოს ბევრი კარგი საქმე.

- სტანდარტს ზემოთ სწავლება შეიძლება წრეობრივი მუშაობა ან გაკვეთილების შემდეგ მეცადინეობა იყოს, მაგრამ არა ის შემთხვევა, როცა 683-დან 683-ვე მოსწავლე ერთიანი პროგრამით სწავლობს და ფულს იხდის, რაც კანონით აკრძალულია.

- ჩვენთან სწავლის საფასური არ არსებობს, ანუ სწავლაში ფულს არავინ იხდის. ჩვენს სკოლაში არის შემოწირულობა სკოლის ოფიციალურ ანგარიშზე და მე, როგორც დირექტორს, ამ თანხის შემოსავალიც და გასავალიც აღრიცხული მაქვს

- სწავლის საფასურად დაწესებული 600-დან 1000 ლარი და სახელმძღვანელოების საფასური - 600 ლარი შემოწირულობაა? თანაც, შემოწირულობა ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

-ასეც არის და მოსწავლეთა დაახლოებით 50% არავითარ თანხას არ იხდის. დანარჩენიც, რამდენის საშუალებაც და სურვილიც აქვს, იმდენს იხდის. ის, რომ სახელმძღვანელოების ფასი 600 ლარია, ტყუილია.

- მაშინ მართალი თქვენ გვითხარით.

-ვერ გეტყვით, იმიტომ რომ ყველა სახელმძღვანელოს აქვს განსხვავებული ფასი, თანაც სახელმძღვანელოს თანხა სკოლის ანგარიშზე არ შემოდის.

- კი, მაგრამ სახელმძღვანელოების ნუსხას ხომ ის ცენტრი ადგენს, რომელსაც ქალბატონი ეთერ სვანიძე ხელმძღვანელობს? ზოგი წიგნის ავტორიც თავადაა და თქვენ არ იცით, სად მიდის სახელმძღვანელოებიდან შემოსული თანხა?

- იცით რა... ამ ნუსხას ადგენენ კათედრებზე მომუშავე პედაგოგები.

- საავტორო მოდელის მქონე სკოლების უმეტესობამ „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ ამოქმედების შემდეგ ან არსებობა შეწყვიტა, ან კერძო სექტორში გადავიდა. თქვენ რატომ არ მოიქეცით ასე?

- ეს დააზარალებდა ჩვენს მოსწავლეებს, რადგან კერძო სკოლაში არის საკმაოდ მაღალი ოფიციალური გადასახადი და ყველა ბავშვი ვალდებულია, ეს თანხა გადაიხადოს.

- და არა იმიტომ, რომ კერძო სკოლა, საჯაროსგან განსხვავებით, ფართის ფლობისთვის საიჯარო გადასახადს იხდის?

- ნამდვილად არ არის, იმიტომ, რომ ეს რომ კერძო სკოლა იყოს, იმდენად დიდი შემოსავალი ექნებოდა, საიჯაროს გადახდაც არ გაგვიჭირდებოდა. რაც შეეხება თქვენს კითხვებს სკოლაში არსებული დისციპლინის შესახებ, რაზეც ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გუშინაც დაუსვით კითხვები, მე ვერაფრით ვერ დავადასტურებ ინფორმაციას, რომ ჩვენი სკოლიდან ბავშვები თავგატეხილები და წარბგახეთქილები მიდიან. მეოთხეკლასელი გოგონასთვის

თავის გადაკრეჭვისა და გადაპარსვის ამბავი, საერთოდ, პირველად მესმის და მსგავსი ფაქტი ჩვენს სკოლაში არ მომხდარა. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. მაშინ მითხარით დაზარალებული მოსწავლის სახელი და გვარი.

- როგორც ვიცი, ბავშვის ოჯახს მომხდარზე საუბარი არ სურს. ფაქტის გახმაურება რომ სდომოდათ, ბავშვს ამ სკოლიდან არც გადაიყვანდნენ.

საუბარში ჩაგვერთო სამეურვეო საბჭოს წევრი - მარიკა ქარსელაძე

- ეს სამეურვეო სისტემა სკოლაში დიდი ხანია, არსებობს და ჩვენ ამ საბჭოს არსებობის დიდი ხნის გამოცდილება გვაქვს. რაც შეეხება ამ ამბავს, თუკი მშობელი ამ პრობლემით არც დირექციასთან და არც ჩვენთან არ შემოსულა, გამოდის, რომ ასეთი ფაქტი არ მომხდარა.

N34-ე სკოლაში მისვლამდეც და ამის შემდეგაც განათლების სამინისტროსთან დაკავშირება რამდენჯერმე ვცადეთ, თუმცა ჩვენი ზარები სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ყურადღების მიღმა დარჩა. რაც შეეხება N34-ე სკოლის საკანონმდებლო სივრცეში ყოფნა-არყოფნის და „სტანდარტს ზემოთ" კანონდარღვევას, ძალიან მიამიტი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასობით და ათასობით ლარის „ნებაყოფლობითი შემოწირულობის" სახით მიღება დაიჯეროს. თავად ის ფაქტი, რომ N34-ე სკოლის საავტორო მოდელის ხელმძღვანელის, ეთერ სვანიძის მეუღლე N61-ე სკოლის ყოვლისშემძლე დირექტორი, მიხეილ მინდაძეა, რომელსაც, გავრცელებული ინფორმაციით, თავად მამა-შვილი გაბაშვილი მფარველობს და რომელსაც გვარამიას გენერალური ინსპექციის გამანადგურებელმა დასკვნამაც კი (გენერალურ პროკურატურაშია გადაგზავნილი) ვერ შეურყია სავარძელი, ბევრი რამ ნათელი გახდება. წერილის ბოლოს ისე, სხვათა შორის, გამახსენდა, რომ მინდაძის N61-ე სკოლაც, N34-ე სკოლის მსგავსად, ორი კორპუსისგან შედგება.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: ,,მეოთხეკლასელი გოგონა სამმა თანატოლმა ბიჭმა დაიჭირა და თმები გაკრიჭა... ბავშვმა ისეთი ტრავმა მიიღო, რომ მშობლებმა აურზაურის გარეშე გაარიდეს და სხვაგან გადაიყვანეს"

სტატიის ავტორი - ნელი თორდია - არ არის ქარტიის ხელმომწერი.

სტატია გამოქვეყნდა გაზეთში ,,კვირის ქრონიკა".

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 24 მაისი, 2010 წელი.

სტატია ეხება 34-ე საავტორო სკოლას, რომლის ავტორიც ფისო სვანიძეა. დასაწყისში ნათქვამია, რომ ეს სკოლა საკანონმდებლო სივრციდან ამოვარდნილი საჯარო სკოლაა, სადაც სწავლების საავტორო მოდელი მუშაობს და სწავლა ფასიანია. ჟურნალისტი სტატიის პირველ ნაწილში გვთავაზობს სკოლის ერთ-ერთი მოწაფის მშობელთან ინტერვიუს. რესპონდენტის ვინაობა არ არის გამხელილი. ნელი თოდრიას თქმით, მშობელმა თავისუფლად ისაუბრა სკოლაში არსებულ პორბლემებზე, მაგრამ ვინაობის გამხელა არ ისურვა. ინკოგნიტო მშობელი

გამოხატავს საკუთარ უკმაყოფილებას სკოლაში არსებულ გარემოსა და მასწავლებლებზე. ის ამბობს, რომ იხდის სკოლის საფასურს, მაგრამ ბავშვების უსაფრთოხება დაცული არ არის. ისინი სახლში ხშირად ფიზიკური დაზიანებებით ბრუნდებიან. ასევე, მშობელი ყვება ისტორიას, რომელიც სტატიის სათაურად არის გამოტანილი: „მეოთხეკლასელი გოგონა სამმა თანატოლმა ბიჭმა დაიჭირა და თმები გაკრიჭა... ბავშვმა ისეთი ტრავმა მიიღო, რომ მშობლებმა აურზაურის გარეშე გაარიდეს და სხვაგან გადაიყვანეს". რესპონდენტი ასევე უკმაყოფილოა სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაციით და, აგრეთვე, კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობით. მისი მონათხრობიდან ვიგებთ, რომ 34-ე სკოლის სახელმძღვანელოები თავად დირექტორის, ფისო სვანიძის მიერ არის შექმნილი.

სტატიის მეორე ნაწილში ჟურნალისტი სკოლის დირექტორთან ინტერვიუს გვთავაზობს, მანამდე კი გვიამბობს ისტორიას, რომელიც ამ სკოლის შენობას შეეხება. სკოლა ორ ნაწილად არის გაყოფილი, უმცროსკლასელები ერთ შენობაში სწავლობენ - ავლაბარში, უფროსკლასელები კი მეორეში - მთაწმინდაზე. ჟურნალისტი წერს, რომ 91-ე სკოლის ოპტიმიზაცია-ლიკვიდაცია სწორედ ფისო სვანიძის 34-ე საავტორო სკოლას უკავშირდება. შემდეგ ის ესაუბრება სკოლის დირექტორს ქეთევან ნატროშვილს. ჟურნალისტის ინტერესის საგანია ის ფაქტი, რომ სკოლა საჯაროა და, ამავე დროს, საავტოროა, ფასიანია. ის რესპონდენტისგან იღებს განმარტებას, რომ კანონი მათ ავალდებულებს, დააკმაყოფილონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და, ამის შემდეგ, უფლება აქვთ, სტანდარტს ზემოთ სწავლება განახორციელონ. კანონი სკოლის შემოქმედებითობას არ უზღუდავს. სწორედ ამას გულისხმობს საჯარო სკოლა, სადაც შესაძლებელია საერთო პროგრამის პარალელურად განახორციელო საავტორო პროგრამა. ჟურნალისტის შემდეგი კითხვა სკოლის საფასურს შეეხება და იმას, თუ რამდენად შესაძლებელია საჯარო სკოლაში არსებობდეს ფიქსირებული გადასახადი. სკოლის დირექტორი ამბობს, რომ გადასახადი მათ სკოლაში შემოწირულობის სახით არსებობს და სწირავენ ისინი, ვისაც ამის საშუალება აქვს. შემოსული თანხა მთლიანად აღრიცხულია დირექტორის მიერ. მისი თქმით, სკოლის მოსწავლეების 50 პროცენტი უფასოდ სწავლობს.

ბოლოს, ჟურნალისტი სკოლის დისციპლინაზე საუბრობს და არკვევს მეოთხეკლასელი გოგონას ისტორიის რელევანტურობას - შეჭრეს თუ არა მას თმები ბიჭებმა. ამის თაობაზე დირექტორი აცხადებს, რომ მსგავსი ფაქტი არ მომხდარა და მათ სკოლაში უდისციპლინობას არავინ უჩივის.

ჟურნალისტი ერთგვარ დასკვნას გვთავაზობს და წერს, რომ

არადამაჯერებელია ვერსია, თითქოს, სკოლა შემოწირულობის ხარჯზე არსებობს. ჟურნალისტი წერს, რომ ვერ დაუკავშირდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს. აგრეთვე, აღნიშნავს, რომ 34-ე სკოლის პროგრამის ავტორი ფისო სვანიძე არის 61-ე სკოლის დირექტორის - მიხეილ მინდაძის - მეუღლე და რომ მინდაძეს ხელისუფლებიდან კოტე და გოკა გაბაშვილები მფარველობენ. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტის თქმით, მინდაძე გვარამიას გენერალური ინპექციის გამანადგურებელმა დასკვნამაც კი თავის ადგილზე, ისევ სკოლის დირექტორად დატოვა. გამანადგურებელი დასკვნა, სავარაუდოდ, აღმოჩენილ ფინანსურ დარღვევებს გულისხმობს.

### აღწერითი ნაწილი

სტატიის ავტორი

სტატიის ავტორმა გამოთქვა მზადყოფნა, ითანამშრომლოს მონიტორთან. მონიტორის კითხვები ძირითადად შეეხებოდა სტატიაში მოყვანილ ფაქტებს, რომელთა წყარო არ იყო დასახელებული. აგრეთვე, მონიტორი დაინტერესდა, რატომ გახდა ზემოხსენებული სკოლა ჟურნალისტის ინტერესის საგანი. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ ის მუდმივად მუშაობს და წერს განათლების საკითხებზე. სტატიის ავტორი მუდმივად ინტერესდება სხვადასხვა სკოლაში არსებული მდგომარეობით.

ჟურნალისტი ამბობს, რომ ინფორმაცია სკოლაში არსებული სიტუაციის შესახებ მიღებული აქვს ამავე სკოლის მოსწავლეთა მშობლებისგან, რომელთაც საუბრის დაწყებისთანავე ინკოგნიტოდ დარჩენა ითხოვეს. ჟურნალისტის თქმით, ერთ-ერთმა მშობელმა თავად ითხოვა მასთან შეხვედრა და სკოლაში არსებული უდისციპლინობის შესახებ მოყოლა. რაც შეეხება სტატიის პასაჟს, სადაც ჟურნალისტი უკვე 61-ე სკოლს დირექტორზე მიხეილ მინდაძეზე საუბრობს, სტატიის ავტორი ამბობს, რომ დოკუმენტი, სადაც აღწერილია მინდაძის სკოლაში ფინანსური დარღვევების შესახებ, თავად აქვს სახლში. 34-ე სკოლის კანონგარეშე მოქმედების შესახებ კი ჟურნალისტი ამბობს, რომ ამის გადამოწმების საშულება არ ჰქონდა, ვინაიდან ვერ დაუკავშირდა განათლების სამინსიტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელს.

დაზარალებული მხარე

მონიტორი დაუკავშირდა 34-ე სკოლის დირექტორს, ქალბატონ ქეთი ნატროშვილს და დაინტერესდა, რამდენად შეესაბამება მის მიერ მიცემული ინტერვიუ სინამდვილეს და ხომ არ არის ის დამახინჯებული? ქეთევან ნატროშვილმა აღნიშნა, რომ ის ძალიან დიდხანს ესაუბრა ჟურნალისტს და, ბუნებრივია, ამ საუბრის მხოლოდ ნაწილია დაბეჭდილი.

მაგრამ მისი საუბრის შინაარსი შეცვლილი არ არის.

ასევე მონიტორი დაინტერესდა, თუ გახდა სკოლის დირექტორისთვის ცნობილი იმ ფაქტის შესახებ, რომელსაც ჟურნალისტი ყვება სტატიაში, - იგულისხმება მესამე კლასელი გოგონასათვის ძალით თმის შეჭრა.

დირექტორი ამბობს, რომ მათ ამ ისტორიის შესახებ სწორედ ჟურნალისტისგან გაიგეს და ამის შემდეგაც ეცადნენ გაერკვიათ, რაიმე მსგავის ფაქტი თუ მოხდა, მაგრამ ეს არის სიცრუე. დირექტორმა ჟურნალისტს შესთავაზა და სთხოვა, ვიდრე დაწერდა ამ ისტორიას, კარგად გადაემოწმებინა ფაქტი და მხოლოდ ერთი მშობლის ნაამბობს ნუ დაიჯერებდა. სკოლის ხელმძღვანელობამ ყველანაირი კონფიდენციალობის დაცვა აღუთქვა, ოღონდ კი გაერკვიათ, რატომ გაჩნდა ამგვარი ისტორია. დირექტორის თქმით, ჟურნალისტმა თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. ქეთევან ნატროშვილი ამბობს, რომ მათ შთაბეჭდილება დარჩათ, თითქოს, სტატიის ავტორის თვითმიზანი იყო ამ მადისკრიმინირებელი ამბის ტირაჟირება, რომელიც, ამავდროულად, სიმართლეს არ შეესაბამება.

მონიტორი

მონიტორის კითხვები ძირითადად შეეხებოდა ინფორმაციის სანდოობის სიზუსტის დადგენას. ამიტომ, ძირითადი კითხვები იყო “საიდან ფლობთ ამ ინფორმაციას?”, „გადაამოწმეთ თუ არა ეს ფაქტები რამდენიმე წყაროსთან?”, „მაშინ როდესაც ასახელებთ ფაქტს, რატომ არ ადასტურებთ მას დოკუმენტებით”. ჟურნალისტი ვერ დაუკავშირდა განათლების სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელს და ამიტომ ვერ მოიშველია მათი ახსნა-განმარტება.

იქ, სადაც ჟურნალისტი საუბრობს სკოლაში არსებული საავტორო პროგრამის არსებობაზე და კანონდარღვევაზე, მიუხედავად იმისა, რომ მან ინტერვიუ ჩაწერა სკოლის დირექტორთან, მონიტორის რჩევა იყო, არ გამოექვეყნებინა მასალა იქამდე, ვიდრე ამას არ გადაამოწმებდა განათლების სამინისტროს წარმომადგენელთან და არ მიიღებდა პასუხს - მოქმედებს თუ არა 34-ე სკოლა კანონის ფარგლებს გარეთ. ასევე, მონიტორის რჩევაა, მსგავსი ინფორმაციის გავრცელებისას, მოვიყვანოთ ციტატები კანონიდან, ან უფრო ვრცლად დავწეროთ ამის შესახებ, რათა მკითხველს მეტი ნდობა გავუჩინოთ. გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან კი თავი შევიკავოთ. სტატიაში, ავტორის პატარა ჩანართებში, აშკარად ჩანს მისი ნეგატიური დამოკიდებულება სკოლისა და სკოლის დირექტორის მიმართ, რაც, უმჯობესია, წერის ნეიტრალური მანერით შეიცვალოს, რათა ავტორის სუბიექტური ხედვა არ გამოჩნდეს.

**კითხვები:**

1. საიდან ვიცით ესა თუ ის ფაქტი?
2. ვისთან არის გადამოწმებული ინფორმაცია?
3. რატომ არის ეს ინფორმაცია სანდო?
4. იყო თუ არა საშუალება, მოძიებული ყოფილიყო დამატებითი წყაროები?

## საგაზეთო მასალა №7

### რატომ აკავშირებენ ლანჩხუთელი გოგონების გაუჩინარების ისტორიას სატანისტურ სექტასთან

მე-10 კლასელი ზ.შ-სა და მე-12 კლასელი ლ.კ.-ს გაუჩინარების ფაქტმა, ლანჩხუთი სერიოზულად შეაშფოთა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ კარგა ხნის მანძილზე არ მოხერხდა გოგონების ადგილსამყოფელის დადგენა. ბუნებრივია, ყოველივე ამას მითქმა-მოთქმა და ჭორ-მართლის გავრცელებაც მოჰყვა. მოსწავლეების დაკარგვასთან დაკავშირებით, არაერთი ვერსია განიხილებოდა. მავანი, სრულიად სერიოზულად, ასეთ პროგნოზსაც კი აკეთებდა - თითქოსდა, მოსწავლეების გამოყენება სატანისტებს, მსხვერპლთშეწირვის სისხლიანი რიტუალისათვის უნდოდათ! მოარული ხმების მიხედვით, ეკლესიიდან გამოსული მოსწავლეები, უცნობმა პირებმა მანქანაში ძალით ჩატენეს და გაიტაცეს. ანგარიშგასაწევი ნაწილის აზრით, გოგონები თბილისში, როკკონცერტზე დასასწრებად იყვნენ წასულები. ამ ვერსიის არსებობას რეალური საფუძველი ჰქონდა – საქმე იმაშია, რომ დაკარგული გოგონები როკით არიან გატაცებულები.

დაკარგული მოსწავლეების ძებნის საქმე მკვდარი წერტილიდან არ იძროდა. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა-პოლიცია დღე-ღამეს ასწორებდა, შედეგის მიღწევა მხოლოდ მეთორმეტე დღეს მოხერხდა. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რას განიცდიდნენ დაკარგული მოსწავლეების მშობლები და ახლობლები. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის არის ცნობილი, მათ კვალს სამართალდამცველებმა ქუთაისში მიაგნეს, იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ მათ ნახვას. ძალოვნები, ტრადიციულად კომენტარისგან თავს იკავებენ. მიუხედავად ამისა, სანდო წყაროზე დაყრდნობით, თემის ირგვლივ მოვახერხეთ ინფორმაციის მოპოვება. აი, რა გვიამბო რესპონდენტმა, რომელმაც ინკოგნიტოდ არჩია დარჩენა: ლ.კ. ამ სკოლაში, სულ რაღაც ერთი წლის გადმოსულია. ადრე ის ფოთში სწავლობდა. სავარაუდოდ, გოგონას მშობლებმა ხასიათში არასახარბიელო ცვლილებები შენიშნეს და ჩათვალეს, რომ ამაში გარემომ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ლ.კ. მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა. სკოლის ცხოვრებაშიც აქტიურად არის ჩაბმული, საზოგადოებრივ დავალებებს ერთგვარი ხალისითაც კი ასრულებს. მას ლიდერის მკვეთრად გამოხატული თვისებები აქვს. ზაფხულის არდადეგებზე სკოლიდან ლიდერთა ბანაკშიც იყო გაგზავნილი.

- თვალშისაცემად განსხვავებული ხელწერით გამოირჩევა მის მიერ მომზადებული კედლის გაზეთი, - გვითხრა სოფლის დეპუტატმა.

გოგონას თავისებურებას, შესაძლოა, მისი ჩაცმულობის ექსტრავაგანტულ სტილს უკავშირებენ, რაც პირსინგისა და მეტალის დეტალებისადმი მოჭარბებულ სიყვარულში გამოიხატება. თუმცა სკოლაში ჩვეულებრივ ჩაცმული დადის და საყვარელ სტილს მხოლოდ სკოლის გარეთ უბრუნდება.

ეს ატრიბუტიკა და მასიური ტყავისგან დამზადებული რკინის ბალთებიანი სამაჯური, რომელზეც თავის ქალის გამოსახულებაა, მთელს ევროპასა და ამერიკაში უკვე საკმაოდ გავრცელებული ახალგაზრდული მიმდინარეობის

„ემოს" (სიტყვიდან „ემოციონალე") ემბლემაა. მთელ მსოფლიოში ახალგაზრდებში ახლა ყველაზე მოდური თავის ქალის გამოსახულებიანი ჯინსები, ყელსახვევები, მაისურები და ქურთუკებია. ამ მიმდინარეობის შესახებ, გაზეთი „21-ს ქვევით" სულ ახლახანს წერდა.

ისიც გვითხრეს, რომ ლ.კ. მრავალმხრივი ნიჭითაა დაჯილდოებული. ის თურმე, ლექსებსაც წერს. გოგონა უარყოფს რომელიმე სექტის წევრობას და ამბობს, რომ მხოლოდ როკის მიმდევარია და სხვა არაფერი; შეუძლია როკ-მუსიკას დღე-ღამის განმავლობაში შეუსვენებლად უსმინოს.

და კიდევ - იგი დამოუკიდებლობას ესწრაფვის. მისთვის უნებართვოდ სახლიდან წასვლა პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ირკვევა, რომ გოგონა ფოთში სწავლის პერიოდშიაც გაპარულა თბილისში. თავად ამაში ტრაგედიას ვერ ხედავს. უკვე 18 წლისაა და კარგად იცის თავისი უფლებები, რის დემონსტრირებასაც ახდენს კიდეც.

რაც შეეხება ბ. შ.-ს, ისიც შეყვარებულია როკზე. როგორც გვითხრეს, იგი კარგი სმენითა და ხმით გამოირჩევა. უყვარს თანამედროვე სიმღერები. გოგონების სიახლოვე სწორედ ამან განაპირობა. „დაკარგულები" თანასოფლელები არიან. ჩვენი ინფორმაციით, ლ. კ. დაპირდა მეგობარს, რომ როკის ცნობილ მომღერლებს გააცნობდა. ამ მიზეზით აღმოჩნდა ეს უკანასკნელი ქუთაისში. თუმცა ამბობს, რომ სახლიდან წასვლის გადაწყვეტილება თავად, დამოუკიდებლად მიიღო.

მეგობრები ქუთაისში ალალბედზე არ წასულან - მათ ტელეფონით გაცნობილი, ასევე როკის ფანი გოგონა მასპინძლობდა; შემდეგ კი, გოგონებმა ქუთაისში ბინა იქირავეს და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებასაც აპირებდნენ. სწორედ ამ დროს მიაგნეს მათ კვალს სამართალდამცველებმა... გოგონები შემდგომში თბილისში აპირებდნენ წასვლას, ცხადია, სახლიდან გარკვეული თანხაც ჰქონიათ წაღებული. ლ.-მ ქუთაისში ტელეფონი გაყიდა. ეს მან შეგნებულად გააკეთა, რადგანაც ტელეფონით დაკარგულების კვალზე დადგომის დიდი ალბათობა არსებობდა. შეიძლება ითქვას, მოსწავლეებს მაძებრების კვალის ასარევად, კონსპირაციის ისეთი ზომები ჰქონდათ მიღებული, რომ ბევრს, მსგავს საქმეში გამოცდილს გაუჭირდებოდა!

რედაქციისგან: ზემოთ მოთხრობილის გათვალისწინებით, საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვი და შიში, რომ როკის მოყვარულთა სახელით, რაიონში შენიღბულად მოქმედებენ სატანისტური სექტის წევრები, რომლებიც სპეციალურად ახალგაზრდობის გადაბირებაზე მუშაობენ, უსაფუძვლოა - როგორც ჩანს, საქმე სატანისტებთან კი არა, პირველ გურულ „ემოებთან" გვაქვს.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: „რატომ აკავშირებენ ლანჩხუთელი გოგონების გაუჩინარების ისტორიას სატანისტურ სექტასთან"

სტატიის ავტორი – ლალი ლომაძე - არ არის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერი.

სტატია გამოქვეყნებულია გაზეთში „გურია ნიუსი".

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 26 მაისი, 2009 წელი.

სტატია ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-12 და მე-10 კლასების მოსწავლეების გაუჩინარების ფაქტს. სტატიის ავტორი დასაწყისში მკითხველს სთავაზობს რამდენიმე ვერსიას მოსწავლეების მოულოდნელ გაუჩინარებასთან დაკავშირებით: ერთ-ერთი ვერსიით, „მოსწავლეების გამოყენება სატანისტებს მსხვერპლთშეწირვის სისხლიანი რიტუალისათვის უნდოდათ"; მეორე ვერსიით, „ეკლესიიდან გამოსული მოსწავლეები უცნობმა პირებმა მანქანაში ძალით ჩატენეს და გაიტაცეს"; „ანგარიშგასაწევი ნაწილის აზრით, გოგონები თბილისში, როკკონცერტზე დასასწრებად იყვნენ წასულები".

ამის შემდეგ ავტორი იტყობინება, რომ სამართალდამცავებმა, თორმეტდღიანი ძებნის შემდეგ, დაკარგულ გოგონებს ქუთაისში მიაგნეს: „მეგობრები ქუთაისში ალალბედზე არ წასულან - მათ ტელეფონით გაცნობილი, ასევე როკის ფანი გოგონა მასპინძლობდა; შემდეგ კი, გოგონებმა ქუთაისში ბინა იქირავეს და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებასაც აპირებდნენ. სწორედ ამ დროს მიაგნეს მათ კვალს სამართალდამცველებმა," - ნათქვამია სტატიაში. სტატიაში ავტორი იძლევა ინფორმაციას დაკარგული გოგონების თაობაზე, კერძოდ, ავტორი იტყობინება, რომ მე-12 კლასელი ლ.კ. სკოლაში მაღალი აკადემიური მოსწრებითა და მრავალმხრივი ნიჭით გამოირჩევა, ამასთანავე, უყვარს როკ-მუსიკა და, შესაბამისად, აქვს ჩაცმის გამორჩეული სტილი: ატარებს მასიური ტყავისგან დამზადებულ რკინის ბალთებიან სამაჯურს, რომელზეც თავის ქალის გამოსახულებაა... ავტორის ინფორმაციით, ასევე, როკის მოყვარულია მე-10 კლასელი ბ.შ.

სტატია სრულდება რედაქციის მინაწერით: „ზემოთ მოთხრობილის გათვალისწინებით, საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვი და შიში, რომ როკის მოყვარულთა სახელით, რაიონში შენიღბულად მოქმედებენ სატანისტური სექტის წევრები, რომლებიც სპეციალურად ახალგაზრდობის გადაბირებაზე მუშაობენ, უსაფუძვლოა – როგორც ჩანს, საქმე სატანისტებთან კი არა, პირველ გურულ „ემოებთან" გვაქვს."

**აღწერითი ნაწილი**

სტატიის ავტორი

სტატიის ავტორმა და გაზეთის რედაქტორმა ითანამშრომლეს მონიტორთან და უპასუხეს ყველა დასმულ შეკითხვას, რომლებიც ეხებოდა იმის გარკვევას, თუ რამდენად ეცადა ჟურნალისტი, რომ ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველებისთვის; სტატიის მომზადებისა და გამოქვეყნების პროცესში, ავტორმა მიანიჭა თუ არა უპირატესობა არასრულწლოვანის ინეტერესებს.

ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ

სტატიაში დაზარალებულ მხარეს წარმოადგენენ მე-12 კლასის მოსწავლე ლ.კ. და მე-10 კლასის მოსწავლე ბ.შ., რომელთა გაუჩინარებასთან დაკავშირებულ ვერსიებს ასახავს სტატია. თუმცა, მონიტორმა აღნიშნულ მოსწავლეებთან დაკავშირება ვერ მოახერხა.

ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘ

სტატიის წაკითხვისთანავე, მონიტორისთვის თვალშისაცემი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ სტატიაში ავტორი იყენებს მხოლოდ არაიდენტიფიცირებულ და ინკოგნიტო წყაროებს. ავტორი მხოლოდ და მხოლოდ ამ ინკოგნიტო წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს სხვადასხვა ვერსიას გოგონების გაუჩინარებასთან დაკავშირებით. მათ შორისაა ვერსია არასრულწლოვნების შესაძლო კავშირის თაობაზე სატანისტებთან. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება მხოლოდ არაიდენტიფიცირებულ წყაროებზე დაყრდნობით, თანაც ისე, რომ ეს ინფორმაცია სტატიაში არ დასტურდება, სრულ წინააღმდეგობაში მოდის ბავშვების ინტერესებთან და საზიანოა მათთვის.

შესაბამისად, მონიტორის მიერ დასმული შეკითხვების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გაერკვია, თუ რამდენად ეცადა სტატიის ავტორი, ბოლომდე გადაემოწმებინა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა ზუსტი ინფორმაცია. ასევე, გამოერკვია, რამდენად იხელმძღვანელა სტატიის გამოქვეყნების პროცესში ავტორმა და რედაქციამ ბავშვების ინტერესებით.

**კითხვები:**

1. რატომ არის ხაზგასმული სათაურში გოგონების კავშირი სატანისტურ სექტასთან, რაც სტატიაში, როგორც ფაქტი, არ დასტურდება?
2. სტატიის პირველ ნაწილში აღწერილია გოგონების გაუჩინარებასთან დაკავშირებული ვერსიები, რომელთა ავტორებად ჟურნალისტი გვთავაზობს „მავანს", „მოარულ ხმებს", „ანგარიშგასაწევ ძალას". გააჩნიათ თუ არა წარმოდგენილ ვერსიებს კონკრეტული წყაროები, რომლებსაც ესაუბრა ჟურნალისტი და რომლებისგანაც მიიღო ეს ინფორმაცია? თუ - კი, რატომ არ არის ეს ნაჩვენები სტატიაში?
3. სტატიის მეორე ნაწილი ეფუძნება „სანდო წყაროს" ინფორმაციას, თუმცა სტატიაში არ არის ახსნილი, რატომ უნდა მიიჩნიოს მკითხველმა აღნიშნული წყარო სანდოდ. რაში მდგომარეობს აღნიშნული წყაროს სანდოობა?
4. სტატიის მესამე ნაწილში საუბარია იმ დეტალებზე, რაც უკავშირდება გაუჩინარებული გოგონების მიერ ქუთაისში გატარებული პერიოდის აღწერას. რა წყაროზე დაყრდნობით გვთავაზობს ჟურნალისტი ამ

ინფორმაციას? რამ შეუშალა ხელი, რომ უშუალოდ გოგონებისგან მიეღო აღნიშნული ინფორმაცია?

5. სტატიის მომზადების პერიოდში რატომ არ გაესაუბრა ჟურნალისტი გოგონების მშობლებს, რომ მათთან დაეზუსტებინა გოგონების გაუჩინარებისა და ამ ფაქტთან დაკავშირებით არსებული ვერსიების დეტალები?

**საგაზეთო მასალა № 8**

## წინ წარმატებისაკენ!

გურიაში, სოფელ ღრმაღელეში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ცივილიზაციას ერთმანეთთან მხოლოდ ტელევიზია აკავშირებს, ორი განსხვავებული გოგონა ცხოვრობს - ბელა სანავა და ლია კვარაცხელია. ბელა 16 წლისაა, ხოლო ლია - 18-ის. ეს განსხვავებულობა ჩაცმის სტილსა და აზროვნებაში გამოიხატება. უსმენენ როკ - მუსიკას, იქცევიან ისე, როგორც სწორად მიაჩნიათ და იცვამენ ისე, როგორც მოსწონთ. ყოველივე ეს ბავშვებისთვის განათლების მიღების აკრძალვის საწინდარი გახდა.

ყველაფერი ასე დაიწყო:

გოგონებმა, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ სოფლის თავზე მოხვეულ წესებსა და ფორმალობებს, გადაწყვიტეს ქუთაისში როკ - კონცერტზე გაპარულიყვნენ. ბინის საქირავებლად საკუთარი ნივთების გაყიდვაც კი მოუწიათ. მშობლები კი მათ ამაოდ ეძებდნენ და ვერსად მიაგნეს. უკან დაბრუნებულ ბელასა და ლიას სოფელში უამრავი პრობლემა შეექმნათ, მათ შორის სკოლაში - მოსწავლეებს განათლების მიღების უფლება წაართვეს.

4 ივნისს ტელეკომპანია „იმედზე" საინფორმაცია გადაცემა „ქრონიკაში" გავიდა სიუჟეტი, სადაც ყველაზე შემაშფოთებელი სკოლის დირექტორისა და მასწავლებელთა ნაწილის მიერ გაკეთებული განცხადებები იყო. ჩვენთვის დღეს სწორედ ეს უნდა იყოს განხილვისა და დისკუსიის საგანი. ამაზე უნდა მოახდინოს რეაგირება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

სიუჟეტში ერთ-ერთი მასწავლებელი ამბობს: „ერთი კვირა რომ სახლიდან წავიდნენ და ძლივს მოვიყვანეთ სახლში, ჩვენ არ გვინდა მათ...", აქ ჩერდება და ალბათ გულისხმობს, რომ არ უნდათ, რომ მათ სკოლაში გააგრძელონ სიარული. შემდეგ ისევ ის მასწავლებელი აგრძელებს საუბარს - „ცუდს ვერ ვიტყვით ტელევიზიაში..." აქ უკვე დირექტორი ერთვება საუბარში და იმის ნაცვლად, რომ ამ მასწავლებლებს საყვედური უთხრას და აუხსნას, რომ სკოლაში არ შეიძლება ბავშის პირადი ცხოვრების განხილვა, ასეთ რამეს ამბობს: - „ჩვენამდე მოვიდა ინფორმაცია, მშობლის ნათქვამი, მეზობლის ნათქვამი, რომ ამათ რაღაც ისეთი გადახრები ახასიათებთ... და საერთოდ რომელ ტრადიციებზეა ლაპარაკი, საერთოდ სამყაროსთვის..." ცოტა გაუგებარია, რა „საერთოდ სამყაროსთვის"? სამყაროს შეცნობაზე უამრავი მეცნიერი მუშაობდა და მუშაობს დღესაც და მათ ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს სამყაროს შეცნობა, ხოლო სკოლის დირექტორს, როგორც ჩანს, ეს მოუხერხებია და სამყაროს წესებიც განუსაზღვრავს.

მივუბრუნდეთ ისევ სიუჟეტს. დირექტორი პედაგოგებს ხელების შლით ეუბნება: ის ბავშვი ახლა რომ წარმოჩინდეს კარგად, გაწყობს? სკოლას აწყობს? აგერ დანარჩენ 443-ს აწყობს ეგენი?" მის ამ კითხვას კითხვითვე პასუხობს იმედის რეგიონალური ჟურნალისტი - „რატომ არ უნდა აწყობდეს? დირექტორი ისევ ხელების შლით პასუხობს: „აუ, კარგი რა ახლა..." და ისევ მასწავლებლებს ეკითხება: „თქვენ ახლა სიმართლე ილაპარაკეთ იქა? ვერ ილაპარაკეთ" - ასკვნის თვითონვე. გულისხმობს იმას, რომ მასწავლებლებმა კამერის წინ ყველაფერი არ თქვეს, რასაც კამერის გარეშე, ისე იტყოდნენ არც კი

დაფიქრდებოდნენ. დირექტორის ამ კითხვაზე პედაგოგის პასუხი შემდეგია: „ახლა საქართველოს ტელევიზიით კი არ მინდა ეს ვთქვა, რომ ბავშვები...“ და აგრძელებს აღშფოთებული - „ჩემს ჭკუაზე მინდა ვიცხოვროო, - იმ ბავშვმა თქვა“- წარმოგიდგენიათ?! თურმე, როგორ შეიძლება, თავის ჭკუაზე იცხოვროს ადამიანმა. ისევ აგრძელებს „არ მინდა მე უფროსი არავინ“. აქ უკვე მეორე გვერდით მჯდომი პედაგოგი ერთვება და ამატებს: „თავისუფლება უნდა“.

სიუჟეტის დასასრულისკენ კიდევ ერთი მასწავლებელი ამბობს: „მე მაგალითად, წინააღმდეგი არ ვიქნები, ეს ბავშვები სკოლაში დაბრუნდნენ“. აქ ცოტა იმედი გესახება ადამიანს, როგორც იქნა, მადლობა ღმერთს ყველა ერთნაირი არ ყოფილაო, ფიქრობ. მაგრამ ნუ იტყვი, ჯერ თურმე ბოლომდე უნდა მოუსმინო, აგრძელებს: „...მე ვიცი, რომ მათთან ბათუმიდან ჟურნალისტები იყვნენ და ისინი ძალიან კმაყოფილები წავიდნენ იმიტომ, რომ ბავშვმა თქვა, მე მართლმადიდებელი ვარ, ქრისტიანიო. ცოტა შეურაცხყოფილად კი ვგრძნობთო თავს, დაამატა. წარმოგიდგენიათ?! ბავშვებს ესეც რომ არ ეთქვათ, კოცონზე დაწვავდნენ. მე, პირადად, ამ ყველაფრის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო მნიშვნელოვანი მგონია, ვიდრე თუნდაც ბევრი სხვა მნიშვნელოვნი საკითხი, რაზედაც ხელისუფლება ყოველდღიურად საუბრობს.

ამ პედაგოგებს, როგორც ჩანს, თავი ისევ საბჭოთა სკოლებში ჰგონიათ და მოსწავლეებისთვის ისევ საბჭოთა კავშირის მარწუხებით შებოჭილი აზროვნების ჩამოყალიბება მიაჩნიათ საკუთარ მოვალეობად. თურმე, ნუ იტყვი, როგორ შეიძლება, ვინ მისცა ბავშვს უფლება, რომ თავისუფალი იყოს?! ეს კი მაშინ, როცა დღეს ყველანი თავისუფლებისთვის ვიბრძვით. ეს მაშინ, როცა სკოლის უპირველესი დანიშნულება თავისუფალი პიროვნების აღზრდა და ჩამოყალიბებაა.

მაშინ, როდესაც არსებობს „ბავშვის უფლებების კონვენცია“, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა და, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, რომ ბავშვებმა შესძლონ ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ცხოვრება. ბავშვი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ის უნდა აღიზარდოს ადამიანის ღირსების, პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით. როგორც ჩანს, სუფსის სკოლამდე ამ კონვენციას არ მიუღწევია. არც ეროვნულ სასწავლო გეგმას მიუღწევია მათთან.

კიდევ ერთი საოცრება ისაა, რომ ამ ბავშვების მხრიდან სრულიად უწყინარი ხუმრობა, მათი სატანისტებად მონათვლის მიზეზი გახდა. ბელამ და ლიამ თოჯინას თმები შეჭრეს, წითელი საღებავებითა და შავი ფანქრით დაამახინჯეს, „კუბო“-ც გაუკეთეს და მეგობარს აჩუქეს. ამან შეშფოთება გამოიწვია, როგორც მეზობელი ბავშვების, ასევე მასწავლებლების, როლებმაც ჩათვალეს, რომ ბელა და ლია ჯადოს აკეთებდნენ. ლიას და ბელას სკოლაში სიარული აუკრძალეს. მიზეზი შემდეგია - ბავშვს არ აქვს უფლება, იყოს თავისუფალი.

დირექტორის განცხადებით, ეს ორი გოგონა ცუდ ზეგავლენას მოახდენენ დანარჩენ 443 ბავშვზე და ამიტომ მათი სკოლაში დაბრუნება მისთვის მისაღები არ აღმოჩნდა. ამ ყველაფერმა ორივე ოჯახისთვის მძიმე შედეგი მოიტანა. ლიას დედა დეპრესიაშია. - ამბობს, რომ იგი „სატირალშიც“ კი ვერ წასულა იმის

გამო, რომ ყველა მასზე მიუთითებს და იტყვის, ეს ლიას დედააო. მას სურს შვილთან ერთად წავიდეს ნებისმიერ ადგილას, სადაც მისი ქალიშვილი უკეთ იქნება. ბინძურ ჭორებსა და ცილისწამებას ბელასა და ლიას ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაც მოჰყვა. აბა, საკუთარი თავი წარმოვიდგინოთ მათ ადგილას. მათ ხომ უამრავი ადამიანი უკავშირდება, ათას კითხვას უსვამს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორივე გოგონა გახიზნულია სოფლიდან. ბელა, ომფარეთში იმყოფება მამიდასთან, ხოლო ლია - ჭიათურაში, დასთან.

ამისათვის პასუხი უნდა აგოს დირექტორმაც და მასწავლებლებმაც, რომლებიც ბავშვების სკოლაში შეშვების წინააღმდეგნი იყვნენ. ჯერჯერობით სახალხო დამცველის აპარატს ზემოთ აღნიშნულზე განცხადება არ გაუკეთებია. ასევე დუმს განათლების სამინისტროც. თუმცა თავად ის ფაქტი, რომ სუფსის სკოლის დირექტორი უკვე დადის კარდაკარ და ყველას უყვება, რა კარგი ბავშვები არიან ბელა და ლია და რომ მათ სკოლაში მისვლის პრობლემა არ ექნებათ, განათლების სამინისტროს მხრიდან რეაგირებაზე მიანიშნებს. განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციაც სწავლობს ამ საქმეს და ვიტოვებთ იმედს, რომ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ.

ბავშვების ბედით „თავისუფლების ინსტიტუტი“ - ფონდი „ალპე“, ბატონი გია გეწაძე, რამდენიმე სკოლის დირექტორი, სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ლექტორები და სტუდენტები დაინტერესდნენ. პოლემიკა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავსტრიულ ბიბლიოთეკაში მოეწყო. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დაიგეგმა ბავშვების მხადასაჭერი როკ-კონცერტიც. გოგონებს თბილისში იწვევენ. „თავისფულების ინსტიტუტი“ მოაწყობს საჯარო ლექციას მოსწავლეთა უფლებებზე სკოლებში ბავშვებს საჩუქრად გადაეცემათ კომპიუტერები, წიგნები, მუსიკალური DVD დისკები და სხვა. რამდენიმე დღის განმავლობაში ლიასა და ბელას საცხოვრებელი ადგილის, კვებისა და დასვენების ხარჯები ანაზღაურებული იქნება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

ფაქტი ერთია, სკოლიდან, რომელშიც ეს გოგონები სწავლობენ, ბევრს ვერაფერს წამოიღებენ. ჩემი მტკიცე რწმენით, სკოლა მხოლოდ გეოგრაფიაში - ქვეყნების საზღვრების, ისტორიაში - წლების დაზუთხვისა და მათემატიკური ფორმულების დაზეპირების ადგილი არ არის. ბავშვები უნდა აღიზარდონ და ჩამოყალიბდნენ პიროვნებებად, რათა შემდეგ მათ შეძლონ, გააკეთონ მათთვის სასიკეთო არჩევანი ნებისმიერ სფეროში. ნებისმიერი მასწავლებლის მიზანს ეს უნდა წარმოადგენდეს და არა სხვის მიერ მოგორებული ჭორების კამერის წინ სხაპასხუპით მოყოლა. გაცილებით დიდია ღვაწლი იმ პედაგოგისა, რომელიც ბავშვს პიროვნებად ჩამოყალიბებაში დაეხმარება, ვიდრე იმ მასწავლებლისა, რომლის მოსწავლეებმაც ზეპირად იციან, მაგალითად, „შუშანიკის წამება“.

ისე კი, როდესაც ბელა ვნახე, სიამაყე ვიგრძენი. მივხვდი, რომ მისი აზროვნება აბსოლუტურად დაცლილია იმ სიბნელისაგან, რასაც მისი ზოგიერთი თანასოფლელი ასე ფესვგადგმულად ატარებს და ვერც კი ხვდება აუცილებლობას, ამ სრულიად გამოუსადეგარი ნაგვის მოშორებისას. ღრმად მწამს ისიც, რომ ბელასა და ლიაზე ოჯახის გავლენა უფროა, ვიდრე იმ „ზედმეტად განვითარებული“ დირექტორისა თუ მასწავლებლების.

კარგია ის, რომ ეს ბავშვები არსებობენ. კარგია ისიც, რომ მათ შეძლეს ოჯახის, ყოველდღიურობის, ჭორებისა და მათთვის უკანონოდ დაწესებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება. დაე, აკეთონ ის, რაც მათ მიაჩნიათ მართებულად, უსმინონ იმას, რაც სურთ და ეს იყოს ის წითელი ხაზი, რაც საბოლოოდ გაევლება მოსწავლეებს, სტუდენტებს, მასწავლებლებსა და ლექტორებს შორის.

**ინფორმაცია სტატიის შესახებ**

სტატიის სათაური: „წინ წარმატებისაკენ!"

სტატიის ავტორი არ არის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერი და ამასთანავე, არ არის თანახმა, მისი ვინაობა სავარჯიშო სახელმძღვანელოში დასახელდეს.

სტატია გამოქვეყნებულია გურიის ახალგაზრდულ გაზეთში „21-ს ქვევით".

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 29 ივნისი, 2009 წელი.

სტატია ეხება გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელეში მცხოვრებ „ორ განსხვავებულ გოგონას" - 18 წლის ლია კვარაცხელიასა და 16 წლის ბელა შანავას. სტატიის დასაწყისში ავტორი განმარტავს, თუ რაში გამოიხატება გოგონების განსხვავებულობა: „უსმენენ როკ-მუსიკას, იქცევიან ისე, როგორც სწორად მიაჩნიათ და იცვამენ ისე, როგორც მოსწონთ. ყოველივე ეს ბავშვებისთვის განათლების მიღების აკრძალვის საწინდარი გახდა," - ნათქვამია სტატიაში.

ამის შემდეგ ავტორი სტატიაში აღწერს პრე-ისტორიას, თუ რატომ აუკრძალეს გოგონებს სკოლაში სიარული. როგორც სტატიიდან ირკვევა, გოგონები როკ-კონცერტზე დასასწრებად ქუთაისში გაიპარნენ. რამდენიმე დღის მანძილზე მშობლები და ახლობლები მათ ამაოდ ეძებდნენ. ავტორის ინფორმაციით, როდესაც ბელა და ლია სოფელში დაბრუნდნენ, გოგონებს „სკოლაში განათლების მიღების უფლება წაართვეს". ამის შემდეგ ავტორი განიხილავს 2009 წლის 4 ივნისს ტელეკომპანია „იმედის" საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკაში" გასულ სიუჟეტს. კერძოდ, ავტორს მოჰყავს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის სკოლის დირექტორისა და პედაგოგების ციტატები, რომლებიც სატელევიზიო სიუჟეტში გადაიცა. აღნიშნულ ციტატებზე დაყრდნობით, სტატიაში ავტორი ასკვნის: „იმ პედაგოგებს, როგორც ჩანს, თავი ისევ საბჭოთა სკოლებში ჰგონიათ და მოსწავლეებისთვის ისევ საბჭოთა კავშირის მარწუხებით შებოჭილი აზროვნების ჩამოყალიბება მიაჩნიათ საკუთარ მოვალეობად... თურმე, ნუ იტყვი, როგორ შეიძლება, ვინ მისცა ბავშვს უფლება, რომ თავისუფალი იყოს?!" ამის შემდეგ ავტორი მკითხველს აწვდის ინფორმაციას, რომ საქართველო ჯერ კიდევ 1994

წელს შეუერთდა „ბავშვის უფლებების კონვენციას“, მოჰყავს რამდენიმე ამონარიდი აღნიშნული კონვენციიდან და აცხადებს: „როგორც ჩანს, სუფსის სკოლამდე ამ კონვენციას ჯერ არ მიუღწევია“. ავტორი სტატიაში მკითხველს აწვდის ინფორმაციას, რომ გოგონების უწყინარი ხუმრობა მათი სატანისტებად მონათვლის მიზეზი გახდა. „ბელამ და ლიამ თოჯინებს თმები შეჭრეს, წითელი საღებავებითა და შავი ფანქრით დაამახინჯეს, „კუბო“-ც გაუკეთეს და მეგობარს აჩუქეს. ამან შეშფოთება გამოიწვია - როგორც მეზობელი ბავშვების, ასევე მასწავლებლების, რომლებმაც ჩათვალეს, რომ ბელა და ლია ჯადოს აკეთებდნენ. ლიას და ბელას სკოლაში სიარული აუკრძალეს, მიზეზი შემდეგია - ბავშვს არ აქვს უფლება, იყოს თავისუფალი,“ - ნათქვამია სტატიაში.

სტატიის ავტორი იტყობინება, რომ, დირექტორის თქმით, ეს ორი გოგონა ცუდ ზეგავლენას მოახდენდა სკოლის დანარჩენ 443 მოსწავლეზე, რის გამოც, მათი სკოლაში დაბრუნება დირექტორისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ავტორი ავრცელებს ინფორმაციას, რომ გოგონები და მათი ოჯახის წევრები ზეწოლას განიცდიდნენ სოფლის მაცხოვრებლებისგან და, ამის გამო, ლია და ბელა სხვაგან გახიზნეს. სტატიის დასკვნით ნაწილში საუბარია იმაზე, რომ სკოლიდან ბავშვების „დევნის“ ფაქტს გამოეხმაურნენ სახალხო დამცველის აპარატი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „თავისუფლების ინსტიტუტი“, ფონდი „ალპე“, სხვა სკოლების დირექტორები, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი. ავტორი იტყობინება, რომ აღნიშნული ორგანიზაციების მხარდაჭერით, ლიასა და ბელას საჩუქრად გადაეცემათ კომპიუტერები, წიგნები, დისკები და ა.შ. ამის შემდეგ ავტორი ასკვნის, რომ „სკოლიდან, რომელშიც ეს გოგონები სწავლობენ, ბევრს ვერაფერს წამოიღებენ“.

**აღწერითი ნაწილი**

ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ

სტატია გამოქვეყნებულია გურიის ახალგაზრდულ გაზეთში „21-ს ქვევით“. აღნიშნული გაზეთი გამოიცემა გაზეთ „გურია ნიუსის“ მიერ. მონიტორთან ითანამშრომლა გაზეთ „გურია ნიუსის“ გამომცემელმა და უპასუხა ყველა დასმულ შეკითხვას, რომლებიც ეხებოდა იმის გარკვევას, თუ რამდენად ეცადა ჟურნალისტი, რომ ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველებისთვის; აგრეთვე, გაითვალისწინა თუ არა ავტორმა არასრულწლოვანის ინეტერესები სტატიის მომზადებისა და გამოქვეყნების პროცესში.

ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ

სტატიაში დაზარალებულ მხარეს წარმოადგენენ 18 წლის ლია კვარაცხელია და 16 წლის ბელა შანავა, რომელთა პირად ცხოვრებასა და რომლებთან დაკავშირებით სკოლაში შექმნილ პრობლემებს ეხება

სტატია. მონიტორმა გოგონებთან დაკავშირება ვერ მოახერხა.

მონიტორი

სტატია დიდწილად წარმოადგენს ავტორისეულ შეფასებებს, რომლებიც ნაკლებადაა გამყარებული ფაქტობრივი გარემოებებით. შესაბამისად, პირველ რიგში, მონიტორი დაინტერესდა, თუ რას ეფუძნება ავტორისეული შეფასებები, რა წყაროებზე დაყრდნობით გვთავაზობს ავტორი საკუთარ კომენტარებს. ამასთანავე, მონიტორის მიერ დასმული შეკითხვების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გაერკვია, თუ რამდენად იხელმძღვანელა სტატიის გამოქვეყნების პროცესში ავტორმა და რედაქციამ ბავშვების ინტერესებით.

**კითხვები:**

1. რა ფაქტობრივ გარემოებებს ემყარება ჟურნალისტის შეფასებები?
2. რამდენად იყო აუცილებელი სტატიაში არასრულწლოვანი გოგონების ვინაობის დასახელება მაშინ, როცა ავტორი სტატიის განსჯის საგნად სტატიაშივე აცხადებს სკოლაში - სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების მენტალურ პრობლემებს?
3. სტატიას თან ახლავს მხოლოდ 16 წლის ბელა შანავას ფოტო მაშინ, როცა სტატიაში საუბარია 18 წლის ლია კვარაცხელიაზეც. რატომ გამოარჩია რედაქციამ დასაბეჭდად ბელას ფოტო და იყო თუ არა ეს (რომ ფოტო დაიბეჭდებოდა გაზეთში) შეთანხმებული ბელას მშობლებთან?

**საგაზეთო მასალა №9**

## კიდნეპინგში ეჭვმიტანილი, გოლდსმიტისაგან მიტოვებული გუდავაძე რუსეთს მიმართავს დახმარებისთვის

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროდან კონფიდენციალურმა ინფორმაციამ გამოჟონა, რომ ამ უწყების კანცელარიაში შემოვიდა რუსეთის მოქალაქის - ინა გუდავაძის ოფიციალური წერილი. გუდავაძე მოითხოვს რუსეთის ხელისუფლებისაგან - ლეგიტიმური საშუალებით განახორციელონ ზეწოლა საქართველოს მთავრობაზე, რათა დაცული იყოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ინა გუდავაძის ბუნებრივი უფლებები და თავისუფლებები.

საზოგადოებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი იმის შესახებ, თუ რა სკანდალში გაეხვა გარდაცვლილი ბიზნესმენის - ბადრი პატარკაციშვილის მეუღლე, ინა გუდავაძე. მას ბრალად ადამიანის მოტაცება ედება და უახლოეს მომავალში შესაძლოა, გუდავაძის დაკავება და მისი აშშ-ში ექსტრადაცია მოხდეს. რომ არა ასეთი სკანდალური და ექსკლუზიური ინფორმაცია, ჩვენ ამ საკითხს აღარ დავუბრუნდებოდით.

მკითხველმა, რომელმაც არ იცის, თუ რა ხდება ინა გუდავაძის ირგვლივ და რატომ გაეხვა პატარკაციშვილის ქვრივი ასეთ სკანდალში, გეტყვით, რომ მას ბადრი პატარკაციშვილის ყოფილი ადვოკატი ემანუელ ზელცერი უჩივის. სწორედ ის გახლავს ამ კრიმინალურ ისტორიაში ყველაზე მეტად დაზარალებული პირი.

პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონებით საკმაოდ ბევრი პირი დაინტერესდა. ყველაზე დიდი აქტიურობით კი, მისი უახლოესი მეგობარი - ბორის ბერეზოვსკი გამოირჩეოდა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ დაკარგა მოსვენება, როდესაც შემთხვევით გაიგო, რომ ის პატარკაციშვილის ანდერძში არ იყო მოხსენიებული და რომ აწ გარდაცვლილი თავის ქონებას მხოლოდ ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს უტოვებდა. ყველაზე მეტად ბერეზოვსკის გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, როდესაც გაიგო, რომ ანდერძის მიხედვით აღმსრულებლის მისია და მემკვიდრეობის ინტერესების დაცვა ჯოზეფ კეის ეკისრებოდა. ზელცერი მაშინ შეცდა, როცა ინა გუდავაძეს და ბორის ბერეზოვსკის გაანდო, რომ ანდერძის დედანი მასთან ინახებოდა. სწორედ ამის შემდეგ მისი თავგადასავალი დეტექტიური ჟანრის და მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სიუჟეტს დაემსგავსა.

ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში ბორის ბერეზოვსკი ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროს რესტორანში ხვდება ემანუელ ზელცერს. უკანასკნელი სვამს ერთ ფინჯან ყავას, კარგავს გონებას და ჩნდება ბერეზოვსკის საკუთარ თვითმფრინავში, რომელიც მიემგზავრება მინსკში, სადაც მას ტრაპთანვე აკავებენ, ადებენ ხელბორკილს და მიჰყავთ საპყრობილეში. ზელცერი რომ ბელარუსის კაგებეს დაეპატიმრებინა, ამაზე ინა გადავაძემ და მისმა ადვოკატმა ზელცერის მინსკში გამგზავრებამდე იზრუნეს. გუდავაძის ადვოკატმა წერილით მიმართა ბელარუსის კაგებეს, რომ ზელცერი ჩართულია საბუთების გაყალბებაში და ასევე სხვა სახის მაქინაციებში.

ზელცერის დაპატიმრების სკანდალური საქმე ამერიკის და ბელარუსის

სახელმწიფოების ხელმძღვანელთა დონეზე განსახილველი საკითხი გახდა. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ზელცერი 2008 წლის 12 მატს დააკავეს, 2008 წლის 18 მარტს ბელორუსის შინაგან სამეთა სამინისტროს ზეწოლით, ბელორუსში აშშ-ის ელჩს კარენ სტიუარტს მინსკი დაატოვებინეს. მთელი ამ დროის განმავლობაში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი კატეგორიულად მოითხოვდა ბელორუსის სამარალდამცველი ორგანოებისაგან ემანუელ ზელცერის გათავისუფლებას. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ძალისხმევის შედეგად პრეზიდენტი ლუკაშენკო იძულებული გახდა შეეწყალებინა ზელცერი.

ბერეზოვსკის მიერ პატარკაციშვილის ანდერძის დედანის ხელში ჩაგდების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა ზელცერის მინსკში გამგზავრება და დაპატიმრება. ამ პროცესებში ჩართული აღმოჩნდა გარდაცვლილი ბიზნესმენის - ბადრი პატარკაციშვილის მეუღლე, ინა გუდავაძე.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ინა გუდავაძეს რამდენიმე უბედურება ერთდროულად დაატყდა თავს: მთავარი მაინც ის ფაქტია, რომ ემანუელ ზელცერმა მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი წამოიწყო. არ არის გამორიცხული, სულ მალე გუდავაძე დააკავონ. ალბათ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამ საქმით ამერიკული მხარე სერიოზულადაა დაინტერესებული და გუდავაძის ექსტრადირებას კატეგორიულად ითხოვს. ყველა სიკეთესთან ერთად, მისმა ადვოკატმა - ბატონმა გოლდსმიტმა მოულოდნელად უარი განაცხადა გუდავაძის დაცვაზე. ფაქტია, რომ საქმე სერიოზულადაა და გოლდსმიტი თავის გადარჩენას ცდილობს, რადგან მასაც დიდი წვლილი მიუძღვის ზელცერის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში. გარდაცვლილი ბიზნესმენის ქვრივი საკმაოდ მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. ოჯახი მიმდინარე პროცესებზე არანაირ კომენტარს არ აკეთებს. მათი აქტივობა მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ დადიან საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოებში და მათგან საქართველოზე ზეწოლას მოითხოვენ. გუდავაძემ არაერთხელ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, რომ დაცული ყოფილიყო მისი უფლებები და როდესაც ეს უკანასკნელი რესურსიც ამოწურა, მან ახალ ხერხს მიმართა: სწორედ აქ გაახსენდა ქალბატონ გუდავაძეს, რომ რუსეთის მოქალაქეა. მით უმეტეს, რომ სწორედ რუსეთში მოიგო ოლიგარქის მეორე ცოლის ოლგა საფანოვას წინააღმდეგ წამოწყებული ერთადერთი პროცესი, რომელმაც ასევე განაცხადა პრეტენზია ბადრი პატარკაციშვილის ქონების ნაწილზე.

კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, ინა გუდავაძე სთხოვდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გამოსულიყო „საკუთრების უფლების ინტერესების და რუსეთის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“, მიემართა „საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის ლეგიტიმური მეთოდებისთვის“ “რფ-ის მოქალაქე ინა გუდავაძის ბუნებრივი უფლებებისა და თავისუფლებების“ უზრუნველყოფის მიზნით. როგორც წერილიდან ჩანს, სააკაშვილის რეჟიმი არა მარტო ატერორებს საქართველოს საზოგადოების უმეტეს ნაწილს, არამედ აქტიურად ახორციელებს რეპრესიულ კამპანიას ყოფილი რუსი ოლიგარქის ქვრივის წინააღმდეგ.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: „კიდნეპინგში ეჭვმიტანილი, გოლდსმიტისაგან მიტოვებული გუდავაძე რუსეთს მიმართავს დახმარებისთვის".

სტატიის ავტორი – მამუკა ქღენტი – არ არის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერი.

სტატია გამოქვეყნდა გაზეთში: „ახალი თაობა".

სტატიის გამოქვენების თარიღია: 17 ნოემბერი, 2009 წელი.

მამუკა ქღენტის სტატია ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, მის ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გვიამბობს. კერძოდ კი ნაამბობია რამდენიმე ვერსია, სადაც სხვადასხვა პირი ერთმანეთს ქონებისა და ანდერძის გამო უპირისპირდება. მთავარი მოქმედი პირი გარდაცვლილი ბიზნესმენის მეუღლე ინა გუდავაძეა. სტატიის საქმეში ფიგურირებენ ადვოკატები ემანუელ ზელცერი და გოლდსმიტი, ბორის ბერზეოვსკი, ჯოზეფ კეი და ოლგა საფონოვა (პატარკაციშვილის მეორე მეუღლე). ავტორი გვიამბობს, რომ ინა გუდავაძემ და ბორის ბერეზოვსკიმ პატარკაციშვილის ადვოკატს ემანუელ ზელცერს საკვებში დასაძინებელი საშუალება ჩაუყარეს და შემდეგ ბერეზოვსკის თვითმფრინავით მოლდოვაში ჩაიყვანეს, სადაც ის აეროპორტშივე დაპატიმრებულ იქნა. მოლდოვის პრეზიდენტის მიერ შეწყალების შემდეგ, ზელცერმა სარჩელი შეიტანა გუდავაძის წინააღმდეგ. სტატიის ავტორი პატარკაციშვილის მეუღლის სავარუდო დაპატიმრებაზეც მიანიშნებს და სათაურშივე აცხადებს, რომ ის ადამიანის გატაცებაშია ბრალდებული. ამის შემდეგ, მამუკა ქღენტის თქმით, გუდავაძე რუსეთის სასამართლოს მიმართავს დახმარებისთვის, ვინაიდან ის სწორედ ამ ქვეყნის მოქალაქეა.

სტატიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტია მოხსენიებული - ზელცერის გატაცება და დაკავება ბელორუსში, შემდეგ გათავისუფლებული ზელცერის სარჩელი ინა გუდავაძის წინააღმდეგ. მამუკა ქღენტის წერილი სავსეა ფაქტებით, რომლებიც ხან კერძო საუბრებს თუ შეხვედრებს, ხან კი სასამართლო სარჩელებსა და პროცესებს ეხება. აგრეთვე ჩანს ავტორის შეფასებები და დასკვნები.

### აღწერითი ნაწილი

სტატიის ავტორი

სტატიაში უხვად მოცემული ფაქტების მიუხედავად, ავტორი არ ასახელებს არც ერთ წყაროს. არც ერთი ფაქტი არ არის დამოწმებული ოფიციალური დოკუმენტით. აქ მხოლოდ მონათხრობია. მონიტორი მიიჩნევს, რომ მსგავსი ფაქტების გამოქვეყნება დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე არ არის მიზანშეწონილი და არღვევს ქარტიის პირველ და მესამე მუხლს. გარდა ამისა, ფაქტები, რომლებიც სტატიაშია

მოყვანილი, შეიცავს ბრალდებას ისეთ მძიმე დანაშაულში, როგორიც არის ადამიანის გატაცება და მისი დაპატიმრების ხელშეწყობა.

გაზეთ „ახალი თაობის" რედაქციაში აცხადებენ, რომ ჟურნალისტი სახელად მამუკა ქლენტი მათთან არ მუშაობს და არც არასდროს უმუშავია. მაშინ, როდესაც მონიტორი ცდილობს, დაადგინოს, ვინ არის ამ სტატიის ავტორი და საიდან მოხვდა მისი სტატია გაზეთში, რედაქციაში პასუხობენ, რომ ეს სარეკლმო, ე.წ. დაფინანსებული სტატია იყო. აქედან გამომდიანრე, სტატია არღვევს ქარტიის მე-9 მუხლს.

კითხვაზე: რატომ არ იქნა მიწერილი, რომ სტატია არ ეკუთვნის გაზეთს „ახალი თაობა" და ის სარეკლამოა, მისი განთავსებისათვის გადახდილია ფული? ახალი თაობის რედაქტორი ლალი ასლანიშვილი აცხადებს: „იქიდან გამომდინარე, რომ სტატია ჩარჩოში ზის, ე.ი. სარეკლამოა. ჩვენ ყველა სარეკლამო, დაფინანსებულ მასალას ვაქვეყნებთ ჩარჩოში და მის შინაარსზე არ ვაგებთ პასუხს."

დაზარალებული მხარე

სტატიაში მრავალი მოქმედი პირია, რომელთა შესახებ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციაა მოწოდებული. მაგრამ მთავარი დაზარალებული, ადამიანი, რომლის მიმართაც დაირღვა ეთიკური ნორმები, პატარკაციშვილის მეუღლე ინა გუდავაძეა. მას ბრალს სდებენ ადამიანის გატაცებაში და მის სავარაუდო დაპატიმრებაზე საუბრობენ.

სტატიაში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით ბადრი პატარკაციშვილის მეუღლემ გამოაქვეყნა განცხადება, რომლის შინაარსიც ამგვარია: "ბოლო დროს ქართულ მედიაში, საეჭვო ინტენსიურობით ვრცელდება დეზინფორმაცია ჩემს შესახებ. მე შეგნებულად არ ვპასუხობდი ჩემს წინააღმდეგ აგორებულ ბინძურ პიარკამპანიას, თუმცა, უკანასკნელად გავრცელებულმა ინფორმაციამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლი განცხადება გავაკეთო, რათა საზოგადოება შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი.

ხაზგასმით ვაცხადებ, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ჩემს წინააღმდეგ არანაირი სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული და არც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის (ან რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანოსთვის) არ მიმიმართავს დახმარებისთვის. ნამდვილად არ ვიცი, ვინ დგას ამ ცრუ განცხადებების უკან, თუმცა ისინი საეჭვოდ დაემთხვა ინგლისის სასამართლოსათვის ახალი მტკიცებულებბის წარდგენას - ჩემი მეუღლის, ბადრი პატარკაციშვილის ანდერძის გაყალბებისა და ამ პროცესში ჯოზეფ ქეის როლის შესახებ. ამ დღეებში ჩვენი იურისტები იგივე მასალებს საქართველოს სასამართლოს მიაწვდიან და დაინტერესებულ პირებს მათი გაცნობის საშუელება ექნებათ. აქვე აღვნიშნავ, რომ ხსენებული მტკიცებულებები საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ინგლისის სასამართლომ ჯოზეფ

ქეის პირადი ქონება დააყადაღა და მისი ოფისის ჩხრეკის ორდერი გასცა.

მე და ჩემმა ოჯახმა მსოფლიოს არაერთ სასამართლოში მივაღწიეთ სამართალს და უკვე დავიბრუნეთ კონტროლი იმ აქტივების დიდ ნაწილზე, რომელიც ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მიითვისეს ავაზაკებმა. ეს ფაქტი საშუალებას მაძლევს იმედით განვაცხადო, რომ უახლოეს ხანში მე და ჩემი ოჯახი საქართველოში ისევ აღვადგენთ იმ საქველმოქმედო დაფინანსებას, რომლებიც 2008 წლის 12 თებერვალს დროებით იქნა შეჩერებული".

მონიტორი

მონიტორმა რედაქტორს ჰკითხა, უნდა იღებდეს თუ არა ის პასუხისმგებლობას მის გაზეთში გამოქვეყნებულ ყველა ინფორმაციაზე, რადგან, როცა საუბარია იმგვარ შეკვეთილ სტატიებზე, სადაც შესაძლოა ირღვეოდეს ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, ირღვეოდეს ადამიანის უფლებები ან, უბრალოდ, სტატია მოიცავდეს გადაუმოწმებელ ინფორმაციას - ეს უარყოფითად იმოქმედებს გაზეთის რეპუტაციაზე. რედაქტორმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის პასუხს აგებს მხოლოდ მისი ჟურნალისტების მიერ მომზადებულ მასალაზე და არა დაფინანსებულ სტატიაზე. დაფინანსებული სტატია კი მოთავსებულია ჩარჩოში და მკითხველმა იცის, რომ შეკვეთილ სტატიასთან აქვს საქმე.

მონიტორის აზრით, თუკი საგაზეთო გვერდზე მრავალი ასეთი ჩარჩოა, სადაც სხვადასხვა ტიპის მასალა ქვეყნდება, სავარაუდოდ, მკითხველს გაუჭირდება, გაარჩიოს, სარეკლამო (ე.წ. შეკვეთილი სტატია) საავტორო მასალისგან. აქედან გამომდინარე, ირღვევა არა მხოლოდ სტატიაში მოხსენიებული სუბიექტების, არამედ მკითხველის უფლებაც, მიიღოს გადამოწმებული, ზუსტი ინფორმაცია.

**კითხვები:**

1. რა პრინციპით ხელმძღვანელობს რედაქცია, როდესაც ბეჭდავს ფასიან სტატიას?
2. რამდენად გამართლებულია, გაზეთმა გამოაქვეყნის ამ ტიპის და შინაარსის სარეკლამო სტატია?
3. როგორ უნდა იყოს გაზეთში მინიშნებული და გამოყოფილი სარეკლამო სტატია, ისე, რომ მკითხველი მაშინვე მიხვდეს, რომ ეს ფასიანი სტატიაა?
4. უნდა იღებდეს თუ არა გაზეთის სარედაქციო კოლეგია პასუხისმგებლობას ასეთი ტიპის მასალაზე და მასში გამოქვეყნებულ ფაქტებზე?

## საგაზეთო მასალა № 10

### არჩევნების მოახლოებასთან ერთად ზეწოლის ფაქტები გახშირდა

არჩევნების მოახლოებასთან ერთად რეგიონში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებზე ზეწოლის ფაქტები გახშირდა. მათი განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლები ატერორებენ როგორც პარტიის აგიტატორებს, ასევე მათი ოჯახის წევრებსაც. „სამართლიანი საქართველოსთვის" დედოფლისწყაროს ბიუროს ხელმძღვანელმა - შოთიკო ჯამასპიშვილმა რამდენიმე დღის წინ ამ პრობლემებთან დაკავშირებით კონფერენცია გამართა.

კონფერენციას ესწრებოდნენ მოქალაქეები, პარტის წევრები და მასმედიის წარმომაგენლები. მოგეხსენებათ, 17 თებერვალს ჩვენმა პარტიამ მოსახლეობის წინასააარჩევნო აღრიცხვა დაიწყო. საბოლოო შედეგები ჯერ არაა ცნობილი, რადგან ეს პროცესი კვლავ მიმდინარეობს. „უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობა დაშინებულია და უარს აცხადებს ინტერვიუერთან კონტაქტზე, ზოგი კი ავსებს კითხვარს, მაგრამ შემდეგ მის უკან დაბრუნებას ითხოვს", - ამბობს შოთიკო ჯამასპიშვილი და იქვე განმარტავს, რომ ხალხს სახელისა და გვარის დაფიქსირების ეშინია, რადგან ჰგონია, რომ ამის გამო, სოციალურ დახმარებას აღარ მისცემენ. ზეწოლის ფაქტებზე საუბრობს პარტიის აგიტატორი და აღნიშნავს: „მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, უფლება მაქვს ჩემი პოზიცია და შეხედულებები გამოვხატო და დავიცვა. ვარ ნოღაიდელის პარტიის მომხრე, ეს ჩემიუფლებაა,მაგრამამისგამოპრობლემებიშემექმნადაჩემსშვილსაცსამსახური დაატოვებინეს. სოფელ საბათლოს გამგებელი დავით გუნდაძე ლანდივით დამდევს. როცა ინტერვიუერთან ერთად აგიტაციას ვეწევი, მოსახლეობა შიშის გამო უარს ამბობს თავისი სახელისა და გვარის დაფიქსირებაზე. მეუბნებიან, ჯერ სოფლის თავკაცს შევეკითხებით, თუ ნებას დაგვრთავს, მოვალთ და ჩაგაწერინებთო", - ამბობს „სპექტრთან" საუბრისას სოფელ საბათლოში მცხოვრები, პოლიტიკური პარტია _ „სამართლიანი საქართველოსათვის" აგიტატორი ლია ოვსეპიანი. იმავე მდგომარეობაშია საბათლოს ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი ქალბატონი ნინო ქადაგიშვლი. როგორც თვითონ განმარტავს, ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ხელფასს ისინი უხდიან და ოპოზიციას არ უნდა ემსახურებოდეს. „მეუბნებიან, თუ ოპოზიცია ხარ, სამსახურიდან უნდა წახვიდეო. დემოკრატიულ ქვეყანაში ხომ შეიძლება, რომ არა მმართველი პარტიის წარმომადგენელი მუშაობდეს პედაგოგად?! რატომაა ასეთი ზეწოლა, მაინც და მაინც ჩემზე?! სკოლაში პროპაგანდას არ ვეწევი და სკოლის გარეთ რომელი პარტიის საქმიანობაში ჩავერთვები, არავის საქმე არ უნდა იყოს. რატომ უნდათ, რომ სკოლა პოლიტიკაში გარიონ? 8 მარტს ჩვენი სკოლის ყველა პედაგოგს მისალოცი ბარათები მოუტანეს, აღმოჩნდა, რომ ერთადერთი ჩემი ბარათი არ იყო. ხომ გასაგებია, რატომ გააკეთეს ასე? ხმა არ ამოვიღე, მაგრამ ძალიან შეურაცხყოფილი და გულნატკენი ვარ" – აცხადებს ქალბატონი ნინო ქადაგიშვილი. „სამართიანი საქართველოსთვის" დედოფლისწყაროს ბიუროს ხელმძღვანელის, შოთიკო ჯამასპიშვილის

თქმით, თუკი მათი პარტიის წევრებზე ასეთი სახის ზეწოლა კვლავ განხორციელდება, სარჩელს სასამართლოში შეიტანს და დამნაშავეები სამაგალითოდ დაისჯებიან. მისივე განმარტებით, ხელისუფლება ზეწოლას იმიტომ მიმართავს, რომ მათ მიერ მოკვლეული სიების გამოქვეყნების ეშინია.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: ,,არჩევნების მოახლოებასთან ერთად ზეწოლის ფაქტები გახშირდა''

სტატიის ავტორი - ლალი მეხრიშვილი - არ არის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერი.

სტატია გამოქვეყნებულია გაზეთში ,,სპექტრი''.

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 24 მარტი, 2010 წელი.

სტატია ასახავს კახეთის რეგიონში წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებს. უფრო კონკრეტულად კი სტატიის ავტორი მოგვითხრობს იმ ფაქტების თაობაზე, რაც პოლიტიკური გაერთიანების ,,მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის'' დედოფლისწყაროს ბიუროს ხელმძღვანელმა შოთიკო ჯამასპიშვილმა განაცხადა ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენეციაზე.

სტატიაში ავტორი ზეწოლის სხვადასხვა ფაქტს მკითხველს სთავაზობს ერთი პოლიტიკური პარტიის - ,,მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის'' დედოფლისწყაროს ბიუროს ხელმძღვანელის, ამავე პარტიის აგიტატორისა და ერთ-ერთი სოფლის (საბათლოს) სკოლის პედაგოგის ციტატების სახით: ჯამასპიშვილის თქმით, რეგიონში მოსახლეობა დაშინებულია, რადგან ჰგონიათ, რომ თუკი ოპოზიციურ პარტიებთან ითანამშრომლებენ, ,,სოციალურ დახმარებას აღარ მისცემენ''; აგიტატორი ლია ოვსეპიანი აცხადებს, რომ პირადად ის და მისი ოჯახის წევრები (შვილი) განიცდიან დევნას საბათლოს გამგებლისაგან; ამავე სოფლის სკოლის პედაგოგი ნინო ქადაგიშვილი ამბობს, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო განიცდის დისკრიმინაციას სკოლაში.

სტატიაში არ ჩანს, რომ ავტორი შეეცადა, გადაემოწმებინა რომელიმე ზემოთ აღნიშნული ფაქტი. ავტორი მხოლოდ ,,მოძრაობა სამარათლიანი საქართველოსთვის'' წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ინფორმაციებითა და კომენტარებით შემოიფარგლა. სტატია განთავსებულია გაზეთის მესამე გვერდზე და რუბრიკაში მითითებულია, რომ ეს არის ,,ნომრის თემა''.

## აღწერითი ნაწილი

### სტატიის ავტორი

სტატიის ავტორმა ლალი მეხრიშვილმა ითანამშრომლა მონიტორთან

და უპასუხა ყველა დასმულ შეკითხვას, რომლებიც, ძირითადად, ეხებოდა იმას, თუ რა გზები და საშუალებები გამოიყენა ჟურნალისტმა იმისათვის, რომ ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველებისთვის.

ავტორმა განმარტა, რომ „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია არც ერთ სხვა წყაროსთან არ გადაუმოწმებია. მათ შორის, არც უცდია, რომ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით დაკავშირებოდა სტატიაში დასახელებულ სოფელ საბათლოს გამგებელს დავით გუნდაძეს, რომლისგანაც, როგორც სტატიაშია ნათქვამი, ზურაბ ნოღაიდელის პოლიტიკური მოძრაობის აგიტატორი ლია ოვსეპიანი განიცდის დევნას.

ავტორი არც სოფელ საბათლოს სკოლაში მისულა, არ დაჰკავშირებია სკოლის ადმინისტრაციას ან რომელიმე სხვა პედაგოგს, რომ გადაემოწმებინა, რამდენად შეესაბამება სიმართლეს სტატიაში გამოყენებული ერთ-ერთი რესპონდენტის (ნინო ქადაგიშვილის) ნაამბობი სკოლაში პოლიტიკური ნიშნით მასწავლებლების დისკრიმინაციის თაობაზე.

### დაზარალებული მხარე

სტატიაში დაზარალებულად შეგვიძლია განვიხილოთ სოფელ საბათლოს გამგებელი (რომელსაც სტატიის მიხედვით „ბრალი დაედო" ოპოზიციის წარმომადგენელთა დევნაში), ამავე სოფლის სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი (რომელთა მხრიდან, სტატიის მიხედვით, ადგილი აქვს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პედაგოგების დისკრიმინაციას) და მთლიანად დედოფლისწყაროს მოსახლეობა (რომელიც სტატიაში გამოყენებული წყაროების კომენტარებზე დაყრდნობით, დაშინებული და დატერორებულია ხელისუფლებისაგან). მათ არ მიეცათ საშუალება, გაეცათ პასუხები სტატიაში დასმულ კონკრეტულ ბრალდებებზე, რადგან სტატიის ავტორი მათ ამ საკითხების თაობაზე არ დაჰკავშირებია.

### მონიტორი

სტატიის წაკითხვისთანავე, პირველ რიგში, მონიტორისთვის თვალშისაცემი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ავტორი მთლიანად ეყრდნობა მხოლოდ ერთი წყაროს (ერთი პოლიტიკური გაერთიანების - „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" წარმომადგენლების) ნაამბობს, რომლებიც ინფორმაციას ცალმხრივად იძლევიან. ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია კი სტატიაში საერთოდ არ გვხვდება.

შესაბამისად, მონიტორის მიერ დასმული შეკითხვების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გაერკვია, თუ რამდენად ეცადა სტატიის ავტორი გადაემოწმებინა ფაქტები, რათა ზუსტი ინფორმაცია გამოექვეყნებინა.

## კითხვები:

1. სტატიის ერთ-ერთი რესპონდენტი სოფელ საბათლოს გამგებელს დავით გუნდაძეს დევნაში სდებს ბრალს. როგორ გადაამოწმა ავტორმა ეს ინფორმაცია? სცადა თუ არა დაკავშირება თავად გუნდაძესთან?
2. სტატიაში სკოლის პედაგოგი ნინო ქადაგიშვილი აცხადებს, რომ სკოლაში დისკრიმინაციას განიცდის პოლიტიკური შეხედულებების გამო. რა მეთოდით შეამოწმა ავტორმა ეს ინფორმაცია? დაუკავშირდა თუ არა ამ სკოლის სხვა პედაგოგებს, დირექტორს, რომ გაერკვია, მართლაც აქვს თუ არა სკოლაში მსგავს ფაქტებს ადგილი?
3. სტატიის სათაური შეიცავს ინფორმაციას, რომ ზეწოლის ფაქტები გახშირდა, სტატიაში კი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა ნაამბობი. რა გააკეთა ავტორმა იმისთვის, რომ ეს ნაამბობი მართლაც ფაქტებად ექცია?

**საგაზეთო მასალა №11**

## სამი ძმანი გურულები...

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თბილისში მიმდინარე აქციებზე ჩოხატაურელი ოპოზიციონერებიდან მხოლოდ 3 კაცი გაემართა. მაშინ როცა, საქართველოს დედაქალაქში საპროტესტო ტალღა საკმაოდ დიდი იყო, ჩოხატაურელი „რესპუბლიკელები", უფრო ზუსტად „რესპუბლიკელების" ჩოხატაურის ორგანიზაციის თავმჯდომარე ირაკლი ახობაძე და პარტიის წევრი გია ნინიძე ნოდარ დუმბაძის სკვერში, მზესუმზირის კნატუნით ირთობდნენ თავს.

„რესპუბლიკელებისა" და „ახლების" გაერთიანებული ალიანსის ჩოხატაურის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვახტანგ გაჩეჩილაძე ამბობს, რომ „ზემოდან" მითითება არ ყოფილა:

– ვისაც სურვილი ჰქონდა, ის წავიდა. არავისთვის უთქვამთ, ჩამოდიო. მე თავი მოვალედ ჩავთვალე, ვყოფილიყავი ხალხის გვერდით, თუმცა, ამის ვალდებულება ხელმძღვანელებისგან არავის ჰქონია.

10 აპრილს კი, გვიან ღამით თბილისი ვახტანგ გაჩეჩილაძემაც დატოვა და ჩოხატაურში დაბრუნდა: – დავალებები მომცეს. არ არის გამორიცხული, რომ რეგიონებშიც დაიწყოს მასიური, მშვიდობიანი საპროტესტო აქციები და ამისთვის გარკვეული წინაპირობა უნდა შეიქმნას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ჩოხატაურში ვრჩები. მაქსიმუმ ორ დღეში, ისევ ჩემი ხალხის გვერდით დავდგები აქციაზე, – გვითხრა გაჩეჩილაძემ.

ჩოხატაურელი ოპოზიციის წარმომადგენლებიდან, თბილისში მიმდინარე აქციაზე მხოლოდ გოჩა ჯიქია და აჩიკო ცხვარაძე იმყოფებიან. გაჩეჩილაძის ინფორმაციით, მათ გვერდით ბევრი რიგითი ჩოხატაურელიც დგას. თუ რატომ არ წავიდა ნინიძე და ახობაძე აქციაზე ჩვენთვის უცნობი დარჩა. ისინი პარტიის ოფისში ვერ ვიპოვეთ და ვერ ტელეფონზე მოვახერხეთ მათთან დაკავშირება, რადგან „მომსახურების ზონიდან იყვნენ გასულები".

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: ,,სამი ძმანი გურულები...''

სტატიის ავტორი - ნატო გოგელია - საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერია.

სტატია გამოქვეყნებულია გაზეთში ,,გურია ნიუსი''.

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 14 აპრილი, 2009 წელი.

სტატიაში ჟურნალისტი ავრცელებს ინფორმაციას, რომ 9 აპრილის აქციაზე, თბილისში ჩოხატაურის ოპოზიციური პარტიებიდან მხოლოდ 3 წარმომადგენელი გაემგზავრა. ესენი არიან: ,,რესპუბლიკელებისა'' და ,,ახლების'' გაერთიანებული ალიანსის ჩოხატაურის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვახტანგ გაჩეჩილაძე, ასევე, გოჩა ჯიქია და აჩიკო

ცხვარაძე. ოპოზიციის იმ წარმომადგენლებიდან, რომლებიც თბილისში, საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მისაღებად არ გაემგზავრნენ, ჟურნალისტი გამოარჩევს მხოლოდ ორ მათგანს: „რესპუბლიკელების" ჩოხატაურის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ირაკლი ახობაძესა და ამავე პარტიის წევრს - გია ნინიძეს, რომლებიც, სტატიის ავტორის თქმით, „ნოდარ დუმბაძის სკვერში, მზესუმზირის კნატუნით ირთობდნენ თავს" მაშინ, „როცა საქართველოს დედაქალაქში საპროტესტო ტალღა საკმაოდ დიდი იყო". სტატიას ავტორი ასრულებს შემდეგი ინფორმაციით: „თუ რატომ არ წავიდა ნინიძე და ახობაძე აქციაზე, ჩვენთვის უცნობი დარჩა. ისინი პარტიის ოფისში ვერ ვიპოვეთ და ვერც ტელეფონზე მოვახერხეთ მათთან დაკავშირება, რადგან „მომსახურების ზონიდან იყვნენ გასულები".

**აღწერითი ნაწილი**

სტატიის ავტორი

სტატიის ავტორმა ითანამშრომლა მონიტორთან და უპასუხა ყველა დასმულ შეკითხვას, რომლებიც ეხებოდა იმის გარკვევას, თუ რამდენად ეცადა ჟურნალისტი, რომ ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველებისთვის.

სტატიაში ავტორი მთლიანად ეყრდნობა მხოლოდ ერთ წყაროს - „რესპუბლიკელებისა" და „ახლების" გაერთიანებული ალიანსის ჩოხატაურის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ვახტანგ გაჩეჩილაძეს. ავტორს მიაჩნია, რომ გაჩეჩილაძე „ფრიად კომპეტენტური წყაროა". ამასთანავე, ავტორმა მონიტორს განუცხადა, რომ „გაჩეჩილაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება სხვა წყაროსთან შეუძლებელი იყო". თუმცა, სტატიაში ჟურნალისტის მსგავსი მცდელობა, რომ გადაემოწმებინა ინფორმაცია, თითქმის არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ ის მხოლოდ ახობაძესთან და ნინიძესთან შეეცადა ტელეფონით დაკავშირებას. ავტორმა მონიტორს, ასევე, მიაწოდა ინფორმაცია, რომ სხვა წყაროებს ის მომდევნო სტატიების მომზადების პროცესში დაუკავშირდა: „ფაქტის განხილვა კონტექსტიდან ამოგლეჯილი სახით, რეალურ სურათს ვერ იძლევა: ამ ინფორმაციას მოჰყვა ავტორის მივლინება თბილისში, სადაც პერმანენტული აქციები მიმდინარეობდა და ყველა შესაძლო რესპონდენტთან, მათ შორის, „სამ ძმა გურულთანაც" ინტერვიუ მომდევნო ნომრებში გამოქვეყნდა," - განუცხადა გოგელიამ მონიტორს.

ავტორს მიაჩნია, რომ „აქციები ოპოზიციონერისთვის იგივეა, რაც ყანა გურული, უკაცრავად, „იქს" გლეხებისთვის", მისი თქმით, აქედან გამომდინარეობს სტატიისთვის შერჩეული სათაური - „სამი ძმანი გურულები", რომლებიც მიდიოდნენ ყანასა, ანუ აქციაზე...

ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ

სტატიაში დაზარალებული მხარეა ოპოზიციის ორი წარმომადგენელი - ირაკლი ახობაძე და გია ნინიძე. მონიტორს საშუალება მიეცა, წარმოდგენილ სტატიასთან დაკავშირებით, გასცნობოდა დაზარალებული ახობაძის დედის - ლალი დოლიძის პოზიციას. დოლიძის საპასუხო წერილი წარმოდგენილ სტატიასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა გაზეთში „გურიის მოამბე". „გურია ნიუსის" ოცდამერვე ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით, „სამი ძმანი გურულები", სადაც, არარსებული ფაქტების გამო, შეურაცხყოფა მოგვაყენა რედაქციამ და ჟურნალისტმა მთელ ჩვენს ოჯახს, რის გამოც მოვითხოვთ საჯაროდ ბოდიშის მოხდას," - აღნიშნა ლალი დოლიძემ „გურიის მოამბის" ჟურნალისტთან საუბარში. დოლიძის საპასუხო წერილი გაზეთ „გურია ნიუსში" არ გამოქვეყნებულა, რედაქციას არც ბოდიში მოუხდია. ამასთან დაკავშირებით ლალი დოლიძემ განმარტა: „დავწერე საპასუხო წერილი და არ დამიბეჭდეს, დავურეკე გაზეთის გამომცემელს, ქალბატონ ია მამალაძეს, რომელმაც შეურაცხყოფილ და აღელვებულ დედას სატელეფონო საუბრისას მითხრა, რომ ეს პოლიტიკურია და თუ ირაკლის არ შეუძლია გაუძლოს ზეწოლას, პოლიტიკიდან წავიდესო".

ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘ

სტატიის წაკითხვისთანავე, მონიტორისთვის თვალშისაცემი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ავტორი მხოლოდ და მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობა. სტატიაში ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია არ გვხვდება.

შესაბამისად, მონიტორის მიერ დასმული შეკითხვების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გაერკვია, თუ რამდენად ეცადა სტატიის ავტორი, ბოლომდე გადაემოწმებინა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა ზუსტი ინფორმაცია. ასევე, გამოერკვია, რამდენად მიეცათ სტატიაში დასახელებულ პირებს საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება.

**კითხვები:**

1. რა წყაროებს ეყრდნობა ჟურნალისტი, როდესაც ავრცელებს ინფორმაციას, რომ ახობაძე და ნინიძე ღუმბაძის სკვერში ისხდნენ და „მზესუმზირის კნატუნით ირთობდნენ თავს"? როგორ გადაამოწმა ავტორმა აღნიშნული ინფორმაცია?
2. სტატიაში გამოყენებულია მხოლოდ ერთი წყარო, ჰქონდა თუ არა ავტორს მცდელობა მოეძია სხვა წყაროებიც?
3. რა იღონა რედაქციამ იმისათვის, რომ გავრცელებული ინფორმაციით არ შეეყვანა შეცდომაში საზოგადოება?

## საგაზეთო მასალა № 12

### „თქვენ, ოპოზიციის ლიდერებმა რომ ჩაიჯვით იპოდრომზე, ჩვენც იმიტომ ჩავიჯვით რკინიგზაზე! “

დავიწყოთ ასე, - ცნობილი რუმინელი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულ ენაზე მთარგმნელი - ვიქტორ კერენმბახი - წერს: „მე დავბრუნდი სამოთხიდან, სადაც ადამისა და ევას გაძევებიდან რამდენიმე ათასი წლის შემდეგ ვიყავი... ბუნებამ საქართველოში გულუხვობა გამოიჩინა, არა მარტო რელიეფისა და მცენარეების მიმართ, ფაუნისა და სასარგებლო წიაღისეულის მიმართ, არამედ ადამიანების მიმართაც და დააჯილდოვა ისინი, უპირველეს ყოვლისა, სილამაზით - მშობელი ქვეყნის ზომიერმა ჰავამ ქართველს დედის მუცლიდანვე დაუბედა იმისთანა ტემპერამენტი, რომელიც საშუალებას აძლევს მას, გონივრულად მოაწყოს საკუთარი ცხოვრება, არა მარტო პირადულის, არამედ საერთო-ეროვნული თვალსაზრისით. ქართველები უაღრესად გულითადი და პატიოსანი ადამიანები არიან“

6 მაისს, გიორგობას, თბილისში, სააკაძის მოედანზე, სიტყვით გამოსულმა გოგა ხაინდრავამ ბრძანა: „ სამწუხაროდ, დღეს ამის მთქმელნი ვართ ჩვენ, ვინც აქა ვართ, ხოლო დანარჩენი, ეს არის შეშინებული და ჩაჯმული თბილისი“.

მე-19 საუკუნის გერმანელი მწერალი და მოგზაური, ფრიდრიხ ბოდენშტედტი, რომელიც ორი წელი ცხოვრობდა თბილისში, წერს: „ქართველები ერთ-ერთი ულამაზესი ხალხია მსოფლიოში: მაღალ, ღონიერი აღნაგობის მამაკაცებს, ტანწერწეტა ქალებს სწორი, კეთილშობილი სახეებითა და დიდი მშვენიერი თვალებით, აქ ყველგან ნახავთ. დიდრონი, ლამაზი მოყვანილობის თვალები აქ გაცილებით ხშირად გვხვდება, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხებთან; ამაოდ მოძებნი ისეთ მაღალ მშვენიერებას, სადაც გული, გონი და სული თვალებში გამოიხატებოდეს. ასეთ უმაღლეს მშვენიერებას მხოლოდ კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომ ხალხებთან იპოვი. ქართველნი არიან უმამაცესნი და უპატიოსნესნი მსოფლიო ხალხთა შორის; ისინი, როგორც კავკასიის ყველა ხალხი, სტუმართმოყვარენი არიან, სანდონი, როგორც მათი ხმალი, მკვირცხლნი და მოქნილნი, როგორც მათი ცხენი, მამაცნი ომში და გულთბილნი სახლში“...

6 მაისს, გიორგობას, ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირი ეთერით უცნობმა ტელემაყურებელმა ოპოზიციის ლიდერების გამოსაფხიზლებლად და შესაჯანჯღარებლად ასეთი შინაარსის „მესიჯი“ გაგზავნა: „თქვენ, ოპოზიციის ლიდერებმა რომ ჩაიჯვით იპოდრომზე, ჩვენც იმიტომ ჩავიჯვით რკინიგზაზე!“

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი, იმანუელ კანტი წერს: „ყველა ევროპელი მოგზაური, ვინც კი ჩერქეზეთსა და საქართველოში ყოფილა, ერთხმად აღიარებს ჩერქეზი და ქართველი ქალიშვილების სილამაზესა და მომხიბვლელობას. თურქები, არაბები და სპარსელები უთუოდ იზიარებენ ამ მოსაზრებას, რადგან გულით სწადდათ, თავიანთი ხალხი ქართველთა სისხლით გაეკეთილშობილებინათ, რასაც სპარსელებმა მიაღწიეს კიდეც“.

დიდი ქართველი პროზაიკოსი და კლასიკოსი, ლაშა ბუღაძე, წერს: „მაგარ მძღნერში ვართ“.

პატივცემულო მკითხველო, მსგავსი სკაბრეზის მოხმობისათვის, როცა სირცხვილით ქაღალდიც კი წითლდება, იმედია, მომიტევებთ, მაგრამ დღევანდელი საქართველოსა და ქართველი ერის დაცემისა და დაკნინების გასასიგრძეგანებლად იმაზე უფრო ეფექტური საშუალება ვერაფრით მოვიფიქრე, თუ არა განსხვავებულ ეპოქაში მცხოვრები და განსხვავებული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ზემოხსენებული ავტორების გონების ნაჟურთა დემონსტრირება...

ერთმანეთის მიყოლებით დახვავებული ეს „ციტატები“ თუ შეფასებები მოწმობს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ უკანასკნელი საუკუნენახევრის განმავლობაში „საქართველოდ წოდებულმა გეოგრაფიულმა სივრცემ და „ქართველობად“ წოდებულმა ეთნოსმა საშინელი ფიზიკური და სულიერი დეგრადაცია განიცადა. დღეს ქართველ ერში ტოტალურმა აპათიამ დაისადგურა და ამის უპირველესი მიზეზია ის საშინელი თვითლუსტრაცია, რომელმაც საზოგადოების უკლებლივ ყველა ფენა მოიცვა... ყველაზე უფრო მტკივნეულად ქართველმა კაცმა ინტელიგენციის, როგორც ელიტარული კასტის გაშიშვლება და მისი რეალური სახის დანახვა განიცადა. ინტელიგენცია, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის ავანგარდში უნდა ჩამდგარიყო და ერისთვის ზნეობის მაგალითები მიეცა, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ძირითადად, შარაგზის ყაჩაღებით, „რესტორნის სალახანებითა“ და ლანა ღოღობერიძის მამის - ლევან ღოღობერიძის ხორციელი თუ სულიერი შვილებით დაკომპლექტებული აღმოჩნდა...

ასე, მაგალითად, შევარდნაძე - სააკაშვილის ხელისუფლების ყველა დროის ელჩმა, გაკუ გაბაშვილის მამამ - კოტემ 1993 წლის შემოდგომა ზეხობის პოლიციის შენობაში დახვრიტა ხელფეხშეკრული პატიმარი, გმირთა-გმირი ვაჟკაცი - თამაზ ბულია, მეტსახელად „კიროკი“. აი, რა მოხდა: ხობის პოლიციას ჯაბა იოსელიანი მიადგა თავისი ამალით, სადაც კოტე გაბაშვილიც ყელყელაობდა. იმისთვის რომ „სტუმრებისთვის“ ეამებინათ, პოლიციელებმა ჯაბას აჩვენეს ხელფეხშეკრული და საშინლად ნაწამები „კიროკი“, გამოუსწორებელი და „ეგზოტიკური“ ზვიადისტი, რომელსაც დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ. კოტე გაბაშვილმა ამ საერთაშორისო კლასის აფერისტმა და მლიქვნელმა, ოღონდ ჯაბა იოსელიანისთვის ერთგულება დაემტკიცებინა, „კიროკს“ უბრძანა: აქ მობობღდი და ბატონ ჯაბას ფეხზე ეამბორეო! სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ „კიროკმა“ ამოიხრიალა, - ახლოს მიმიყვანეთ და ვაკოცებო. მოათრიეს საცოდავი „კიროკი“ აფთრებმა, - თავი ამაწევინეთო, - ამოიგმინა უბედურმა და მაშინვე ქეჩოში სტაცეს ხელი პოლიციელებმა. თამაზ ბულიას თავი მაღლა ააწევინეს და „კიროკმა“ ჯაბა იოსელიანს შეაფურთხა. ჯაბამ სახიდან ნაფურთხი მაჯით ჩამოიწმინდა და შეიგინა. აფთრები მიცვივდნენ საცოდავ თამაზს და წიხლებით შედგნენ. ყველაზე მეტად კოტე გაბაშვილი იჭაჭებოდა. გაკუს მამამ ავტომატი გადატენა და ხელ-ფეხშეკრული „კიროკი“ იქვე დახვრიტა.

ეს ისტორია ჩემთან საუბრისას არაერთხელ დაუდასტურებია თბილისის მერობის ერთ-ერთ კანდიდატს, ბატონ თამაზ ვაშაძეს, რომელსაც უთქვამს, - ის კი არა და „კიროკის“ დახვრეტა, მგონი, ვიდეოფირზეც არის აღბეჭდილი, მაგრამ კასეტა ვის აქვს, დამავიწყდა, აღარ მახსოვსო!..

აი, როგორი თოფიანი ელჩი ჰყავდა შევარდნაძეს გერმანიაში და როგორი ელჩი ჰყავს სააკაშვილს იტალიაში.

პროფესორმა, ნოდარ ლომოურმა, მაგალითად, თავისი პირით აღიარა, რომ თბილისის ძმათამკვლელ ომში მას ავტომატი ეჭირა ხელში და ისროდა, მაგრამ ისროდა... „ჰაერში"... საინტერესოა, არა, ძვირფასო მეგობრებო?.. სამოცდაათი წლის პროფესორმა, ისტორიკოსმა, თურმე, ამისთვის მოიცალა, რომ ავტომატით „თამაშობდა" და შუა რუსთაველზე „ჰაერში ისროდა"... აღარაფერს ვიტყვი ცნობილ კინორეჟისორებსა და ჟურნალისტებზე, რომლებსაც ხან კიტოვანის გვერდით ეძინათ, „ზაკვოს" შენობაში, ბეპაევის შტაბში „ლეჟანკაზე", ხან კიდევ შევარდნაძეს ეკურკურებოდნენ მოსკოვში, სასტუმრო „როსიაში" და საქართველოს დაქცევის გეგმას წერდნენ. ასე, მაგალიათად, როგორც ჩემმა კოლეგამ მითხრა, ამ დაქცევის დროს, როცა ტელევიზიის კიბეზე „ჟურნალისტები" წამოგორდნენ და გაიფიცნენ, ერთ ცნობილ ჟურნალისტს საქვეყნოდ დაუფიცებია, - არ ვიბრძვი მე შევარდნაძის საქართველოში ჩამოსაყვანად, თუ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდება, მე ტელევიზიის წინ თავს დავიწვავო!.. სამ თვეში1992 წლის 7 მარტს, თავისი მეუღლის, აწ განსვენებული ნანული ცაგარეიშვილის დაბადების დღეს, ედუარდ შევარდნაძე თბილისში მართლაც ჩამოფრინდა, რომელსაც ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი პატარა ანზორიკო ბიწაძე, ნინო ბურჯანაძის უფროსი ვაჟი, ყვავილებით და დროშით ხელში დაახვედრეს თვითმფრინავის ტრაპთან... ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგრამ იმ ჟურნალისტს, აქაოდა, შევარდნაძე ჩამოვიდაო, პროტესტის ნიშნად ნამდვილად არ დაუწვავს თავი, პირიქით, იგი შევარდნაძის კარის ჟურნალისტად იქცა და ყოველ კვირას თუ ორშაბათს ედუარდ ამბროსოვიჩს მილეთის ამბებზე ემუსაიფებოდა...

რამაზ კლიმიაშვილმა დაწერა ჩვენს გაზეთში, - თბილისში გადატრიალებისთვის საჭირო თანხა - 60 მილიონი დოლარი - თავის დროზე მოსკოვიდან ჩამოიტანა პროფესორმა გურამ მამულიამო!..ჩემი მეგობრებისგან ვიცი, რომ ბევრ მათგანს ავტომატიანი მღვდლები შეუცვივდნენ სახლებში!.. ერთი სიტყვით, აბსოლუტურად ყველა პატივცემული და სათაყვანებელი ფენის ლუსტრაცია მოხდა და როცა უბრალო და პატიოსანმა ადამიანებმა დაინახეს, რომ ერის ელიტა მორალურად იმდენად გახრწნილი დაცვედნებული აღმოჩნდა, რომ იგი მამათელ მილიციონერს - ედუარდ შევარდნაძეს - გაუგორდა ფერხთით, უზნეობა და სიბილწე ლენცოფასავით მოედო ქვეყანას. სწორედ ასეთ ამბავზე წერდა დავით გურამიშვილი: „შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა, - ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა"...

მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელი გამოსვლები და ყველაზე უფრო, მისი საპარადო სიტყვა თავიდან ბოლომდე შეესატყვისება სისხლის სამართლის დამნაშავის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მკვლელის ქცევას... კერძოდ, მეცნიერულად დამტკიცებული და დადასტურებულია, რომ მკვლელი პერიოდულად აუცილებლად მიდის დანაშაულის ჩადენის ადგილზე; თუ ვერ მიდის, ის ამის შესახებ ან მთვრალი, ან ფხიზელი აუცილებლად ჰყვება. ასე, მაგალითად, გიგლა ბერბიჭაშვილი ყვეგან ტრაბახობდა, რომ მან ილია ჭავჭავაძე მოკლა!.. გიორგობას, პოლიციის პარადზე სიტყვით გამოსულ სააკაშვილსაც ღმერთმა დააცდენინა ისეთი სიტყვა, რომელიც ზიგმუნდ

ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიის თანახმად, სრულფასოვან ფსიქოლოგიურ აქტად, ანუ როგორც ფროიდი აღნიშნავს „წამოცდენად“ უნდა მივიჩნიოთ. (გერმანულად: “Versprechen”, დ.ჩ.). მიშამ პოლიციის პარადზე თქვა: „მე მესმის იმ ხალხის გაბრაზება, რომლებიც ქუჩაში გამოდიოდნენ, მაგრამ რეალურად 2007 წლის ნოემბერში, შემდეგ 2010 წლის სპეცოპერაციის შედეგად, რომელიც ლონდონში ჩატარდა, საქართველოს პოლიციამ მოახერხა სახელმწიფო გადატრიალების შეჩერება“...

უეჭველია, რომ სააკაშვილს რამსები აერია და ლონდონში 2008 წლის თებერვალში ბადრი პტარკაციშვილის საიდუმლოებით მოცული სიკვდილი 2010 წელს მომხდარ ამბად გაასაღა, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ის გახლავთ, რომ ამ ფროიდისეული წამოცდენის თანახმად, ნებისმიერი, საშუალოზე დაბალი დონის ფსიქოანალიტიკოსის დასკვნის მიხედვითაც კი, სააკაშვილმა პოლიციის პარადზე ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა აღიარა!..

ეს არ არის ყურით მოთრეული რამ. ეს გახლავთ მეცნიერული დიაგნოზი: „ბადრი პატარკაციშვილი მიხეილ სააკაშვილმა მოკლა!“

ზემოთ ერის ელიტის გათახსირების შესახებ მოგახსენებდით და უნდა გითხრათ, რომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ქართველთა ნაღები, ანუ ელიტა ყოველთვის ღალატობდა ქართველი ხალხის სულიერ და ზნეობრივ მისწრაფებებს. ასე, მაგალითად, 1804 წელს, მთიულეთის აჯანყების დროს, საქართველოს ჰქონდა შანსი რუსეთის უღელი გადაეგდო, მაგრამ ქართლის ერისთავებმა - გაბრიელ ყაზბეგმა, ალექსანდრე მაყაშვილმა, დავით ქობულაშვილმა, იაგორ ამირეჯიბმა, გიორგი ამილახვარმა, შანშე, მიხეილ, ელიზბარ, ზაზა და რევაზ მაჩაბლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ხევსურებისა და ფშაველების დიდი ნაწილი აჯანყებაში არ ჩაბმულიყო. ეს მოღალატენი თავიანთი გლეხებით რუსებს ედგნენ გვერდით და რუსებზე უფრო თავგამოდებით ებრძოდნენ აჯანყებულ მთიულებს. მაგალითად, უმშვენიერესი სოფლები: იფნევი და ჟამური - სწორედ რუსის ეპოლეტებზე დახარბებულმა ქართველებმა გადაბუგეს და გადაწვეს... სხვათა შორის, არც ზუგდიდის რაიონის სოფელი დარჩელი გადაუწვავთ რუსებსა და აფხაზებს, დარჩელიც კბილებდაკრეჭილმა მხედრიონელებმა გადახნეს დოდო გუგეშაშვილის მეთაურობით, ისევე როგორც მიხეილ სააკაშვილმა და მისმა პირადმა ქილერმა გიორგი ბარამიძემ - სამხედრო ავიაციით გადაბუგეს სოფელი ეცერი და აფრასიძეების ოჯახი, სადაც მინიმუმ ხუთ მცირეწლოვან ბავშვს ეძინა. დაბოლოს, მას შემდეგ რაც „ლეიბორისტებმა ოცნება აისრულეს და ტრელეკომპანია „კავკასიის“ სტუდიაში მომხდარი პროვოკაციის შემდეგ პატრულმა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ აქტივისტები დაიჭირა, „თბილისის ფორუმზე“ გამოჩნდა ლინკი, რომელიც „იუთუბიდან“ გადმოწერეს. რა არის ამ ლინკზე? საშინელება, ჩვენი წარწყმედა და საქართველოს სიკვდილი. ლინკს გახსნი თუ არა, გაისმის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის - ილია მეორის მიერ შეთხზული უმშვენიერესი საგალობლის „წმინდაო ღმერთოს“ მომაჯადოებელი ჰანგები. ლინკს დამღად აზის „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ ემბლემა, ხოლო ვიდეო კადრებში

ერთმანეთის მიყოლებით ჩნდება ეს „ლიბერასტები“ თუ პედერასტები და საგალობლის ფონზე ერთმანეთს ტუჩებში კოცნიან.

პირადად მე ამ კადრებში, მაგალითად, რამდენიმე „ლიბერასტი“ და თავისუფლების ინსტიტუტელი შევიცანი და თქვენი არ ვიცი. ძვირფასო მკითხველო, ესენი მართლაც იმდენს იზამენ, რომ გუბაზ სანიკიძისა არ იყოს, ხალხი ზოგ-ზოგიერთის დამწვარი გვამებით ქუჩაში დაიწყებს სირბილს...

დაბოლოს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ, მართლმადიდებლობის დამცველებს, - დავით ისაკაძესა და მის მეგობრებს, რომლებიც „ბნელებად“, „ფაშისტებად“ და „დებოშიორებად“ შერაცხეს, ჯვრის ტარების უფლება მისცა.

მგონი, ეს ბევრ რამეს ნიშნავს... ეგ ამბავი ასე ადვილად არ დამთავრდება და ამიტომაც დეიდებო, ბიძიებო, ჭკუით ცოტა, ჭკუით!..

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: ,,თქვენ, ოპოზიციის ლიდერებმა რომ ჩაიჯვით იპოდრომზე, ჩვენც იმიტომ ჩავიჯვით რკინიგზაზე!’’

სტატიის ავტორი - დიტო ჩუბინიძე - არ არის ქარტიის ხელმომწერი.

სტატია გამოქვეყნებულია გაზეთში ,,კვირის ქრონიკა’’.

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 2010 წელი 10-16 მაისი.

სტატია 2010 წლის 6 მაისის შემდეგ არის დაწერილი, როდესაც თბილისში პოლიციის დღეს აღნიშნავდნენ და, ამავე დროს, პოლიციის შენობასთან ოპოზიციის მიტინგი გაიმართა. ავტორი სტატიას რამდენიმე ციტატით იწყებს, სადაც მოთხრობილია გასულ საუკუნეში სხვადასხვა მწერლისა თუ მოგზაურის შთაბეჭდილებები საქართველოსა და ქართველ ხალხზე (რუმინელი პოეტი ვიქტორ კერენბახი, მე-19 საუკუნის გერმანელი მწერალი და მოგზაური ფრიდრიხ ბოდენშტედტი, იმანუელ კანტი...). ამის შემდეგ დიტო ჩუბინიძე ხსნის, რომ უკანასკნელ დროს საქართველომ და ქართველმა ხალხმა საშინელი ფიზიკური და სულიერი დეგრადაცია განიცადა. შემდეგ ის იმოწმებს გოგა ხაინდრავას, ლაშა ბუღაძის და სხვათა სიტყვებს, რომელთა შინაარსი ზემოთ მოტანილი ციტატების საპირისპიროა და ქართველი ხალხის ზნედაცემულობაზე მიუთითებს.

შემდეგ, ავტორი საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი პირების და, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ჩადენილ სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულზე მოგვითხრობს. ამჟამად იტალიაში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის, კოტე გაბაშვილის მიერ ჩადენილ მკვლელობაზე, სახელმწიფო მინისტრის - გიორგი ბარამიძის მიერ დახვრეტილ ადამიანებზე და იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდა სამოქალაქო ომში პროფესორი ნოდარ ლომოური. ისტორიები საქართველოს ახლო წარსულს, კერძოდ, 90-იან წლებს ეხება.

დღევანდელი კრიმინალური ისტორია მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს უკავშირდება. სტატიის ავტორი ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზზე და სააკაშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე დაყრდნობით, მას ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილში სდებს ბრალს. ყველა ეს ისტორია დიტო ჩუბინიძის სტატიაში იმ მიზნით არის მოთხრობილი, რომ, მისი თვალთახედვით, დღევანდელი საქართველოს სახე წარმოაჩინოს.

სტატიის ფინალში ავტორი 6 მაისს ტელეკომპანია „კავკასიაში" განვითარებულ მოვლენებს ეხება, სადაც მოხდა ფიზიკური დაპირისპირება განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ადამიანებს შორის. ჟურნალისტი „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის", ქართული ეკლესიის და საქართველოს პატრიარქის ერთობაზე საუბრობს, რომელნიც წინ აღუდგებიან „ლიბერალებს". ფინალური წინადადება ერთგვარ მუქარასაც მოიცავს, სადაც ავტორი ამბობს: „ეგ ამბავი ასე ადვილად არ დამთავრდება და ამიტომაც დეიდებო, ბიძიებო, ჭკუით ცოტა, ჭკუით!..." ავტორის ეს სიტყვები ლიბერალური ღირებულებების მქონე საზოგადოებას ეხება.

**აღწერითი ნაწილი**

ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ

მიუხედავად იმისა, რომ სტატიის ავტორი არ არის ქარტიის ხელმომწერი, მან მონიტორთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა. მონიტორის კითხვებთან დაკავშირებით, რომლებიც ძირითადად სტატიაში მოხსენიებული ფაქტების და გადაუმოწმებელი წყაროს დასახელებას ეხებოდა, ჟურნალისტს ასევე არადამაჯერებელი პასუხები ჰქონდა. ჟურნალისტი ხშირად ამბობდა, რომ ფაქტები, რომლებიც მან დაასახელა, „ხალხმა ისედაც იცის", „როგორ, თქვენ არ იცით?" და ა.შ.

სტატია საავტოროა, ამიტომ ჟურნალისტი მუდმივად პირველ პირში საუბრობს და იხსენებს ფაქტებს 90-იანი წლების საქართველოდან, დღევანდელობიდან და, აგრეთვე, საუბრობს გასულ საუკუნეში ქართველი ხალხისა და საქართველოს უნიკალობაზე. ამისათვის მას არაერთი უცხოელი მოაზროვნის ციტატა მოჰყავს.

ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი კოტე გაბაშვილი არ იმყოფება საქართველოში, ამავდროულად, სტატიაში ასევე ცინიკურადაა მოხსენიებული მისი შვილი, პარლამენტის წევრი გოკა გაბაშვილი, მონიტორი მას დაუკავშირდა. მონიტორისათვის საინტერესოა, მოახდინა თუ არა რაიმე სახის რეაგირება კოტე გაბაშვილმა სტატიაში მოყვანილი ფაქტის გამო, რომელიც ბრალდებას მის მიმართ შეიცავს?

გოკა გაბაშვილი ამგვარ ბრალდებებთან დაკავშირებულ რეაგირებაზე

პასუხობს, რომ მას მიზანშეწონილად არ ეჩვენება ამგვარ გამოცემებზე რეაგირება, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისინი არ იცავენ არავითარ სტანდარტს, არ იძიებენ წყაროს, არ ამტკიცებენ ფაქტებს დოკუმეტურად და ა.შ. ისინი ეწევიან სხვადასხვა ტიპის ჭორების ტირაჟირებას. ამგვარ ჭორებზე რეაგირება ყოველგვარ აზრს მოკლებულია. რაც შეეხება შეკითხვას - უნდა არეგულირებდეს თუ არა პრესაში ამგვარი დისკრედიტაციის მცდელობას კანონი? - გოკა გაბაშვილი ცალსახად პასუხობს, რომ არა. ამგვარ საკითხებს უნდა არეგულირებდეს ჟურნალისტის შინაგანი პატიოსნება, პროფესიონალიზმი და მედია სტანდრტებისადმი ერთგულება. კანონით დარეგულირება სხვაგვარ საშიშროებებს შექმნის და სერიოზულად დაემუქრება სიტყვის თავისუფლებას.

მონიტორი

მონიტორს ჰქონდა კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებული კითხვები, სადაც ის წყაროს დასახელებას ან კი დამატებით მტკიცებულებას ითხოვდა. ერთ-ერთი კითხვა სექსუალური უმცირესობების დამამცირებლად მოხსენიებას და მათი დისკრიმინაციის მცდელობას ეხებოდა. მონიტორმა, სამწუხაროდ, ვერც ერთ კითხვაზე ვერ მიიღო სანდო და კონკრეტული პასუხი. მან ცადა, ავტორისათვის აეხსნა, რომ მსგავსი ფაქტების გამოქვეყნება, დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მტკიცებულებების გარეშე, შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმედ იქცეს და დაზარალებულმა სასამართლოს მიაკითხოს. ჟურნალისტმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მზად არის, ყველას გასცეს პასუხი და პასუხისგების არ ეშინია.

**კითხვები:**

1. ინფორმაციის გავრცელებისას, რატომ არ არის მითითებული ზუსტი წყარო?
2. რის საფუძველზეა დადანაშაულებული კონკრეტული პირი ადამიანის მკვლელობაში, ყოველგვარი კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე?
3. რა საფრთხეს შეიცავს ჟურნალისტის ამგვარი ქმედება?

**საგაზეთო მასალა № 13**

**დირექტორის სახელი ბავშვების ფანტაზიას შეეწირა...**

ერთი წლის წინ ხონის რაიონის სოფელ გოჩა ჯიხაიშის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დიმიტრი ც-ს და პირველი კლასის მასწავლებლის შურა ჩ-ს შორის მომხდარი ინტიმური აქტი შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. განცხადებით რაიონის რესურსცენტრს მიმართეს, რასაც შედეგად დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლება მოჰყვა.

ინფორმაციის პირველწყაროს სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეები წარმოადგენდნენ, რომლებმაც თქვეს, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და პირველი კლასის მასწავლებელი ქალბატონი საკლასო ოთახში შიშვლები ერთმანეთს ეხუტებოდნენ. მსგავსი რამ კი ხშირად მეორდებოდა.

მასწავლებელმა ქალბატონმა პირველადი დაკითხვისას არ უარყო დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან ინტიმური ურთიერთობის შესახებ, თუმცა საქმის სასამართლო განხილვისას, რაც დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პატივისა და ღირსების შელახვის გამო გაიმართა, საქმე სხვაგვარად წარმოჩინდა – გავრცელებული ინფორმაცია მოსწავლეების ფანტაზიის ნაყოფად შეფასდა. მათ მშობლებს კი, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პატივისა და ღირსების შელახვის გამო, პასუხისმგებლობა დაეკისრათ.

კანონის თანახმად, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი არ წარმოადგენს საჯარო მოხელეს, შესაბამისად ის კერძო პირი გახლავთ. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი, კერძო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა არსებობს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ გავრცელებული ინფორმაცია არასწორ ფანტაზიაზეა დაფუძნებული. სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს დიმიტრი ც-ს ზიანი მიადგა – ის თანამდებობიდანაც გაათავისუფლეს და სახელიც შეელახა. ხონის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სოფელ გოჩა ჯიხაიშის ორი მეხუთეკლასელი მოსწავლის მშობელმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც მოსამართლე დურმიშხან ჟორჟოლიანის თავმჯდომარეობით ხონის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დამცველად გამოვიდა სკოლის პედაგოგიური კოლექტივიც. პედაგოგებმა ყოფილი დირექტორის და მათი კოლეგის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუედ გამოაცხადეს. ფსიქოლოგებმა კი ყველაფერი ბავშვების ფანტაზიის „ხატოვანებითა და წარმოსახვითობით" ახსნეს – „ბავშვებმა, ფაქტია, რომ სკოლის დირექტორი და მასწავლებელი ერთად დაინახეს, დანარჩენი კი მათი ფანტაზია იყო", - განმარტეს მათ.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: ,,დირექტორის სახელი ბავშვების ფანტაზიას შეეწირა...''

სტატიის ავტორი - ირინა მაკარიძე – არის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერი.

სტატია გამოქვეყნდა გაზეთში "P.S."

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 10 მაისი, 2010 წელი.

სტატიაში მოთხრობილია ინციდენტი, რომელიც ხონის რაიონის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მოხდა; კერძოდ კი, სკოლის დირექტორსა და სკოლის მასწავლებელს შორის მომხდარი ინტიმური კავშირის ამბავი, რასაც სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება მოჰყვა. სტატიის ავტორი წერს, რომ ინფორმაცია სკოლის მეხუთე კლასელმა გოგონებმა გაავრცელეს, რომელთა თქმით, ისინი თავად იყვნენ თვითმხილველები. შემდეგ, სტატიაში განხილულია სასამართლო პროცესის მიმდინარეობა, რომელიც დირექტორის პატივისა და ღირსების შელახვის ბრალდებით გაიმართა. ბუნებრივია, მომჩივანი, სკოლის დირექტორი იყო ბრალდებულები კი - მეხუთე კლასელი გოგონების მშობლები. ავტორი განმარტავს, რომ სკოლის დირექტორი არ წარმოადგენს საჯარო პირს, ის კერძო პირია და, აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, კერძო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა არსებობს – იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არასწორ ფაქტზეა დაფუძნებული. სტატიის ავტორი გვამცნობს, რომ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დირექტორს ზიანი მიადგა და მას სახელიც შეელახა. ეს განაჩენი მეხუთე კლასელი, ე.წ. თვითმხილველი გოგონების მშობლებმა გაასაჩივრეს, მაგრამ მოსამართლემ გადაწყვეტილება არ შეცვალა. სტატიის ავტორი ფინალში გვამცნობს, რომ სკოლის პედკოლექტივი დირექტორს მხარში დაუდგა და საბოლოოდ ეს ფაქტი შეფასდა, როგორც პატარა გოგონების ფანტაზიის ნაყოფი.

## აღწერითი ნაწილი

სტატიის ავტორი

სტატიის ავტორი ირინა მაკარიძე არის ეთიკის ქარტიის ხელმომწერი. მან მონიტორთან თანამშრომლობის სრული მზადყოფნა გამოთქვა. მონიტორის კითხვები, რომლებიც დარღვეული ქარტიის მუხლებიდან გამომდინარეობდა, ინფორმაციის წყაროს არსებობას და ამ ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობას შეეხებოდა. ინფორმაციის წყაროდ ავტორი სასამართლოში განხილულ საქმეს და სასამართლოს

გადაწყვეტილებას ასახელებს. ხოლო ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობას ხსნის არგუმენტით: „მე თვითონ ვარ 2 შვილის დედა და არ მინდა, ჩემი შვილის სკოლაში მსგავსი ფაქტები ხდებოდეს". ასევე, მონიტორის კითხვაზე, რომ შეილახა თუ არა სკოლის დირექტორის რეპუტაცია ისე, რომ მკითხველმა ბოლომდე ვერ გაიგო, იყო თუ არა ის სტატიაში აღწერილი ამბის მონაწილე, სტატიის ავტორი ამბობს, რომ ამბავი ხონის რაიონში, სოფელ გოჩა ჯიხაიშის საჯარო სკოლაში მოხდა. სოფელში ამის შესახებ ისედაც იცოდნენ. გარეშე პირი კი სტატიიდან ნამდვილად ვერ გაიგებს სკოლის დირექტორის ვინაობას.

დაზარალებული მხარე

მონიტორმა ვერ შეძლო დაზარალებული მხარის კომენტარის მოპოვება. სტატიის ავტორმა არ იცოდა სკოლის დირექტორის კოორდინატები. სტატიაში კი არ არის მითითებული დირექტორის გვარი ან სკოლის ნომერი.

მონიტორი

მონიტორის ინტერესის საგანი იყო ინფორმაციის დაბეჭდვის აუცილებლობა. ამიტომ, მონიტორის კითხვა იყო: „რატომ გახდა ამ სტატიის დაბეჭდვა აუცილებელი?" და აგრეთვე, რატომ გაავრცელეთ ინფორმაცია, რომელსაც უარყოფს სკოლის პედკოლექტივი და, ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით ის სინამდვილეს არ შეესაბამება?

**კითხვები:**

1. რატომ არის სტატიაში მოთხრობილი ამბავი საინტერესო მკითხველისათვის?
2. საიდან ვიცით, რომ სტატიის მთავარი ამბავი ნამდვილად მოხდა?
3. დაირღვა თუ არა სტატიაში ადამიანის უფლება?

### საგაზეთო მასალა № 14

## ჩოხატაურში ტერორი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა

ჟურნალისტებისაგან მუდმივ ტერორში მყოფი მეთორმეტეკლასელი გოგონას ტრაგედია და ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის ხათუნა წილოსანის „პიარზე" გაცვლილი ღირსება.

ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, თუ როგორ აშანტაჟებდნენ მოსწავლეს და ატერორებდნენ მის ოჯახს, ოფიციალურად იცრუა და მისი პერსონის გაპიარების სანაცვლოდ მოძალადეების მხარე დაიჭირა.

სავარაუდოდ, ასევე მოიქცევა ჩოხატაურის პოლიცია, რომელიც ძიებას შეწყვეტს მის თანამშრომლებზე მაკომპრომეტირებელი სტატიების შეწყვეტის (ან მოძალადე ჟურნალისტის ოჯახთან ახლობლობის) სანაცვლოდ. ამ ორგანიზებული დანაშაულის ბოლო ჯაჭვი კი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იქნება, რომელიც ალბათ, ძიების შეწყვეტის ვერდიქტს გამოიტანს, რადგან ერთ-ერთი ჟურნალისტი, რომელიც მოსწავლის ცემაში ფიგურირებს, კუდის მაღალჩინოსნის, შალვა ბოლქვაძის პროტეჟე (რასაც თავად ჟურნალისტი ადასტურებს) და წლების მანძილზე მისი ინტერესების განმახორციელებელია.

შემთხვევა გასული კვირის ოთხშაბათს დღის ორ საათზე მოხდა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლემ მ. დ-მ თვითმკვლელობის მიზნით 6 აბი „ადელფანი" მას შემდეგ დალია, რაც ეჭვიანობის ნიადაგზე მას ერთ-ერთი რეგიონული გაზეთის ქალმა ჟურნალისტებმა სცემეს. უფრო მეტიც, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, გავრცელებული ინფორმაციით, მანქანაში ჩაისვა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი - ხათუნა წილოსანი, სკოლის დირექტორი რამდენიმე მასწავლებლითურთ და მოსწავლის ოჯახში დაპირისპირება მოაწყო. მოსწავლის ცემის შესახებ გადაწყვეტილება კი, მოგვიანებით ჟურნალისტებმა და წილოსანმა ერთობლივად მიიღეს. ახლა კი ხელი ხელს ბანს პრინციპით, ურთიერთკოორდინირებული ქმედებით, ცდილობენ ეს ყველაფერი უდანაშაულო პედაგოგებს გადააბრალონ. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას გურიის შსს ჩოხატაურის რაიონული განყოფილება აწარმოებს.

ეს ყველაფერი მარტივად დაწყო. განახლებიდან დაბა ჩოხატაურში სასწავლებლად გადმოსულ მ-ს რამდენიმე, სასიყვარულო შინაარსის შემცველი მესიჯი მოუვიდა. როცა ამ უკანასკნელმა ავტორი დაადგინა, მის მეუღლეს შეატყობინა და მესიჯის ავტორს თავშეკავებისკენ მოუწოდა. თუმცა მესიჯს მესიჯი მოჰყვა, მესიჯებს - გაცნობა და საუბარი., საუბარს - პაემანი და... მეგობრობა ... თვითმკვლელობის ოფოციალურ მიზეზებზე სასაუბროდ კომპეტენტური პირები თავს ამ დრომდე იკავებენ, თუმცა მშობლები აღნიშნავენ, რომ მათი შვილის თითმკვლელობის მცდელობა ჟურნალისტების

მუქარას უკავშირდება. „გურიის მოამბე“ სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, თავდაპირველად საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსს ხათუნა წილოსანს დაუკავშირდა (899 43 95 23), რომელმაც ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა:

„რა თვითმკვლელობის მცდელობა? რას ამბობთ, ჰა-ჰა-ჰა... თქვენ რა გითხარით მე. საკვებმა მოწამლა და ახლა ბავშვის მდგომარეობა სტაბილურია. ქორწილში ვარ ოზურგეთში, ხმა არ მესმის მუსიკებში და სხვა დროს დამირეკეთ“, - გვითხრა წილოსანმა სატელეფონო საუბრის დროს.

- ბოდიშს გიხდით, ერთი წუთით, თუ საკვებმა მოწამლა, ეს საკვები სკოლის ბუფეტში ხომ არ შეიძინა?

- არა, არა სახლში, დანამდვილებით ვიცი.

- თქვენ ეს ვინ გითხრათ?

- სკოლის დირექტორმა.

- კი მაგრამ, თქვენ არ დაინტერესდით, მომხდარის გამო? დიაგნოზი ხომ საავადმყოფოში დაუსვეს?

- ხო, კაი გამახსენეთ, საავადმყოფოში საერთოდ არ ყოფილა. რას ამბობთ, ამხელა ქალი ვარ და ვიტყუები ახლა, თუ რა? - აქეთ შემოგვიტია წილოსანმა.

წილოსანისაგან განსხვავებით, განახლების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი ჩვენთან საუბარს უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდა. სკოლის მოსწავლის თვითმკვლელობის მცდელობა ჩვენთან საუბარში განახლების სკოლის დირექტორმა - ლალი ყაჭეიშვილმა (858 11 63 99) დაადასტურა, თუმცა რა გახდა ამის მიზეზი, ამაზე კომენტარის გაკეთებისგან ყაჭეიშვილმა თავი შეიკავა.

- მართლაც სამწუხარო ფაქტი მოხდა. ჩვენმა სკოლის მოსწავლემ, რომელიც შეიძლება ითქვას, საკმაოდ წესიერი და მოწესრიგებული ბავშვია, თვითმკვლელობა გადაწყვიტა. თუმცა რამ მიაღებინა ამ ბავშვს ეს გადაწყვეტილება, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან მიმდინარეობს გამოძიება და ყველაფერი გაირკვევა.

- ანუ რაიმე ვერსია ამასთან დაკავშირებით, თუ რატომ გადაწყვიტა მეთორმეტეკლასელმა თვითმკვლელობა, არ გაქვთ?

- მე საიდან უნდა მქონდეს ეს ინფორმაცია. ვერ ვხვდები, რაღაცას ხლართავენ და ყველაფერზე პასუხს მე რატომ მთხოვენ?

- პასუხს არ გთხოვთ, უბრალოდ შეკითხვას გისვამთ. თქვენ იმ სკოლის დირექტორი ბრძანდებით, რომლის მოსწავლემ თვითმკვლელობა სცადა... იქნებ ეს სკოლაში არსებული სიტუაციის გამო მოხდა?

- მესმის და ძალიან შეშფოთებული ვარ. მას შემდეგ ცუდად ვარ. ვიყავი ოჯახში და შევხვდი მშობლებს, ყველანი შოკირებულნი არიან, თავად ბავშვი კი ფსიქოლოგიურ სტრესშია და არ გირჩევთ ამ თემის აფიშირებას და ოჯახში მისვლას.

- თქვენ თუ აცნობეთ რესურს-ცენტრის ხელმძღვანელს მომხდარი?

- რა თქმა უნდა, ხათუნა წილოსანს პირადად ვესაუბრე მომხდარზე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შპს „პოლიკლინიკა საავადმყოფოს“ მიმღები განყოფილების მორიგე ექიმი, ნატო კიკვაძე, ამბობს, რომ სამედიცინო ჩარევის შემდეგ ბავშვის მდგომარეობა სტაბილური იყო და სტაციონალურ მკურნალობას არ ექვემდებარებოდა. - როგორც პაციენტმა თქვა, თვითმკვლელობის მიზნით,

ანუ ამას ჩვენს ენაზე ჰქვია სუიციდი, დალია ექვსი აბი „ადელფანი“. პირველი დახმარება ბავშვს საკმაოდ მაღალკვალიფიციურად უკვე ჩატარებული ჰქონდა სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ და ავადმყოფი გადასხმით მოყვანილი იქნა მიმღებში. გადასხმის ჩამთავრების შემდეგ ჩავატარეთ სპეციალური მკურნალობა და რადგან ბავშვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო, სახლში გავწერეთ. ავადმყოფი სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებდა.

- ქალბატონო ნატო, ბავშვს საავადმყოფოში თვითმკვლელობის მიზეზებზე ხომ არ უსაუბრია?

- ამის შესახებ მას არაფერი უთქვამს. გვითხრა მხოლოდ ის, რომ მან თვითმკვლელობა გადაწყვიტა და ამის გამო დალია წნევის საშუალებები.

„გურიის მოამბე“ დოლიძეების ოჯახს სახლში ესტუმრა, თუმცა მომხდარით აღშფოთებული მშობლები ამ თემაზე საუბრისაგან თავს იმ მიზეზით იკავებენ, რომ გამოძიება მიმდინარეობს. „აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ვინცაა და ჩვენ ეჭვმიტანილად ვისაც ვცნობთ, თითმკვლელობამდე რომ მიიყვანა ბაღანა, იგენი ჟურნალისტებია. ჯერ არ ვიცით. თუ არ დამტკიცდა მაი, ისე ხომ არ იქნება. მიმდინარეობს გამოძიება და ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ იმაზე, რაც მოხდა,“- აცხადებენ დოლიძის მშობლები.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: ,,ჩოხატაურში ტერორი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა’’.

პირველ გვერდზე გამოტანილი სათაური: ჟურნალისტებისაგან მუდმივ ტერორში მყოფი მეთორმეტეკლასელი გოგონას ტრაგედია და ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის ხათუნა წილოსანის ,,პიარზე“ გაცვლილი ღირსება

სტატიის ავტორი - გიორგი სირაძე - არ არის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერი.

სტატია გამოქვეყნებულია გაზეთში ,,გურიის მოამბე“.

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 22 ოქტომბერი, 2009 წელი.

სტატია ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლის თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტს. სტატიის ავტორი მკითხველს აწვდის ინფორმაციას, თუ რამ გამოიწვია, ან რამ მიიყვანა მე-12 კლასელი თვითმკვლელობის მცდელობამდე. სტატიაში ავტორი წერს: ,,მე-12 კლასის მოსწავლემ თვითმკვლელობის მიზნით ექვსი აბი ,,ადელფანი“ მას შემდეგ დალია, რაც ეჭვიანობის ნიადაგზე მას ერთ-ერთი რეგიონული გაზეთის ქალმა ჟურნალისტებმა სცემეს“. სტატიაში ავტორი არ ასახელებს, თუ რომელი გაზეთის რომელმა ჟურნალისტებმა სცემეს მე-12 კლასის მოსწავლე, თუმცა აცხადებს, რომ აღნიშნული ფაქტის (ჟურნალისტების მიერ მოსწავლის ცემის) თაობაზე ინფორმირებულნი არიან ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი ხათუნა წილოსანი, სკოლის დირექტორი,

რამდენიმე მასწავლებელი, ნაცემი მოსწავლის მშობლები. სტატიაში მითითებულია, რომ მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და გამოძიებას გურიის შსს ჩოხატაურის რაიონული განყოფილება აწარმოებს. თუმცა, სტატიის დასაწყისშივე ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ჩოხატაურის პოლიცია „ძიებას შეწყვეტს მის თანამშრომელზე მაკომპრომატირებელი სტატიების შეწყვეტის (ან მოძალადე ჟურნალისტის ოჯახთან ახლობლობის) სანაცვლოდ“.

## აღწერითი ნაწილი

სტატიის ავტორი

სტატიის ავტორმა ითანამშრომლა მონიტორთან და უპასუხა ყველა დასმულ შეკითხვას, რომლებიც ეხებოდა იმის გარკვევას, თუ რამდენად ეცადა ჟურნალისტი, რომ ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველებისთვის; აგრეთვე, მიანიჭა თუ არა ავტორმა უპირატესობა არასრულწლოვანის ინეტერესებს სტატიის მომზადებისა და გამოქვეყნების პროცესში.

სტატიაში ავტორი ავრცელებს ინფორმაციას, რომ მე-12 კლასის მოსწავლე თვითმკვლელობის მცდელობამდე სცემეს ერთ-ერთი რეგიონული გაზეთის ქალმა ჟურნალისტებმა. თუმცა, სტატიაში არ ჩანს აღნიშნული ინფორმაციის წყარო. მონიტორის მიერ დასმულ შეკითხვაზე, თუ რა წყაროებით დაადგინა მან ჟურნალისტების მონაწილეობა სკოლის მოსწავლის ცემის ფაქტში, სტატიის ავტორმა განმარტა: „სტატიაში ფიგურურებს მინიმუმ სამი წყარო: რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი, სკოლის დირექტორი და თავად მშობლები.“ სტატიაში ჩანს, რომ ავტორი მართლაც უკავშირდება რესურს-ცენტრის ხელმძღვანელს ხათუნა წილოსანს, სოფელ განახლების სკოლის დირექტორს ლალი ყაჭეიშვილს და მოსწავლის მშობლებს. თუმცა, წილოსანი საერთოდ უარყოფს იმ ფაქტს, რომ არასრულწლოვანმა თვითმკვლელობა სცადა; ყაჭეიშვილი ადასტურებს, რომ თვითმკვლელობის მცდელობას ადგილი ჰქონდა მოსწავლის მხრიდან, თუმცა, რამ მიიყვანა ეს უკანასკნელი ამგვარი გადაწყვეტილების მიღებამდე, ამაზე ყაჭეიშვილი ინფორმაციას არ იძლევა; მოსწავლის მშობლები კი გამოთქვამენ ეჭვს, რომ მათი შვილი თვითმკვლელობის მცდელობამდე ჟურნალისტებმა მიიყვანეს, თუმცა, იქვე აცხადებენ, რომ ამ ვარაუდს ვერ დაადასტურებენ მანამ, სანამ გამოძიება არ დასრულდება.

ავტორი სტატიაში მიუთითებს, რომ „თვითმკვლელობის ოფიციალურ მიზეზებზე სასაუბროდ კომპეტენტური პირები თავს ამ დრომდე იკავებენ“. თუმცა, სტატიაში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ ვინ არიან „კომპეტენტური პირები“.

სტატიის ავტორი დასაწყისში აცხადებს, რომ „ამ ორგანიზებული

დანაშაულის ბოლო ჯაჭვი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იქნება, რომელიც ალბათ ძიების შეწყვეტის ვერდიქტს გამოიტანს, რადგან ერთ-ერთი ჟურნალისტი, რომელიც მოსწავლის ცემაში ფიგურირებს, კუდის მაღალჩინოსნის, შალვა ბოლქვაძის პროტეჟე (რასაც თავად ჟურნალისტი ადასტურებს) და წლების მანძილზე მისი ინტერესების განმახორციელებელია". სტატიაში ავტორი არ ამხელს ამ ერთ-ერთი ჟურნალისტის ვინაობას, რაც მონიტორთან საუბარში ავტორმა ასეთი არგუმენტით ახსნა: „ჟურნალისტური ეთიკიდან და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპებიდან გამომდინარე. ასევე, სტატიაზე მუშაობის პროცესში თავად ჟურნალისტმა გვთხოვა, არ გვეხსენებინა მისი სახელი და გვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სამსახურიდან გააგდებდნენ და ასევე, მეუღლე გაშორდებოდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ოჯახი დაენგრეოდა". ჟურნალისტმა ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ კუდის მაღალჩინოსნის ახლობელია".

სტატიის ავტორი „მოძალადედ" შერაცხული ჟურნალისტის ვინაობას არ ასახელებს, სტატიაში არც იმ მე-12 კლასის მოსწავლის სახელი და გვარია დასახელებული (მოხსენიებულია ინიციალებით - მ.დ.), რომელიც ჟურნალისტების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ სტატიაში სხვადასხვა ადგილას მითითებულია, რომ არასრულწლოვანი გვარად დოლიძეა (დასახელებულია მშობლების გვარი, რომელსაც ემთხვევა გვარის ინიციალის პირველი ასო), მითითებულია, რომ სწავლობდა სოფელ განახლების სკოლაში და ცოტა ხნის წინ გადავიდა დაბა ჩოხატაურის სკოლაში. მონიტორის შეკითხვაზე - როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა თქვენი სტატიის მიხედვით იმ მე-12 კლასელის იდენტიფიკაცია, რომელსაც თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდა? - ავტორმა უპასუხა: „ვფიქრობ, რომ არა".

### დაზარალებული მხარე

სტატიაში დაზარალებული მხარეა მე-12 კლასის მოსწავლე, რომლის თვითმკვლელობის მცდელობის გამომწვევი მიზეზების დადგენას და გამოკვლევას ეძღვნება სტატია. თუმცა, მონიტორმა აღნიშნულ მოსწავლესთან დაკავშირება ვერ მოახერხა.

კიდევ ერთ დაზარალებულ მხარედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ე.წ. „მოძალადე ჟურნალისტები". თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მათი ვინაობა ავტორმა არც სტატიაში დაასახელა და არც მონიტორთან საუბარში, შესაბამისად, მათთან დაკავშირება მონიტორისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა.

### მონიტორი

სტატიის წაკითხვისთანავე, მონიტორი დაინტერესდა, თუ რამდენად დაიცვა ჟურნალისტმა არასრულწლოვანის ინტერესები. ამას გარდა, თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ავტორი მხოლოდ და მხოლოდ ერთ

წყაროს ეყრდნობა, რომელიც ცალმხრივად იძლევა ინფორმაციას. სტატიაში ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია არ გვხვდება.

შესაბამისად, მონიტორის მიერ დასმული შეკითხვების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გაერკვია, თუ რამდენად ეცადა სტატიის ავტორი ბოლომდე გადაემოწმებინა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა ზუსტი ინფორმაცია. ასევე, გამოერკვია, ხომ არ ჰქონდა ადგილი მიჩქმალვას ან ფაქტების განზრახ დამახინჯებას.

**კითხვები:**

1. შესაძლებელია თუ არა მე-12 კლასელის იდენტიფიკაცია, რომელსაც თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდა? რა გააკეთა ავტორმა იმისთვის, რომ არ მომხდარიყო მისი იდენტიფიკაცია?
2. სტატიაში ფიგურირებს ერთადერთი წყარო - არასრულწლოვანის მშობლები, რომლებიც გამოთქვამენ ეჭვს, რომ ბავშვის თვითმკვლელობის მცდელობა უკავშირდება მასზე ჟურნალისტისგან განხორციელებულ მუქარას, რომლის სახელსა და გვარს მშობლები არ ასახელებენ. სტატიის დასაწყისში კი ავტორი ფაქტად თავაზობს მკითხველს, რომ თვითმკვლელობის მცდელობა „მოძალადე ჟურნალისტს" უკავშირდება. მშობლების გარდა, კიდევ რა წყაროებით დაადგინა ავტორმა, რომ აღნიშნული ფაქტში ბრალს სდებს ჟურნალისტს?
3. ავტორი არ ასახელებს ჟურნალისტის ვინაობას, რომელიც „კუდის მაღალჩინოსნის, შალვა ბოლქვაძის პროტეჟეა", რასაც, როგორც სტატიაში წერს ავტორი, „თავად ჟურნალისტი ადასტურებს". ვისთან საუბარში დაადასტურა ეს ჟურნალისტმა? თუკი ავტორთან, მაშინ რატომ არ ამჟღავნებს მის ვინაობას და თუკი - არა, მაშინ ვისთან დაადასტურა ეს „მოძალადე ჟურნალისტმა"?

## საგაზეთო მასალა № 15

### მივედი, ვნახე, დავიჯერე

რა ამაყად ჟღერს - ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი! მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა აჯობებს გრამატიკის ნორმები დავარღვიოთ და აქაურობა ასე მოვიხსენიოთ - ეროვნული ტუბერკულოზის ცენტრი, რადგან ის, რაც დღეს ხუდადოვზე ხდება, მხოლოდ ჩვენნაირ ქვეყანაში თუა შესაძლებელი. ჩემი კოლეგა ტელეჟურნალისტებისაგან განსხვავებით, სიმართლის დამალვას არც მე ვაპირებ, მაგრამ როცა მოშიმშილე ავადმყოფს მთელ ქვეყანას დაანახვებ, ისიც უნდა თქვა, რომ ჩვენთან პაციენტებიცა და ექიმებიც ერთნაირად დაუცველნი არიან.

ოფიციალური ვერსია

როგორც ყველა ინფექციური დაავადების შემთხვევაში, ტუბერკულოზთან ბრძოლა სოციალური ფონის გაუმჯობესებით იწყება. მარტივად რომ ვთქვათ, ფულია საჭირო, თანაც ბევრი. ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოში მოქმედებს ტუბერკულოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა, მაგრამ ის თანხები, რაც ამ პროგრამისთვისაა გამოყოფილი, სამწუხაროდ, პრობლემის გადაჭრას ვერ უზრუნველყოფს და ჩვენც სამწუხარო რეალობის წინაშე დავდექით: ბოლო წლების განმავლობაში იმატა არა მხოლოდ ამ დაავადების შემთხვევებმა, არამედ ტუბერკულოზით დაავადებულთა სიკვდილიანობამაც. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების ჩამონათვალში სოლიდური თანხებია მითითებული (ამ თანხების ადრესატი ეროვნულ ცენტრთან ერთად ამ დარგის სხვადასხვა ორგანიზაციაცაა): Global Fund-ის ხუთწლიანი პროგრამით (2005-2010წ.წ.) 5 მილიონი დოლარი გვერგება; გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (2002-2007წ.წ.)
2 045 000 ევროს გვპირდება; ამავე სტრუქტურამ ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამით 1 673 076 ლარით უკვე დაგვაფინანსა; „კავკასიური ინიციატივის პროგრამა" 1 მილიონი ევროთი გვეხმარება; GTZ – პროექტის ფარგლებში (1999-2001 წ.წ.) 350 852 ევრო მივიღეთ; WHO - 10 000 ევროთი გვაფინანსებს; USAID (2003-2006 წ.წ.) 2 500 000 აშშ. დოლარს გამოგვიყოფს. ამას ემატება ბიუჯეტით გათვალისწინებული 106 000 ლარი თვეში. ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია. ამ ციფრების შემყურეს, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: სად მიდის ეს დაფინანსება და რატომ გახდა ტუბერკულოზის მკურნალობა პრობლემატური.

დრო, როცა ტუბერკულოზს რომანტიკული ელფერი დაჰკრავდა და მეხსიერებაში მომაკვდავი შოპენი წამოგვიტივტივდებოდა, კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას ავად გახდომის უფლება არ ჰქონდა და რეალური ციფრები საგულდაგულოდ იმალებოდა, გასული საუკუნის 80-იან წლებში მთელ მსოფლიოში, მათ შორის საბჭოთა საქართველოშიც, ამ დაავადებით დასნეულებულთა მაჩვენებელი საკმაოდ დაბალი იყო. დღეს მსოფლიო ტუბერკულოზის გლობალურ ეპიდემიაზე ალაპარადა, რაც უპირველესად შიდსის პრობლემას უკავშირდება, თუმცა ისიც ფაქტია, რომ საბჭოთა

კავშირის დაშლის შემდეგ დედამიწის ერთი მეექვსედიდან დიდი ნაწილი ევროპა-ამერიკისკენ დაიძრა და პოსტსაბჭოთა მიგრანტებმა დასავლეთს ამ მხრივაც შეუქმნა პრობლემები. თუ ამ კუთხით შევხედავთ პრობლემას, ბოლო თხუთმეტი წელი მხოლოდ დაკარგულ ტეროტორიებზე არ ჩაგვაფიქრებს.

ტუბერკულოზი იკურნება, ოღონდ დროული და სწორი მკურნალობის შემთხვევაში. მაგრამ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას უკიდურესად უჭირს (რბილი ნათქვამია), საერთაშორისო სტანდარტებით ვერ მიუდგები. ექიმებმა მირჩიეს, ამ დაავადებაზე საუბრისას შემდეგი კლასიფიკაციით ვიხელმძღვანელო: ტუბერკულოზი, რომელიც იკურნება და ტუბერკულოზი, რომლის განკურნება  შეუძლებელია. ეს საერთაშორისო სტანდარტია. მაგრამ სულ სხვაა განუკურნებელი ტუბერკულოზი ჩვენთან და რომელიმე გავნითარებულ ქვეყანაში.

მაინც, რატომ არ იკურნება ეს დაავადება? არც მე ვარ ფთიზიატრი და არც „24 საათია" სამედიცინო გამოცემა, ამ პრობლემაზე ამომწურავი პასუხი რომ გავცეთ. საკითხავი უფრო ისაა, რამდენად დიდია ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტებიდან ინფექციის გავრცელების ალბათობა. ფოლკლორის დონეზე ვიცით, რომ ამ ავადმყოფობამ სახე იცვალა და წლობით აპრობირებული მედიკემანტები აღარ ჭრის. სახე აშკარად იცვალა, ოღონ, როგორც ექიმები განმარტავენ,  ეს პრობლემა თავად ავადმყოფებმა შექმნეს. რამ მიიყვანა პაციენტი ასეთ დაუდევრობამდე, ამაზე ქვემოთ. ერთი სიტყვით, უკიდურესად დამძიმებულმა სოციალურმ ფონმა სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა: ადამიანი დაავადდა, ვერ იმკურნალა ან არასრულად იმკურნალა და ტუბერკულოზის ის ფორმა ჩამოუყალიბდა, რომელსაც I რიგის მედიკამენტები ვეღარ შველის. ამ ფორმას რეზისტენტული ტუბერკულოზი ჰქვია, იმ წამლებს კი, რომლებიც ამ შემთხვევაში პაციენტს ენიშნება, II რიგის მედიკამენტებად მოიხსენიება. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პირველი რიგის მედიკამენტები უფასოა, რაც შეეხება მეორე რიგის წამლებს, მათი შეძენის სახსრები ჩვენს ქვეყანას არა აქვს, ამდენად რეზისტენტული ფორმით ინფიცირებული ავადმყოფების განკურნება საქართველოში ჯერჯერობით შეუძლებელია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ავადმყოფების მკურნალობა მხოლოდ საჭირო პრეპარატების ქონა-არქონით არ შემოიფარგლება. ასევე მნიშვნელოვანია და ჯერჯერობით შეუძლებელია კვალიფიციური პერსონალის მომზადება, ლაბორატორიაში II რიგის წამლებზე გამძლეობის განსაზღვრა, მედიკამენტების ფასებისა და ხარისხის კონტროლი. ჩვენთვის ამის თქმა იოლია, მაგრამ მათთვის, ვინც თვეობით წვანან გაუსაძლის პირობებში და წამლებს ელიან, ასეთი ინფორმაცია ვერეფერი შეღავათია - ისინიც ჯავრს ექიმებზე იყრიან. სტატისტიკური მონაცემებით 1997 წლიდან დღემდე ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმით დაავადებულთა რაოდენობა 6-8 ათასის ფარგლებში მერყეობს. ეს მაჩვენებელი, შეიძლება, არც ისე შემაშფოთებელია, ყოველი ინფიცირებული სათანადოდ რომ იყოს დაცული და ავადმყოფობის გავრცელების საშიშროებას არ ქმნიდეს.

### მიწისძვრამდე და მიწისძვრის შემდეგ

პრობლემები გზიდანვე იწყება. სამარშრუტო ტაქსი გაპარტახებული ქუჩებით აღმართს მიუყვება და მძღოლს მგზავრები სადგურიდან ხუდადოვზე

ქირონივით 40 თეთრად აჰყავს. 1991 წლიდან სტაციონარი რვასართულიან შენობაში იყო განთავსებული. ჰიგიენური თვალსაზრისით ეს ნაგებობაც დასავლურ სტანდარტებს საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა, მაგარამ საბჭოთა საავადმყოფოს მოთხოვნილებებს შეესაბამებოდა და ავადმყოფებსაც ხანგრძლივი მკურნალობა ნაკლებად უძნელდებოდათ. მიწისძვრის შემდეგ შენობა ამორტიზირებულად ჩაითვალა. ზურგზე პაციენტებმოკიდებული ექიმები (ხატოვანი ფრაზა არ გეგონოთ) იძულებული გახდნენ, ძველ სტაციონარში გადაბარგებულიყვნენ, სადაც 60-იანი წლების შემდეგ სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა და არც შენობის დეზინფექცია გაკეთებულა. ნაპრალებიან კედლებში ყოფნა მართლა დაუშვებელია, მაგრამ ის შენობა, სადაც ამჟამად სტაციონარია განთავსებული, იმდენადაა გაპარტახებული, ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ პერსონალისთვისაც და პაციანტებისათვისაც უკეთესი პირობებია შექმნილი. ალბათ ამასვე გულისხმობს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი არჩილ სალაყაია, როცა ხმამაღლა აცხადებს: „ჩვენ ფაქტიურად ქუჩაში ვცხოვრობთ". ჭეშმარიტად! სწორედ ამიტომ საავადმყოფოს ხელმძღვანელობა იძულებულია, სოლიდურ დახმარებაზე, რომელიც სტაციონარში საჭირო აპარატურის დამონტაჟებას ითვალისწინს, უარი თქვას, რადგან ქუჩაში ლაბორატორიების გამართვას აზრი არა აქვს.

ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ფთიზიატრიის კოორდინატორი გ. ხეჩინაშვილი ამ პროფილის სტაციონარისთვის შესაფერისი შენობის გამოყოფას, როგორც ჩანს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემად არ აღიქვამდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ მწირი დაფინანსების ფარგლებშიც კი, რასაც ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო სამედიცინო სფეროსთვის იმეტებდა, ერთი განყოფილების მოწესრიგებას, თუნდაც საჩვენებლად, მოახერხებდა. საჩვენებელი კი ეროვნულ ცენტრში მხოლოდ ბავშვთა განყოფილებაა, დამთბარი და სუფთა, ისიც იმიტომ, რომ აქაურობას საფრანგეთის საელჩო დაეხმარა. მაშინაც და დღესაც საერთაშორისო ორგანიზაციები იმ მარტივი მიზეზით გვიმართავენ ხელს, რომ ჩვენი დაუდევრობის გამო ეს საშიში დაავადება სხვაგანაც არ გავრცელდეს. იყო გაუთავებელი მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკსა და ცენტრს შორის, მაგრამ მხარეები ვერა და ვერ შეთანხმდნენ. შესათანხმებელი კი ის იყო, ქართველების დაჟინებით სტაციონარისთვის ახალ შენობას ააგებდნენ თუ მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს გაითვალისწინებდნენ და უკვე არსებულის შეკეთებას დასჯერდებოდნენ. ამასობაში თბილისში მიწა იძრა და პრობლემა თავისთავად „მოგვარდა": სტაციონარი ძველ შენობაში გადავიდა, რვასართულიანი ნაგებობაში კი ლტოლვილებად შერაცხული ხალხი ჩასახლდა. დარწმუნებული ვარ, შესაბამის ინსტანციებში აუცილებლად იქნება რვასართულიანი კორპუსის უვარგისობის დამადასტურებელი სათანადო დასკვნა, მაგრამ აქაურ ექიმებს კარგად ახსოვთ ის დღე, როცა ჯანმრთელობის სამინისტროს მაშინდელი წარმომადგენლები მოვიდნენ, მხოლოდ გარედან შეათვალიერეს შენობა, მხრები აიჩეჩეს, თავები გადააქნიეს და ვერდიქტიც იქვე გამოიტანეს. სამაგიეროდ, დეზერტირების ბაზრის კონტინგენტმა სტაციონარის პალატები იზოლირებულ ბინებად აქცია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას,

რომ რვასართულიანი კორპუსი საავადმყოფოს ბალანსზე აღარ ირიცხება. ასევე დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, აქ ბინა, ანუ ყოფილი პალატები სველი წერტილებით, ათასიდან ორი ათას დოლარამდე ღირს. ფასის მერყეობა ოთახების მდგომარეობაზეა დამიკიდებული. ვინც ამ „აპარტამენტებს" ვერ გასწვდება, შეუძლია 100 ლარად ერთოთახიანი „იზოლირებული" ბინა იქირავოს. რამდენად მიზანშეწონილია ყოფილ საავადმყოფოში ცხოვრება, ამაზე ხმამაღლა აღარ ლაპარაკობენ.

მძიმე მემკვიდრეობა

რაც შეეხება ყოფილ ხელმძღვანელს, აქაურ მედპერსონალს სასაყვედურო სხვაც ბევრი აქვს. მაშინ ხეჩინაშვილის გადაწყვეტილებებს ზურგს სამედიცინო სფეროში მიმდინარე პერმანენტული რეფორმა უმაგრებდა და ... მანაც უკლებლივ ყველა გაანთავისუფლა, ვინც 60 წელს იყო გადაცილებული: ექიმები, ექთნები, სანიტრები, ტექნიკური პერსონალი. როგორც ჩანს, 61 წლის გამოცდილ ფთიზიატრს ჭკუა აღარ მოეკითხება და ამავე ასაკის სანიტრებიც ვეღარ ასუფთავებენ ჩაბინძურებულ ტუალეტებსა. მოგვიანებით ჯერი ახალგაზრდებზე მიდგა. საავადმყოფოში ვერ ნახავთ ვერც ერთ ექიმს, ექთანს თუ სანიტარს, ხეჩინაშვილს რომ მისტიროდეს და ერთ მეტად დამაფიქრებელ განცხადებას არ აკეთებდეს: არასწორი საკადრო პოლიტიკისა თუ მენეჯმენტის გამო ფთიზიატრია, როგორც დარგი, საგრძნობლად დაზარალდა. იმასაც ამბობენ, რომ ფთიზიატრიის ალერგოლოგ კურატორს ტუბერკულოზის იმდენად ეშინოდა, სტაციონარს სათოფეზე არ ეკარებოდა. სამაგიეროდ, შენობაში, სადაც „წითელი ჯვრის" დახმარებით ბიოქიმიური ლაბორატორია დაბინავდა, საკუთარი ოფისი მოიწყო და ასე, შორიდან მართავდა ამ უმძიმეს დაავადებას. მოკლე დროში მდგომარეობის გაუმჯობესება არც ისე იოლია, სამაგიეროდ ადვილია უკვე არსებულის განადგურება. სამედიცინო პერსონალს რომ საშიშ და მძიმე პირობებში უხდება მუშაობა, ეს არავის აინტერესებს. მათი ხელფასები 170-დან 200 ლარამდე მერყეობსა (ექთნებს - 110 ლ.), ისიც ხუთი დაწესებულების დიდი გაერთიანებისა და შტატების დიდი შემცირების ხარჯზე. ადვილი მისახვედრია, რატომაც აიცრუეს გული სტუდენტებმა ფთიზიატრიაზე. ამას დაუმატეთ პაციენტების სოციალურ მდგომარეობა – ეს ის შემთხვევაა, როცა პატივისცემის ნიშნად ერთ ფილა შოკოლადსაც აღარავინ მოგართმევს.

ქართული ჰოსპისი

ტუბერკულოზის მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია და 6-8 თვე მაინც სჭირდება. მძიმე ფორმის შემთხვევაში, როცა საქმე გართულებულ ფორმასთან გვაქვს, ავადმყოფს ზოგჯერ მთელი ცხოვრება უხდება სტაციონარში ყოფნა. ვიღაცას ეს ესმის, ვიღაცას – არა, რაც, სამწუხაროდ, სავალალო შედეგით მთავრდება. ჩვენი კანონმდებლობა იძულებით მკურნალობას არ ითვალისწინებს, მაგრამ რომც ითვალისწინებდეს, რა სინდიდსით უნდა მოსთხოვო ადამიანს ამ პირობებში გაჩერება? ამიტომ, ვინც შედარებით წელგამართულია, მაშინაც კი, როცა ამბულატორული მკურნალობა დაუშვებელია, სხვა პროფილის საავადმყოფოში წვება (რაც დაუშვებელია) ან სახლში მკურნალობს და ახლობლების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ვინც გაჭირვებულია, ის ხუდადოვზე ხვდება. მეტიც, ხშირად იმაზე მეტ

ხანს რჩება საავადმყოფოში, ვიდრე საჭიროა. ისინი სახლებში სამჯერად კვებასაც (თუნდაც ცუდად კვებას) ვერ ახერხებენ. შედეგი სავალალოა: 110 კაცზე გათვლილ საავადმყოფოში 180 პაციენტი წევს, ისიც აივნების ხარჯზე. კიდევ ბევრი გამოთავისუფლებულ საწოლებს გარეთ ელოდება. არადა, ყოფილი სტაციონარი 600 საწოლზე იყო გათვლილი. ისინი კი არ მიდიან - ან წასასვლელი არა აქვთ, ან ახლობლებს უფრთხილდებიან და მძიმე პირობებით გაბოროტებულები საავადმყოფოს შინაგანაწესს უხეშად არღვევენ. ამ პირობებში შინაგანაწესზე ლაპარაკი იქნებ უხერხულიც კია, მაგრამ პაციენტმა რომ არ უნდა დალიოს, მოწიოს და დებოში ატეხოს, ეს ანბანური ჭეშმარიტება აქაური პაციენტების დიდ ნაწილს არ ესმის. სამაგიეროდ, ბევრს ეწევიან აქაური ექიმები, მეტადრე ქალები და აღშფოთებას ვერ ფარავენ. ექიმები ორმაგად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. ერთის მხრივ, ავადმყოფებისაგან ითმენენ სრულიად დაუმსახურებელ შეურაცხყოფას, მათ შორის ფიზიკურსაც, მეორეს მხრივ კი, სახელმწიფოსგან ელიან სათანადო ზომების გატარებას. სხვათა შორის, აქაური ექიმები გაიფიცნენ კიდეც, თუმცა მედიკოსების პროტესტს ჯერჯერობით თვალშისაცემი შედეგი არ მოჰყოლია.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების შემთხვევაში. მათ მკურნალობას სულ მცირე 24 თვე სჭირდება, აქედან ნახევარი სტაციონარში უნდა გაატარონ. საავადმყოფოში ვერ ხერხდება ავადმყოფების იზოლირება. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ვინც ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმით არის დაავადებული, სხვასაც ასევე რეზისტენტულ ტუბერკულოზს გადადებს. ჰოსპისის ტიპის სამედიცინო დაწესებულება, სადაც ავადმყოფი ხანგრძლივად ან სამუდამოდ დარჩება, ოფიციალურად საქართველოში არ არსებობს, არაოფიციალურად კი, სწორედ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი ითავსებს ამ ფუნქციას, ოღონდ საქმე არა კეთილმოწყობილ, არამედ გაპარტახებულ ჰოსპისთან გვაქვს. საავადმყოფოში ისე შეხვალ, კაცი არ გაგაჩერებს და შესაძლოა, მომაკვდავი პაციენტის პალატაშიც ამოყო თავი. რა პრობლემებს უქმნის მუდმივი უწყლობა და უდენობა საავადმყოფოს, ესეც ადვილი მისახვედრია. აქა-იქ სველი ტუალეტების შეკეთება ახლაღა მოხერხდა. პაციენტები იმედოვნებენ, კარგად თუ მოიქცევიან, საშხაპეში წყლის გამაცხელებელსაც ჩართავენ. შემოუღობავ ტერიტორიაზე, სადაც საავადმყოფოს ნარჩენებს მრავლად წააწყდებით, თავისუფლად შედიან ბავშვები. აქაურობა კარგად რომ აღწერო, ეგნატე ნინოშვილის ნიჭით უნდა იყო დაჯილდოვებული.

სტატისტიკური მონაცემებით ტუბერკულოზით დაავადებულთა ოჯახის წევრების დაახლოებით 30 პროცენტი ავადდება. რადგან ამათი ოჯახი აქ არის და დროის დიდ მონაკვეთს სამედიცინო პერსონალთან ატარებენ, ექიმების ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ექმნება. მარტო 2002 წელს მედპერსონალის ინფიცირების 10 შემთხვევა აღინიშნა. ჩემი მეგზურიც, ახალგაზრდა ექთანი, მშვიდად მიყვება, რომ ცოტა ხნის წინ მასაც აღმოაჩნდა ტუბერკულოზის ნიშნები. ამიტომ ვურჩევდი ჩემს კოლეგებს, სანამ ყველაფერს ექიმებს გადააბრალებენ, იქნებ ერთი-ორი სიტყვა აქ მომუშავე პერსონალის დასაცავადაც დასცდეთ და პასუხიც სამედიცინო

სფეროში დასაქმებულ ყოფილ თუ დღევანდელ ჩინოვნიკებს მოსთხოვონ.

ჯადოსნური მთა

ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კასტორფი ნათესავის მოსანახულებლად მთაში, ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიუმში მიდის. იქაურობა ისე მოეწონება, დარჩენას გადაწყვეტს და საბოლოოდ მასაც ჭლექი ემართება. ეს თომას მანის „ჯადოსნური მთის" სიუჟეტია. ხუდადოვიც ერთგვარი მოჯადოებული მთაა, ოღონდ აქ სიკვდილ-სიცოცხლეზე ფილოსოფიურად არ მსჯელობენ. იქ, ზემოთ, ცხოვრების ამაოებაზე ფიქრი სიდუხჭირით იწყება და სიდუხჭირითვე მთავრდება.

31 წლის დათო ჭიღლაძე ერთი მათგანია, ვინც ჟურნალისტებთან ურთიერთობას არ გაურბის. ის დღეს შიმშილობს და ექიმებს უყურადღებობაში ადანაშაულებს. მას არ აინტერესებს, რატომ არ მკურნალობენ საჭირო მედიკამენტებით, არც საავადმყოფოს შინაგანაწესს დაგიდევთ. მისი ახლობელი – და არა მომვლელი, საავადმყოფოში ღამითაც რჩებოდა. ისიც ინფიცირებული აღმოჩნდა და ახლა უკვე პაციენტის სტატუსით იმყოფება შეჩვეულ გარემოში. მშობლები არ აკითხავენ, როგორც თავად ამბობს – მისი დაჟინებული თხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის გაწერილია, დათო აქედან წასვლას არ აპირებს.

ახლობლები სხვებსაც იშვიათად აკითხავენ. აქვე წევს მამა-შვილი. მამა – 80 წელს მიტანებული მოხუცია. როგორც ექიმები ირწმუნებიან, იგი უკვე განიკურნა, მაგრამ სახლში ვერც ის მიდის. შვილი რეზისტენტული ფორმითაა დაავადებული და სახლში წასვლის სურვილი საერთოდაც დაეკარგა. სხვებისაგან განსხვავებით ამ პატარა ოჯახს კარგად აქვს გაცნობიერებული, რა საშიშროების წინაშე დგას და გამოსავალს არა ექიმების შეურაცხყოფაში, არამედ პირობების გაუმჯობესებაში ხედავს. შინ არც მამა-შვილს მიეჩქარება.

ახალგაზრდა მამაკაცს ერთი წლის შვილი დაუავადდა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ავადმყოფობა მამამ გადასდო. შვილი გაწერეს, მამა მკურნალობას აგრძელებს. დროდადრო აკითხავს მოხუცი დედა, ისიც იმ შემთხვევაში, როცა გზის ფულს იშოვნის. სახლში წასვლაზე ჯერჯერობით ისიც არ ფიქრობს.

პაციენტების დიდმა ნაწილმა, მხოლოდ ის იცის, რომ ჭლექი გადამდებია და ოჯახის წევრებს უნდა მოერიდონ. მკურნალობა რეჟიმის დაცვასაც რომ გულისხმობს, ამის გაგება არ სურთ. ამ მხრივ ქართველ პაციენტებთან გაცილებით რთულადაა საქმე. მრავალ ქვეყანაში აპრობირებული სტრატეგია (DOTS) ტუბერკულოზთან გასამკლავებლად, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ეტაპს მოიცავს, ჩვენთან ძნელი განსახორციელებელია. ამ მხრივ რეგიონებში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა. სიმპტომატურია, რომ ციხეებში, სადაც იძულების მექანიზმი უკეთ მოქმედებს, ტუბერკულოზს გაცილებით ეფექტურად ებრძვიან, ვიდრე გარეთ. არადა, ამ პროგრამის ამოქმედება იმადაცაა აუცილებელი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, უპირველესად კი „მწვანე შუქის კომიტეტმა" მწვანე შუქი აგვინთოს და რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა საქართველოშიც დანერგოს. მანამდე კი II რიგის წამლები ოფიციალურად გაყიდვითაც არ გაიყიდება, „შავ ბაზარზე" კი, საკმაოდ მაღალი ფასების მიუხედავად (სრული კურსი საშუალოდ 15 000 დოლარი ჯდება), ხშირად ფალსიფიცირებული წამალი

ხვდება. გლობალური ფონდის პროგრამაში 2007 წლიდან II რიგის ძვირადღირებული მედიკამენტების შემოტანაა გათვალისწინებული. ასევე ნავარაუდევია მაისიდან ახალი სტაციონარის აშენება და ამჟამად არსებულის კეთილმოწყობილ ჰოსპისად გადაკეთება. მანამდე კი გაუმართავი სლოგანი - „ტუბერკულოზი განკურნებადია" - ცოტა არ იყოს, ცინიკურად ჟღერს და ექიმებისძალისხმევას მთლიანად ფარავს ის მძიმე პირობები, რომელიც დღეს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრშია შექმნილი.

* * *

უკვე კარგად ნაცნობ ქირონს 40 თეთრად საქართველოს სხვადასვა კუთხიდან პაციენტები ხუდადოვზე აჰყავს. სტიქსის წყლებს ვიწრო ქუჩები ცვლის, ჰადესის უკუნეთს საავადმყოფოს პალატები აფერმკრთალებს.... ნუ შეშინდებით - ტუბერკულოზი განკურნებადია!

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: „მივედი, ვნახე, დავიჯერე".

სტატიის ავტორი - სოფო თოდუა - საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერი.

სტატია გამოქვეყნდა გაზეთში „24 საათი".

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 5 მარტი, 2005 წელი

სტატია ვრცლად აღწერს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრში არსებულ მდგომარეობას, პრობლემებსმ რომლებიც დაავადებულებს და ექიმებს ეხება; ასევე, პირობებს, რომელშიც მათ უწევთ მკურნალობა და მუშაობა. სოფიო თოდუას მასალა 5 ნაწილისაგან შედგება.

პირველ ნაწილში - „ოფიციალური ვერსია" - ავტორი გვაწვდის ინფორმაციას ტუბერკულოზით დაავადებულთა სტატისტიკის შესახებ და რამდენად გაიზარდა მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში. აგრეთვე, ავტორი ასახელებს ზუსტ თანხას, რასაც სახელმწიფო და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია გამოყოფენ ტუბერკულოზის ცენტრის დასახმარებლად. ავტორი ხსნის დაავადების ნიშან-თვისებებს და მკითხველს, ექიმების ინფორმაციაზე დაყრდნობით, აწვდის ინფორმაციას, რომ ტუბერკულოზის ორი ძირითადი ფორმა არსებობს: განკურნებადი და განუკურნებელი. "24 საათის" ჟურნალისტი პირველი თავის ბოლოს იმ მედიკამენტებზეც საუბრობს, რომლებიც დაავადებულებს სჭირდებათ და იმ აუცილებელ მოთხოვნებზე, რომლებიც უნდა იქნას დაცული მკურნალობისას.

მეორე ნაწილში - „მიწისძვრამდე და მიწისძვრის შემდეგ" - მოთხრობილია იმ შენობა-ნაგებობაზე, რომლებიც საბჭოთა პერიოდში აშენდა და სადაც განთავსებული იყო სტაციონარი. რვასართულიანი შენობა, ნაწილობრივ, აკმაყოფილებდა სტანდარტებს. შენობა

მიწისძვრის შემდეგ დაზიანდა და პაციენტების ისევ ძველ შენობაში გადაყვანა გახდა საჭირო. მასალაში ვრცლად არის მოთხრობილი ის გაუსაძლისი პირობები, რომლებიც ამჟამინდელ სტაციონარშია. ყოფილ შენობაში დევნილები შესახლდნენ და იქ ერთოთახიანი ბინის (ანუ პალატის) ფასი ათასიდან ორი ათას დოლარამდე მერყეობს.

სტატიის მესამე ნაწილში - „მძიმე მემკვიდრეობა" - ავტორი ფთიზიატრიის ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის ხეჩინაშვილის მიერ განხორციელებულ არასწორ მენეჯმენტსა თუ საკადრო პოლიტიკაზე საუბრობს, რომელმაც, მისი თქმით, ფთიზიატრია - როგორც დარგი - დააზარალა. სოფო თოდუა ცენტრში დარჩენილი ექიმებისა და ექთნების ხელფასების ზუსტ ოდენობასაც ასახელებს (170-დან 200 ლარამდე. ექთნებს კი 110 ლარი).

მასალის მეოთხე ნაწილში - „ქართული ჰოსპისი" - ავტორი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრში არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ვრცლად აღწერს. მისი თქმით, 110 პაციენტზე გათვლილი საავადმყოში 180 დავადებულია. ექიმებს პაციენტებზე არანაკლებ მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა და ყოფილა შემთხვევები, როდესაც ექიმი პაციენტისგან ინფიცირდება.

სტატიის უკანასკნელ ნაწილში - „ჯადოსნური მთა" - ავტორი რამდენიმე კონკრეტულ ისტორიას ყვება. პაციენტი დათო ჭილაძე, ჟურნალისტის თქმით, ერთადერთია, ვინც ღიად საუბრობს პრესასთან პრობლემებზე. სოფო თოდუა კიდევ რამდენიმე ამბავს მოუთხრობს მკითხველს - როგორ არიან მიტოვებული პაციენტები. ისინიც კი, ვისაც მომვლელი ჰყავდა, ამ საავადმყოფოში დარჩნენ, რადგან მათი ახლობლებიც (მშობელი, ბებია ან ბაბუა) ტუბერკულოზით დაავადდნენ. ბოლოს სტატიაში დასახელებულია მედიკამენტები, რომლებიც შავ ბაზარზე ძვირად იყიდება და, ამავდროულად, ხშირად წამლები ფალსიფიცირებულია.

სტატია ამ სიტყვებით სრულდება: „უკვე კარგად ნაცნობ ქირონს 40 თეთრად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან პაციენტები ხუდადოვზე აჰყავს. სტიქსის წყლებს უკვე ნაცნობი ქუჩები ცვლის, ჰადესის უკუნეთს საავადმყოფოს პალატები აფერმკრთალებს... ნუ შეშინდებით - ტუბერკულოზი განკურნებადია! "

## აღწერითი ნაწილი

სტატიის ავტორი

მონიტორის ყველა კითხვა დაკავშირებულია წყაროსთან. მაშინ, როდესაც ჟურნალისტი საუბრობს ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე, მკითხველის მეტი ნდობის მოსაპოვებლად აუცილებელია წყაროს მითითება. ავტორმა ეთიკის ქარტიის საბჭოს თავად მიაწოდა სტატია განსახილველად. ის სრულ მზადყოფნას გამოთქვამს მონიტორთან

თანამშრომლობაზეც. მასალა დაახლოებით 4-5 წლის წინ არის მომზადებული და ის მთლიანად ეყრდნობა ჟურნალისტის მიერ საკუთარი თვალით ნანახს, ექიმის მიერ ნაამბობს და ჯანდაცვის სამინისტროდან მიღებულ ინფორმაციას. იქიდან გამომდინარე, რომ მასალის მომზადებიდან დღემდე 4-5 წელიწადია გასული, ზოგიერთ დეტალს ჟურნალისტი ვერ იხსენებს. მაშინ, როდესაც ავტორი ტუბეკულოზის ნიშან-თვისებებს აღწერს, ეს ინფორმაცია ექიმთან კონსულტაციის შედეგად არის მომზადებული. ჟურნალისტმა თავად შეისწავლა სამკურნალო დაწესებულების მძიმე მდგომარეობა, იქ არსებული პირობები და ეს ინფორმაცია მიაწოდა მკითხველს. რაც შეეხება რვასართულიან, შედარებით ახალ შენობას, სადაც პაციენტები აღარ იმყოფებიან და მხოლოდ დევნილები არიან განთავსებულნი, ამის შესახებ სოფო თოდუა აცხადებს, რომ დოკუმენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რამდენადაც ახსოვს, საჯარო რეესტრიდან მიიღო, დანარჩენი კი ექიმებისგან. ჟურნალისტი რამდენჯერმე იყო მისული ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრში და ექიმებთან, ექთნებთან, დაავადებულებთან და მათ მომვლელებთან საუბრის შემდეგ, ასევე საკუთარი თვალით ნანახისა და დაკვირვების შედეგად, ვრცელი მასალა მოამზადა.

დაზარალებული მხარე

სოფო თოდუა აცხადებს, რომ სტატიის ფინალში ტუბერკულოზის ცენტრს მოიხსენიებს, როგორც „ჰადესს" და მიიჩნევს, რომ ეს მისი ყველაზე დიდი შეცდომა, ადამიანის სიცოცხლის უფლების შელახვა იყო. ამასთან დაკავშირებით, სტატიის გამოქვეყნებიდან ერთ წელიწადში, სატელევიზიო მედიაში გასული, დაავადებული ადამიანის უფლების შემლახველი სიუჟეტის ნახვის შემდეგ, სოფო თოდუა აქვეყნებს წერილს, სადაც მის კოლეგას აკრიტიკებს და თავად ბოდიშს იხდის. ნაწყვეტი სტატიიდან: "შეცდომებს ყველა უშვებს, მაგრამ ადრე თუ გვიან ჩადენილ შეცდომებზე პასუხის გაცემა ყველას უწევს, მათ შორის, ჟურნალისტებსაც. გამონაკლისი არც მე ვარ. რასაც ახლა ვიტყვი, არც გმირობა მგონია და კეკლუცობასაც არ ვაპირებ. ბოდიშსაც დაგვიანებულად იმიტომ ვიხდი, რომ საკუთარ რეპუტაციას ვუფრთხილდები და მკითხველის დაკარგვა ჩემს პროფესიაზე უარის თქმას ნიშნავს. შარშან ტუბერკულოზზე წერილს ვამზადებდი. არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯზე მეტად არასასიამოვნო ფაქტებს ვაწყდებოდი. ბუნებრივია, ამან ჩემზეც იმოქმედა და ჩემდა უნებურად ისედაც გამწარებული ადამიანების ყოფა კიდევ უფრო დავამძიმე. წერილს ასე ვამთავრებდი: „უკვე კარგად ნაცნობ ქირონს 40 თეთრად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან პაციენტები ხუდადოვზე აჰყავს. სტიქსის წყლებს უკვე ნაცნობი ქუჩები ცვლის, ჰადესის უკუნეთს საავადმყოფოს პალატები აფერმკრთალებს..."

მითიურ ქირონში სამარშრუტო ტაქსის მძღოლი ვიგულისხმე. მაშინ ერთი წუთითაც არ მიფიქრია, როდესაც ჟურნალისტი საავადმყოფოს ჰადესს, ანუ საიქიოს ადარებს, ეს ჟურნალისტი იქ მყოფ პაციენტებს გამოჯანმრთელების შანსს აღარ უტოვებს''.

მონიტორი

გაზეთი „24 საათის'' ჟურნალისტი სოფო თოდუა, მონიტორის დახმარების გარეშე აღიარებს, რომ უნებლიეთ, მორალური ზიანი მიაყენა ტუბერკულოზის ცენტრში მყოფ პაციენტებს და მათი გამოჯანმრთელება, სიცოცხლის უფლება ეჭვქვეშ დააყენა. იქიდან გამომდინარე, რომ ჟურნალისტს საკუთარი სიტყვების ნაწილი თავად აქვს გასაჩივრებული (იგულისხმება - სიტყვა „ჰადესის'' უადგილო ხმარება), მონიტორის კითხვები ძირითადად შეეხებოდა სხვადსხვა ფაქტს, რომელიც არ იყო სტატიაში წყაროთი დამოწმებული. აქედან გამომდინარე, მონიტორის კითხვები იყო: ,,როდესაც დაავადების დეტალებზე საუბრობთ, რატომ არ იმოწმებთ პროფესიონალს, მკითხველის მეტი სანდოობის მოსაპოვებლად?'', ''როდესაც შენობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ცენტრის არასწორი პოლიტიკის თუ მენეჯმენტის საკითხებზე საუბრობთ, რატომ არ ასახელებთ კვალიფიციურ წყაროს?''

**კითხვები:**

1. რატომ არ არის დასახელებული წყარო ინფორმაციის მიწოდებისას, მით უფრო, თუკი ეს წყარო არსებობს?
2. რას ეყრდნობა ჟურნალისტი, როდესაც დაავადებაზე საუბრობს?

**საგაზეთო მასალა № 16**

## ტყეს კარი არა აქვს

დეპუტატობის კანდიდატის როლი თხილნარის ტყის უნებართვო ჩეხვაში

სოფელი თხილნარი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ჭოროხის შესართავთან ახლოს, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მისი ყველაზე დიდი ღირსშესანიშნაობა საოცრად ლამაზი და ერთ დროს დაბურული ტყე და ჩანჩქერებით ცნობილი მდინარეა. ამის გამო, სოფელს ტურიზმის განვითარების საუკეთესო პერსპექტივა აქვს. თუმცა ბოლო დროს ეს პერსპექტივა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

თხილნარში დილის ათის ნახევარზე ავედი. ჩემი მეგზურობა ბიძინა დუმბაძემ იკისრა. იგი ზედა თხილნარში, ტყესთან ახლოს, ცხოვრობს. ამჟამად ტყეში შესვლა აკრძალულია და ერთადერთი გზა რამდენიმე მავთულხლართით არის გადაკეტილი. გზად ბიძინას მეზობელი დაგვემგზავრა, რომელიც ტყეში სოკოს (ახლა ხის სოკოს სეზონია) მოსაკრეფად მიდიოდა. დავითი (სახელი პირობითია) ენაწყლიანი და ტყის კარგი მცოდნე აღმოჩნდა, მაგრამ როცა გაიგო ჟურნალისტი ვიყავი, არ ესიამოვნა: „ახლა ეს ყველაფერი თუ დაწერე, მერე კომისიას შემოაგზავნიან. ტყეში კიდევ კარგა ხანს არ შემოგვიშვებენ, რითაც გლეხობა დავზარალდებით".

საბჭოთა კავშირის დროს თხილნარის ტყე დახურული ზონა იყო. სოფლიდან ასეულ მეტრში სამხედრო საგუშაგო იდგა, სადაც შესვლა მხოლოდ სამხედრო პირებს საშვით შეეძლოთ: „აი, მაშინ კი იყო ეს ტყე დიდებული. აქ შემოსვლას არაფერი სჯობდა. საუკუნოვანი წიფლები ულამაზესი სანახავი იყო. რუსები რომ წავიდნენ, ტყეს ერთხანს აკონტროლებდნენ, ახლა აღარ", - დანანებით ამბობს დავითი.

გეზი ხოფშეს საგუშაგოს მიმართულებით, სეფერას ქედისკენ ავიღეთ, საიდანაც ბოლოყოს საგუშაგოსკენ გადავინაცვლებდით. ტყეში მანქანის შეყვანა აკრძალულია, ფეხით კი ათეულობით კილომეტრი უნდა იარო, ამიტომ გზას ვამოკლებთ.

ტყის ქვედა ზოლში წიფლის ხეების ნახვა თითქმის შეუძლებელია. ძირითადად, თხმელისა და წაბლის ხეებია. წაბლს ბოლო წლებში უკურნებელი დაავადება გაუჩნდა. ამიტომაც მათი უმეტესობა ან გამხმარია, ან ნახევრად გამხმარი. სპეციალისტების მტკიცებით, დაავადებული ხეები სასწრაფოდ უნდა მოიჭრას და ტყიდან იქნას გამოტანილი, რაც ქართული კანონმდებლობით არ შეიძლება: წაბლი წითელ წიგნშია შეტანილი და მისი ნებისმიერი სახით ჭრა სასტიკად იკრძალება. მიუხედავად ამისა, ტყე ძალზე გამეჩხერებულია, ნორჩი ხეები იშვიათია და ადგილი მაყვლის გაუვალ ბარდნარს უკავია. როგორც მეგზურები მეუბნებიან, ტყეში საქონელი თხილნარელებს არ შეჰყავთ, რადგან დათვი და მგელია მოძალებული. „ბარდნარი ნერგებს ახრჩობს, ამიტომ რამდენიმე წლის წინ აქ სახელმწიფომ ტყის ხელოვნური გაშენება გადაწყვიტა. მერე პროექტი შეჩერდა", - ამბობს ბიძინა.

მართლაც, ტყის ერთ ნაწილში ღობის ფრაგმენტებს წავაწყდით. ღობე მხოლოდ გზის პირას, თვალის დასანახ ადგილზეა. სარებად ნაძვის ნაკლებად გამძლე ხეებია გამოყენებული: „აქაურობა ტყეს მიაქვს. ამდენი წაბლია

მოჭრილი და სარებად გამოსადეგი ტოტებიც ტყუილად ლპება. ამათ კი შუახევიდან და ხულოდან ჩამოიტანეს სარები, რომ ფული ბლომად გაეწერათ", - ამბობს დავითი.

სეფერას ზედა ნაწილში წიფლნარი იწყება. გზის პირზე ხეების უმეტესობა მოჭრილია. მოჭრილ ხეებს სპეციალური ნომრები აწერია: „ეს ხეები ერთი-ორი წლის წინაა მოჭრილი. სამზე მეტი წლის კუნძები უკვე აღარ ფიქსირდება. მათ ბარდი უვლის და მალე ლპება", - გვიხსნის დავითი. მისი თქმით, „რახან ტყე ძირითადად გაიჩეხა, მცირე ზომის ხეებსაც ჭრიან. აქ მეტყევეები ცდილობენ, უკანონობა კანონში მოიყვანონ, ამიტომაც მოჭრილ ხეებს შემდეგ ნომრავენ. კანონით 50 სმ დიამეტრზე ნაკლები ხის მოჭრა აკრძალულია, ამიტომაც ციფრები ხელოვნურად გაბერილია, თუმცა რომ გავზომოთ, მოჭრილი ხეების დიამეტრი გაცილებით ნაკლებია".

რაც უფრო ზემოთ ავდივართ, მეტყევეების შტამპებიც იშვიათდება, ხოლო პირწმინდად გაჭრილი ხეების რაოდენობა სულ უფრო მატულობს. წყაროებთან ვისვენებთ. თხილნარელები ამბობენ, რომ ამ წყლების დალევა უნდა მოასწრო, რადგან თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა ხეების ჭრა, მალე ისინი აღარ იქნება. აღარ იქნება თხილნარის ცნობილი ღელეც თავისი ჩანჩქერებით და ზევრს ოხრად დაურჩება ახლად გაკეთებული საკალმახეები. ასეთ ნეგატიურ ფონზე გადავედით ბოლოყოს მიმართულებით, სადაც ტყის რამდენიმე უბანზე გზები ჩახერგილია. ხელუხლებელი, უსიერი ტყის ნახვას მართლაც არაფერი სჯობს, მაგრამ ამასობაში მოსაღამოვდა და იძულებული გავხდით, დაბლა დავშვებულიყავით.

### გატყევების პროგრამა

თხილნარის ტყეში მდგომარეობის აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ მიზნობრივი პროგრამა შეიმუშავა. 2006 წლის აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში თხილნარში „ტყის ბუნებრივი ხელშეწყობის მიზნით 106 ჰექტარი ფართობი აჩიჩქნეს. გაკეთდა 15 792 მეტრი სიგრძის ღობე და ამ საქმეში 106 384,16 ლარი დაიხარჯა". როგორც გარემოს დაცვის სამმართველოდან გვაცნობეს, სამუშაოების შესასრულებლად ტენდერი მოიგო ორგანიზაციამ – „ადამიანი და გარემო". სამმართველოს ინფორმაციით, შემდგომ წლებში ორგანიზაციას ამ ტერიტორიაზე კვლავ უნდა განეხორციელებინა სამუშაოები, რომელიც არ შესრულდა.

2008 წლის მიზნობრივი პროგრამების ჩამონათვალში წერია, რომ „მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული და ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაოები არ განხორციელებულა, რის გამოც საქმე სასამართლოს გადაეცა".

მომდევნო 2009 წლის ჩამონათვალში კი წერია, რომ ამ პროგრამის შეუსრულებლობის გამო, „სასამართლოს გადაწყვეტილებით, მომწოდებლებს დაეკისრა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება". თუმცა თხილნარელებს ტყეში არავინ უნახავთ და არც ტერიტორიას ატყვია სამუშაოების კვალი. როგორც ბიძინა და დავითი ყვებიან, 3-4 წლის წინ აქ მართლაც გადაჩიჩქნეს გარკვეული ფართობი, მაგრამ მეტი არაფერი გაკეთებულა.

### თხილნარის ტყის უკანონო ჩეხვა

ხე-ტყის უკანონოდ ჭრის ფაქტები რამდენჯერმე აღემატება დაფიქსირებულ

ფაქტებს, თუმცა ოფიციალური ინფორმაციაც საგანგაშოა. სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსის ყოფილი მოადგილე, ედნარ მიქელაძე, აცხადებს, რომ უკანონო ჭრის გამოვლენას ხელისუფლებისგან რეაგირება არ მოჰყოლია. მიქელაძის თქმით, 2007 წლის ივნისში, აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სამუშაო კომისია, რომელსაც თხილნარის სატყეო უბანზე არსებული მდგომარეობა უნდა შეესწავლა. კომისიის ხელმძღვანელობა ედნარ მიქელაძეს დაავალეს.

ერთ-ერთი შემოწმების შედეგად, თხილნარის უბანზე უკანონოდ მოჭრილი 170 მ3 ხე-ტყე აღმოჩნდა. „სამმართველომ მასალები შემდგომი რეაგირებისთვის აჭარის ა/რ პროკურატურაში გადააგზავნა. სამმართველოს წარდგინებით თანამდებობიდან გაათავისუფლეს ექვსი პასუხისმგებელი პირი. განყოფილების უფროსის, გიორგი კავაზაშვილისა და მთავარი მეტყევის მიმართ გატარდა დისციპლინარული სასჯელები". კავაზაშვილი 30 მაისის არჩევნებში ბათუმის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია.

ამის შემდეგ ტყის დაცვის უშუალო კონტროლი, როგორც მიქელაძე აცხადებს, სწორედ მას დაევალა, თუმცა განყოფილების უფროსის (გ. კავაზაშვილის) მხრიდან ხელშეშლის გამო, იგი დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებდა. „ის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ინსპექტირება არ მოვახდინო. მიპირისპირებს თანამშრომლებს, თითქმის ყოველდღე გვაქვს საქმის გარჩევები. მან სამსახურში აღადგინა დანაშაულში მხილებული ექვსივე თანამშრომელი. ჩემზე ახდენს ზეწოლას, ცილისწამებითა და შანტაჟით ცდილობს სამსახურიდან გამათავისუფლოს" - ამ განცხადებით მიქელაძემ გარემოს დაცვის მინისტრს, აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს და პროკურატურას 2008 წლის 2 თებერვალს მიმართა. მიმართვაში წერია, რომ რიგ სატყეო უბნებზე უკანონო ჭრები მიმდინარეობს, რის გამოვლენის საშუალებასაც უშუალო ხელმძღვანელი – გიორგი კავაზაშვილი არ აძლევს.

განცხადების შეტანის შემდეგ, რამდენიმე დღეში, თავად ედნარ მიქელაძე სამსახურიდან დაითხოვეს მოტივით – სამსახურის ხშირად გაცდენა. მიქელაძემ სამსახურში აღდგენა როგორც ადმინისტრაციულ ორგანოების, ისე სასამართლოს მეშვეობით სცადა, მაგრამ ამაოდ.

თხილნარის უბანზე, ხე-ტყის უკანონოდ დამზადების მასიური ფაქტების გამო, სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსს, გიორგი კავაზაშვილს, რამდენჯერმე დაეკისრა დისციპლინარული სასჯელი. აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს გენერალური ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელის, მამუკა კაკალაძის თქმით, მისი მუშაობის პერიოდში კავაზაშვილს სამჯერ გამოუცხადეს საყვედური: აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2007 წლის 13 თებერვლის №01-04/16 ბრძანებით, 2007 წლის 19 ივნისს, №01-04/85 ბრძანებით და 07.02. 2008 წ №01-04/12 ბრძანებით.

კაკალაძის თქმით, კავაზაშვილის წინააღმდეგ მასალები რამდენჯერმე გადააგზავნეს პროკურატურაში, თუმცა, უჩინარი მფარველის გამო, საქმეს მსვლელობა არ მიეცა: „ჩემი მუშაობის პერიოდში (2008 წლის მაისამდე) გიორგი

კავაზაშვილის წინააღმდეგ აჭარის პროკურატურაში ორჯერ გადაიგზავნა საქმე. იქ არსებული მასალები საკმარისი იყო ჩვეულებრივი მოხელის დაპატიმრებისთვის. გაცილებით მცირე და უმნიშვნელო დარღვევისთვის დააპატიმრეს შუახევის სატყეო რესურსების ხელმძღვანელი გიორგი ქარცივაძე".

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან ბათუმელების კითხვაზე, შევიდა თუ არა კავაზაშვილის წინააღმდეგ განცხადებები სისხლის სამართლის საქმის აღძრის მოთხოვნით, გვიპასუხეს, რომ „კავაზაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის".

აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ, თემურ დავითაძემ კი „ბათუმელებს" აცნობა, რომ „სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების თხილნარის სატყეოში 2006-2009 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების მიერ გამოვლენილ იქნა შემდეგი მოცულობის უნებართვო ჭრა:

2006 წელი – სულ 53მ$^3$, მათ შორის მასალა –13მ$^3$, შეშა – 40მ$^3$;

2007 წელი – სულ 161 მ$^3$, მათ შორის მასალა – 21 მ$^3$, შეშა – 35 მ$^3$;

2008 წელი – სულ 56მ$^3$, მათ შორის მასლა – 13 მ$^3$, შეშა – 40 მ$^3$;

2009 წელი – სულ 319,41 მ$^3$, მათ შორის მასალა – 129,32 მ$^3$, შეშა – 190,09 მ$^3$;

მასალები გადაცემულია გარემოს დაცვის ინსპექციის აჭარის ბიუროში.

ამ სამსახურის ხელვაჩაურის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელის – გია კავაზაშვილის მუშაობის პერიოდში მისი მხრიდან არ გამოვლენილა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, შესაბამისად მის მიმართ სამართალდამცავ ორგანოებში არავითარი მასალები არ გადაგზავნილა".

გასწორება

გასწორება: გაზეთ „ბათუმელების" მე-19 ნომრის მე-10 გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში – „ტყეს კარი არა აქვს", დაშვებულია შეცდომა. სტატიაში ნახსენები მონაცემები: „თხილნარში, ტყის ბუნებრივი ხელშეწყობის მიზნით 106 ჰექტარი ფართობი აჩიჩქნეს. გაკეთდა 15 792 მეტრი სიგრძის ღობე და ამ საქმეში გაიხარჯა 106 384 ლარი", – არ არის ზუსტი.

ეს მონაცემები 2005-2010 წლებში აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ განხორციელებულ და განსახორციელებელ ღონისძიებებზე იყო გათვალისწინებული. კონკრეტულად თხილნარის უბანზე კი უნდა დამუშავებულიყო არა 106 ჰექტარი, არამედ 66 ჰექტარი და უნდა გაკეთებულიყო 3 000 მეტრი სიგრძის ღობე, რისთვისაც 42 426 ლარი გამოიყო.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: „ტყეს კარი არა აქვს".

ქვესათაური: „დეპუტატობის კანდიდატის როლი თხილნარის ტყის უნებართვო ჩეხვაში".

სტატიის ავტორი - ემზარ დიასამიძე – საქართველოს ჟურნალისტური

ეთიკის ქარტიის ხელმომწერია.

სტატია გამოქვეყნდა გაზეთში: „გაზეთი ბათუმელები“.

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 26 მაისი, 2010 წელი.

სტატია ეხება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის ტყეში არსებულ მდგომარეობას. ჟურნალისტი თავად მიდის სოფელში და აღწერს ტყეს. იგი ამბობს, რომ თხილნარის ტყის ქვედა ნაწილში გამხმარი ან ნახევრად გამხმარი წაბლია, რომელსაც „უკურნებელი დაავადება გაუჩნდა.“ ჟურნალისტის თქმით, დაავადებული ხეები სასწრაფოდაა მოსაჭრელი, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან წაბლი წითელ წიგნშია შეტანილი და მისი მოჭრა კანონით დაუშვებელია. იგი ასევე ამბობს, რომ ტყის ეს უბანი მაყვლის გაუვალ ბარდნარს უკავია. ჟურნალისტის მეგზურის, ბიძინა დუმბაძის თქმით, „ბარდნარი ნერგებს ახრჩობს, ამიტომ რამდენიმე წლის წინ აქ სახელმწიფომ ტყის ხელოვნური გაშენება გადაწყვიტა. მერე პროექტი შეჩერდა“. ჟურნალისტი მართლაც ხედავს ღობის ფრაგმენტებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ტყის ხელოვნური გაშენების უბნის საზღვარს ადგენს. მისი მეორე მეგზური ამბობს, რომ ღობის სარები შუახევიდან და ხულოდან ჩამოიტანეს, „რომ ფული ბლომად გაეწერათ“, მაშინ როდესაც იქვე, ტყეში ბევრია სარებად გამოსადეგი ტოტი. ჟურნალისტი არ აზუსტებს, ვინ ჩამოიტანა ხულოდან სარები და რატომ არ იყო გამოყენებული ადგილობრივი ტყის მასალა.

სტატიის შემდეგ ნაწილში ჟურნალისტი ამბობს, რომ თხილნარის ტყის მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად, სახელმწიფომ მიზნობრივი პროგრამა შეიმუშავა. ამ პროგრამის ფარგლებში 2006 წელს თხილნარში „ტყის ბუნებრივი ხელშეწყობის მიზნით 106 ჰექტარი ფართობი აჩიჩქნეს. გაკეთდა 15 792 მეტრი სიგრძის ღობე და ამ საქმეში 106 384, 16 ლარი დაიხარჯა“. გარემოს დაცვის სამმართველოს ცნობით, ტენდერი მოიგო ორგანიზაციამ „ადამიანი და გარემო“, მაგრამ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რისთვისაც მას სასამართლომ, უკვე 2009 წელს, ამ ვალდებულებების შესრულება კიდევ ერთხელ დააკისრა. სტატიაში არ არის წარმოდგენილი ამ ორგანიზაციის კომენტარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ, ჟურნალისტი ამბობს, რომ 2007 წლის ივნისში ტყის ამ უბანზე არსებული ვითარების შემსწავლელი კომისიის დასკვნის მიხედვით, აღნიშნულ უბანზე უკანონოდ მოჭრილი 170 კუბური მეტრი ხე-ტყე აღმოჩნდა. შემდეგ ჟურნალისტს მოჰყავს ციტატა, მაგრამ არ აზუსტებს ციტატის ავტორს – „სამმართველომ (აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო – ნ.დ.) მასალები შემდგომი რეაგირებისათვის აჭარის არ (ავტონომიური რესპუბლიკა – ნ.დ.) პროკურატურაში გადააგზავნა. სამმართველოს წარდგინებით, თანამდებობიდან გათავისუფლეს ექვსი პასუხისმგებელი პირი.

განყოფილების უფროსის, გიორგი კავაზაშვილისა და მთავარი მეტყევის მიმართ გატარდა დისციპლინარული სასჯელები". ჟურნალისტი აქვე აზუსტებს, რომ კავაზაშვილი 30 მაისის არჩევნებში ბათუმის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო. სტატიიდან ასევე ვიგებთ, რომ კავაზაშვილი სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსიც ყოფილა. მისი მოადგილის და, ამავე დროს, შექმნილი კომისიის ხელმძღვანელის, ედნარ მიქელაძის თქმით, სწორედ მისი უფროსი, კავაზაშვილი უშლიდა მას ხელს ტყის ინსპექტირებაში. მან, ასევე, სამსახურში აღადგინა დანაშაულში მხილებული ექვსივე თანამშრომელი. მიქელაძემ სასამართლოს მიმართა და აღნიშნა, რომ ტყეში უკანონო ჭრის გამოვლენაში მას ხელს კავაზაშვილი უშლის. ამის შედმდეგ, მიქელაძის თქმით, კავაზაშვილმა ის სამსახურიდან გაათავისუფლა. უკანასკნელმა სასამართლოს გზით ცადა სამსახურში აღდგენა, მაგრამ პროცესი წააგო.

ჟურნალისტის თქმით, „თხილნარის უბანზე ხე-ტყის უკანონოდ დამზადების მასიური ფაქტების გამო სატყეო რესურსების მართვის ხელვაჩაურის განყოფილების უფროსს, გიორგი კავაზაშვილს რამდენჯერმე დაეკისრა დისციპლინარული სასჯელი". ჟურნალისტი ასევე იმოწმებს აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს გენერალური ინსპექციის ყოფილ ხელმძღვანელს, მამუკა კალაძეს და ამბობს, რომ კავაზაშვილს სამჯერ გამოუცხადეს საყვედური, რაც მტკიცდება აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სამი ბრძანებით. კალაძის თქმით, კავაზაშვილის წინააღმდეგ მასალები აჭარის პროკურატურაში იყო გადაგზავნილი. თუმცა, გადამოწმების შემდეგ, ეს ინფორმაცია აღარ დასტურდება. სტატიის ბოლო ნაწილში საუბარია თხილნარის ტყის უბნებზე ოფიციალურად დაფიქსირებული უკანონო ჭრის მოცულობის შესახებ.

გაზეთის შემდეგ ნომერში კი დაიბეჭდა შესწორება, სადაც ვკითხულობთ, რომ აღნიშნულ სტატიაში დაშვებულია შეცდომა და თხილნარის უბანზე უნდა დამუშავებულიყო არა 106, არამედ 66 ჰექტარი და უნდა გაკეთებულიყო 3 000 მეტრი სიგრძის ღობე, რისთვისაც 42 426 ლარი გამოიყო.

## აღწერითი ნაწილი

სტატიის ავტორი

სტატიის ავტორის, ემზარ დიასამიძის თქმით, სტატიის წერისას, მისი მთავარი მოტივაცია ტყეში არსებული მდგომარეობის გარკვევა და აღწერა იყო. მონიტორის კითხვაზე, ცადა თუ არა მან დაკავშირება საკრებულოს ერთ-ერთ კანდიდატ გიორგი კავაზაშვილთან, რომლის

მიმართაც სტატიაში ბრალდებებია გამოთქმული, ჟურნალისტი პასუხობს, რომ მისი მიზანი არ იყო კავაზაშვილისათვის დარტყმის მიყენება. მან აღწერა ტყეში არსებული მდგომარეობა. "ამ პიროვნების მიმართ ბრალი არ გამოიკვეთა, ამიტომ აღარ ჩავთვალე საჭიროდ მასთან დაკავშირება". ის, რომ საქმე პროკურატურაში გადაიცა - არ დადასტურდა. ბრძანება კი დადასტურებული ფაქტი იყო და ეს კავაზაშვილს არ გაუსაჩივრებია. ჟურნალისტის თქმით, მან ფაქტები აღწერა და აღარ ჩათვალა საჭიროდ კავაზაშვილთან დაკავშირება. ჟურნალისტი ასევე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ის კავაზაშვილისაგან კომენტარს მაინც ვერ მიიღებდა. „რა მეთქვა, მიქელაძე რატომ გაათავისუფლე? მეტყოდა, რომ მიქელაძემ იჩივლა და ის არ გაამართლეს. სხვას რას მეტყოდა." – ამბობს ჟურნალისტი. მისი თქმით, კავაზაშვილი არ იყო მთავარი სტატიაში, არამედ მთავარი ეკოლოგიური პრობლემა იყო, რაც მან აღწერა კიდეც. თუმცა, მოგვიანებით, ჟურნალისტი ამბობს, რომ სტატიისათვის საბოლოო სახე მას არ მიუცია, რადგან ქალაქიდან გაემგზავრა და ეს მისმა კოლეგამ გააკეთა. ჟურნალისტი ამბობს, რომ სტატიაში გარემოს დაცვის სამმართველოს და, ასევე, კავაზაშვილის კომენტარი აუცილებლად უნდა ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ამის გაკეთების დრო და მისი საბოლოო პროდუქტის კონტროლის საშუალება არ ჰქონდა.

ჟურნალისტი ასევე ამბობს, რომ ის შეეცადა ტენდერში გამარჯვებული იმ კომპანიის წარმომადგენლების პოვნას, რომელმაც ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა, მაგრამ მითითებულ მისამართზე ეს კომპანია აღარ აღმოჩნდა. ჟურნალისტის თქმით, კომპანიის წარმომადგენლების მოქმედი ტელეფონის გაგებაც ვერ მოხერხდა.

მონიტორის კითხვაზე, რამ გამოიწვია ჟურნალისტის მიერ დაშვებული შეცდომა, რომელსაც შემდეგ ნომერში გასწორება მოჰყვა, ჟურნალისტი ამბობს, რომ გარემოს დაცვის სამმართველოს მიერ მოწოდებულ პროექტში ინფორმაცია გაურკვევლად ეწერა, წინადადებები არ იყო გამართული და ამიტომ მან ვერ გაიგო, ზუსტად როდის და რამდენი იყო გამოყოფილი აღნიშნული სატყეო უბნის აღსადგენად.

დაზარალებული მხარე

მონიტორის აზრით, სტატიის გამოქვეყნების შემდეგ დაზარალდა კავაზაშვილის რეპუტაცია. მონიტორმა მასთან ტელეფონით დაკავშირება ვერ შეძლო. ოფიციალური წერილით მონიტორს მისთვის არ მიუმართავს.

მონიტორი

მონიტორის კითხვები ჟურნალისტის მიმართ, ძირითადად, შეეხებოდა სტატიაში ბალანსის არარსებობის პრობლემას, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მკითხველს ხელი შეუშალოს სიმართლის გარკვევაში. მონიტორის აზრით, კარგი იქნებოდა, თუკი მკითხველს კავაზაშვილის

არგუმენტებიც ეცოდინებოდა, მით უფრო, რომ სტატიის ქვესათაურშია მინიშნება მის როლზე ტყის უნებართვო ჩეხვაში. მონიტორის აზრით, სტატიაში საუბარია არა მხოლოდ ფაქტებზე, არამედ, გამოითქმის ბრალდება საჯარო პირის მიმართ და მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ მას ბრალდებებზე პასუხის გაცემის საშუალება ჰქონოდა. მაგ. მკითხველს გაეგო თუნდაც ის, თუ რა მოტივაციით აღადგინა მან ტყის უკანონო ჭრის გამო სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლები. ასევე, საინტერესო იქნებოდა იმ მეტყევეთა აზრის გაგება, რომლებიც, ჟურნალისტის მეგზურის თქმით, ხელოვნურად ზრდიან მოჭრილი ხეების დიამეტრს, რომ ციფრები კანონით დასაშვებ ნორმას მიუსადაგონ.

**კითხვები:**

1. აუცილებელი იყო თუ არა დაკავშირება იმ ადამიანთან, ვის მიმართაც სტატიაში მთავარი ბრალდებებია გამოთქმული?
2. მართებულია თუ არა, რომ ჟურნალისტი ეყრდნობა წყაროების მიერ მოწოდებულ ციტატებს, როგორც ფაქტებს?
3. აუცილებელი იყო თუ არა წერილის გადადება მანამ, სანამ ჟურნალისტი მიიღებდა დაზუსტებულ საჭირო ინფორმაციას?
4. დასაშვებია თუ არა, ჟურნალისტმა წერილის დასრულება სთხოვოს კოლეგას და არ დაუტოვოს მას ინსტრუქტაჟი, ვისთან დაკავშირება და რა აუცილებელი ინფორმაციის მიღებაა საჭირო?

**საგაზეთო მასალა № 17**

## გაზეთ „გურია ნიუსის“ რედაქციას

მივესალმები გაზეთ „გურია ნიუსის” აუდიტორიას.

მინდა განმარტება გავაკეთო გაზეთ „გურია ნიუსში” გამოქვეყნებული ჩემი კომენტარის შესახებ. აპრილის ცნობილი მოვლენების შედეგად, რუსთაველის გამზირზე განთავსებულ ე/წ კარვების ქალაქში, სადაც ვიმყოფებოდი ჩემს მეგობრებთან ერთად, შემთხვევით შევხვდი ჟურნალისტ ნატო გოგელიას.

მეგობრულად მივესალმე, მოვიკითხეთ ერთმანეთი, რის შემდეგაც მან მთხოვა ჩემთვის სურათი გადაეღო, რაზედაც დავთანხმდი. მკითხა: „ბატონო ალექსანდრე, თქვენც აქ ბრძანდებით?“, რაზედაც ვუპასუხე, რომ „მეც აქ ვარ ჩემს მეგობრებთან ერთად”. ჩვენი შეხვედრა სულ გაგრძელდა დაახლოებით 3 წუთი და დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

სამწუხაროდ, გაზეთში ჩემი კომენტარი განვითარებული მოვლენების შესახებ, დაიბეჭდა არასწორად და მე არ მეკუთვნის. აღნიშნული კომენტარის შესახებ შევიტყვე ჩემი ოზურგეთელი მეგობრებისაგან, განცვიფრებული დავრჩი და დავუკავშირდი გაზეთის ხელმძღვანელობას, რომ ჩემი პოზიციის დასაცავად, ფაქტის უარყოფის გამოქვეყნების საშუალება მოეცათ.

კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ გაზეთში გასული კომენტარი 9 აპრილს განვითარებული მოვლენების შესახებ, მე არ მეკუთვნის და სამწუხაროდ, ჟურნალისტის მიერ უსაფუძვლოდ მომეწერა.

პატივისცემით, ალექსანდრე ყველაშვილი

რედაქციისგან: რუსთაველის პროსპექტიდან რეპორტაჟის მომზადებისას, ჟურნალისტების მიერ, გაკეთდა 50-ზე მეტი რესპონდენტის აუდიოჩანაწერი. ფორსმაჟორულ სიტუაციაში ჩაწერილი ამგვარი მოცულობის მასალების დამუშავებისას, იქმნება გარკვეული ტექნიკური სიძნელეები, რის გამოც, სავარაუდოდ, ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვები, სამწუხაროდ, მიეწერა ბატონ ალექსანდრეს.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

წერილის სათაური: „გაზეთ „გურია ნიუსის“ რედაქციას”

წერილს ხელს აწერს ალექსანდრე ყველაშვილი და ქვემოთ მიწერილი აქვს რედაქციის განმარტება.

გამოქვეყნებულია გაზეთში „გურია ნიუსი“.

გამოქვეყნების თარიღი: 14 აპრილი, 2009 წელი.

ალექსანდრე ყველაშვილი წერილით მიმართავს გაზეთ „გურია ნიუსის“ რედაქციასა და აუდიტორიას და განმარტავს, რომ აღნიშნულ გაზეთში მისი სახელით გამოქვეყნებული კომენტარი სინამდვილეში მას არ ეკუთვნის: „გაზეთში გასული კომენტარი 9 აპრილს განვითარებული მოვლენების შესახებ, მე არ მეკუთვნის და სამწუხაროდ, ჟურნალისტის

მიერ უსაფუძვლოდ მომეწერა," - აცხადებს ყველაშვილი წერილში. ამავე წერილიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე ყველაშვილი 2009 წლის აპრილის საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა და მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, რუსთაველის გამზირზე მოწყობილ კარვების ქალაქში. სწორედ იქ შეხვდა ის გაზეთ „გურია ნიუსის" ჟურნალისტს - ნატო გოგელიას, რომელმაც მოამზადა ვრცელი რეპორტაჟი და გამოაქვეყნა გაზეთ „გურია ნიუსში". აღნიშნულ რეპორტაჟში გავიდა ყველაშვილის კომენტარი, რომელიც მას სინამდვილეში არ მიუცია ჟურნალისტისთვის. ყველაშვილმა წარმოდგენილი წერილით მოითხოვა რედაქციის მხრიდან გამოქვეყნებული კომენტარის უარყოფა. რედაქციამ გამოაქვეყნა ყველაშვილის აღნიშნული წერილი და მინაწერში განმარტა, რომ ტექნიკური სიძნელეების გამო, „სავარაუდოდ, ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვები, სამწუხაროდ, მიეწერა ბატონ ალექსანდრეს."

## აღწერითი ნაწილი

ავტორი

წერილი წარმოადგენს გამოხმაურებას ჟურნალისტ ნატო გოგელიას მიერ მომზადებულ რეპორტაჟზე, უფრო სწორად, რეპორტაჟში დაფიქსირებულ უზუსტობაზე, მაგრამ აღნიშნული უზუსტობა, რედაქციის განმარტებით, გამოიწვია მასალის დამუშავებისას წარმოქმნილმა ტექნიკურმა სიძნელეებმა. შესაბამისად, მონიტორთან ითანამშრომლა გაზეთის რედაქტორმა გია სიხარულიძემ, რომელმაც ყველა დასმულ შეკითხვას უპასუხა. რედაქტორმა განმარტა, თუ რაში მდგომარეობდა „ტექნიკური სიძნელეების" არსი: „ყველაშვილის კომენტარი, რომლის სიზუსტის შესახებ მას პრეტენზია გაუჩნდა, გამოქვეყნდა ვრცელ რეპორტაჟში, რომელიც თბილისში აპრილის აქციების მიმდინარეობას აშუქებდა. ჟურნალისტმა ჩაწერა ასზე მეტი რესპონდენტი, რომლებსაც ერთმანეთის იდენტური მოსაზრებები ჰქონდათ. ყველაშვილის შემთხვევაში, ეგრეთ წოდებული "ტიხარი", რომელიც რესპონდენტების ვინაობის დადგენას ემსახურება, წანაცვლებით იქნა ჩაწერილი და, მასალის დამუშავებისას, მას სხვისი ნათქვამი ფრაზა მიეწერა. ამგვარი ტექნიკური შეცდომა, ჟურნალისტის 24-საათიან, მართლაც ფორსმაჟორულ მუშაობის რეჟიმში, შესაძლებელია. კიდევ ერთი დეტალი - ყველაშვილის მიერ ნათქვამი ფრაზა არსებითად არ განსხვავდებოდა შეცდომით მისთვის მიწერილი ფრაზისაგან."

დაზარალებული მხარე

დაზარალებულ მხარეს წარმოადგენს ალექსანდრე ყველაშვილი, რომლის კომენტარი გაზეთ „გურია ნიუსში" გამოქვეყნდა შეცდომით, რის გამოც მან წარმოდგენილი წერილით მიმართა გაზეთ „გურია ნიუსის" რედაქციას და განმარტა საქმის არსი. „შემთხვევით შევხვდი

ჟურნალისტ ნატო გოგელიას. მეგობრულად მივესალმე, მოვიკითხეთ ერთმანეთი, რის შემდეგაც მან მთხოვა ჩემთვის სურათი გადაეღო, რაზედაც დავთანხმდი. მკითხა: „ბატონო ალექსანდრე, თქვენც აქ ბრძანდებით?“, რაზედაც ვუპასუხე, რომ „მეც აქ ვარ ჩემს მეგობრებთან ერთად“. ჩვენი შეხვედრა სულ გაგრძელდა დაახლოებით 3 წუთი და დავემშვიდობეთ ერთმანეთს. სამწუხაროდ, გაზეთში ჩემი კომენტარი განვითარებული მოვლენების შესახებ დაიბეჭდა არასწორად და მე არ მეკუთვნის,“ - ნათქვამია წერილში. ყველაშვილი წერილში მიუთითებს, რომ გაზეთში მისი სახელით გამოქვეყნებული კომენტარის თაობაზე ოზურგეთელი მეგობრებისგან შეიტყო: „განცვიფრებული დავრჩი და დავუკავშირდი გაზეთის ხელმძღვანელობას, რომ ჩემი პოზიციის დასაცავად, ფაქტის უარყოფის გამოქვეყნების საშუალება მოეცათ.“

მონიტორი

მონიტორი, პირველ რიგში, დაინტერესდა იმით, თუ რა იღონა გაზეთ „გურია ნიუსის“ რედაქციამ იმისათვის, რომ გაესწორებინა დაშვებული შეცდომა, როდესაც გამოქვეყნებულ სტატიაში ალექსანდრე ყველაშვილს მიეწერა ის, რაც მას სინამდვილეში არ უთქვამს. ასევე, მიეცა თუ არა ყველაშვილს საშუალება, რომ რედაქციას გამოექვეყნებინა ზუსტად ის კომენტარი, რაც მან გაზეთის ჟურნალისტს რეალურად მისცა. ამის გარდა, მონიტორმა რედაქციას მიმართა შეკითხვით, თუ რით იყო განპირობებული აღნიშნული შეცდომა.

**კითხვები:**

1. ყველაშვილმა გაზეთ „გურია ნიუსის“ რედაქციას მიმართა წერილით, რომ კომენტარი, რაც მისი სახელით დაიბეჭდა გაზეთში, სინამდვილეში მას არ ეკუთვნის, რაც დაადასტურა რედაქციამ მინაწერში, მაგრამ რა იღონა რედაქციამ, რომ აღნიშნული შეცდომა გაესწორებინა?
2. რატომ არ დაიბეჭდა გაზეთში ყველაშვილის ის კომენტარი, რაც მან სინამდვილეში მისცა ჟურნალისტ ნატო გოგელიას?

**საგაზეთო მასალა № 18**

## ოსურმა ოპოზიციამ მიტინგი ვერ ჩაატარა

სომხებმა კი მოსკოვში ანტიქართული აქცია გამართეს

გასულ უქმეებზე ცხინვალში დიდ არეულობას წინასწარმეტყველებდნენ. შაბათს ოსური ოპოზიცია და მოსახლეობის ნაწილი ვაგზლის მოედანზე მიტინგის ჩატარებას აპირებდა. მიტინგის ჩატარებაზე ნებართვის მისაღებად მათ საგანგებოდ მიმართეს ცხინვალის მერიას.

ცხინვალის მერიის მაგივრად მათ პასუხი ადგილობროვმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასცა. სამხრეთ ოსეთის შსს-მ საგანგებო განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამი იყო, რომ აქციის ჩატარებას ისინი არ დაუშვებდნენ. წესრიგის დამრღვევებს კი კანონის სრული სიმკაცრით გაუსწორდებოდნენ.

შსს-ს განცხადების შემდეგ განცხადებები ცხინვალის მერიამაც გააკეთა. ცხინვალის მერიის ცნობით, სამხრეთ ოსეთის კონსტიტუცია მიტინგის ჩატარებაზე ნებართვის გაცემას არ ითვალისწინებდა.

ორი უარის მიუხედავად ოსურმა ოპოზიციამ მიტინგის ჩატარება არ გადაიფიქრა. ყოველ შემთხვევაში 21 მარტის დილის 10 საათამდე ამტკიცებდნენ, აქციას მაინც ჩავატარებთო.

წინასწარ დაანონსებულ აქციაში მონაწილეობის მიღებას პირებდა ცნობილი ოსი ოლიგარქი ალბერტ ჯუსოევი, რომელიც ამ დროისათვის „სტროიპროგრესის" ხელმძღვანელია. როგორც კოკოითის გარემოცვა იუწყება, ოს ოპოზიციონერებს სწორედ ჯუსოევი აფინანსებს.

ოპოზიციის დაფინანსებას ის მომავალშიც გააგრძელებს. კოკოითის საწინააღმდეგო აქციების ჩატარებაც მომავალში მოუწევს. ამ უქმეებზე მან დანაპირები ვერ აასრულა და აქცია ვერ ჩაატარა.

არადა, ის რამდენიმე ოპოზიციონერთან ერთად ამტკიცებდა, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებას მაინც გამოვიყენებთო. კონსტიტუციური უფლების გამოყენებაში მიტინგის ჩატარებას გულისხმობდნენ.

შსს-ს მიერ შერისხული მიტინგი ცხინვალის აღდგენას უკავშირდებოდა. მოქალაქეთა ჯგუფის მტკიცებით, მათ პროტესტი უნდა გამოეხატათ სოციალური პრობლემების გამო. რუსეთმა ცხინვალის რეგიონის აღსადგენად დიდი თანხები გამოყო. ამის მიუხედავად, ცხინვალს არაფერი ეშველა და როგორც ალბერტ ჯუსოევი ამტკიცებს, ცხინვალისთვის განკუთვნილი თანხები ედუარდ კოკოითმა მიითვისა. ეს უკანასკნელი იმ კოკოითის ძმაა.

მიტინგის წინა დღეებში კოკოითის რეჟიმმა ლამის საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. სააგენტო „ინტერპრესნიუსის" ცნობით, ბოლო დღეების განმავლობაში როკის გვირაბი ჩაკეტილი იყო. ეს ინფორმაცია სააგენტოს ცხინვალის მოსახლეობამ აუწყა.

როკის გვირაბის მკაცრი გაკონტროლების გადაწყვეტილება კოკოითის რეჟიმმა 17 მარტს მიიღო. ეს ბუნებრივიცაა. მთავარი ოსი ოპოზიციონერი, მათი ინფორმაციით, როკის გვირაბიდან უნდა შემოსულიყო.

შემოვიდა თუ არა ჯუსოევი როკის გვირაბის გავლით, ვერ გეტყვით. ოსური საინფომაციო საშუალებები მხოლოდ იმას წერენ, რომ 20 მარტს ცხინვალში მიტინგი არ გაიმართა.

რატომ არ გაიმართა მიტინგი, ამის თაობაზე ოპოზიცია არანაირ კომენტარს არ აკეთებს. შსს-ს ინფორმაციით კი, მიტინგის ორგანიზატორებმა ხალხი ვერ მოაგროვეს. ცხინვალის შსს-ს მტკიცებით, ამ აქციის უკან საქართველოს სპეცსამსახურები იდგნენ.

ამ ინფორმაციას ქართულმა მხარემ აბსურდი და დეზინფორმაცია უწოდა. ამასთან, ჩვენებურებს დაეზარათ, შეეფასებინათ მოსკოვში გამართული ანტიქართული მიტინგი, რომელიც რუსეთში მცხოვრებმა სომხებმა გამართეს.

ჩვენი ხელისუფლების პასიურობა გასაგებიცაა. მათ ხომ სომხების ხათრით გახსნეს მტრულად განწყობილ რუსეთთან საზღვარი. საუბარია, ლარსის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე.

ლარსის გახსნამდე ორიოდე დღით ადრე რუსეთში მცხოვრებმა სომხებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. ისინი ჯავახეთის რეგიონისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებას ითხოვდნენ. საქართველოს ხელისუფლებამ ეს აქციაც უყურადღებოდ დატოვა.

გუშინ კი მოსკოვში მცოხროვრებმა სომხებმა უკვე ახალი მოთხოვნა წამოაყენეს. ეს მოთხოვნები მათ მოსკოვში, შვეიცარიის საელჩოს წინ გამართულ აქციაზე გაახმაურეს.

სომხური მედიის ცნობით, აქცია რუსეთში მყოფი ჯავახეთელი სომხების მიერ იყო ორგანიზებული. აქციაში რამდენიმე ათეული ადამიანი მონაწილეობდა. მათი მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება სომხების დისკრიმინაციას ეწევა. აქციის მონაწილეებმა სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებაც მოითხოვეს.

ამ მოთხოვნით რამდენიმე თვის წინ სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგისიანიც გამოვიდა. არადა, მისი წინამორბედი - რობერტ ქოჩარიანი საქართველოში მცოვრებ სომხებს ქართული ენის შესწავლისკენ მოუწოდებდა.

სომხური მედიის ინფორმაციით, აქციის მონაწილეებმა საგანგებო კომისიის შექმნაც მოითხოვეს, რომლის შემადგენლობაში სომხეთის, საქართველოს, რუსეთის და შვეიცარიის წარმომადგენლები უნდა შევიდნენ. ამ კომისიამ საქართველოში მცხოვრები სომხების შევიწროვების ფაქტები უნდა შეისწავლოს.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: „ოსურმა ოპოზიციამ მიტინგი ვერ ჩაატარა''.

სატიის ქვესათაური: „სომხებმა კი მოსკოვში ანტიქართული აქცია გამართეს''.

სტატიის ავტორი - მაია მარხვაიძე – საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერია.

სტატია გამოქვეყნდა გაზეთში „ახალი თაობა''.

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 22 მარტი, 2010 წელი.

სტატია ეხება ორ სხვადასხვა მოვლენას: ოსური ოპოზიციის მიერ

ცხინვალში დაგეგმილი მიტინგის ჩაშლასა და მოსკოვში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების მიერ გამართულ მიტინგს. სტატია იწყება იმის აღნიშვნით, რომ სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოსურ ოპოზიციას არ დაუკმაყოფილა ცხინვალში მიტინგის ჩატარების მოთხოვნა. სამინისტრომ აქციას ქართული სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი უწოდა. ჟურნალისტის თქმით, ეს ბრალდება ქართულმა მხარემ აბსურდად მიიჩნია. ჟურნალისტის თქმით, უარის მიუხედავად, ოსური ოპოზიცია მაინც აპირებდა მიტინგის ჩატარებას. მისივე ინფორმაციით, აქციაში მონაწილეობას მიიღებდა ოსი ოლიგარქი ალბერტ ჯუსოევი, რომელიც ოპოზიციის მიტინგების დამფინანსებელიც იყო. სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ ჯუსოევი მომავალშიც გააგრძელებს ოპოზიციის დაფინანსებას. სტატიის მიხედვით, მიტინგის თემა ცხინვალის აღდგენა და სოციალური საკითხები უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ჯუსოევის თქმით, ედუარდ კოკოითმა მიითვისა ცხინვალის აღსადგენად გამოყოფილი თანხა. სტატიაში ნათქვამია, რომ მიტინგი ცხინვალში არ ჩატარებულა.

ცხინვალში დაგეგმილი მიტინგის ჩაშლის ამბის შემდეგ, ჟურნალისტი მოსკოვში ჩატარებული მიტინგის შესახებ წერს. მისი თქმით - და ის იმოწმებს სომხურ მედიას - მიტინგი ჯავახეთში მცხოვრები სომხების მიერ იყო ორგანიზებული და მომიტინგეების ერთ-ერთი მოთხოვნა სომხური ენისათვის რეგიონული სტატუსის მინიჭება იყო.

## აღწერითი ნაწილი

### სტატიის ავტორი

სტატიის ავტორმა მონიტორთან თანამშრომლობის სრული მზადყოფნა გამოთქვა. მონიტორის კითხვებთან დაკავშირებით, რომლებიც, ძირითადად, სტატიაში ინფორმაციის წყაროს არარსებობას და ინფორმაციის გადაუმოწმებლობას ეხებოდა, მას ყოველთვის ჰქონდა პასუხი. ჟურნალისტმა ყოველი კონკრეტული შეკითხვის დროს დაასახელა წყარო, უმეტეს შემთხვევაში, ოსური და რუსული საინფორმაციო სააგენტოები და, ასევე, ალბერტ ჯუსოევისა და სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადებების ტექსტები. ამავე დროს, ჟურნალისტი სტატიაში წყაროს არარსებობას ხშირად ხსნიდა სიტყვებით, „ეს ხომ ყველამ იცის". ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ ჟურნალისტს რამდენიმე დღით ადრე ცხინვალის თემაზე იმავე გაზეთში ჰქონდა გამოქვეყნებული სტატია. რიგ შემთხვევაში ჟურნალისტი ამბობდა, რომ წინა წერილში ჰქონდა წყარო მითითებული და ამიტომ, მან აღარ ჩათვალა საჭიროდ აღნიშნულ წერილში წყაროს ხელმეორედ მითითება.

ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ

სტატიაში საუბარია ალან ჯუსოევზე, როგორც ოპოზიციური მიტინგების დამფინანსებელსა და ორგანიზატორზე, ასევე ედუარდ კოკოითზე, რომელსაც ცხინვალის აღდგენისათვის გამოყოფილი ფულის მითვისება ედება ბრალად. ქართულ-ოსური ურთიერთობის პოლიტიკური კონტექსტის გამო, მათთან დაკავშირება მონიტორმა ვერ შეძლო. ამასთან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ ჰქონოდათ აღნიშნული სტატიის გაცნობის საშუალება. ასევე, სტატიაში მოხსენიებულია ზოგადად „ქართული მხარე'', „ჩვენებურები'', ვისაც არ გაუკეთებია კომენტარი მოსკოვში გამართულ მიტინგზე. ვინაიდან არ არის დასახელებული კონკრეტული ადამიანი, მონიტორი ვერავის დაუკავშირდებოდა.

ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘ

მონიტორის ყველა კითხვა ეხებოდა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტის დადგენას. აქედან გამომდინარე, ძირითადი კითხვები იყო: „საიდან იცით?'', „რას ეყრდნობით, როცა წერთ, რომ...'', „როგორ გადაამოწმეთ ეს ინფორმაცია?'' მონიტორმა უმრავლეს შემთხვევაში ჟურნალისტისაგან მიიღო კონკრეტული პასუხი, სათანადო წყაროს მითითებით, თუმცა, იყო შემთხვევები, როცა ჟურნალისტს აღარ ახსოვდა, კონკრეტულად რას ეყრდნობოდა (სტატია ორი თვის წინაა დაწერილი), თუმცა, დაბეჯითებით ამბობდა, რომ წყარო ნამდვილად ჰყავდა. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტმა ველარ მოახერხა სააგენტოებისა და სხვადასხვა საინფორმაციო საიტით, ასევე, ოფიციალური განცხადებებით გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმება სხვა წყაროებთან, რაც მკითხველს ნამდვილად დაეხმარებოდა იმის გარკვევაში, თუ რატომ უნდა დაიჯეროს სტატიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია. რატომ არის ის სანდო და ზუსტი.

ასევე, მონიტორისათვის ხელოვნური იყო ამ ორი ამბის - ცხინვალში ჩაშლილი მიტინგისა და მოსკოვში ჩატარებული მიტინგის ერთ სტატიაში გაერთიანება. ასევე, წერის სტილში ჩანს ავტორების ავტორის დამოკიდებულება მის მიერ აღწერილი მოვლენების თუ მონაწილე სუბიექტების მიმართ, რაც უმჯობესია, ნეიტრალური წერის მანერით შეიცვალოს.

**კითხვები:**

1. საიდან ვიცით, რომ ის, რაც სტატიაში წერია, სიმართლეა?
2. რატომ არის ეს ინფორმაცია სანდო?
3. ვისთან არის გადამოწმებული ინფორმაცია?

## საგაზეთო მასალა № 19

### სიღნაღს იქითაც საქართველოა

დილით ადრიანად ავტომანქანაში ვჯდებით და გეზს ვიღებთ მუნიციპალიტეტიდან მოშორებით მდებარე სოფლებისკენ (ზემო ქედი, არხილოსკალო, ქვემო ქედი). გზა საკმაოდ გრძელი, დამღლელი და ძნელადსავალია, მაგრამ ვიცით, რომ იქ შრომისმოყვარე და უამრავი პრობლემით გადაღლილი ხალხი გველოდება. ისინი არც თუ ისე განებივრებულები არიან ჟურნალისტებისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტებით. ჩვენს მიზანს წარმოადგენს უფრო ახლოს გავეცნოთ და გავიზიაროთ იქაური ხალხის ჭირ-ვარამი.

სოფელ ზემო ქედის ცენტრში მამაკაცები შეკრებილან და მასლაათობენ. მანქანას ვაჩერებთ, გადავდივართ და შეკრებილებს ვესაურებით. ისინიც თავიანთ მდგომარეობაზე უკმაყოფილებას გამოთქვამენ: „შვილო, აქ დაბადებული და გაზრდილი, 74 წლის კაცი ვარ, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ასეთი გაპარტახებული ზემო ქედი არასოდეს მინახავს. მე ჩემი წლები და ახალგაზრდობა გავლიე, საკმარისი ოფლიც ვღვარე, მაგრამ მომავალმა თაობამ რა ქნას? მუქთად დადიან, არაფერს აკეთებენ და გაიქცევიან საზღვარგარეთ, აბა რას იზამენ?! რომ გაიძახიან, ზემო ქედს წყალი აქვსო, წამოდით, თვითონ ნახეთ რა ხდება – გათხარეს და მილები დაყარეს. მიწა გაჯიჯგნეს, მაგრამ ერთი წვეთი წყალი არ მოდის. დენზე კიდევ ისეთ დღეში ვართ, ამისთანა ქონას არქონა ჯობია. ხან ორი ლარით ზედმეტს გვახდევინებენ, ხან სამით. წინა თვეში კი თითო ოჯახს ზედმეტად 18 ლარი დაგვაწერეს. გვაინტერესებს, ასე რატომ იქცევიან, მაგრამ არავინ გვპასუხობს.

ორმოში ვართ და ჩვენი არავის ესმის. ასე გვაბეჩავებენ, მთქმელი კაცი ყველას სძულს", - ამბობს ზაქარია ქურციკაშვილი.

მას თანასოფლელებიც ეთანხმებიან და სხვა პრობლემებზე აგრძელებენ საუბარს.

„იმას რატომ აღარ ამბობ, ორი ტრაქტორის იმედად რომ ვართ მთელი სოფელი? ახლაც ტრაქტორს ველოდებით. დილიდან საღამომდე აქ ვაღამებთ, რომ როგორმე რიგმა მოგვიწიოს და ნაკვეთი მოვახვნევინოთ", - გვეუბნებიან გლეხები.

ზაურ წიკლაურის თქმით, ისეთი დიდი სოფლისთვის, როგორიცაა ზემო ქედა 2 ტრაქტორი საკმარისი არ არის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საგაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობს.

„პრეზიდენტი დასავლეთ საქართველოში რომ არიგებს ტრაქტორებს, იმათ სჭირდებათ და ჩვენ არა? ამხელა ფართობებს დამუშავება არ უნდა? იქ რომ ხშირად ჩადის, აქაც ჩამოვიდეს და ნახოს როგორ ჩაკვდა სოფლის მეურნეობა. ყველა დარგი რომ მოისპო, რიღათი ვიარსებოთ? ჩვენი ცხვარ-ძროხა არაბებმა გაზიდეს და ხვალ-ზეგ შალის ნაწარმსა თუ ტყავს ათმაგ ფასში მოგვასყიდებენ, ესაა საქმე? დღესაც სიღნაღში ბრძანებულა მიშა, სიღნაღს იქითაცაა საქართველო. რაო, აქეთ ადამიანებად აღარ გვთვლიან? მოვიდეს და გვკითხოს, რა გვიჭირს და რა გვილხინს", - ამბობს ზაურ წიკლაური.

პრობლემებზე საუბრობს არხილოსკალოს მოსახლეობაც. მათ პრეტენზიები ძირითადად სოციალური სააგენტოს მიმართ აქვთ, თუმცა ტექნიკის სიმცირესა და საწვავის სიძვირესაც უჩივიან. „სოფელში წყალი კვირაში ერთხელ მოდის. მიუხედავად ამისა, უკმაყოფილო მაინც არ ვართ, რადგან ადრე ესეც არ გვქონდა. მართალია, სასმელად ვერ ვიყენებთ, მაგრამ საქონლის დასაწყურვებლად მაინც ხომ აღარ ვყიდულობთ? ტრაქტორები არ გვყავს, თუმცა, არც საწვავი გვაქვს თავზესაყრელი, სიძვირის გამო, ვერ ვყიდულობთ. გახვალ ალაზანს გაღმა 90 თეთრი ღირს, აქეთ კიდევ ორ ლარს უტოლდება. ამის შემდეგ გამოვლენ და გვიმტკიცებენ მთავრობა სოფლის მეურნეობაზე და გლეხებზე ზრუნავსო, ლამის ყელში ამოვიდეს ამდენი ტყუილი. ამ მიწებს უქმად ვინ მოაცდენს, მაგრამ საშუალება არ არის, რომ დავამუშაოთ. ასეთ დღეში მაგათ ჩაგვყარეს", - ამბობენ არხილოსკალოელები.

გაჭირვებაზე საუბრობენ 80 წლის ეთერ უგუნარაშვილი და 78 წლის მარიამ საქიძეც.

„დავბერდით და შვილები ხელს გვკრავენ – უმუშევრად ვართ და ვერ შეგინახავთო. ჩვენი პენსია კი შეშის ფულად არ გვყოფნის, ყველაფერს „ცეცხლი უკიდია". ძალიან გვიჭირს. სიარულის თავი არ გვაქვს, რომ რაიონამდე ჩავიდეთ, ნათესავებთან ვართ შეკედლებული. სოციალურ დახმარებას ვითხოვთ, აგენტები გვეუბნებიან მიიღებთო, მაგრამ უკვე თვეები გავიდა. გთხოვთ დაგვეხმაროთ, რომ ისეთი კომისია გამოგვიგზავნონ, რომელიც სამართლიანად შეგვამოწმებს".

გზა ქვემო ქედისკენ განვაგრძეთ, სადაც კიდევ უფრო გაუსაძლის ცხოვრებაზე გვიყვებიან. განსხვავება მხოლოდ ერთია – აქ დენის და ტექნიკის პრობლემებს უგზოობა და უწყლობა ემატება.

„არავინ არაფერში გვეხმარება, არც გზა გვაქვს, არც წყალი და დენი. რაიონის ხელმძღვანელობა ჩამოდის, მაგრამ მაინც არაფერს აკეთებს. ადგილზე პრობლემის გადაჭრაც არ შეგვიძლია, რომ მივმართოთ ვის მივმართოთ? საჯარო რეესტრიდან ცნობა რომ დაგვჭირდეს, წნორში უნდა წავიდეთ თურმე. მინდოდა პოლისი მაინც ამეღო, რომ შეღავათები მქონოდა, მაგრამ არ მაღირსეს. რომ მოვკვდები, ეგ იქნება ჩემი პოლისი. ჩვენს იქით მამალი აღარ ყივის, დაღუპული ქვეყანა ვართ", - ამბობს ქვემო ქედელი არსენა ბედოიძე.

მძიმე პირობების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ პედაგოგებიც: „ოთხი წლის წინ სკოლაში 235 მოსწავლე გვერიცხებოდა, ახლა – 118. ქვემო ქედაში ოჯახი არ არის, რომ შვილი საზღვარგარეთში არ ჰყავდეს, ეს ყველაფერი კი არსებული პირობების გამო ხდება. გზა ჩვენ არ გვაქვს, წყალი და გაზი ხომ ოცნებად გვექცა. შარშან პროექტით მხოლოდ გარე განათება გააკეთეს, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, ამის ნაცვლად ჯერ გზის პრობლემა გადაეჭრათ. გვითხრეს ლამპიონებზე 30 000 გავხარჯეთო, მითხარით, ამდენი თანხა რად უნდა გარე განათების აღდგენას? რომ გაიძახიან, სასაფლაო შემოვღობეთო, ტყუილია. ოთხი ფიცრისგან შეკრული საპირფარეშო გააკეთეს სასაფლაოზე და როგორც ამბობენ, ათასი ლარი გახარჯეს, გამოდის, რომ ყველაზე ძვირადღირებული საპირფარეშო გვაქვს სოფლის შუაგულში. უფრო წინა წლებში 80 ათასლარიანი სტადიონი გააკეთეს, მაგრამ ტრიალ მინდორზე მხოლოდ ბოძებია ჩაყრილი, რკინის წნულიც კი არ არის. ესაა სტადიონი? აი, ამის გამო გარბიან

ახალგაზრდები სოფლიდან. სკოლა კი გაგვირემონტეს კაპიტალურად, მაგრამ რად გინდა? შენობაში რომ შევდივართ, დუმილი გვაშინებს, ბავშვები აღარ არიან. გამგებლის მოადგილეს - გელა თეთრაულს შევჩივლეთ: - გვიშველეთ რამე, სოფელში აღარაფერი გვაქვს, ხომ არ დავიხოცებითო? გვითხრა, - დაიხოცეთო. საჯარო მოხელე რომ ასე გიპასუხებს, ის ამ მთავრობის რეიტინგს მაღლა ასწევს? ჩვენი დეპუტატი ავთო ლეკაშვილი ნუღარ შეეცდება რამე გვთხოვოს, რადგან მეორედ აღარ ავირჩევთ. გზის გაკეთებას შეგვპირდა, შემდეგ კი შემოვგითვალა, გრეიდერის მოტანა ძვირი ჯდება და ვერ დაგეხმარებითო. დეპუტატი, რომ ხალხს დაპირდება, სიტყვა არ უნდა გატეხოს, რადგან მის სიტყვას შემდგომში აღარავინ დაიჯერებს. ერთი გაკეთებული საქმე მაინც გვაჩვენოს! გეგონებათ, რომ ჩვენი პედკოლექტივი ოპოზიციურად არის განწყობილი და ასე იმიტომ ვსაუბრობთ, ამ მთავრობამ ხომ იმედი გაგვიცრუა, მაგრამ არც ოპოზიციის გვჯერა," - ამბობენ ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგები, თუმცა ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებენ.

უგზოობით შეწუხებულმა პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ მიკროავტობუსის მძღოლები ქვემო ქედის დაზიანებულ გზამდე არ ჩამოდიან და არხილოსკალოს ბოლო გაჩერებიდან ფეხით უწევთ სახლამდე მისვლა, არადა, თბილისის მარშრუტი ერთადერთი სამგზავრო საშუალებაა რაიონიდან სოფლამდე.

როგორც გავარკვიეთ, აღნიშნულთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ლევან ბაღაშვილი საქმის კურსშია. მისი განმარტებით, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალოს. „ტყუილია, როცა ამბობენ, რომ ზემო ქედში წყალი არ არის. ზემო ქედი და არხილოსკალო ნამდვილად გაწყლოვანებულია და თუ ხშირად ვერ მიეწოდებათ, ეს წყლის დებეტის ბრალია. რაც შეეხება ქვემო ქედს, იქ წყალი ჯერ არ შესულა, ეს სამომვალო პროექტებია. ელექტრო ენერგიის ზედმეტ გადასახადებზე კი გეტყვით, რომ დედოფლისწყაროს ენერგოდისტრიბუციის უფროსი ამის თაობაზე მკაცრად გავაფრთხილე, ჩანს, კარგად ვერ გაიგო და კიდევ ვუსაყვედურებ. ქვემო ქედის გზაზე ჩვენც აქტიურად ვფიქრობთ, ვეძებთ გამოსავალს, რა უნდა გავაკეთოთ, რომ პროექტში ჩავსვათ. ნუ ჰგონია ხალხს, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილები ვზივართ და არაფერს ვცდილობთ," - განაცხადა ლევან ბაღაშვილმა.

## ინფორმაცია სტატიის შესახებ

სტატიის სათაური: „სიღნაღს იქითაც საქართველოა".

სტატიის ავტორი - ლალი მეხრიშვილი - არ არის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერი.

სტატია გამოქვეყნებულია გაზეთში „სპექტრი".

სტატიის გამოქვეყნების თარიღი: 8 აპრილი, 2010 წელი.

სტატია მიზნად ისახავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის განაპირა სოფლების (ზემო ქედი, არხილოსკალო, ქვემო ქედი) მაცხოვრებლების ყოფა-ცხოვრების ჩვენებასა და აღწერას. ამ მიზნით, ჟურნალისტი მიემგზავრება აღნიშნულ სოფლებში და გზადაგზა, შემხვედრი

ადამიანებისგან შეკრებილი კომენტარების საფუძველზე აღწერს სტატიაში იმ პრობლემებს, რაც აღნიშნული სოფლების მაცხოვრებლებს აწუხებთ. კერძოდ, რესპონდენტები მიუთითებენ, რომ სოფელ ზემო ქედში მოსახლეობას სასმელი წყალი არ მიეწოდება, მიუხედავად იმისა, რომ სოფელში გამოიცვალა წყლის მილები; ამის გარდა, ამავე სოფლის მაცხოვრებლებს ენერგოკომპანია მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადზე მეტს ახდევინებს; სოფელ არხილოსკალოს მაცხოვრებლები იმის გამო ჩივიან, რომ მიწების დამუშავებას ვერ ახერხებენ, რადგან არც ტრაქტორი ჰყავთ და არც საწვავი აქვთ; ქვემო ქედელები კი ადგილობრივი ხელისუფლების უყურადღებობაზე ამახვილებენ ყურადღებას.

ზემოთ აღნიშნული სოფლების მაცხოვრებლების პრობლემების გამოსაკვეთად ჟურნალისტი ირჩევს შედარების ფორმას. უფრო ზუსტად კი სტატიაში იყენებს ისეთ კომენტარებს, სადაც რესპონდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ხელისუფლება გაცილებით მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენს სიღნაღელების, ან დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიმართ.

სტატიის დასაწყისში ჟურნალისტი მიუთითებს, რომ პირადად გაემგზავრა დედოფლისწყაროს განაპირა სოფლებში. თუმცა, უშუალოდ სტატიაში არ აღწერს არც ერთ საკითხს ან პრობლემას, რაც ჟურნალისტმა საკუთარი თვალით იხილა და გვთავაზობს მხოლოდ და მხოლოდ რესპონდენტების მონათხრობს. თანაც, უმრავლეს შემთხვევაში, ავტორი ინფორმაციის წყაროდ იყენებს ანონიმურ რესპონდენტებს.

სტატია განთავსებულია გაზეთის მესამე გვერდზე და რუბრიკაში მითითებულია, რომ ეს არის „ნომრის თემა“. სტატიას ამავე გვერდზე თან ახლავს ერთი ფოტო, რომელზეც გამოსახულნი არიან დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

## აღწერითი ნაწილი

### სტატიის ავტორი

გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას კონკრეტული ავტორი არ აწერს ხელს: სტატიის ავტორად მითითებულია „სპექტრი“. თუმცა, გაზეთის მთავარმა რედაქტორმა მაია ყალაბეგაშვილმა მონიტორს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული პუბლიკაციის ავტორია ლალი მეხრიშვილი და, შესაბამისად, მონიტორის შეკითხვებს აღნიშნულ სტატიასთან დაკავშირებით სწორედ ლალი მეხრიშვილმა უპასუხა. ავტორმა ითანამშრომლა მონიტორთან და უპასუხა ყველა დასმულ შეკითხვას, რომლებიც დაისვა იმის გასარკვევად, თუ რა გზები და საშუალებები გამოიყენა ჟურნალისტმა იმისათვის, რომ ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველებისთვის.

ავტორმა განმარტა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისგან მოისმინა პრობლემები და ამ პრობლემებთან დაკავშირებული ფაქტები, შემდეგ კი თავად გადაამოწმა დასახელებული ფაქტები: „გზა რომ მართლა მოუწესრიგებელი და საშინელ მდგომარეობაშია, დავრწმუნდით, რადგან ამ სოფლებში პირადად ვიყავი ჩასული. როდესაც მითხრეს, რომ სასაფლაო არ შემოღობეს, ამ ინფორმაციის სისწორეშიც თავად დავრწმუნდი, რადგან სასაფლაოზე ავედი და ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე," - აღნიშნა მან მონიტორთან საუბარში. თუმცა, სტატიაში არსადაა აღწერილი, რომ რესპონდენტების მონათხრობი ჟურნალისტმა რაიმე ფორმით გადაამოწმა. რესპონდენტების მიერ დასახელებული ფაქტების გადამოწმების მიზნით სტატიაში გამოყენებულია ერთადერთი კომენტარი, რომელიც ჟურნალისტმა მოიპოვა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლისაგან, რომელიც რამდენიმე ფაქტს არ ადასტურებს. სტატიაში რესპონდენტები რამდენიმე პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით ბრალს სდებენ კონკრეტულ უწყებებს (ენერგოკომპანია, სოციალური სუბსიდიების სააგენტო) და სახელმწიფო მოხელეებს (გელა თეთრაული და ავთო ლეკაშვილი). თუმცა, ავტორი არ გვთავაზობს შესაბამის განმარტებებს აღნიშნული უწყებების წარმომადგენლებისა და მოხელეებისაგან და არც იმას აღწერს, თუ რამდენად - ან საერთოდ - შეეცადა თუ არა იგი „ბრალდებული" მხარის არგუმენტების მოპოვებას. ამასთან დაკავშირებით ავტორმა შემდეგი განმარტება მისცა მონიტორს: „თეთრაულთან და ლეკაშვილთან დაკავშირება ვცადე, მაგრამ ვერ დავუკავშირდი, ამიტომ მხოლოდ დედოფლისწყაროს გამგებელი ჩავწერე და რადგან გაზეთი უკვე გამოდიოდა და დროში შეზღუდული ვიყავი, სტატიაში მხოლოდ მისი კომენტარი გამოვიყენე".

„ამბობენ გლეხები", „ამბობენ არხილოსკალოელები", „ამბობენ ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგები," - ასეთ განზოგადებულ რესპონდენტებს სტატიის ავტორი ხშირად იყენებს ძალიან კონკრეტული ფაქტების წყაროდ. მონიტორის შეკითხვაზე, ესაუბრა თუ არა ჟურნალისტი, მაგალითად, ქვემო ქედის საჯარო სკოლის ყველა პედაგოგს, ავტორმა განმარტა: „ვერ გეტყვით, რომ სკოლის ყველა პედაგოგს შევხვდი, მაგრამ ამ საკითხზე საკმაოდ ბევრი მათგანი დამელაპარაკა. მათ ერთად ვესაუბრე და როდესაც ვთხოვე, ვინაობა დაესახელებინათ, მითხრეს, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ კონკრეტულად არც ერთ მათგანს არ მოვიხსენიებდი, რადგან მათი თქმით, პრობლემების შექმნა არ სურდათ. ამის გამო, სტატიაში მათი გვარები არ დავაკონკრეტე."

სტატიაში გამოყენებულ კომენტარებში გვხვდება ფრაზები: „პრეზიდენტი რომ არიგებს ტრაქტორებს დასავლეთ საქართველოში, იმათ სჭირდებათ და ჩვენ - არა?" „დღესაც სიღნაღში ბრძანებულა

მიშა, სიღნაღს იქითაცაა საქართველო. რაო, აქეთ ადამიანებად აღარ გვთვლიან?“ და ა.შ. აღნიშნული ციტატები გახდა სტატიის სათაურის განმსაზღვრელიც. მონიტორის შეკითხვაზე – მიაჩნია თუ არა სტატიის ავტორს, რომ მსგავსი გამონათქვამები შეიძლება ხელს უწყობდეს დისკრიმინაციის წახალისებას? – ავტორმა უპასუხა: „ტელევიზიით თუ პრესით მუდმივადაა საუბარი სიღნაღის აღმშენებლობაზე, ამ დროს ქედელები უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან, სწორედ ეს იწვევს იქაური მოსახლეობის გაღიზიანებას. მინდა გითხრათ, რომ ეს არის ის განწყობა, რაც ნამდვილად სუფევს ამ ადამიანებში. ქედებში ძალიან რთული მდგომარეობაა, ამიტომ მართლა მიიჩნევენ, რომ მიტოვებულები არიან. ვინაიდან ისინი ჟურნალისტებში გარკვეულწილად ხედავენ ადამიანებს, ვისაც მათი დახმარება შეუძლიათ, თუნდაც იმაში, რომ მათი გულისტკივილი ფართო საზოგადოებისა და ხელისუფლებისთვის გახდეს ცნობილი, ვალდებულად ჩავთვალე თავი, რომ ზუსტად იმ ფორმით გადმომეცა, როგორც ისინი ამბობდნენ. უფრო მეტიც, გვითხრეს, რომ პრეზიდენტის მხრიდან აქვს ადგილი სწორედ მათ დისკრიმინაციას. ამბობენ, რომ პრეზიდენტი მათთან არასოდეს ჩადის და მათი ცხოვრებით არ ინტერესდება, რადგან უმრავლესობა ლეიბორისტული პარტიის მომხრეა და არჩევნებში „ნაციონალებს“ ყოველთვის ნაკლები ხმები მიაქვთ (ამის შესახებ ადრე ვწერდით კიდეც).“

დაზარალებული მხარე

სტატიაში დაზარალებულად შეგვიძლია განვიხილოთ ყველა ის სახელმწიფო უწყება და სახელმწიფო მოხელე, რომელთაც სტატიაში გამოყენებული კომენტარებით „ბრალი დაედოთ“ კონკრეტული პრობლემების გამოწვევაში და არ მიეცათ საშუალება, გაეცათ პასუხი კონკრეტულ ბრალდებებზე, რადგან სტატიის ავტორი მათ ამ საკითხების თაობაზე არ დაჰკავშირებია.

მონიტორი

სტატიის წაკითხვისთანავე, პირველ რიგში, მონიტორისთვის თვალშისაცემი აღმოჩნდა ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების სიმწირე: სტატიაში ბევრი ადამიანი საუბრობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სტატიაში რამდენიმე წყაროა გამოყენებული, რადგან რამდენიმე რესპონდენტი იძლევა ინფორმაციას მხოლოდ ცალმხრივად. ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია კი სტატიაში თითქმის არ გვხვდება.

შესაბამისად, მონიტორის მიერ დასმული შეკითხვების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გაერკვია, თუ რამდენად ეცადა სტატიის ავტორი ბოლომდე გადაემოწმებინა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა ზუსტი ინფორმაცია. ასევე, გამოერკვია, თუ რა ღონე იხმარა ავტორმა დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად.

**კითხვები:**

1. სტატიაში ავტორი ეყრდნობა სოფლის მცხოვრებლების მონათხრობს. რაში გამოიხატა ავტორის მცდელობა, რომ გადაემოწმებინა ეს ინფორმაციები? რა მეთოდები და გზები გამოიყენა მან ფაქტების შესამოწმებლად?
2. სტატიაში არის ვრცელი ციტატა, რომელსაც არ ჰყავს კონკრეტული ავტორი, უფრო სწორად მითითებულია, რომ ამ ციტატის ავტორები არიან ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგები. ავტორმა აღნიშნული სკოლის ყველა პედაგოგისგან აიღო ეს კომენტარი და არც ერთმა გაამხილა ვინაობა? რატომ? მიზეზი არ ჰკითხა? ასევე, ეს პედაგოგები ბრალს სდებენ კონკრეტულ ჩინოვნიკებს – გელა თეთრაულსა და ავთო ლეკაშვილს. შეეცადა ავტორი, რომ დაჰკავშირებოდა ამ პირებს, რათა მათთან გადაემოწმებინა ბრალდებების სიზუსტე?
3. სტატიაში გამოყენებულ კომენტარებში გვხვდება ფრაზები: „პრეზიდენტი რომ არიგებს ტრაქტორებს დასავლეთ საქართველოში, იმათ სჭირდებათ და ჩვენ - არა?“ „სიღნაღს იქითაცაა საქართველო, რაო, აქეთ ადამიანებად აღარ გვთვლიან“... მიაჩნია თუ არა ავტორს, რომ მსგავსი ფრაზები შეიძლება ხელს უწყობდეს დისკრიმინაციის წახალისებას? თუკი - არა, მაშინ რით ახსნის ავტორი იმ ფაქტს, რომ სათაურად გამოტანილია სწორედ მსგავსი ფრაზა - „სიღნაღს იქითაც საქართველოა“?
4. სტატიაში, ძირითადად, საუბრობენ მოქალაქეები და მხოლოდ ერთი ციტატით არის წარმოდგენილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი. მაშინ რატომ გამოიყენა რედაქციამ ფოტოილუსტრაციის სახით მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ფოტო?

**საგაზეთო მასალა №20**

### ვიღაც კუსა „ატინგიცდა"

ეს ერთი შემთხვევით უწყინარი ფაქტი ჩვენს ყურადღებას, რა თქმა უნდა, არ მიიპყრობდა, რომ არა გურიის გუბერნატორის, შალვა ლორთქიფანიძის მორიგი „ტინგიცი".

გასართობი ღონისძიებების დროს ჟურნალისტების ერთ, მხიარულ კატეგორიას წესად აქვს, ღონისძიების მთავარ გმირებთან ერთად სურათების გადაღება.

ჩვენი რეპორტიორი გიორგი სირაძეც ამ კატეგორიას განეკუთვნება და მან ფოტოგრაფირება ოზურგეთში, გასული კვირის პარასკევს, სტუმრად მყოფ, ქართული ესტრადის ვარსკვლავთან, ნატო გელაშვილთან ერთად გადაწყვიტა.

სასიამოვნოა, რომ ქალბატონ ნატოსაც იგივე სურვილი აღმოაჩნდა.

აი, მათ უკან, რომ ვიღაც ადამიანი ტინგიცებს, ხელები რომ აუწევია და მისი ცნობიერების სიმბოლოს სხვის თავზე გამოხატვას ჰლამობს, რა სურვილი ამოძრავებს, როგორც გურიაში იტყვიან „ალაჰმა და ალბათ მარტო სვიმონიშვილმა" თუ იცის.

აი, სვიმონიშვილმა იმიტომ, რომ რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ეს ტინგიცა „მამაკაცი" გურიის გუბერნატორის მოადგილე ყოფილა...

### ინფორმაცია სტატიის შესახებ

ფოტო და მინაწერი სახელწოდებით: „ვიღაც კუსა „ატინგიცდა".

ფოტოსა და მინაწერის ავტორი გაზეთში მითითებული არ არის, შესაბამისად, აღნიშნული მასალის გამოქვეყნებაზე პასუხიმგებელია გაზეთის რედაქტორი - ლადო მენაბდე, რომელიც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრია.

ფოტო და მინაწერი გამოქვეყნებულია გაზეთში „გურიის მოამბე".

გამოქვეყნების თარიღი: 20 აგვისტო, 2007 წელი.

ფოტოზე ერთმანეთის გვერდიგვერდ გამოსახულნი არიან „გურიის მოამბის" კორესპონდენტი გიორგი სირაძე და მომღერალი ნატო გელაშვილი. მათ უკან დგას გურიის მაშინდელი გუბერნატორის - მიხეილ სვიმონიშვილის - პირველი მოადგილე შალვა ლორთქიფანიძე, რომელსაც ორი თითი აღმართული აქვს გიორგი სირაძის თავთან. მინაწერში ლორთქიფანიძის აღნიშნული ქმედება შეფასებულია, როგორც გუბერნატორის მოადგილის „ტინგიცი". აქედან გამომდინარე, მკითხველს შეუძლია დაასკვნას, რომ რედაქცია სათაურში გამოტანილი „ვიღაც კუსას" მიღმა სწორედ ლორთქიფანიძეს გულისხმობს.

**აღწერითი ნაწილი**

მასალის ავტორი

გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას კონკრეტული ავტორი არ აწერს ხელს. აქედან გამომდინარე, მასალის გარშემო მონიტორს ინფორმაცია მიაწოდა გაზეთის რედაქტორმა ლადო მენაბდემ. მანვე, როგორც მასალის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელმა პირმა, ითანამშრომლა მონიტორთან და უპასუხა ყველა შეკითხვას, რომლებიც დაისვა იმის გასარკვევად, თუ რამდენად კეთილსინდისიერად და სამართლიანი მეთოდებით მოიპოვა და გამოიყენა რედაქციამ ფოტო; აგრეთვე, ჰქონდა თუ არა ადგილი ჟურნალისტის მხრიდან ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრის ფაქტს.

რედაქტორმა განმარტა, რომ წარმოდგენილი მასალა „განთავსდა გაზეთის ბოლო გვერდზე, სადაც თავსდება ხოლმე ფოტოსურათები, რომლებიც მოხვდნენ განსაკუთრებულ რუბრიკაში. „გურიის მოამბეში" ასეთი ტიპის ორი რუბრიკაა: პირველი - „რას დაარქმევდით?" სადაც მხოლოდ სურათია და ეს ფოტო მკითხველის მიერ გამოგზავნილ ორიგინალურ პასუხებთან ერთად მომდევნო ნომერშიც იბეჭდება, და მეორე - სურათი მცირეოდენი განმარტებით." სწორედ ამ მეორე რუბრიკის ეგიდით დაიბეჭდა წარმოდგენილი ფოტო მინაწერით.

რედაქტორმა მონიტორთან საუბარში დაადასტურა, რომ სათაურში გამოტანილი „ვიღაც კუსა" გულისხმობს გუბერნატორის მოადგილეს შალვა ლორთქიფანიძეს: „კუსა არის შალვა ლორთქიფანიძის მეტსახელი, მას ყველა მოიხსენიებდა „კუსად". ვინაიდან მთელი საკადრო პოლიტიკა არჩევნების დროს, ე.წ. შავი ბუღალტერია და ხელისუფლება სვიმონიშვილის დროს „კუსას" ხელში იყო თავმოყრილი, მხარეში პოპულარული გახდა გამოთქმა „ვიღაც კუსა," - განმარტა ლადო მენაბდემ. მისივე თქმით, „იმის გამო, რომ „გურიის მოამბე" კრიტიკულად იყო განწყობილი ხელისუფლების მიმართ, გუბერნატორი და მისი გუნდი, მათ შორის, გუბერნატორის მოადგილე შალვა ლორთქიფანიძე ყველა ხერხის გამოყენებით ცდილობდნენ ჩვენი, როგორც მედიასაშუალების და ნებისმიერი ჩვენი თანამშრომლის, მათ შორის, რა თქმა უნდა, კორესპონდენტების კომპრომეტირებას, სამწუხაროდ, კონკურენტი მედიასაშუალების ე.წ. „გვარდიის" გამოყენებით." ლადო მენაბდის ინფორმაციით, სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით დაიბეჭდა გაზეთში აღნიშნული ფოტო, რომელზეც, როგორც რედაქტორი აცხადებს, „გუბერნატორის პირველი მოადგილე „გაფაქტულია", თუ როგორ დასცინის ის ჟურნალისტს".

მონიტორის შეკითხვაზე - იცოდნენ თუ არა ფოტოზე გამოსახულმა ადამიანებმა წინასწარ, რომ ეს ფოტო გაზეთში დაიბეჭდებოდა? –

ლადო მენაბდემ უპასუხა: ,,კი, რა თქმა უნდა“.

ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ

დაზარალებული მხარეა გურიის მაშინდელი გუბერნატორის მოადგილე შალვა ლორთქიფანიძე, რომლის ფოტოსაც ახლავს რედაქციის მიერ გაკეთებეული შეურაცხმყოფელი კომენტარი, რაც გამოიხატება ლორთქიფანიძის მიმართ ისეთი ფრაზების გამოყენებაში, როგორიცაა ,,კუსა“, ,,ტინგიცი“, ,,ხელები რომ აუწევია და მისი ცნობიერების სიმბოლოს სხვის თავზე გამოხატვას ჰლამობს“. თანაც, სარედაქციო მინაწერში არ მოიძებნება ფაქტობრივი გარემოებები, თუ რას ეფუძნება მსგავსი შეფასებები, რასაც რედაქცია იყენებს მინაწერში ლორთქიფანიძის მიმართ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფოტო გადაღებულია არაოფიციალურ გარემოში, არასამუშაო საათების დროს, რა დროსაც გუბერნატორის პირველი მოადგილე სარგებლობს პირადი ცხოვრების უფლებით. სამწუხაროდ, მონიტორმა დაზარალებულ მხარესთან დაკავშირება ვერ მოახერხა.

ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘ

მონიტორი შეეცადა, პასუხი გაეცა შეკითხვებზე: რამდენად კეთილსინდისიერად მოიპოვა და გამოაქვეყნა რედაქციამ წარმოდგენილი ფოტო? რამდენად შეესაბამებოდა მინაწერი ფოტომასალას და რა ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნებოდა მინაწერის ტექსტი? ჰქონდა თუ არა ადგილი ჟურნალისტის მხრიდან საჯარო მოხელის პირად ცხოვრებაში შეჭრას? თუ – დიახ, იყო თუ არა ეს განპირობებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებით?

**კითხვები:**

1. რამდენად კეთილსინდისიერად მოიპოვა და გამოაქვეყნა რედაქციამ წარმოდგენილი ფოტო?
2. რამდენად შეესაბამება მინაწერი ფოტომასალას და რა ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება მინაწერის ტექსტი?
3. შეიჭრა თუ არა ჟურნალისტი საჯარო მოხელის პირად ცხოვრებაში?
4. რა ინტერესებიდან გამომდინარე იხელმძღვანელა რედაქციამ ფოტოსა და მინაწერის გამოქვეყნებისას?

# ნაწილი მეორე

**საგაზეთო მასალა №1**

### მერის შვილის კვალი კრიმინალურ საქმეში

### არსებითი განხილვა

მონიტორის აზრით, დაირღვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მერვე მუხლი, რომლის თანახმად, ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

სტატიაში ცალსახად არის დარღვეული ბავშვის - 15 წლის პაპუნა შამუგიას - უფლებები. გაზეთში მოთავსებულია მისი ფოტო, რაზეც რედაქციას მშობლებისგან თანხმობა არ მიუღია. სტატიის სათაურშივე მოზარდი კრიმინალურ ქმედებაშია დადანაშაულებული. სტატიის ლიდში ნათქვამია, რომ „პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქუთაისის მერის ნუგზარ შამუგიას უმცროსი შვილი, 15 წლის პაპუნა შამუგია პოლიციამ ქურდობის ფაქტზე დააკავა თანამზრახველთან - ვინმე დავით ზოსიაშვილთან ერთად". როგორც გაზეთ „ვერსიაში" გამოქვეყნებული სტატიის ავტორი იტყობინება, პოლიციამ შამუგია და ზოსიაშვილი 4 მაისს, იერუსალიმის ქუჩაზე დააკავა ზუსტად მაშინ, როცა ორი ახალგაზრდა ნაქურდალ ნივთს - ტელევიზორს მანქანაში დებდა". სტატია, სადაც საუბარია ბავშვის მონაწილეობაზე ქურდობაში, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია დაუდასტურებელია, ცხადია, ზიანს აყენებს მის რეპუტაციას და ასევე, არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას – შესაძლოა, აბრალებს მას ისეთ რამეს, რაც მას არასოდეს ჩაუდენია. ასევე, „ახალ გაზეთს" მოჰყავს „ვერსიის" ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბავშვი ძნელად აღსაზრდელია და თითქოს მკითხველს უძლიერებს ისედაც დამკვიდრებულ სტერეოტიპს, რომ მაღალი თანამდებობის მქონე პირთა შვილები არ იცავენ წესებს და თავხედურად იქცევიან. ამავე დროს, ჟურნალისტი თითქოს ბუნებრივ ზმას პოულობს რთულ ბავშვსა და კრიმინალს შორის, რაც ყოვლად დაუშვებელი მოსაზრებაა.

ასევე, მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის მესამე მუხლი, რომლის თანახმად, ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.

მონიტორი დაინტერესდა, იღონა თუ არა რედაქციამ ყველაფერი იმისათვის, რომ ეპოვნა ვინმე, ვინც ფაქტს, მისი არსებობის შემთხვევაში, დაადასტურებდა - თვითმხილველი, თავად დაზარალებული, დაზარალებულის მეზობელი და ა.შ. ასევე, მონიტორი დაინტერესდა, ჰკითხა თუ არა გაზეთმა მათ, ვინც ამ ინფორმაციას პირად საუბრებში ადასტურებდა, საიდან იცოდნენ ეს ამბავი: თავად ნახეს, გადმოცემით იციან, გაზეთ ,,ვერსიაში'' წაიკითხეს და დაიჯერეს, თუ, უბრალოდ, ასე ვარაუდობენ. გაზეთის მთავარი რედაქტორის თქმით, გაზეთმა ყველაფერი იღონა ამისათვის. თუმცა, მონიტორის აზრით, ,,ახალი გაზეთი'' ფაქტობრივად ეყრდნობა მხოლოდ გაზეთ ,,ვერსიის'' მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და ქუთაისის ერთ-ერთი უბნის მაცხოვრებლების ,,პირად საუბრებს''. ყველა სხვა წყარო, რომელიც სტატიაშია დამოწმებული, უარყოფს გაზეთ ,,ვერსიით'' გავრცელებულ ინფორმაციას. მაგალითად, სტატიაში მოყვანილია ქუთაისის პოლიციის უფროსის ბადრი დვალიშვილის სიტყვები: ,,ასეთი ჭორი გავრცელდა ქუთაისში და მე არ ვიცი, საიდან. ეს ფაქტი არ შეესაბამება სიმართლეს, პაპუნა შამუგია ჩვენ არ დაგვიკავებია.'' ასევე, სტატიაში ნათქვამია: ,,აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ (საუბარია გაზეთ ,,ვერსიაში'' გამოქვეყნებულ სტატიაზე - ნ.დ.), ქუთაისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნუგზარ შამუგიამ გადადგომის შესახებ წერილობით მიმართა იმერეთის გუბერნატორს მიხეილ ჩოგოვაძეს.'' მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი ამ ინფორმაციის გავრცელებისას უთითებს კონკრეტულ წყაროს და ამბობს მხოლოდ იმას, რომ ,,ქუთაისში გავრცელდა ინფორმაცია'', ის სტატიაშივე ამბობს, რომ მერიის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტის ქეთი დეისაძის თქმით, მერს თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება არ დაუწერია. ფაქტობრივად, გაზეთმა ინფორმაციის გადამოწმების შედეგად ინფორმაციის უარყოფა მიიღო. ასეთ შემთხვევაში, მონიტორის აზრით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შეიძლება ყოფილიყო, რომ გაზეთს უარი ეთქვა ჭორის ტირაჟირებაზე, ან ჟურნალისტს ყველაფერი ეღონა იმისათვის, რომ მოეპოვებინა წყარო, რომელიც საჯაროდ დაადასტურებდა, რომ ნამდვილად ჰქონდა ამ ფაქტს ადგილი.

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხერხი, როდესაც წყაროს არ სურს ვინაობის გამხელა - და ქალაქის მერთან დაპირისპირების თავის არიდება, შესაძლოა, ასეთი შემთხვევა ყოფილიყო; ჟურნალისტმა კარგად უნდა აუხსნას მკითხველს, რატომ არის სანდო ამგვარი წყაროსგან მოპოვებული ინფორმაცია; საიდან იცის თავად წყარომ ამის შესახებ; ხომ არ შეიძლება, რომ ინფორმაციის გავრცელებისათვის თავად ჰქონდეს პირადი ინტერესი. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ჟურნალისტი

თავად დარწმუნდება, რომ წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სანდოა (წყარო თვითმხილველია, ან შესაბამის დოკუმენტური მასალა აქვს), და იმის შემდეგ, რაც მკითხველსაც აუხსნის, რომ წყაროს ჰქონდა ანონიმურიბის მიზეზი, - ჟურნალისტს შეუძლია ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნება. მკითხველს კი მეტი საფუძველი ექნება, რომ ენდოს მიწოდებულ ინფორმაციას.

მართალია, აქვე, ქარტიის მესამე მუხლში წერია, რომ ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, და გაზეთის რედაქცია სწორედ ამ წინადადებას ეყრდნობა საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებისას. მონიტორის აზრით, დაუზუსტებელი ინფორმაციის დაბეჭდვისას თავის შეკავება არ არის ინფორმაციის მიჩქმალვა. პირიქით, ასეთი გადაწყვეტილება გაზეთს მკითხველისათვის უფრო სანდოსა და პროფესიულს ხდის.

მონიტორის აზრით, სტატიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, ქარტიის პირველი მუხლი დაირღვა, რომლის თანახმად, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. ამ მუხლის განმარტებისას, დაზუსტებულია, რომ არაიდენტიფიცირებული ინფორმაცია – რაგინდ მნიშვნელოვანი – უნდა გავიდეს სარედაქციო სვეტში და არა ახალ ამბებში. მონიტორის აზრით, გაზეთმა სწორედ ასეთი არაიდენტიფიცირებული ინფორმაცია დაბეჭდა. მონიტორი ეთანხმება გაზეთის მთავარ რედაქტორს, რომ გაზეთ „ვერსიაში" გამოქვეყნებული მასალა საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა და მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ, ქარტიის მიხედვით, მნიშვნელოვანი ინფორმაციაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო იდენტიფიცირებული.

საბოლოოდ, მკითხველმა ვერ მიიღო გაზეთისაგან ზუსტი ინფორმაცია, ვერ გასცა მთავარ კითხვას პასუხი - რა მოხდა სინამდვილეში? აქედან გამომდინარე, მკითხველი, რომელიც მერის მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი, მიიჩნევდა, რომ ეს სიმართლე იყო, ხოლო მერის მიმართ ლოიალური მკითხველი მიიჩნევდა, რომ მედიამ მორიგი სკანდალი და ჭორი შექმნა. ორივე შემთხვევაში, გაზეთმა მკითხველი საკუთარი მოსაზრებებისა და მიკერძოებული ვარაუდების ამარა დატოვა.

## დასკვნა

სტატიაში დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლები:

I მუხლი: **ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

III მუხლი: **ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.**

VIII მუხლი: **ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები;**

პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

**საგაზეთო მასალა №2**

**ლუგანსკელი ტანია**

**არსებითი განხილვა**

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის მეშვიდე მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული და სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით"; და მეათე მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი".

ქარტიის განმარტებების თანახმად, ამ მუხლის განხილვისას კონტექსტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. წარმოდგენილი მასალის კონტექსტი მიანიშნებს იმაზე, რომ თუკი ქალი მსუბუქი ყოფაქცევისაა და ვინმეს „საყვარელია", აუცილებლად რუსი ეროვნების იქნება. მასალაში აღნიშნულია, რომ ქალი, რომელსაც „ყველა ლანჩხუთელისთვის კარი ღია ჰქონდა" და გაუჩნდა ბიჭი, რომელსაც „მთელი ლანჩხუთი აკეთებდა", არის რუსი და აქვს რუსული სახელი - ტანია. რედაქციას რომ სწორედ ასეთ კონტექსტზე უნდოდა ხაზგასმა, ის განმარტებაც მიუთითებს, რაც რედაქტორმა მისცა მონიტორს. აღნიშნული განმარტების თანახმად, რედაქციამ შეცვალა პერსონაჟის სახელი, წარმომავლობა და ეროვნება (ანუ აღნიშნული პერსონაჟი რედაქციამ გამოიყვანა რუსი ეროვნების ლუგანსკელ ტანიად). „რომ დაგვეწერა ტყიბულელი მინადორა, ქუთაისელი მაყვალა ან ჰამბურგელი ჰელგა, ამას ექნებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა?" - განუცხადა რედაქტორმა მონიტორს. მაგრამ ფაქტია, რომ რედაქციამ სწორედ დისკრიმინაციული სტერეოტიპით იხელმძღვანელა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალის დასახასიათებლად გამოიყენა შემდეგი ფრაზა: „ლუგანსკელი რუსის გოგო ტანია". ზოგადად, ევროპული ტენდენცია იმგვარია, რომ ჟურნალისტი უნდა ებრძოდეს დისკრიმინაციულ გამონათქვამებს, წარმოდგენილ მასალაში კი რედაქციის მიერ წახალისებულია დისკრიმინაციული მიდგომა პიროვნების ეროვნული წარმომავლობის საფუძველზე.

ქარტიის განმარტების თანახმად, მე-10 მუხლში წყალგამყოფი გადის არა კერძო და საჯარო პირზე (როგორც კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ"), არამედ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ

ინტერესზე. ამგვარი ინტერესის გარეშე არა მხოლოდ კერძო პირის, არამედ - საჯარო პირის პირად ცხოვრებაში შეჭრაც არაეთიკურია. წარმოდგენილი მასალა კი მთლიანად ეძღვნება „ლუგანსკელი ტანიას" პირადი ცხოვრების დეტალების გამომზეურებას.

მონიტორის შეკითხვაზე, თუ რატომ დაინტერესდა გაზეთის რედაქცია ამ დეტალების გამოქვეყნებით, რედაქტორმა ასეთი პასუხი გასცა: „თუ რატომ ინტერესდებიან და თხზავენ ანეკდოტებს (კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საუბარია ანეკდოტზე და არა „სტატიაზე"), ვფიქრობთ, უსაფუძვლო შეკითხვაა". მასალაში, რომელსაც რედაქტორი ანეკდოტს უწოდებს, აღწერილია „ლუგანსკელ ტანიასთან" და მის შვილთან დაკავშირებული პირადი ცხოვრების დეტალები. მიუხედავად იმისა, რომ როგორც რედაქტორმა განმარტა, ტანიას სახელი და წარმომავლობა შეცვლილია, დედა-შვილის იდენტიფიკაცია ადვილადაა შესაძლებელი, რადგან მასალაში დასახელებულნი არიან ლანჩხუთელი კოლორიტები (ჯუმბერ ფირცხალაიშვილი და იმედო დუნდუა), რომლებიც საუბრობენ ტანიას პირადი ცხოვრების შესახებ. ამასთანავე, მასალაში დასახელებულია კიდევ ერთი პერსონაჟი, ე.წ. „კანონიერი ქურდი", თუმცა, ტანიასგან განსხვავებით, რედაქცია მის იდენტიფიკაციას არ ახდენს. ამასთან დაკავშირებით რედაქტორმა მონიტორს ასეთი განმარტება მისცა: „რას ნიშნავს, ანეკდოტში „კანონიერი ქურდის" ვინაობის გაუმჟღავნებლობა? როგორ ხდება ხოლმე კახელი მაროს მეუღლის, მიხოს ვინაობის გამჟღავნება, ან რამდენად აუცილებელია ეს რამდენიმესტრიქონიან ანეკდოტში?" მსგავსი ლოგიკიდან გამომდინარე, ისმის კითხვა, მაშინ რატომ ჩათვალა რედაქციამ საჭიროდ „ლუგანსკელი ტანიას" შესახებ იმავე ინფორმაციის გამჟღავნება? ფაქტია, რომ ტანიას პირადი ცხოვრების დეტალების გამოქვეყნება განპირობებული არ ყოფილა მისი პიროვნების მიმართ მოჭარბებული საზოგადოებრივი ინტერესით.

**დასკვნა**

სტატიაში დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლები:

VII მუხლი: **„ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული და სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით".**

X მუხლი: **„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი".**

**საგაზეთო მასალა №3**

## ჩაფიძის კლინიკიდან უსახსრობის გამო გამოწერილი მამაკაცი დაიღუპა

### არსებითი განხილვა

მონიტორის აზრით, 10 მარტს გამოქვეყნებულ სტატიაში დარღვეულია ეთიკის ქარტიის პირველი მუხლი, რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმცია. როგორც ამ მუხლის განმარტებაშია ნათქვამი, სტატიაში უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია.

სტატიაში ჩანს, რომ ჟურნალისტმა სწორედ მცდელობა დააკლო იმას, რომ ზუსტი ინფორმაცია გამოექვეყნებინა.

სტატიის ლიდშივე ნათქვამია, რომ „ჩაფიძის კლინიკაში მიყვანილი პაციენტი, რეანიმაციის განყოფილებიდან უსახსრობის გამო მწვავე ინფარქტის დიაგნოზით გაუშვეს და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა". ამის შემდეგ, სტატიაში მოყვანილია გარდაცვლილის ახლობლის, თამარ მოლაშვილის ციტატა, სადაც ის დეტალურად აღწერს, როგორ მოხვდა ბექანიშვილი მწვავე ინფარქტის დიაგნოზით ჩაფიძის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში, როგორ დაუსახელეს ექიმებმა, მისი ახლობლის თქმით, „საკმაოდ სოლიდური თანხა" მკურნალობისათვის და როგორ გადაწყვიტა პაციენტმა, მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, მკურნალობის შეწყვეტა, რადგან მას თანხის გადახდის საშუალება არ ჰქონდა. ბექანიშვილის ციტატას სტატიის მესამედი ეთმობა. ჟურნალისტი მედიკოსთა პროფკავშირს უკავშირდება, სადაც მას ეუბნებიან, რომ კერძო კლინიკასაც კი არ აქვს უფლება, უსახსრობის გამო სახლში გაუშვას საავადმყოფოში მიყვანილი პაციენტი. სტატიის ბოლო აბზაცში ჟურნალისტი ამბობს: „რეზონანსი დაუკავშირდა ჩაფიძის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებას, თუმცა იქ მხოლოდ მორიგე ექიმი იმყოფებოდა, რომელმაც ჩვენთან დასალაპარაკებლად ვერ მოიცალა".

ცხადია, ჩანს ჟურნალისტის მცდელობა, დაუკავშირდეს მოპასუხე მხარეს, - ამ შემთხვევაში, ჩაფიძის კლინიკას და მიიღოს სჭირო ინფორმაცია, თუმცა, ამას ვერ ახერხებს. მონიტორის აზრით, ეს ჟურნალიტის მხრიდან მხოლოდ ზედაპირულ, ზერელე დამოკიდებულებაზე მიუთითებს მისი პროფესიული პასუხისმგებლობის

მიმართ - მიაწოდოს მკითხველს ზუსტი ინფორმაცია. ცხადია, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მორიგე ექიმს არ ეცალოს ჟურნალისტთან სასაუბროდ. მით უფრო, თუკი ის მარტოა რეანიმაციულ განყოფილებაში. მონიტორის აზრით, ჟურნალისტი მხოლოდ ერთი წარუმატებელი ზარით არ უნდა შემოფარგლულიყო და უნდა დაჰკავშირებოდა კლინიკის ხელმძღვანელობას, იმ პასუხისმგებელ პირებს, ვინც პაციენტი საავადმყოფოდან გაწერა და მკითხველისათვის მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა, რის აფუძველზე გაწერეს პაციენტი.

ცხადია, სტატია ეხება მედიკოსთა მორალურ პასუხისმგებლობას პაციენტის მიმართ, მაგრამ ასევე საჭიროა, გაირკვეს ის სამართლებრივი და ეკონომიკური მხარეებიც, რაც პაციენტისა და ექიმის ან კლინიკის ურთიერთობას არეგულირებს.

სტატია მეტად მნიშვნელოვან თემას ეხება: ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს; ამავე დროს, სტატიაში პირდაპირი ბრალდებაა კერძო კლინიკის მიმართ, ფაქტობრივად, სიცოცხლის ხელყოფაში. ამიტომ, ჟურნალისტს აუცილებლად მეტი ძალისხმევა და დრო უნდ დაეხარჯა იმისათვის, რომ ბრალდებულისათვის ბრალდებაზე პასუხის გაცემის საშუალება მიეცა. სტატიის ბოლოს ნათქვამი ფრაზა იმის შესახებ, რომ „ჩვენ მომავალში დავბეჭდავთ მათ კომენტარს, თუკი ამ ფაქტთან დაკავშირებით კლინიკის ხელმძღვანელობა აზრის გამოთქმას მოინდომებს" - მონიტორის აზრით, არ არის ვითარებიდან კარგი გამოსავალი.

ეს არ არის სტატია, რომლის ერთი დღით გვიან გამოქვეყნება დააძველებს ან არასაინტერესოს, უმნიშვნელოს გახდიდა ინფორმაციას. სტატიის გამოქვეყნების თუნდაც ერთი დღით გადადება ჟურნალისტს მისცემდა საშუალებას, რომ კლინიკაში დაერეკა დღისით, როცა იქ მხოლოდ მორიგე ექიმი არ იქნებოდა, ან მისულიყო და კლინიკაზე ან ამ კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელ პირებს დალაპარაკებოდა. მეორე მხარის წარმოდგენა სტატიაში მკითხველს ბევრად უფრო ზუსტ ინფორმაციას მიაწვდიდა, ვიდრე მან მიიღო სტატიის იმ სახით წაკითხვისას, რა სახითაც ის დაიბეჭდა.

დაშვებული მძიმე ხარვეზი გაზეთმა გამოასწორა იმით, რომ მათ შემდეგ ნომერში ჩაფიძის კლინიკას ბოდიში მოუხადეს და შეცდომა გაასწორეს. რედაქციის ასეთი გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი და ეთიკური გადაწყვეტილება იყო ამგვარ ვითარებაში. მონიტორის აზრით, „რეზონანსმა" წესების სრული დაცვით გამოასწორა შეცდომა, თუმცა, ყოველთვის მეტი ყურადღებაა საჭირო, რომ ასეთ პროფესიულ ვითარებაში ჟურნალისტმა ეთიკის სტანდარტები არ დაარღვიოს.

## დასკვნა

სტატიაში დარღვეულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი მუხლი.

I მუხლი: **ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

**საგაზეთო მასალა №4**

## საარჩევნო ადმინისტრაციები – შემადგენლობა და კვალიფიკაცია: როგორაა დაკომპლექტებული საუბნო საარჩევნო კომისიები, ვინ არიან და როგორ ინიშნებიან მისი წევრები

### არსებითი განხილვა

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ეთიკის ქარტიის მეხუთე მუხლი, რომლის მიხედვითაც მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. ამ მუხლით ჟურნალისტები და რედაქტორები პასუხისმგებლობას იღებენ, რომ პატიოსნად განაცხადონ არაზუსტი ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ და შეასწორონ ის.

კერძოდ, სტატიაში ნათქვამია, რომ „ახალციხის №30 საარჩევნო უბანზე 14:09 საათზე უბნის მორიგეები არ იმყოფებოდნენ. ეს უბანი საბავშვო ბაღის შენობაში მდებარეობს. „დღეს აქ არავინ გამოჩენილა", - გვითხრეს ბაღის თანამშრომლებმა", - წერს ჟურნალისტი. ნაცვლად ახალციხის 30-ე საარჩევნო უბნისა, უნდა იყოს ახალციხის მე-6 საარჩევნო უბანი.

ეს არის ერთადერთი შეცდომა, რაც ჟურნალისტმა დაუშვა. სტატიის დანარჩენ ტექსტში მოყვანილი ყველა ფაქტი გამყარებულია რელევანტური წყაროს დამოწმებით. უმეტეს შემთხვევაში, მოყვანილია წყაროს ციტატა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი წყაროს ციტატა სადავო გახდა და წყარომ ჟურნალისტის მიმართ პრეტენზია გამოთქვა. თუმცა, ჟურნალისტს ჰქონდა მისი სიმართლის დამამტკიცებელი ჩანაწერი, სადაც წყარო სიტყვა-სიტყვით იმას ამბობს, რაც ჟურნალისტს ჰქონდა გამოქვეყნებული. შესაბამისად, ჟურნალისტმა დაიცვა საკუთარი სიმართლე.

### დასკვნა

სტატიაში დარღვეულია ეთიკის ქარტიის მეხუთე მუხლი.

V მუხლი: **მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.**

**საგაზეთო მასალა №5**

## გარდაცვლილი გმირის დედა გაზეთის რედაქციას საჯაროდ ბოდიშის მოხდას სთხოვს

### არსებითი განხილვა

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.

ქარტიის განმარტების თანახმად, ამ მუხლის ძირითადი სიმძიმე მოდის სიტყვებზე: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს. უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. სტატიაში კი არ ჩანს ჟურნალისტის მსგავსი მცდელობა, რომ მან რაიმე იღონა ზუსტი ინფორმაციის გასავრცელებლად.

ქარტიის განმარტებების თანახმად, „ზუსტ ინფორმაციად“ ითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა – ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია. წარმოდგენილი სტატია კი მთლიანად ეყრდნობა ერთი წყაროს (ლალი დოლიძის) მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაცია არ არის გადამოწმებული არც ერთ სხვა წყაროსთან. სტატიაში ავტორი მიუთითებს, რომ ის შეეცადა დოლიძის ნაამბობის მხოლოდ ერთ წყაროსთან (ნატო გოგელიასთან) გადამოწმებას, მაგრამ სტატიის მიხედვით ჩანს, რომ არც უცდია სხვა წყაროებთან დაკავშირება.

გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დარღვეულია ქარტიის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია“. „ფაქტის მიჩქმალვა“ განიმარტება შემდეგნაირად: ჟურნალისტი აშუქებს მოვლენას, მაგრამ მალავს ფაქტს, რომელიც ამ მოვლენის მნიშვნელოვანი ნაწილია. სტატიაში გამოყენებული ერთადერთი წყარო დეტალურად აღწერს, თუ რა მოვლენა უძღოდა წინ ლალი დოლიძისა და გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტ ნატო გოგელიასთან წარმოშობილ კონფლიქტს: „ოჯახში დაგვირეკეს თავდაცვის სამინისტროდან და გვაცნობეს, რომ უნდა გადმოეცათ მერაბის თავგანწირვისთვის უმაღლესი ხარისხის ჯილდო. ჩვენ დავუკავშირდით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს,

მამუკა დოლიძეს და ვთხოვეთ, რომ აღნიშნულ დაჯილდოვებასთან დაკავშირებით მოეწვია ჟურნალისტები, რათა საჯაროდ მთელ გურიას გაეგო მერაბისთვის გმირის წოდების მინიჭება. 9 აპრილს, 14 საათზე ჩამოვიდნენ სამინისტროს წარმომადგენლები, რაიონის გამგებელს მაშინვე ვაცნობეთ, რომ ჟურნალისტები მოეყვანა ოჯახში. ცოტა ხანში რეკავს მამუკა დოლიძე და გვეუბნება, რომ „გურია ნიუსის" ჟურნალისტები დაკავებულები არიან, წამოვიყვან ფოტოკორესპონდენტს, გადავიღოთ და შემდეგ გავაშუქოთო. მამუკა დოლიძე დაუკავშირდა ნატო გოგელიას, რომელსაც თურმე იმ დროისთვის არ ეცალა და გამგებელს გამოაყოლა ფოტოკორესპონდენტი. გოგელიამ არ ჩათვალა საჭიროდ გამგებლის თხოვნა სხვა ჟურნალისტებისთვის გადაეცა, თუმცა ისინი, მათივე განცხადებით, თავისუფალი იყვნენ და შეეძლოთ მოსულიყვნენ და დასწრებოდნენ დაჯილდოვებას". ლალი დოლიძის ნაამბობი სტატიის ავტორმა ისე გაავრცელა, რომ არც ერთ წყაროსთან არ გადაამოწმა. მართალია, მან უარი მიიღო ნატო გოგელიასგან, რომელსაც, როგორც თავად ამბობს, დაუკავშირდა, მაგრამ ის არ დაჰკავშირებია ჩოხატაურის გამგებელს მამუკა დოლიძეს. სტატიის ავტორს ლალი დოლიძისთვის არც ის გამოუკითხავს, თუ რომელმა ჟურნალისტებმა განუცხადეს მას, რომ „შეეძლოთ დასწრებოდნენ დაჯილდოვებას", რათა ავტორს ამ ჟურნალისტებთან გადაემოწმებინა, მართლაც დაუმალა თუ არა ნატო გოგელიამ შეგნებულად მათ ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია. სტატიის ამ მონაკვეთის წაკითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩოხატაურში ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც გამგებელი პირადად უზრუნველყოფს ამა თუ იმ მოვლენის გასაშუქებლად ჟურნალისტების გაფრთხილებასა და ტრანსპორტირებას დანიშნულების ადგილზე. თუმცა, ამის თაობაზე უფრო მეტ ინფორმაციას სტატიის ავტორი არ იძლევა.

სტატიაში დარღვეულია ქარტიის მე-11 მუხლიც, რომლის თანახმადაც „ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს ფაქტის განზრახ დამახინჯება". სტატიის ბოლოს ავტორი ბოდიშს უხდის კოლეგებს გაზეთ „გურია ნიუსიდან", თუმცა, სტატიაში არ ჩანს, რით არის განპირობებული ეს მობოდიშება. ზოგადად, სტატიაში ნათლად არც ის იკითხება, თუ კონკრეტულად რის გამო უპირისპირდება ლალი დოლიძე „გურია ნიუსის" რედაქციას. სტატიის ბოლოს გაკეთებულია მინაწერი - „მასალა იბეჭდება შემოკლებით", შესაბამისად, მონიტორმა მიმართა შეკითხვით „გურიის მოამბის" რედაქტორს, „იმის გამო, რომ სტატია იბეჭდება შემოკლებით, სტატიაში ნათლად არ იკითხება, თუ რაში გამოიხატა შეურაცხყოფის მიყენება გოგელიას მხრიდან. ვინ მიიღო გაზეთში სტატიის შემოკლებული ვერსიის დაბეჭდვის გადაწყვეტილება?" აღნიშნულ შეკითხვას რედაქტორმა ასეთი პასუხი გასცა: „ვინაიდან ტექსტში მრავლად იყო ერთ-ერთი გაზეთის

თანამშრომლებისადმი კრიტიკული გამონათქვამები, პირადად მე თავი შევიკავე მისი გამოქვეყნებისაგან, რადგან მეორე მხარე აცხადებდა უარს კომენტარზე“. ასეთ შემთხვევაში, ჩნდება კითხვა, რატომ არ გამოიჩინა რედაქციამ იგივე თავშეკავებულობა მთლიანობაში, ამ მასალის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით? ავტორი სტატიაშივე ასეთ განმარტებას აკეთებს: „აუცილებლად მიგვაჩნია ნებისმიერ ადამიანს მიეცეს საშუალება ღიად დააფიქსიროს თავისი მოსაზრება და მით უმეტეს დაიცვას საკუთარი ღირსება, როცა ის მას შელახულად მიიჩნევს“. ასეთ შემთხვევაში, რედაქციას შეეძლო, უცვლელად გამოექვეყნებინა ლალი დოლიძის წერილი, როგორც არა სარედაქციო მასალა, რადგან როდესაც მზადდება სარედაქციო მასალა არაზუსტ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ეს ნიშნავს, რომ რედაქციის მხრიდან ადგილი აქვს ფაქტის განზრახ დამახინჯებას.

## დასკვნა

სტატიაში დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლები:

I მუხლი: **„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.**

III მუხლი: **„ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია“.**

XI მუხლი: **„ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს ფაქტის განზრახ დამახინჯება“.**

**საგაზეთო მასალა №6**

**მეოთხეკლასელი გოგონა სამმა თანატოლმა ბიჭმა დაიჭირა და თმები გაკრიჭა... ბავშვმა ისეთი ტრავმა მიიღო, რომ მშობლებმა აურზაურის გარეშე გაარიდეს და სხვაგან გადაიყვანეს**

**არსებითი განხილვა**

მონიტორის აზრით, მოცემულ სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი, რომლის თანახმად, ჟურნალისტმა პატივის უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

პირველი მუხლის ძირითადი სიმძიმე მოდის სიტყვებზე: ჟურნალისტმა პატივის უნდა სცეს. უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. „ზუსტ ინფორმაციად", შეთანხმების თანახმად, ითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა - ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია. არაიდენტიფიცირებული ინფრომაცია - რაგინდ მნიშვნელოვანი - უნდა გავიდეს სარედაქციო სვეტში და არა ახალ ამბებში. იგივე ეხება ამბავს, რომელსაც ჟურნალისტი შეესწრო, მაგრამ რომელიც არ დასტურდება დოკუმენტურად - ფოტოთი, ვიდეოთი, ხმის ჩანაწერით და ა.შ.

სტატიის პირველ აბზაცში სტატიის ავტორი საუბრობს 34-ე სკოლის საკანონმდებლო სივრციდან ამოვარდნაზე. მონიტორი დაინტერესდა, რაზე დაყრდნობით კეთდება ეს განცხადება. სტატიის მეორე ნაწილში სკოლის დირექტორი აცხადებს, რომ კანონი მათ ავალდებულებს, დააკმაყოფილონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და ამის შემდეგ, უფლება აქვთ, სტანდარტს ზემოთ სწავლება განახორციელონ. დირექტორი ამბობს, რომ კანონი სკოლას არ უზღუდავს შემოქმედებითობას. აქედან გამომდიანარე, სკოლა არ არღვევს კანონს. ასევე, ჟურნალისტი წერს, რომ მან ვერ მოიპოვა განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის კომენტარი ამ საკითხზე. მიუხედავად ამისა, ნელი თორდია ამტკიცებს, რომ სკოლა არღვევს საკანონმდებლო სივრცეს.

მონიტორის კითხვაა, სად გადაამოწმა ჟურნალისტმა ინფორმაცია, რომ 34-ე სკოლა საკანონმდებლო სივრციდან ამოვარდნილია? ჟურნალისტი პასუხობს, რომ, სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო განათლების სამინისტროს რომელიმე თანამშრომელთან დაკავშირება და ამ განცხადებას აკეთებს იმის საფუძველზე, რომ კახა ლომაიას მინისტრობის დროს, განათლების კანონის მიხედვით, ყველა ტიპის საავტორო სკოლების არსებობა

აიკრძალა, ყველა მათგანს მიენიჭა ნომერი და თითოეული გახდა საჯარო. ჟურნალისტი ამბობს, რომ თუკი 34-ე სკოლაში ყველაფერი ისეა, როგორც ამას სკოლის დირექტორი ამბობს, მაშინ დარღვევა არ არის, რადგან კანონი მას მართლა აძლევს შემოქმედების საშუალებას. თუმცა, ნელი თორდიას განსხვავებული ინფორმცია აქვს სკოლის მოწაფეების მშობლებისგან, რომლებიც ამბობენ, რომ სწავლა მხოლოდ საავტორო პროგრამით მიდის და იქ სავალდებულო გადასახადი არსებობს.

მონიტორის რჩევაა, ამგვარ შემთხვევაში, იმისათვის, რომ ინფორმაციამ მეტი სანდოობა შეიძინოს, ის აუცილებლად გადამოწმდეს მესამე წყაროსთან, ამ შემთხვევაში, განათლების სამინისტროსთან. ვიდრე არ იქნება მიღებული სამინისტროს განმარტება, მსგავსი ინფორმაციის გავრცელებისგან უმჯობესია ავტორმა თავი შეიკავოს.

მონიტორი ასევე დაინტერესდა, რატომ გახდა ეს კონკრეტული სკოლა ჟურნალისტის ინტერესის საგანი? სტატიის ავტორი ამბობს, რომ ამ სკოლის ერთ-ერთი მოწაფის მშობელი თავად დაუკავშირდა მას და გაუზიარა უკმაყოფილება. ჟურნალისტის თქმით, მშობელი თავიდანვე შეუთანხმდა, რომ მის სახელსა და გვარს არ გაამხელდა. ნელი თორდია ამბობს, რომ ეს ფაქტები სხვა ორმა მშობელმაც დაადასტურა, მაგრამ არც მათ მოისურვეს საკუთარი ვინაობის საჯაროდ გამჟღავნება. ამბავი, რომელსაც ჟურნალისტი სტატიაში გვიამბობს, მისი თქმით, დაზარალებული ბავშვის თანაკლასელის დედამ უამბო. საუბარია მეოთხეკლასელი გოგონასათვის ძალით თმის შეჭრის ფაქტზე. ამ ინფორმაციას, ჟურნალისტის სტატიის მეორე ნაწილში, სკოლის დირექტორი უარყოფს და ჟურნალისტს სთხოვს, გაუმხილოს ამ ბავშვის სახელი და გვარი. ამ შემთხვევაში, სტატიის ავტორი ვერც ამ ფაქტის სინამდვილეს ამტკიცებს და ვერც დირექტორს ამცნობს დაზარალებული ბავშვის ვინაობას, რომელიც 34-ე სკოლიდან, მისი თქმით, უკვე გადაყვანილია. გამოდის, რომ მკითხველს მხოლოდ ორი ვერსია აქვს: ინკოგნიტო მშობელი, რომელიც ამ ფაქტის სინამდვილეს ამტკიცებს და სკოლის დირექტორი, რომელიც ამ ფაქტს უარყოფს. ასეთ შემთხვევაში, მონიტორის რჩევაა, მოიძიოს მესამე წყარო, რომელიც აღნიშნულ ფაქტს დაადასტურებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისგან.

სტატიის ბოლო ნაწილში ჟურნალისტი საუბრობს 34-ე სკოლის პროგრამის ავტორის ფისო სვანიძის მეუღლეზე, რომელიც 61-ე სკოლის დირექტორია და ამბობს, რომ არსებობს გენერალური ინსპექციის გამანადგურებელი დასკვნა, რომელიც 61-ე სკოლას ეხება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიხეილ მინდაძე დღეს ისევ ზემოხსენებულ სკოლის დირექტორია. ამას ჟურნალისტი მიხეილ მინდაძის ახლობლობლობას უკავშირებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან,

კერძოდ კი პარლამენტის წევრ გოკა გაბაშვილთან და საქართველოს სრულუფლებიან ელჩთან იტალიაში კოტე გაბაშვილთან. ჟურნალისტის მინიშნებით, სწორედ ამ ადამიანების წყალობით სარგებლობს ცოლ-ქმარი - ფისო სვანიძე და მიხეილ მინდაძე - პრივილეგიებით.

მონიტორის კითხვა შეეხებოდა გენერალური ინსპექციის დასკვნას, რომელიც მიხეილ მინდაძეს (61-ე საჯარო სკოლის დირექტორს) შეეხება. მონიტორი დაინტერესდა, აქვს თუ არა პირადად ნანახი ეს დოკუმენტი ჟურნალისტს, ან არსებობს თუ არა ის საერთოდ. საიდან არის ეს ინფორმაცია? ამაზე ჟურნალისტმა განაცხადა, რომ იმ დოკუმენტის ქსეროასლი, სადაც მოცემულია ფინანსური დარღვევები, მას სახლში აქვს და ამ თემაზე მას არაერთი სტატია დაუწერია. „მე ორი თუ სამი სტატია მივუძღვენი ამ საქმეს და დოკუმენტის ასლიც გამოვაქვეყნე ჩვენს გაზეთში''. მონიტორის კითხვაზე, რატომ ახლაც არ მოიშველია დოკუმენტი ინფორმაციის მეტი სანდოობისათვის, ჟურნალისტი პასუხობს, რომ აღარ ჩათვალა საჭიროდ, რადგან არაერთხელ გამოუქვეყნებია ეს მასალა.

მონიტორის რჩევაა, ჟურნალისტმა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოება, რომ შესაძლებელია, მკითხველს არ ჰქონდეს ნანახი ადრე გამოქვეყნებული სტატიები და ფაქტის ხელმეორედ მოხსენიებისას, ის მუდმივად იყოს გამყარებული დოკუმენტით, ინფორმაციის მეტი სანდოობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტი, რომლის შესახებაც ჟურნალისტი საუბრობს, ჩაითვლება უაპელაციო ბრალდებად და არა დაზუსტებულ ინფორმაციად.

სტატიაში სულ სამი პატარა აბზაცია, სადაც ჟურნალისტი გვესაუბრება და ორი მათგანი შეიცავს ბრალდებითი ხასიათის ფაქტებს. არც ერთი მათგანი არ არის დადასტურებული მესამე წყაროს მიერ, ან დოკუმენტის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, მკითხველი თავისუფალია არჩევანში - დაუჯეროს სტატიის ავტორს, ან არ დაუჯეროს. მონიტორის რჩევაა, ჟურნალისტმა თავი შეიკავოს მსგავსი ფაქტების გავრცელებისგან, რომელთა დადასტურება მხოლოდ კონფიდენციური წყაროს მეშვეობით არის შესაძლებელი.

## დასკვნა

ამ სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი.

I მუხლი: **ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

**საგაზეთო მასალა №7**

## რატომ აკავშირებენ ლანჩხუთელი გოგონების გაუჩინარების ისტორიას სატანისტურ სექტასთან

### არსებითი განხილვა

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი, რომლის თანახმად, ,,ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია‘‘ და მერვე მუხლი, რომლის თანახმად, ,,ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება‘‘.

ქარტიის განმარტების თანახმად, პირველი მუხლის ძირითადი სიმძიმე მოდის სიტყვებზე: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს. უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოქვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. ,,ზუსტ ინფორმაციად‘‘ ითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა – ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია.

წარმოდგენილი სტატია კი მთლიანად ეყრდნობა არაიდენტიფიცირებულ წყაროებს. მაგალითად, როდესაც სტატიაში ავტორი გვთავაზობს გოგონების გაუჩინარებასთან დაკავშირებულ ვერსიებს, იყენებს ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: ,,მავანი‘‘, ,,მოარული ხმები‘‘, ,,ანგარიშგასაწევი ნაწილი‘‘. მონიტორის შეკითხვაზე - ჰყავს თუ არა წარმოდგენილ ვერსიებს კონკრეტული წყარო, რომლებსაც ესაუბრა ჟურნალისტი და რომლებისგანაც მიიღო ეს ინფორმაცია? - რედაქტორმა განმარტა: ,,ავტორს, რასაკვირველია, ჰყავს კონკრეტული წყაროები, მაგრამ მათი იდენტიფიცირება ნებისმიერი სახით, გაუმართლებელი იყო, თუმცა, გეთანხმებით, რომ ორი წლის წინ, ამგვარი ფორმულირებები უფრო ხშირი იყო და ბოლო პერიოდში, ჩვენს გამოცემაში, პრაქტიკულად, აღარ შეგხვდებათ.‘‘ თუ რატომ იყო გაუმართლებელი ზემოთ აღნიშნული წყაროების იდენტიფიცირება, ეს არც სტატიაში განუმარტავს ავტორს და არც - მონიტორთან საუბარში. ავტორმა სტატიაში აღწერა ვერსიები

არაიდენტიფიცირებულ წყაროებზე დაყრდნობით და ეს ვერსიები აღარ გადაუმოწმებიია სხვა წყაროებთან, მაგალითად, უშუალოდ გოგონებთან ან მათ მშობლებთან. ამასთან დაკავშირებით, მონიტორს რედაქტორმა განუმარტა: ,,ამ კონკრეტულ სტატიას წინ უძღოდა ინფორმაცია, რომ გოგონები დაიკარგნენ. მშობლები მათი გაუჩინარების შესახებ კომენტარს არ აკეთებდნენ. ხოლო შემდგომ, საზოგადოებრივი განწყობიდან გამომდინარე, მათთან დაკავშირება, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდა.“

სტატიაში ავტორი იყენებს კიდევ ერთ წყაროს, რომელსაც მოიხსენიებს ,,სანდო წყაროდ“, თუმცა სტატიაში არ არის ახსნილი, რატომ უნდა მიიჩნიოს მკითხველმა აღნიშნული წყარო სანდოდ. ამასთან დაკავშირებით, მონიტორს ავტორმა და რედაქტორმა ასეთი განმარტება მისცეს: ,,არსებობენ წყაროები, რომლებიც დიდი ხანია თანამშრომლობენ რედაქციასთან და მათგან მიღებული ინფორმაცია ყოველთვის დასტურდებოდა. ამიტომ, წყარო, რომელიც სანდოა ჩვენთვის, სანდოა ჩვენი რამდენიმე ათასი მკითხველისთვისაც, რასაც ,,გურია ნიუსის“ რამდენიმეწლიანი სტაბილური ტირაჟიც ადასტურებს“.

ავტორი და რედაქტორი, ასევე, ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ სტატია მომზადდა შეზღუდულ დროში, რის გამოც ვერ მოხერხდა ყველა სტანდარტის დაცვა: ,,მათ (გოგონების) მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ დათვლილი საათები გვქონდა,“ - განმარტა რედაქტორმა.

მონიტორს მიაჩნია, რომ პირიქით, გადაუმოწმებელი და არაზუსტი ვერსიების გავრცელება უფრო საზიანო აღმოჩნდებოდა გოგონებისთვის, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი ვერსიით არასრულწლოვნები დაკავშირებულნი არიან სატანისტებთან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვერსიის სიზუსტე სტატიაში არ დასტურდება, ამ ვერსიას აჟღერებს ავტორი სტატიის სათაურში - ,,რატომ აკავშირებენ ლანჩხუთელი გოგონების გაუჩინარების ისტორიას სატანისტურ სექტასთან“. ავტორმა მონიტორთან საუბარში განმარტა, რომ წარმოდგენილი სათაური შეირჩა სტატიისადმი მკითხველთა ყურადღების მაქსიმალურად მიპყრობის მიზნით: ,,ვალდებული ვიყავით მკითხველის ყურადღება მაქსიმალურად მიგვექცია გოგონების განსხვავებულობის მოტივისთვის, იმპერატიული და დიდაქტიკური ტონის გარეშე, რაც კიდევ უფრო გამაღიზიანებელია მსგავს სიტუაციაში; არ დაგვეშვა მათ მიმართ რაიმე სახის ძალადობა. მით უმეტეს, ჩვენს საპირისპიროდ მოქმედებდა ძლიერი იდეოლოგიური მანქანა ცენტრალური არხების სახით, რომელთა სიუჟეტებში აქცენტი სწორედ გოგონების სატანისტური სექტის წევრობასა და სექსუალური უმცირესობებისადმი კუთვნილებაზე იყო გადატანილი. ამ შემთხვევაში, ნეიტრალური სათაური სრულიად

არაეფექტური და არსებული მძიმე სიტუაციის არაადეკვატური იქნებოდა. სათაურში ხაზგასმულია არა ის, რომ ლანჩხუთელი გოგონები დაკავშირებულნი არიან სატანისტურ სექტასთან, არამედ ჩვენ ვსვამთ კითხვას. სათაურში კითხვა დასმულია ამგვარად, რადგან საზოგადოება აქცენტს აკეთებდა გოგონების სექტანტურ კუთვნილებაზე და მოითხოვდა გაესახლებინათ ისინი სოფლიდან, ან სხვა ფორმით დაესაჯათ სწორედ ამ მოტივით. ჩვენ შეზღუდული ვიყავით დროში, რადგან სავსებით რეალური იყო საფრთხე, რომელიც ამ გოგონებს საზოგადოებრივი აზრის არასწორად ჩამოყალიბების გამო ემუქრებოდათ.“ - ასეთი განმარტება მისცეს სტატიის ავტორმა და გაზეთის რედაქტორმა მონიტორს. ამასთან, რედაქტორმა განმარტა, რომ რედაქციის პოზიცია გამოიხატა სტატიის ბოლოს გამოქვეყნებულ სარედაქციო მინაწერში, რომელშიც ვკითხულობთ: „ზემოთ მოთხრობილის გათვალისწინებით, საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვი და შიში, რომ როკის მოყვარულთა სახელით, რაიონში შენიღბულად მოქმედებენ სატანისტური სექტის წევრები, რომლებიც სპეციალურად ახალგაზრდობის გადაბირებაზე მუშაობენ, უსაფუძვლოა – როგორც ჩანს, საქმე სატანისტებთან კი არა, პირველ გურულ „ემოებთან“ გვაქვს.“ რედაქციასა და ავტორს შეეძლო, მსგავსი მტკიცებითი ფორმა - რომ გოგონების გაუჩინარების ისტორია არ უკავშირდება სატანისტურ სექტას - გამოეყენებინა სათაურში, მაგრამ ავტორმა შეარჩია შეკითხვის ფორმა, რაც მიუთითებს, რომ ავტორმა ვერ შეძლო ფაქტობრივი მტკიცებულებების მოპოვება სათაურში გამოტანილი ვერსიის უსაფუძვლობის (როგორც ეს რედაქციის მინაწერშია აღნიშნული) დასადასტურებლად ან უარსაყოფად. ასეთი სათაური უსაფუძვლო ეჭვებს წარმოშობს საზოგადოებაში, ანუ მას შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. უსაფუძვლო ეჭვებისა და ვერსიების გავრცელება კი, პირველ რიგში, ზიანს აყენებს ბავშვებს - სტატიის პერსონაჟებს, რაც ეწინააღმდეგება ქარტიის მე-8 მუხლს. ამასთანავე, სტატიაში ავტორი არაიდენტიფიცირებულ წყაროზე დაყრდნობით აღწერს იმ დეტალებს, რაც გოგონებს თავს გადახდათ ქუთაისში ყოფნის დროს; ამ დეტალების აღწერისას ავტორი იყენებს ისეთ ტერმინოლოგიას, რაც, როგორც წესი, თან ახლავს დანაშაულის აღწერას, მაგალითად, ავტორი სტატიაში წერს: „მოსწავლეებს მაძებრების კვალის ასარევად, კონსპირაციის ისეთი ზომები ჰქონდათ მიღებული, რომ ბევრს, მსგავს საქმეში გამოცდილს, გაუჭირდებოდა!“ თანაც საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ ინფორმაციას ჟურნალისტი ავრცელებს არაიდენტიფიცირებულ წყაროზე დაყრდნობით, რომელიც არ არის გადამოწმებული უშუალოდ ამბის მონაწილე გოგონებთან ან მათ მასპინძელთან ქუთაისში. ამასთან დაკავშირებით რედაქტორმა მონიტორს ასეთი განმარტება მისცა: „ეს ინფორმაცია ჟურნალისტმა საკუთარი წყაროსგან მიიღო,

ხოლო ინფორმაცია უშუალოდ გოგონებთან ვერ გადამოწმდა, რადგანც ისინი გაუჩინარების წინა პერიოდშივე იქცნენ დევნის ობიექტებად. ამიტომ, ამ პერიოდში კონტაქტზე ვერ გამოდიოდნენ – დრო კი ძალიან შეზღუდული გვქონდა, დაგვიანებას, შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგი მოჰყოლოდა მათ საზიანოდ.“ მონიტორს მიაჩნია, რომ გადაუმოწმებელი და დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებით, ჟურნალისტმა დაარღვია ქარტიის მე-8 მუხლი, რომელიც ჟურნალისტს ავალდებულებს პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს.

**დასკვნა**

სტატიაში დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლები:

I მუხლი: **„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.**

VIII მუხლი: **„ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება“.**

**საგაზეთო მასალა №8**

**წინ წარმატებისაკენ!**

**არსებითი განხილვა**

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“ და მერვე მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება“.

ქარტიის განმარტების თანახმად, პირველი მუხლის ძირითადი სიმძიმე მოდის სიტყვებზე: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს. უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. „ზუსტ ინფორმაციად“ ითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა – ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია. არაიდენტიფიცირებული ინფორმაცია - რაგინდ მნიშვნელოვანი - უნდა გავიდეს სარედაქციო სვეტში და არა ახალ ამბებში.

წარმოდგენილი სტატია გაზეთში დაბეჭდილია პირველ და მეორე გვერდებზე, სტატიას არ გააჩნია სპეციალური რუბრიკა, ან რაიმე განმასხვავებელი ნიშანი, რაც იმის დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ სტატია წარმოადგენს გაზეთის საინფორმაციო ბლოკის ანუ ფაქტების ნაწილს. სტატიაში კი, ძირითადად, მოწოდებულია ჟურნალისტის კომენტარები/შეფასებები. მონიტორის შეკითხვაზე, თუ რით არის ეს განპირობებული, გამომცემელმა განმარტა: „სტატია წარმოადგენს გაგრძელებას წერილების იმ ციკლისა, რომელიც ლანჩხუთელი გოგონების გახმაურებულ ფაქტს აშუქებდა. ავტორის შეფასებები ეხება არა გოგონების საქციელს, არამედ მათ მიმართ მასწავლებლების დამოკიდებულებას. ავტორი მოხარულია, რომ ბავშვების ბედით სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია დაინტერესდა და გოგონების გარიყვის წინააღმდეგ გაილაშქრა. ავტორი, რომელიც თავადაც 21-წლამდე ასაკისაა, ამ მოსაზრებას აქვეყნებს გაზეთში, რომელიც მხოლოდ

მოზარდების მიერ იქმნება და მასში მხოლოდ მათი მოსაზრებები, ინტერესების შესაბამისი მასალები იბეჭდება.“ თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაზეთში სტატიას არ აქვს შესაბამისი მინიშნება, რომელიც მკითხველს მიუთითებდა, რომ ავტორის თვალსაზრისს ეცნობა. ამასთან, სტატია ეძღვნება გოგონებისთვის სკოლაში განათლების მიღების შეზღუდვის ფაქტის განხილვას, თუმცა, არ ჩანს, რომ ავტორმა ამ ფაქტის სიზუსტე თავად შეამოწმა. ავტორი იყენებს ფრაგმენტებს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასული სიუჟეტიდან, თუმცა, სკოლის დირექტორისა და პედაგოგების მიერ აღნიშნული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუებში, რასაც წარმოდგენილ სტატიაშიც აქვეყნებს ავტორი, არ ჩანს ის ფაქტი, რომ გოგონებს სკოლაში განათლების მიღების უფლებას არ აძლევენ. სტატიაში გამოყენებულია ინტერვიუები, სადაც დირექტორი და პედაგოგები გოგონების პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციასა და შეფასებებს ავრცელებენ. სტატიაში ავტორი მხოლოდ და მხოლოდ სატელევიზიო ინტერვიუებს ეყრდნობა და ამის საფუძველზე გვთავაზობს საკუთარ დასკვნებს. აღნიშნული დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებს არ ეფუძნება. მაგალითად, სტატიას ავტორი იწყებს შემდეგი ინფორმაციით: „გურიაში, სოფელ ღრმაღელეში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ცივილიზაციას ერთმანეთთან მხოლოდ ტელევიზია აკავშირებს, ორი განსხვავებული გოგონა ცხოვრობს“. სტატიაში არ ჩანს, თუ რის საფუძველზე დაასკვნა ავტორმა, რომ ღრმაღელეში ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ცივილიზაციას ერთმანეთთან მხოლოდ ტელევიზია აკავშირებს. ამასთან დაკავშირებით გამომცემელმა მონიტორს განუმარტა: „თუ თავად ჩახვალთ ღრმაღელეში, მიხვდებით, რას ეყრდნობა ეს შეფასება – ხელისუფლებისგან მიტოვებულ, უგზო, უწყლო, უპატრონო სოფელში მხოლოდ ტელევიზია, და ისიც მხოლოდ ხელისუფლებისგან მართული არხებია მოსახლეობის ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი. შეფასება ეყრდნობა საკუთარ თვალებს და წყაროს, მაგალითად, ისევე, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ვწერთ, რომ წვიმს.“ ეს ყველაფერი ავტორს სტატიაში რომ განემარტა, შესაძლოა, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებისთვის უფრო სარწმუნო გამხდარიყო.

შეგვიძლია მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი იმისა, როდესაც ავტორი იძლევა შეფასებებს, რომლებიც ფაქტობრივ გარემოებებს არ ეფუძნება და მხოლოდ ვარაუდია. სტატიაში ავტორი იყენებს ფრაგმენტს ერთ-ერთი პედაგოგის მიერ ტელევიზიისთვის მიცემული ინტერვიუდან, სადაც პედაგოგი აცხადებს, რომ გოგონებმა ბათუმელ ჟურნალისტებს მისცეს ინტერვიუ და მათთან საუბარში განაცხადეს, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართო. ამას მოსდევს სტატიის ავტორის ასეთი შეფასება: „წარმოგიდგენიათ?! ბავშვებს, ალბათ, ესეც რომ არ ეთქვათ, კოცონზე

დაწვავდნენ“. სტატიის სრულად წაკითხვის შემდეგაც კი აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რას ეფუძნება ჟურნალისტის მხრიდან მსგავსი ვარაუდი. მონიტორს მიაჩნია, რომ წარმოდგენილ სტატიაში არ ჩანს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოქვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. უფრო მეტიც, სტატიაში არ ჩანს, რომ ჟურნალისტმა პირადად მოიძია რომელიმე წყარო. იგი სატელევიზიო სიუჟეტში გამოყენებულ წყაროებს ეყრდნობა და შეიძლება ითქვას, რომ სტატია მთლიანობაში ჟურნალისტის გამოხმაურებაა აღნიშნულ სატელევიზიო რეპორტაჟზე. ცხადია, ყველაფერი ეს არ იქნებოდა ქარტიის პირველ მუხლთან შესაბამისობის კუთხით განხილვის საგანი, სტატიას რომ ჰქონოდა შესაბამისი განმასხვავებელი ნიშანი, რომ იგი წარმოადგენს ჟურნალისტის საავტორო სვეტს.

ქარტიის მერვე მუხლში გამოყენებული ტერმინი – “მოზარდის კეთილდღეობა” შემდეგნაირად განიმარტება: ყველა სფერო, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის ყოფის პარამეტრებს. საზოგადოებრივი ინტერესი ბევრად უნდა აღემატებოდეს ბავშვის ინტერესს იმისთვის, რომ 16 წლამდე ბავშვის შესახებ ინფორმაცია გახდეს საჯარო. ასევე, 18 წლამდე ასაკის ბავშვის იდენტიფიცირება ძალადობის ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში დაუშვებელია (იმის მიუხედავად, ბავშვი მოძალადეა, დაზარალებული, თუ მოწმე).

წარმოდგენილ სტატიაში სრულად არის იდენტიფიცირებული ორივე მოზარდის ვინაობა: დასახელებულია მათი სახელები და გვარები, საცხოვრებელიადგილი,სკოლა,სადაცსწავლობენ.ამასთანდაკავშირებით გამომცემელმა მონიტორს განუმარტა: „ამ წერილის დაბეჭდვას წინ უძღოდა გოგონების შესახებ დიდი აჟიოტაჟი, ვრცელი სიუჟეტები ცენტრალური არხების ეთერში, წერილები სხვა მედიასაშუალებებში და ბავშვების სახელი უკვე მთელი საქართველოსთვის გახდა ცნობილი. ამის შემდეგ, მათი მოხსენიება “იქსით და იგრეკით“, უბრალოდ, აზრს კარგავდა.“ მაგრამ წარმოდგენილი სტატიის ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის. მაგალითად, ჟურნალისტი სტატიაში იძლევა ინფორმაციას, რომ ბელა და ლია, ასევე, მათი ოჯახის წევრები იქცნენ თანასოფლელების მხრიდან „ბინძური ჭორებისა და ცილისწამების“ ობიექტებად, რასაც „მოჰყვა ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორივე გოგონა გახიზნულია სოფლიდან,“ - ნათქვამია სტატიაში. ტერმინი გახიზვნა გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი იძულებულია გაიქცეს, დაიმალოს მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. სტატიის ავტორი კი იქვე იძლევა ინფორმაციას, თუ სად აფარებენ თავს გახიზნული გოგონები: „ბელა ომფარეთში იმყოფება მამიდასთან, ხოლო ლია ჭიათურაში - დასთან“.

წარმოდგენილ სტატიაში ნათქვამია, რომ გოგონები „მოინათლნენ, როგორც სატანისტები“. სტატიაში ჩანს, რომ ავტორი ემიჯნება ამ ვერსიას, მაგრამ, ამის მიუხედავად, მსგავსი ინფორმაციის გავრცელება ზიანს აყენებს ამ მოზარდების კეთილდღეობას. იმავდროულად, ქარტიის მე-8 მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, გაზეთი აქვეყნებს ერთ-ერთი გოგონას, 16 წლის ბელა შამათავას ფოტოს მშობლებთან შეუთანხმებლად. გამომცემელმა მონიტორს განუმარტა, რომ „სარედაქციო განხილვისას, რომელზეც თვის ნომრები იხილება ავტორებთან ერთად, ამ დეტალის შესახებ ავტორს განემარტა და მიეთითა“.

**დასკვნა**

სტატიაში დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლები:

I მუხლი: **„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.**

VIII მუხლი: **„ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება“.**

**საგაზეთო მასალა №9**

## კიდნეპინგში ეჭვმიტანილი, გოლდსმიტისაგან მიტოვებული გუდავაძე რუსეთს მიმართავს დახმარებისთვის

### არსებითი განხილვა

მამუკა ქღენტის სტატიაში „კიდნეპინგში ეჭვმიტანილი, გოლდსმიტისაგან მიტოვებული გუდავაძე რუსეთს მიმართავს დახმარებისთვის" დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლები: მუხლი 1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. მუხლი 3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.

ნაწყვეტები სტატიიდან, რომელიც ეწინააღმდეგება ქარტიის მუხლებს.

1. „რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროდან კონფიდენციალურმა ინფორმაციამ გამოჟონა, რომ ამ უწყების კანცელარიაში შემოვიდა რუსეთის მოქალაქის ინა გუდავაძის ოფიციალური წერილი. გუდავაძე მოითხოვს რუსეთის ხელისუფლებისაგან - ლეგიტიმური საშუალებებით განახორციელონ ზეწოლა საქართველოს მთავრობაზე, რათა დაცული იყოს რუსეთის ფერდერაციის მოქალაქის ინა გუდავაძის ბუნებრივი უფლებები და თავისუფლებები".

2. „მას (ინა გუდავაძეს) ბრალად ადამიანის გატაცება ედება და უახლოეს მომავალში შესაძლებელია გუდავაძის დაკავება და მისი აშშ-ში ექსტრადაცია მოხდეს".

3. „ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში ბორის ბერეზოვსკი ლონდონის ერთერთ სასტუმროს რესტორანში ხვდება ემანულე ზელცერს. უკანასკნელი სვამს ერთ ფინჯან ყავას, კარგავს გონებას და ჩნდება ბერეზოვსკის საკუთარ თვითმფრინავში, რომელიც მიემგზავრება მინსკში, სადაც მას ტრაპთანვე აკავებენ, ადებენ ხელბორკილს და მიჰყავთ საპყრობილეში. ზელცერი რომ ბელორუსიის კაგებეს დაეპატიმრებინა, ამაზე ინა გუდავაძემ და მისმა ადვოკატმა ზელცერის მინსკში გამგზავრებამდე იზრუნეს".

სამივე მოცემული ნაწყვეტი სტატიიდან პირდაპირ არღვევს ქარტიის პირველ და მე-3 მუხლებს. არც ერთ ნაწილში არ არის, არა თუ დადასტურებული, არამედ დაუდასტურებელი წყაროც კი. აქ მხოლოდ ავტორის მონათხრობია, რომლის სიტყვებსაც არ ამყარებს არავითარი დოკუმენტი, მტკიცებულება თუ დამადასტურებელი მასალა. მასალას შეცდომაში შეჰყავს მკითხველი.

მამუკა ჟღენტის სტატიაში „კიდნეპინგში ეჭვმიტანილი, გოლდსმიტისაგან მიტოვებული გუდავაძე რუსეთს მიმართავს დახმარებისთვის" დარღვეულია ქარტიის მე-9 მუხლი. „სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისგან."

**დასკვნა**

სტატიაში დარღვეულია ქარტიის რამდენიმე მუხლი.

I მუხლი: **ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

III მუხლი: **ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.**

IX მუხლი: **"სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისგან."**

**საგაზეთო მასალა № 10**

## არჩევნების მოახლოებასთან ერთად ზეწოლის ფაქტები გახშირდა

### არსებითი განხილვა

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.

ქარტიის განმარტებების თანახმად, ამ მუხლის ძირითადი სიმძიმე მოდის სიტყვებზე: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს. უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია.

სტატიას ავტორი იწყებს შემდეგი ინფორმაციით: „არჩევნების მოახლოებასთან ერთად რეგიონში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებზე ზეწოლის ფაქტები გახშირდა“. ამავე ინფორმაციის შემოკლებულ ვერსიას გვთავაზობს ის სტატიის სათაურადაც - არჩევნების მოახლოებასთან ერთად ზეწოლის ფაქტები გახშირდა. ანუ ავტორი მკითხველს დადასტურებული ფაქტის სახით სთავაზობს ინფორმაციას, რომ კახეთის რეგიონში წინასაარჩევნო პერიოდში ზეწოლის ფაქტები გახშირდა, თუმცა, შემდეგ სტატიაში აღწერილი არც ერთი ფაქტი არ შეიძლება მივიჩნიოთ დადასტურებულად და ზუსტ ინფორმაციად. დავიწყოთ იმით, რომ სტატიაში არ გვხვდება „სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების“ შესახებ ინფორმაცია, როგორც ამას ჟურნალისტი მიუთითებს დასაწყისში და სტატია მხოლოდ ერთი პარტიის წარმომადგენლებს ეძღვნება. მონიტორის შეკითხვაზე, თუ რატომ გამოიტანა ავტორმა სათაურში ინფორმაცია ზეწოლის ფაქტების თაობაზე მაშინ, როცა შესაბამისი ფაქტები ვერ იქნა მის მიერ დადასტურებული წარმოდგენილ სტატიაში, ავტორმა ასეთი პასუხი გასცა: „რადგან ზოგადად ზეწოლის ფაქტების შესახებ წინასაარჩევნოდ რამდენიმე სტატია მომზადდა, მართებულად მივიჩნიეთ, ეს სათაური შეგვერჩია.“

ქარტიის განმარტების თანახმად, „ზუსტ ინფორმაციად“ ითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა – ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია. წარმოდგენილი სტატია მთლიანად ეყრდნობა „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ დედოფლისწყაროს ბიუროს წარმომადგენლებისგან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც არ არის გადამოწმებული სხვა წყაროსთან. ეს ჟურნალისტმაც დაუდასტურა მონიტორს დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას.

სტატიაში ერთ-ერთი რესპონდენტი, სოფელ საბათლოს სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი ნინო ქადაგიშვილი აცხადებს: „მეუბნებიან, თუ ოპოზიცია ხარ, სამსახურიდან უნდა წახვიდეო. დემოკრატიულ ქვეყანაში ხომ შეიძლება, რომ არა მმართველი პარტიის წარმომადგენელიც მუშაობდეს პედაგოგად?! რატომაა ასეთი ზეწოლა, მაინც და მაინც ჩემზე?!" სტატიაში არ არის ნაჩვენები კონკრეტული ფაქტები, თუ რა სახის ზეწოლა ხორციელდება ამ პედაგოგის მიმართ. ზეწოლის ერთადერთ მაგალითად ქადაგიშვილი ასახელებს შემდეგ ფაქტს: „8 მარტს ჩვენი სკოლის ყველა პედაგოგს მისალოცი ბარათები მოუტანეს, აღმოჩნდა, რომ ერთადერთი ჩემი ბარათი არ იყო". ავტორს არ გადაუმოწმებია, რამდენად შეესაბამება ქადაგიშვილის მიერ აღწერილი ეს ფაქტები სინამდვილეს, მას არ მიუმართავს სოფელ საბათლოს სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგებისთვის, რომ შეემოწმებინა ინფორმაცია. ავტორმა მონიტორს ამასთან დაკავშირებით განუმარტა: „სკოლებს შორის ჩატარდა კონკურსი, რომელშიც წინა წლის გამარჯვებულები სიგელებით დააჯილდოვეს. ამ მასწავლებლის მოსწავლეები სწორედ გასული წლის გამარჯვებულები იყვნენ, მაგრამ მათ სიგელები არ მისცეს. ამ პედაგოგის თქმით, მასზე ამგვარი ზეწოლები კვლავაც გრძელდება." ეს ინფორმაცია სტატიაში გამოყენებული არ არის.

სტატიის დასაწყისში ავტორი ავრცელებს ინფორმაციას, რომ „ზეწოლის ფაქტები არჩევნების მოახლოებასთან ერთად გახშირდა". სტატიაში არც ამ ინფორმაციის დამადასტურებელი არგუმენტი მოიძებნება: საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტატია გამოქვეყნებულია 24-31 მარტის ნომერში, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე 2 თვით ადრე, სტატიაში კი აღწერილია მხოლოდ ის ფაქტები, რომლებიც „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" დედოფლისწყაროს ბიუროს წარმომადგენლებმა გამართეს 17 თებერვალს, ანუ სტატიის გამოქვეყნებამდე ერთი თვით და არჩევნებამდე თითქმის 3.5 თვით ადრე. ის ფაქტი, რომ რედაქციამ წინასაარჩევნო კამპანიის გააქტიურების პერიოდში გამოაქვეყნა ერთი პოლიტიკური პარტიის მიერ მოწოდებული ფაქტები, რომლებიც ამ პოლიტიკურმა პარტიამ სტატიის გამოქვეყნებამდე ერთი თვით ადრე გააჟღერა პრესკონფერენციაზე, იძლევა იმგვარი ვარაუდის საშუალებასაც, რომ წარმოდგენილი სტატია შესაძლოა დაფინანსებულია აღნიშნული პოლიტიკური პარტიის მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ გაზეთში არ არის გამიჯნული აღნიშნული სტატია სარედაქციო მასალებისგან, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ დარღვეულია ქარტიის მე-9 მუხლიც, რომლის თანახმადაც, „სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისაგან", თუმცა მონიტორი

ამას დადასტურებულად ვერ განაცხადებს, რადგან მისთვის შეუძლებელია იმის გამორკვევა, არის თუ არა წარმოდგენილი სტატია დაფინანსებული: გაზეთში სტატია გამოქვეყნებულია, როგორც სარედაქციო მასალა - მე-3 გვერდზე, რუბრიკაში - ,,ნომრის თემა“.

## დასკვნა

სტატიაში დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლი:

I მუხლი: **„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.**

**საგაზეთო მასალა № 11**

**სამი ძმანი გურულები...**

**არსებითი განხილვა**

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“; და მეხუთე მუხლი, რომლის თანახმად, „მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება“.

ქარტიის განმარტების თანახმად, პირველი მუხლის ძირითადი სიმძიმე მოდის სიტყვებზე: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს. უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. „ზუსტ ინფორმაციად“ ითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა – ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია. არაიდენტიფიცირებული ინფორმაცია - რაგინდ მნიშვნელოვანი - უნდა გავიდეს სარედაქციო სვეტში და არა ახალ ამბებში. იგივე ეხება ამბავს, რომელსაც ჟურნალისტი შეესწრო, მაგრამ რომელიც არ დასტურდება დოკუმენტურად - ფოტოთი, ვიდეოთი, ხმის ჩანაწერით და ა.შ.

სტატიაში ჟურნალისტი ავრცელებს ინფორმაციას, რომ მაშინ, როდესაც დედაქალაქში საპროტესტო აქციები დაიწყო, ჩოხატაურელი ოპოზიციონერები, კერძოდ, ირაკლი ახობაძე და გია ნინიძე ნოდარ დუმბაძის სკვერში „მზესუმზირის კნატუნით ირთობდნენ თავს“. სტატიის ავტორმა მონიტორს განუმარტა, რომ მან „მანქანიდან თვალი მოკრა სკვერში „მზესუმზირის მოკნატუნე“ ოპოზიციონერებს. როცა მანქანა გააჩერა, ისინი უკვე სკვერში აღარ იყვნენ და ტელეფონიც გამორთული ჰქონდათ“, რის გამოც მან ვერ მოახერხა მათთან დაკავშირება. თუმცა, ჟურნალისტს შეეძლო, სკვერში მყოფ სხვა ადამიანებს გასაუბრებოდა და შესაბამისი ინფორმაცია მათგან მოეპოვებინა. ავტორმა მონიტორს განუცხადა, რომ კომენტარი „ამ ოპოზიციონერების ლიდერს სთხოვა“, რომელიც, მისი თქმით, „ამ შემთხვევაში ფრიად კომპეტენტური წყაროა“. აღნიშნული ლიდერი - ვახტანგ გაჩეჩილაძე - ვერ ჩაითვლება კომპეტენტურ წყაროდ იმის დასადასტურებლად, მართლაც კნატუნებდნენ თუ არა 9 აპრილს ახობაძე და ნინიძე დუმბაძის სკვერში მზესუმზირას, რადგან ის არ არის ამ ფაქტის თვითმხილველი (სტატიიდანვე ირკვევა,

რომ იმ დროს გაჩეჩილაძე თბილისში იმყოფებოდა). გაჩეჩილაძე ჟურნალისტისთვის მიცემულ კომენტარში შემოიფარგლება ზოგადი განმარტებით, რომ თბილისელ ლიდერებს არ მოუთხოვიათ რეგიონული წარმომადგენლებისგან დედაქალაქში ჩასვლა საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მისაღებად.

სტატიაში არ ფიგურირებს არც ერთი სხვა წყარო, გარდა ვახტანგ გაჩეჩილაძისა. სტატიიდან ირკვევა, რომ გაჩეჩილაძე „რესპუბლიკელებისა" და „ახლების" გაერთიანებული ალიანსის ჩოხატაურის ორგანიზაციის ხელმძღვანელია, შესაბამისად, ის უფლებამოსილად შეგვიძლია მივიჩნიოთ, გაავრცელოს ინფორმაცია მხოლოდ აღნიშნულ პარტიებთან დაკავშირებით. სტატიაში კი აღნიშნულია, რომ „თბილისში მიმდინარე აქციებზე ჩოხატაურელი ოპოზიციონერებიდან მხოლოდ 3 კაცი გაემართა", ანუ ავტორი აღნიშნულ ინფორმაციაში ჩოხატაურის მთელ ოპოზიციურ სპექტრს მოიცავს. ამ ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებით სტატიის ავტორმა მონიტორს შემდეგი განმარტება მისცა: „მონაცემები, თუ რამდენი კაცი იყო წასული თბილისში აქციაზე, მოგვაწოდა გაჩეჩილაძემ, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფრიად კომპეტენტური წყაროა და ვფიქრობთ, რომ სამამდე თვლაც კარგად ეხერხება. ამასთან, წერილში აღნიშნულია, რომ გადამოწმებისას, პარტიული ოფისები დაკეტილი იყო, ხოლო ხელმძღვანელებს ტელეფონები გამორთული ჰქონდათ. ამ შემთხვევაში, გაჩეჩილაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება (მით უმეტეს, ინფორმაცია, თუ რამდენი კაცი წავიდა აქციაზე, არც დისკრიმინაციულია და არც სტატისტიკური მონაცემების სიზუსტეზე დაყრდნობილი კვლევა) სხვა წყაროსთან შეუძლებელი იყო." სტატიაში არსად არის აღნიშნული, რომ პარტიული ოფისები დაკეტილი იყო, ნათქვამია მხოლოდ ის, რომ ავტორმა ახობაძე და ნინიძე პარტიის ოფისში ვერ იპოვა და ვერც ტელეფონზე მოახერხა მათთან დაკავშირება, რადგან „მომსახურების ზონიდან იყვნენ გასულები". ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებზე, რომლებიც დედაქალაქში არ გაემგზავრნენ ჩოხატაურიდან, სტატიაში არაფერია ნათქვამი.

ქარტიის განმარტების თანახმად, მე-5 მუხლით ჟურნალისტები და რედაქტორები იღებენ პასუხისმგებლობას, რომ პატიოსნად განაცხადონ არაზუსტი ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ და შეასწორონ ის. წარმოდგენილი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გაზეთის რედაქციას საპასუხო წერილით მიმართა ირაკლი ახობაძის დედამ - ლალი დოლიძემ. ამ უკანასკნელმა წერილში განმარტა, რომ 9 აპრილს ირაკლი ახობაძე იმყოფებოდა შინ, რადგანაც ამ დღეს მათ ოჯახს ეწვივნენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, რათა ოჯახისთვის გადაეცათ აგვისტოს ომში დაღუპული მერაბ ახობაძისთვის უმაღლესი ხარისხის

ჯილდო (ირაკლი ახობაძე მერაბ ახობაძის ძმაა). ლალი დოლიძის თქმით, ამის თაობაზე ინფორმირებული იყო ჟურნალისტი ნატო გოგელია, რომელიც გახლავთ სტატიის ,,სამი ძმანი გურულები" ავტორი. უფრო მეტიც, დოლიძის თქმით, გოგელია მიწვეული იყო ახობაძეების სახლში აღნიშნული დაჯილდოების ცერემონიის გასაშუქებლად: „თუ ჟურნალისტი ოჯახში მოვიდოდა, ის აუცილებლად აიღებდა ინტერვიუს, როგორც ჩემგან, ასევე, ირაკლისაგან და თუ თვითონ ვერ მიხვდებოდა, რატომ არ იმყოფებოდა ირაკლი მიტინგზე, პასუხს ჩემგან მიიღებდა," - ნათქვამია დოლიძის მიერ მომზადებულ საპასუხო წერილში, რომლის გამოქვეყნებაზე „გურია ნიუსის" რედაქციამ უარი განაცხადა. დოლიძემ გაზეთ „გურია ნიუსში" გამოქვეყნებული სტატიის - ,,სამი ძმანი გურულები" - გამო რედაქციისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოითხოვა, თუმცა რედაქციამ არც ბოდიში მოიხადა და არც საპასუხო წერილი გამოაქვეყნა.

**დასკვნა**

სტატიაში დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლები:

I მუხლი: **„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია".**

VI მუხლი: **„მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება".**

**საგაზეთო მასლა № 12**

### „თქვენ, ოპოზიციის ლიდერებმა, რომ ჩაიჯვით იპოდრომზე, ჩვენც იმიტომ ჩავიჯვით რკინიგზაზე!“

### არსებითი განხილვა

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი და მესამე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია, არ უნდა გააყალბოს ინფორმაცია, პატივი სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

ამ შემთხვევაში, ქარტიის პირველ და მესამე მუხლში ძირითადი აქცენტი კეთდება ჟურნალისტის პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაზე: ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას როგორც საგაზეთო მასალის მოქმედი სუბიექტების, ასევე. მკითხველის უფლება. დაუშვებელია ხალხში გაგონილის, ჭორად მოარული ხმების „ზუსტ ინფორმაციად“ გასაღება. დაუშვებელია, ასეთ შემთხვევაში არ ვიხმაროთ სიტყვა „შესაძლებელია“, „სავარაუდოა“ ან სხვა, იმის გამოსაყოფად, რომ დასახელებული ფაქტები არ შეიცავს ზუსტ, გადამოწმებულ და დამტიცებულ ინფორმაციას.

მაგალითად, 1. სტატიის პირველ ნაწილში ავტორი წერს: „ასე, მაგალითად შევარდნაძე-სააკაშვილის ხელისუფლების ყველა დროის ელჩმა, გაკუ გაბაშვილის მამამ, კოტემ, 1993 წლის შემოდგომაზე, ხობის პოლიციის შენობაში დახვრიტა ხელ-ფეხშეკრული პატიმარი, გმირთაგმირი ვაჟკაცი - თამაზ ბულია, მეტსახელად „კიროკი“. შემდეგ ის დეტალურად აღწერს დახვრეტის სცენას და ამბობს: „ეს ისტორია ჩემთან საგაზეთო საუბრისას არაერთხელ დაუდასტურებია მერობის ერთ-ერთ კანდიდატს, ბატონ თამაზ ვაშაძეს, რომელსაც უთქვამს, - ის კი არადა, „კიროკის“ დახვრეტა, მგონი ვიდეოფირზეც არის აღბეჭდილი, მაგრამ კასეტა ვის აქვს, დამავიწყდა, აღარ მახსოვსო!...“

მონიტორის კითხვებზე - რატომ უნდა გვენდოთ მკითხველი? მკვლელობაში დადანაშაულებისათვის რომ გიჩივლონ, როგორ ამტკიცებთ თქვენი სიტყვების სიზუსტეს? ან თუ დაინტერესებულხართ, საიდან აქვს ეს ინფორმაცია თამაზ ვაშაძეს და თუ გიცდიათ მისი გადამოწმება? - ჟურნალისტი პასუხობს, რომ „ფირი აქვს ციხეში მყოფ თემურ ჟორჟოლიანს. ეს ამბავი დაბეჭდილი იყო „ასავალ-დასავალში“. “ერთხელ გაბაშვილთან მქონდა ინტერვიუ და ვკითხე, 92-93 წლებში გეჭირათ თუ არა იარაღი და დასდევდით თუ არა ხალხს, - არაო, მიპასუხა და უაპელაციოდ დამიკიდა ყურმილი. ისე, ცნობილი ამბავია, რომ პუტჩისტია და ავტომატით იდგა ტელევიზიასთან. მიჩივლოს

და სასამართლოში მე რას ვიტყვი და რას მივიტან, ეს ჩემი საქმეა,'' - ამბობს ჟურნალისტი. ამ დროს მონიტორის რეკომენდაციააა, რომ მსგავსი ინფორმაცია არ დაიბეჭდოს, რადგან ის არღვევს როგორც კოტე გაბაშვილის, ასევე მკითხველის უფლებებს.

შემდეგ ნაწილში ვიგებთ, რომ: „პროფესორმა ნოდარ ლომოურმა, მაგალითად, თავისი პირით აღიარა, რომ თბილისის ძმათამკვლელ ომში მას ავტომატი ეჭირა ხელში და ისროდა, მაგრამ ისროდა... „ჰაერში''...'' ამ შემთხვევაში მონიტორის შეკითხვაა, რატომ არ არის მითითებული ზუსტი დრო, თარიღი და ადგილი, სადაც ლომოურმა ეს აღიარა. ჟურნალისტის პასუხი ამ შემთხვევაშიც არადამაჯერებელია: „ეს გამოქვეყნებულია გაზეთ „ასავალ-დასავალში'', ნატა ფოცხიშვილს მისცა ინტერვიუ და იქ ამბობს ამას''. ავტორს ზუსტი თარიღის გახსენება უჭირს.

სამწუხაროდ, ქართულ პრესაში ხშირად გვხვდება კონტექსტიდან ამოგლეჯილი, შეცვლილი ან დამახინჯებული ციტატები, რომელთა გასაჩივრებას ციტატების ავტორები ცდილობენ ხოლმე. ამიტომ, მონიტორის რეკომენდაცია იქნება, ნუ ვიხელმძღვანელებთ სხვის მიერ მომზადებული საგაზეთო მასალით და მსგავს შემთხვევებში სიტყვების სიზუსტე თავად ამ სიტყვების ავტორთან გადავამოწმოთ.

კიდევ ერთი ნაწილი, სადაც ავტორი 90-იან წლებს იხსენებს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, გიორგი ბარამიძეს ეხება. „მიხეილ სააკაშვილმა და მისმა პირადმა ქილერმა - გიორგი ბარამიძემ - სამხედრო ავიაციით გადაბუგეს სოფელი ეცერი და აფრასიძეების ოჯახი, სადაც, მინიმუმ, ხუთ მცირეწლოვან ბავშვს ეძინა''. მონიტორის კითხვა, ბუნებრივია, ისევ წყაროს შეეხებოდა და ინფორმაციის მყარი მტკიცებულების არარსებობას, რაზეც ჟურნალისტმა განაცხადა: „მე მაქვს გამოქვეყნებული ინტერვიუ დოდო სიდიანთან, აფრასიძეების დედასთან, სადაც ყვება ყველაფერს. მთელმა სვანეთმა იცის რა მოხდა. ბარამიძე ამ დროს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და ხელმძღვანელობდა ოპერაციას.''

მონიტორის რეკომენდაციააა, თუკი ჟურნალისტი აუცილებლად თვლის ხსენებული ფაქტის დასახელებას, უმჯობესია, ის მისი მთხრობელის, ამ შემთხვევაში, ქალბატონი დოდო სადიას ნაამბობად, თვალსაზრისად მოგვაწოდოს და არა პირველ პირში და მტკიცებულებითი ტონით. 90-იანი წლების საქართველო არც ისე შორეული წარსულია და ყველას, მათ შორის, მკითხველსაც ახსოვს, რომ ამ დროს არაერთი შეირაღებული დაჯგუფება იყო და ტრაგედია, რომელიც სვანეთში, აფხაზეთსა თუ სამეგრელოში განვითარდა, დღემდე დაუდასტურებელია - როდის, რომელი სახელმწიფოს თუ დამოუკიდებელი შეირაღებული დაჯგუფების მიერ განხორციელდა. ამიტომ, უმჯობესია, თუკი 90-იანი წლების

ისტორიის თხრობისას, იმდროინდელ კონტექსტსაც გავიხსენებთ.
სტატიაში თანამედროვე საქართველოდან ავტორი მხოლოდ ერთ დამნაშავეს და მის მიერ განხორციელებულ დანაშაულს გამოყოფს. მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც „ქართველი ბიზნესმენი, 2008 წელს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ბადრი პატარკაციშვილი მოკლა". ჟურნალისტი წერს: „გიორგობას, პოლიციის პარადზე სიტყვით გამოსულ სააკაშვილსაც ღმერთმა დააცდენინა ისეთი სიტყვა, რომელიც ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიის თანახმად, სრულფასოვან ფსიქოლოგიურ აქტად, ანუ როგორც ფროიდი აღნიშნავს „წამოცდენად" უნდა მივიჩნიოთ (გერმანულად "Versprechen", -დ.ჩ.) მაშინ პოლიციის პარადზე თქვა: „მე მესმის იმ ხალხის გაბრაზება, რომლებიც ქუჩაში გამოდიოდა, მაგრამ რეალურად 2007 წლის ნოემბერში, შემდეგ 2010 წლის სპეცოპერაციის შედეგად, რომელიც ლონდონში ჩატარდა, საქართველოს პოლიციამ მოახერხა სახელმწიფო გადატრიალების შეჩერება..." უეჭველია, რომ სააკაშვილს რამსები აერია და ლონდონში 2008 წლის თებერვალში ბადრი პატარკაციშვილის საიდუმლოებით მოცული სიკვდილი 2010 წელს მომხდარ ამბად გაასაღა, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ამ ფროიდისეული „წამოცდენის" თანახმად ნებისმიერი საშუალო დონის ფსიქოანალიტიკოსის დასკვნის მიხედვითაც კი, სააკაშვილმა პოლიციის პარადზე ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა აღიარა! ეს არ არის ყურით მოთრეული რამ, ეს გახლავთ მეცნიერული დიაგნოზი: „ბადრი პატარკაციშვილი მიხეილ სააკაშვილმა მოკლა!..."
მონიტორის კითხვაზე: „როდესაც ასე დაბეჯითებით აცხადებთ, რომ ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიის მიხედვით - სააკაშვილი ბადრი პატარკაციშვილის მკვლელია, რატომ უფრო ვრცლად არ განმარტავთ ფროიდის თეორიას? როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა ჟურნალისტი იმავდროულად ფსიქოლოგიც? რატომ არ მოიშველიებთ რომელიმე პროფესიონალი ფსიქოლოგის სიტყვებს და არ გადაამოწმებთ მათთან ამ „დიაგნოზს"? როგორ ფიქრობთ, ხომ არ ჯობია, ასეთ დროს დაამატოთ სიტყვა „შესაძლებელია"? ჟურნალისტი პასუხობს: „დღეს საქართველოში ისეთი ექსპერტები გვყავს და ისეთი ფსიქოანალიტიკოსები, რომლებიც ამბობენ წელთაღრიცხვა 2003 წელს იწყებაო. ხოდა, აბა, ვის უნდა ვკითხო რამე. ვინ უნდა დავიმოწმო. ფროიდთან ამის დაკავშირება ჩემი აზრია და თუ ფროიდი ვინმემ არ იცის, ეს მკითხველის პრობლემაა და არა ჩემი. მარტო მემწვანილეებისათვის ხომ არ ვწერთ ჩვენ?!"
ბუნებრივია, ჟურნალისტს საავტორო ტექსტში აქვს უფლება, განავრცოს ზიგმუნდ ფროიდის თეორია, მაგრამ გაითვალისწინოს, რომ თავად ფროიდი არასდროს ასაღებდა საკუთარ მოსაზრებებს ჭეშმარიტებად. ამიტომ, პრობლემა აქ მხოლოდ ერთ სიტყვაშია - „შესაძლებელია". აქედან გამომდინარე, მკითხველი ამ მოსაზრებას ეჭვქვეშ დააყენებს და

მიიღებს მას, როგორც ერთი კონკრეტული ადამიანის მოსაზრებას და არა ზუსტ ინფორმაციას თუ დიაგნოზს.

დაბოლოს, ნაწილი, სადაც სტატიის ავტორი ეთიკის ქარტიის მე-7 მუხლს არღვევს. ავტორი იმ პერიოდში (2010 წლის მაისი) განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს, როდესაც ორი განსხვავებული იდეოლოგიისა და ღირებულებების მქონე საზოგადოებას შორის ფიზიკური და ვერბალური დაპირისპირება მოხდა. ამ ექსცესის შემდეგ, სოციალურ ქსელში ,,თბილისის ფორუმი'' გაჩნდა ვიდეო კლიპი, სადაც ისმოდა საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის საგალობელი. კლიპი გაფორმებული იყო სხვადასხვა ადამიანის ფოტოებით.'' ,,ხოლო ვიდეო კადრებში ერთმანეთის მიყოლებით ჩნდება: ეს ,,ლიბერასტები'' თუ პედერასტები და საგალობელის ფონზე ერთმანეთს ტუჩებში კოცნიან. პირადად მე, ამ კადრებში, მაგალითად, რამდენიმე ,,ლიბერასტი'' და თავისუფლების ინსტიტუტელი შევიცანი და თქვენი არ ვიცი, ძვირფასო მკითხველო... '' - წერს ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე.

მონიტორის კითხვა შეეხებოდა სწორედ ეთიკის ქარტიის მეშვიდე მუხლს, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია დისკრედიტაციის წახალისება რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების და სხვა შეხედულებების საფუძველზე. მონიტორმა ჰკითხა ჟურნალისტს, იცის თუ არა მან, რომ ადამიანის, ამ შემთხვევაში, ნებისმიერი ჰომოსექსუალის ,,პედერასტად'' მოხსენიებისას, ირღვევა მათი უფლება? ამაზე ჟურნალისტმა განაცხადა: ,,მაგათ (ჰომოსექსუალების) მიერაა დისკრიმინირებული მთელი საქართველო და არა პირიქით. რაც შეეხება კლიპებს, მე ვამბობ, შევიცანი-მეთქი, ეს ჩემი განწყობაა, მე ასე აღვიქვი და სხვისი არ ვიცი''.

მონიტორის რეკომენდაციაა, ჟურნალისტი ყოველთვის მოერიდოს ადამიანის და ადამიანთა ჯგუფის ერთი სახელწოდებით გაერთიანებას, თუკი ამას არ მოითხოვს ტექსტის კონტექსტი და სტატია არ ეხება კონკრეტულად ამ ჯგუფს, მაგალითად სექსუალურ, რელიგიურ თუ ეთნიკურ უმცირესობებს. ამგვარი შეურაცხმყოფელი გამონათქვამები - ,,პედერასტები'' თუ ,,ლიბერასტები'' - ამ ჯგუფის დისკრიმინაციის საფრთხეს ქმნის, რაც, ეთიკის ქარტიის მიხედვით, დაუშვებელია.

## დასკვნა

სტატიაში დარღვეულია ეთიკის ქარტიის პირველი, მესამე და მეშვიდე მუხლი.

I მუხლი: **ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

III მუხლი: **ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ**

იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.

VII მუხლი: ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

**საგაზეთო მასალა № 13**

**დირექტორის სახელი ბავშვების ფანტაზიას შეეწირა...**

**არსებითი განხილვა**

სტატიის ავტორი ტექსტის პირველ აბზაცში აღნიშნავს, რომ ფაქტი, რომლის შესახებაც ის ყვება, ერთი წლის წინ მოხდა. დირექტორსა და პირველი კლასის მასწავლებელს შორის სკოლის შენობაში სექსუალური კავშირი დამყარდა და ამის თვითმხილველნი გახდნენ მეხუთე კლასელი გოგონები. სასამართლომ დირექტორი არ ცნო დამნაშავედ და განაჩენი მის სასარგებლოდ გამოიტანა, მაგრამ ავტორი მაინც გვიამბობს ამ ისტორიას. მონიტორის კითხვაზე, თუ საიდან გახდა ეს ამბავი მისთვის ცნობილი, ირინა მაკარიძე პასუხობს, რომ მასალა მხოლოდ სასამართლო პროცესის შემდეგ მოამზადა და ამ ფაქტის შესახებ მთელმა სოფელმა იცოდა. მონიტორის აზრით, ამ შემთხვევაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი, რომლის თანახმად, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

ქარტიის განმარტების თანახმად, ამ მუხლის ძირითადი სიმძიმე მოდის სიტყვებზე: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს. რაც ნიშნავს იმას, რომ სტატიაში უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. „ზუსტ ინფორმაციად", შეთანხმების თანახმად, ჩაითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა – ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია. არაიდენტიფიცირებული ინფორმაცია – რაგინდ მნიშვნელოვანი – უნდა გავიდეს სარედაქციო სვეტში და არა ახალ ამბებში. იგივე ეხება ამბავს, რომელსაც ჟურნალისტი შეესწრო, მაგრამ რომელიც არ დასტურდება დოკუმენტურად – ფოტოთი, ვიდეოთი, ხმის ჩანაწერით და ა.შ.

მონიტორის აზრით, ეთიკის ამ მუხლის დასაცავად, მნიშვნელოვანია, რომ არ გავრცელდეს ინფორმაცია, რომელიც არ არის დადასტურებული. სტატიის ავტორთან საუბრისას, მონიტორმა გამოავლინა ჟურნალისტის დამოკიდებულება მოთხრობილი ფაქტის მიმართ. „მასწავლებელმა, რომელთანაც კავშირი ჰქონდა დირექტორს, თავდაპირველად აღიარა ეს ფაქტი, შემდეგ კი შეცვალა საკუთარი სიტყვები" - ამბობს სტატიის ავტორი. „როგორც ჩანს, შემდეგ ის დაარიგეს, რა და როგორ უნდა ეთქვა და ამიტომ შეცვალა პირველი ჩვენება". მონიტორის რჩევაა, სტატია არ ავაგოთ საკუთარ დამოკიდებულებებსა და შთაბეჭდილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი პირდაპირ არაფერს ამტკიცებს და,

ძირითადად, ფაქტების კონსტატაციაა, მოყვანილია ფაქტები, რომლებიც უარყოფილია სასამართლოს მიერ.

მონიტორის აზრით, დაირღვა ქარტიის მერვე მუხლიც, რომლის თანახმად, ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. სტატიის სათაური ბავშვებს ფანტაზიორობაში ადანაშაულებს. სტატიის ტექსტის მიხედვით კი, მკითხველი ვერ იგებს, მართლა მოიგონეს ბავშვებმა ისტორია, თუ თქვეს ის, რაც ნახეს და მათი სიმართლე ოფიციალურ უწყებებში ვერ დაიცვეს. თუკი მთელი ისტორია მოგონილია, მაშინ რაღა საჭირო იყო სტატიის გამოქვეყნება?

სტატიის მეორე ნაწილში ავტორი განმარტავს, რომ სკოლის დირექტორი არ არის საჯარო პირი და, შესაბამისად, ის გახლავთ კერძო პირი. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი, კერძო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა არსებობს - იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არასწორ ფაქტზეა დაფუძნებული. მიუხედავად ამისა, სტატიის ავტორი კიდევ ერთხელ გვიამბობს ისტორიას, რომელიც სასამართლოს დადგენილებით არ შეესაბამება სინამდვილეს. მონიტორის კითხვაზე, თუ რატომ გახდა ეს ინფორმაცია საინტერესო (ვინაიდან არ აღმოჩნდა სიმართლე) კიდევ ერთხელ და ერთი წლის შემდეგ გავრცელებისთვის, სტატიის ავტორი პასუხობს, რომ საჭიროდ ჩათვალა კიდევ ერთხელ შეეხსენებინა მკითხველისათვის, რომ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი.

ამ შემთხვევაში, დარღვეულია ქარტიის მე-10 მუხლიც, რომლის თანახმადაც ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას, თუკი არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. ამ მუხლში წყალგამყოფი გადის არა კერძო და საჯარო პირზე, არამედ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესსზე. ამგვარი ინტერესის გარეშე, არა მხოლოდ კერძო პირის, არამედ - საჯარო პირის პირად ცხოვრებაში შეჭრაც არაეთიკურია. თუკი სკოლის დირექტორი და მასწავლებელი ბავშვებმა საკლასო ოთახში შიშველი დაინახეს, ცხადია, ეს ფაქტი საჯარო განხილვას იმსახურებს. მაგრამ საქმე ისაა, რამდენად ადასტურებს ჟურნალისტი ამ ფაქტს და ტყუილად ხომ არ სწამებს ცილს ორ ადამიანს.

მონიტორის რეკომენდაციაა, არ ვისაუბროთ ფაქტებზე, რომლებიც საჯარო თუ კერძო პირის პირად ცხოვრებას ეხება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფაქტი არ არის დამტკიცებული და არ ჩანს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი - ისტორია ხომ ერთი წლის წინ მოხდა და რაიმე ახალი ან უკეთ დასაბუთებული ინფორმაცია

ავტორს მკითხველისათვის არ მიუწოდებია. მკითხველმა სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ზუსტად იმდენი იცის, რაც მანამდე იცოდა; ან ვინც არ იცოდა, უბრალოდ გაიგო კიდევ ერთი, სავარაუდოდ, გადაუმოწმებელი ინფორმაცია. მისასალმებელია, რომ სტატიის ავტორი არ ასახელებს დირექტორისა და მასწავლებლის გვარებს, მათ მხოლოდ სახელებით მოიხსენიებს. აგრეთვე, არ ასახელებს სკოლის ნომერს, მაგრამ ახსენებს რაიონს, სოფელს და იქ არსებულ საჯარო სკოლას. მონიტორის კითხვაზე, შეილახა თუ არა ამ სტატიით სკოლის დირექტორის უფლება კიდევ ერთხელ, სტატიის ავტორი ამბობს, რომ სოფელში, სადაც ეს ფაქტი მოხდა, ისედაც ყველამ იცის ამ ამბის შესახებ, გარეშე პირი კი მისი სტატიის მეშვეობით ვერ გაიგებს მათ ვინაობას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეგიონების სოფლებში სულ რამდენიმე სკოლაა, დირექტორის ვინაობის ამოცნობა არცთუ ისე რთულია. აქედან გამომდინარე, სტატიის ავტორი ერთი წლის წინ გავრცელებული ინფორმაციის კიდევ ერთხელ ტირაჟირებას ეწევა, რაც კიდევ ერთხელ ქმნის ადამიანის პატივისა და ღირსების შეალხვის საფრთხეს. მონიტორის რეკომენდაციაა, არ გავავრცელოთ ინფორმაცია, რომელიც არ იქნა დამტკიცებული სასამრთლოს მიერ და მოვერიდოთ ადამიანის, ამ შემთხვევაში, სკოლის დირექტორის ღირსების შემლახველი ფაქტების გავრცელებას.

სტატიის უკანასკნელ ნაწილში ნათქვამია, რომ სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა მხარი დაუჭირა და სოლიდარობა გამოუცხადა დირექტორს. საბოლოდ, ეს ისტორია ჩაითვალა ე.წ. თვითმხელველების, მეხუთე კლასელი გოგონების ფანტაზიის ნაყოფად.

სტატიის დასკვნითი ნაწილის გათვალისწინებით, მკითხველს შეუძლია ჩათვალოს, რომ ინფორმაციის გავრცელება ჟურნალისტის ინტერესის საგანი იყო, რადგან ტექსტში ავტორი თავად უარყოფს მომხდარს და ამბობს, რომ როგორც სკოლის პედაგოგებმა, ასევე სასამართლომ ეს ამბავი ბავშვების ფანტაზიას მიაკუთვნა. მაშინ, ჩნდება კითხვა, რატომ იბეჭდება ეს მასალა?!

## დასკვნა

სტატიაში დარღვეულია ქარტიის რამდენიმე მუხლი.

I მუხლი: **ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

X მუხლი: **ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.**

VIII მუხლი: **ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები;**

პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

**საგაზეთო მასალა № 14**

## ჩოხატაურში ტერორი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა

### არსებითი განხილვა

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია"; მერვე მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტი ვალდებულია დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება" და მე-10 მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი".

ქარტიის განმარტების თანახმად, პირველი მუხლის ძირითადი სიმძიმე მოდის სიტყვებზე: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს. უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოქვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. „ზუსტ ინფორმაციად" ითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა – ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია.

წარმოდგენილი სტატია იწყება შემდეგი ინფორმაციით: „ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, თუ როგორ აშანტაჟებდნენ მოსწავლეს და ატერორებდნენ მის ოჯახს, ოფიციალურად იცრუა და მისი პერსონის გაპიარების სანაცვლოდ მოძალადეების მხარე დაიჭირა." სტატიაში ამ ინფორმციას ავტორი ვერ ადასტურებს, უფრო მეტიც, სტატიაში არ ჩანს, რაში გამოიხატა რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის მხრიდან მოძალადეებისადმი მხარდაჭერა და რა „გაპიარებაზეა" საუბარი. მეორე აბზაცში ავტორი მთლიანად საკუთარ ვარაუდს გვთავაზობს: „სავარაუდოდ, ასევე მოიქცევა ჩოხატაურის პოლიცია, რომელიც ძიებას შეწყვეტს. ამ ორგანიზებული დანაშაულის ბოლო ჯაჭვი კი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იქნება, რომელიც

ალბათ ძიების შეწყვეტის ვერდიქტს გამოიტანს“. ერთადერთი, რასაც ავტორი ამ აბზაცში დანამდვილებით გვეუბნება, არის ის, რომ ერთ-ერთი მოძალადე ჟურნალისტია - „კუდის მაღალჩინოსნის, შალვა ბოლქვაძის პროტეჟე“. თუმცა, სტატიაში დანამდვილებით ვერც ერთი წყარო ვერ ადასტურებს, რომ მოძალადე ნამდვილად ჟურნალისტია. „მოძალადე ჟურნალისტის“ ვინაობას ბოლომდე საიდუმლოდ ინახავს სტატიის ავტორი და გვაწვდის მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომ საქმე გვაქვს ერთ-ერთი რეგიონული გაზეთის ქალ ჟურნალისტებთან, თუმცა, გაუგებარია, რა წყაროებს ეყრდნობა ავტორი, როცა ამ ინფორმაციას ავრცელებს. სტატიაში ასევე გაუგებარია იმ ეპიზოდის წყარო, სადაც ავტორი აღწერს იმ ამბის დეტალებს, რაც წინ უძღოდა სკოლის მოსწავლის თვითმკვლელობის მცდელობას: „ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, გავრცელებული ინფორმაციით, მანქანაში ჩაისვა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი ხათუნა წილოსანი, სკოლის დირექტორი რამდენიმე მასწავლებლითურთ და მოსწავლის ოჯახში დაპირისპირება მოაწყო. მოსწავლის ცემის შესახებ გადაწყვეტილება კი მოგვიანებით ჟურნალისტებმა და წილოსანმა ერთობლივად მიიღეს“.

სტატიის ავტორი ცდილობს, მის მიერ გავრცელებული ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია დაადასტუროს. ამისათვის ტელეფონით უკავშირდება ხათუნა წილოსანს და ლალი ყაჭეიშვილს და მათთან შემდგარ სატელეფონო ინტერვიუებს სტატიაში ჩანართის სახით გვთავაზობს. თუმცა, აღნიშნული სატელეფონო საუბრებით სტატიაში ავტორის მიერ გავრცელებული ინფორმაცია (რომ მოსწავლე თვითმკვლელობამდე მიიყვანეს „მოძალადე ჟურნალისტებმა“) არ დასტურდება. ყაჭეიშვილი და ჩოხატაურის საავადმყოფოს მიმღები განყოფილების მორიგე ექიმი ნატო კიკვაძე ადასტურებენ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ადგილი ჰქონდა სიუციდის მცდელობას სკოლის მოსწავლის მხრიდან. სტატიის ბოლოს ავტორი გვთავაზობს მოსწავლის მშობლების კომენტარს, რომლითაც ცდილობს დაგვარწმუნოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეში (მშობლები ეჭვმიტანილად აცხადებენ ჟურნალისტებს). მაგრამ მშობლები იქვე მიუთითებენ, რომ საკუთარ ეჭვს ვერ დაადასტურებენ გამოძიების დასრულებამდე (ამონარიდი სტატიიდან: „ჯერ არ ვიცით, თუ არ დამკიცდა მაი, ისე ხომ არ იქნება, მიმდინარეობს გამოძიება და ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ იმაზე, რაც მოხდა,“ - აცხადებენ დოლიძის მშობლები“).

ამდენად, აშკარაა, რომ ჟურნალისტმა საზოგადოებას არ მიაწოდა ზუსტი ინფორმაცია. ამასთანავე, პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა არ მიანიჭა ბავშვის ინტერესებს. ქარტიის განმარტების თანხმად, მე-8 მუხლით მიღწეულია შეთანხმება, რომ 18 წლამდე ასაკის ბავშვის იდენტიფიცირება ძალადობის ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში

დაუშვებელია (იმის მიუხედავად, ბავშვი მოძალადეა, დაზარალებული, თუ მოწმე). სტატიაში სკოლის მოსწავლე წარმოჩენილია, როგორც დაზარალებული, რომელზეც განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, რის გამოც მან სცადა თვითმკვლელობა. იმავდროულად, სტატიაში სრულადაა შესაძლებელი აღნიშნული მოსწავლის იდენტიფიკაცია: თავდაპირველად ავტორი მოსწავლის სახელსა და გვარს ინიციალებით (მ.დ.) გვთავაზობს, სტატიის ბოლოს კი ამჟღავნებს, რომ მოსწავლე გვარად დოლიძეა. ავტორი ამჟღავნებს, რომ დაზარალებული არის ჩოხატაურის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე და შემდეგში უფრო კონკრეტულად აცხადებს, რომ ის სოფელ განახლებიდან დაბა ჩოხატაურის სკოლაში გადავიდა სასწავლებლად. მონიტორმა ვერ მიიღო ავტორისგან პასუხი დასმულ შეკითხვაზე, თუ რა გააკეთა მან იმისთვის, რომ არ მომხდარიყო არასრულწლოვანის იდენტიფიკაცია.

სტატიის ავტორმა დაარღვია ქარტიის მე-10 მუხლი, რადგან შეიჭრა კერძო პირის, მით უმეტეს, არასრულწლოვანის პირად ცხოვრებაში. სტატია ასახავს მე-12 კლასელის პირად ტრაგედიას - მისი მხრიდან თვითმკვლელობის მცდელობასა და ამის გამომწვევ მიზეზს (მიზეზად ავტორი ასახელებს არასრულწლოვანზე განხორციელებულ ძალადობას - ცემას). ქარტიის განმარტების თანახმად, ტრაგედიის მომენტის გამოქვეყნება არაეთიკურია მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაშიც კი.

## დასკვნა

სტატიაში დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლები:

I მუხლი: **„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.**

VIII მუხლი: **„ჟურნალისტი ვალდებულია დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება“.**

X მუხლი: **„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი“.**

**საგაზეთო მასალა № 15**

### მიველი, ვნახე, დავიჯერე

### არსებითი განხილვა

სტატიაში სოფო თოლუა ასახელებს ზუსტ ციფრებს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრის დაფინანსების შესახებ, მაგრამ არ არის მითითებული წყარო მეტი დამაჯერებლობისათვის. ჟურნალისტი აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია თავად ცენტრში მიიღო, მაგრამ ამის შესახებ სტატიაში არაფერია ნათქვამი. მონიტორის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, ასეთ დროს ინფრომაციის მომწოდებლის დამოწმება. ასევე, არ არის ნახსენები ინფორმაციის წყარო დაავადების თვისებებზე ვრცლად საუბრისას. იმისათვის, რომ მკითხველი უფრო მეტი ნდობით განიმსჭვალოს ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიმართ, უმჯობესია ასეთ პროფესიულ საკითხებზე პროფესიონალი საუბრობდეს, ანუ მოხსენიებული იყოს ექიმის სახელი და გვარი ან სამეცნიერო წიგნი, საიდანაც არის აღებული ინფორმაცია.

აგრეთვე, ჟურნალისტი სტატიის მეოთხე ნაწილში („ქართული ჰოსპისი") წერს: „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რვასართულიანი კორპუსი საავადმყოფოს ბალანსზე აღარ ირიცხება. ასევე დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, აქ ბინა, ანუ ყოფილი პალატები სველი წერტილებით, ათასიდან ორი ათას დოლარამდე მერყეობს". ავტორი ხაზს უსვამს სიტყვას „დანამდვილებით", მაგრამ არ ასახელებს წყაროს, ან არ ხსნის, საიდან არის ეს „ნამდვილი" ინფორმაცია. მონიტორი მიიჩნევს, რომ მაშინ, როდესაც ასეთი კატეგორიულები ვართ, მიზანშეწონილია, დავასაბუთოთ ჩვენი სიტყვები. სოფო თოლუა ამბობს: ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რვასართულიანი შენობა საავადმყოფოს ბალანსზე აღარ იმყოფება, საჯარო რეესტრიდან ან ჯანდაცვის სამინისტროდან მიიღო. ის, რომ ამ შენობაში ერთოთახიანი პალატა, როგორც ერთოთახიანი ბინა, დაახლოებით 1000-2000 დოლარის ფარგლებში იყიდება, ეს, რამდენადაც ახსოვს, ექიმებმა უთხრეს. მონიტორის რჩევაა, თავი ავარიდოთ ასეთი ტიპის ინფორმაციის მოწოდებას, თუკი არ გაგვაჩნია დამადასტურებელი დოკუმენტები ან წყარო, რომლის გამხელასაც შევძლებთ.

სოფო თოლუას ვრცელი მასალა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრის და იქ მყოფი ექიმებისა თუ პაციენტების შესახებ, ძალიან საჭირო, საგულისხმო წერილია, მით უმეტეს, რომ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, ჟურნალისტის განცხადებით, ერთ-ერთმა გერმანულმა ორგანიზაციამ ცენტრს პირობების გასაუმჯობესებლად ფინანსური დახმარება გაუწია. წერილის ძირითადი ხარვეზი ისაა, რომ

მასალას - სხვადასხვა ფაქტის და ნიშნათვისების თხრობისას - აკლია ინფორმაციის წყაროთი ან კომპეტენტური ადამიანის, პროფესიონალის სიტყვებით გამყარება, რაც მეტი ნდობით განაწყობს მკითხველს.

**დასკვნა**

სტატიაში მსუბუქად არის დარღვეული ეთიკის ქარტიის პირველი მუხლი.

I მუხლი: **ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

**საგაზეთო მასალა № 16**

### ტყეს კარი არა აქვს

### არსებითი განხილვა

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ეთიკის ქარტიის პირველი მუხლი, რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმცია. ეს მუხლი დარღვეულია იმ ნაწილში, სადაც ჟურნალისტი საუბრობს თხილნარის სატყეო უბნის სარეაბილიტაციო ფართობსა და კონკრეტულად ამ სამუშაოებისათვის გამოყოფილ თანხაზე. „ტყის ბუნებრივი ხელშეწყობის მიზნით 106 ჰექტარი ფართობი აჩიჩქნეს. გაკეთდა 15 792 მეტრი სიგრძის ღობე და ამ საქმეში 106 384, 16 ლარი დაიხარჯა". მართალია, ჟურნალისტი ამბობს, რომ სამმართველოს მიერ მიწოდებული დოკუმენტი ბუნდოვანი იყო და რთული იყო იქ ტექსტის გარკვევა, მონიტორის აზრით, თუკი ტექსტი ბუნდოვანი იყო და სტატიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია ჟურნალისტის მიერ ტექსტის შეჯამება იყო, მაშინ რატომ იყო ეს ინფორმაცია ჩასმული ბრჭყალებში. ბრჭყალები მკითხველს აფიქრებინებს, რომ ჟურნალისტმა სიტყვა-სიტყვით გადაწერა ტექსტი დოკუმენტიდან?

მონიტორის აზრით, მსგავს ბუნდოვან დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციის გადამოწმება და განმარტების თხოვნა შესაძლებელია იმავე სამმართველოს ოფიციალურ პირებთან. ჟურნალისტს სტატიაში გამოტანილი ციტატის სამმართველოს წარმომადგენლებთან გადამოწმება რომ ეცადა, იგი თავიდან აირიდებდა დაშვებულ შეცდომას. თუმცა, გაზეთის შემდეგ ნომერში დაცულია იმავე ქარტიის მე-5 მუხლი, რომლის მიხედვითაც, „მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. გაზეთის შემდეგ ნომერში მართლაც, გასწორებულია მონაცემები.

ტყეში არსებული ვითარების აღწერისას ჟურნალისტი ამბობს, რომ მისი ერთ-ერთი მეგზურის თქმით, მეტყევეები უკანონობას ჩადიან. კერძოდ, კანონის მიხედვით, 50 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხის მოჭრა აკრძალულია, მეტყევეები კი ხელოვნურად ზრდიან მოჭრილი ხეების დიამეტრს და მოჭრილი ხეების დიამეტრის ზომა სინამდვილეში 50 სმ-ზე ნაკლებია. სტატიის ამ ნაწილში დარღვევის ზღვარზეა ქარტიის პირველი მუხლი, რადგან ჟურნალისტი არც თავად ზომავს მოჭრილ ხეებს და არც მეტყევეებს თხოვს კომენტარს. მკითხველი მხოლოდ ჟურნალისტის მეგზურის სიტყვებს კითხულობს და ნაკლებად აქვს გამყარებული

ინფორმაცია გადამოწმებული ფაქტებით, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადვილი გასაკეთებელი იქნებოდა. ჟურნალისტი თავად იყო ტყეში და თავად შეეძლო სტატიაში მოყვანილი ინფორმაციის სისწორე შეემოწმებინა.

ასევე, მკითხველისათვის გაუგებარი რჩება მართლაც მფარველობს თუ არა აწ უკვე ბათუმის საკრებულოს წევრი გიორგი კავაზაშვილი ტყის უკანონო ჩეხვას და უშლის თუ არა ხელს ის მონიტორებს მუშაობაში.

სტატია უმნიშვნელოვანეს თემას – ტყის კონკრეტულ უბანში არსებულ მძიმე მდგომარეობასა და ამ უბანზე ტყის უკანონო ჩეხვას ეხება. ეს საკითხი დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს და მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი საზოგადოებისათვის. სწორედ ამიტომ, სიმართლის ბოლომდე გარკვევისათვის, კარგი იქნებოდა, თუკი ჟურნალისტი მეტ ყურადღებას დაუთმობდა დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციის დაზუსტებას და ასევე, სტატიაში მოხსენიებულ ყველა მხარეს მისცემდა საკუთარი არგუმენტების გამოთქმის საშუალებას.

## დასკვნა

სტატიაში რიგ შემთხვევაში დარღვეულია, რიგ შემთხვევაში კი დარღვევის ზღვარზეა ეთიკის ქარტიის პირველი მუხლი.

I მუხლი: **ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

სტატიაში დაცულია ქარტიის მეხუთე მუხლი.

V მუხლი: **მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.**

**საგაზეთო მასალა № 17**

### გაზეთ „გურია ნიუსის“ რედაქციას

### არსებითი განხილვა

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის მეხუთე მუხლი, რომლის თანახმად, „მედია ვალდებულია, შეასწოროს არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება“.

ქარტიის განმარტების თანახმად, ამ მუხლით ჟურნალისტები და რედაქტორები პასუხისმგებლობას იღებენ, რომ პატიოსნად განაცხადონ არაზუსტი ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ და შეასწორონ ის. წარმოდგენილ შემთხვევაში, გაზეთ „გურია ნიუსის“ რედაქციამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა აღნიშნული მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, პატიოსნად განაცხადა, რომ ტექნიკური სიძნელეების გამო „ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვები, სამწუხაროდ, მიეწერა ბატონ ალექსანდრეს“. მაგრამ მკითხველისთვის არ შეუთავაზებიათ შესწორებული ინფორმაცია, ანუ ის კომენტარი, რაც სინამდვილეში გაზეთის ჟურნალისტს მისცა ალექსანდრე ყველაშვილმა. ამასთან დაკავშირებით „გურია ნიუსის“ რედაქტორმა მონიტორს ასეთი განმარტება მისცა: „მოხდა ტექნიკური შეცდომა და ყველაშვილს მიეწერა სხვისი ნათქვამი ფრაზა. თუ გაეცნობით ყველაშვილის პასუხს და რედაქციის მინაწერს, ადვილად მიხვდებით, რა იღონა რედაქციამ – ჩვენივე ინიციატივით შევხვდით ორჯერ და ყველა პრეტენზია განვიხილეთ მასთან ერთად, შევთავაზეთ, შეცდომის გასწორების რა ფორმა იქნებოდა მისთვის მისაღები. ყველაშვილის წერილი, რომელშიც მან თქვა ყველაფერი, რისი თქმაც სურდა, გამოვაქვეყნეთ დაუყოვნებლივ; ამ უნებლიე შეცდომის გამო კი წუხილი გამოვთქვით. მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო მიღებული ეთიკის ქარტია, ჩვენ ვმოქმედებდით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (და ასევე გავაგრძელებთ მომავალშიც): კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ავალებს რედაქციას, გამოაქვეყნოს გაზეთში გასული მცდარი ინფორმაციის უარმყოფელი მასალა, ჩვენ კი, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც, მხოლოდ შეცომის გასწორების, მაქსიმალური სანდოობის მიღწევის სურვილით ვმოქმედებთ. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ მიღებული ზომები საკმარისი იყო და ტანის დასერვა, მარილის ჩაყრით, ან ცოტნე დადიანივით თაფლის წასმა და მზეზე დაჯდომა არ მოგვეთხოვებოდა, მით უმეტეს, რომ ყველაშვილს პრეტენზიები აღარ ჰქონია.“ ცხადია, „გურია ნიუსის“ რედაქტორის მიერ ზემოთ აღწერილ დრამატულ ქმედებებს მედიის წარმომადგენლების მხრიდან არავინ მოითხ-

ოვს. უბრალოდ, წარმოდგენილ შემთხვევაში, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის თანახმად, „გურია ნიუსის“ რედაქციას უნდა გამოექვეყნებინა შესწორებული ინფორმაცია, ანუ ყველაშვილის ის კომენტარი, რაც მან სინამდვილეში მისცა ჟურნალისტ ნატო გოგელიას. „ყველაშვილმა თავის წერილშივე განაცხადა, თუ რის თქმა უნდოდა და მისივე სურვილით, გამოქვეყნდა ის, რაც მისთვის იყო მისაღები ინციდენტის ამოსაწურად,“ - განმარტა მონიტორთან „გურია ნიუსი“ რედაქტორმა. შესაძლოა, ყველაშვილის წერილის გამოქვეყნებით „ინციდენტი ამოიწურა“ აღნიშნულ რესპონდენტთან, მაგრამ რედაქციას არაფერი ულონია არაზუსტი ინფორმაციის შესასწორებლად, რომლითაც საზოგადოება იქნა შეცდომაში შეყვანილი.

## დასკვნა

სტატიაში დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლი:

V მუხლი: **„მედია ვალდებულია, შეასწოროს არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება“.**

**საგაზეთო მასალა № 18**

**ოსურმა ოპოზიციამ მიტინგი ვერ ჩაატარა**

**არსებითი განხილვა**

მონიტორის აზრით, ამ სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი, რომლის თანახმად, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. ქარტიის განმარტების თანახმად, ამ მუხლის ძირითადი სიმძიმე მოდის სიტყვებზე: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს. რაც ნიშნავს იმას, რომ სტატიაში უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. „ზუსტ ინფორმაციად", შეთანხმების თანახმად, ჩაითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა – ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია. არაიდენტიფიცირებული ინფორმაცია – რაგინდ მნიშვნელოვანი – უნდა გავიდეს სარედაქციო სვეტში და არა ახალ ამბებში. იგივე ეხება ამბავს, რომელსაც ჟურნალისტი შეესწრო, მაგრამ რომელიც არ დასტურდება დოკუმენტურად – ფოტოთი, ვიდეოთი, ხმის ჩანაწერით და ა.შ.

სტატიის პირველივე წინადადებაში ვიგებთ, რომ „გასულ უქმეებზე ცხინვალში დიდ არეულობას წინასწარმეტყველებდნენ". ინფორმაციის წყარო არ არის დაზუსტებული. სტატიიდან ირკვევა, რომ ეს ჟურნალისტის ვარაუდია. ის დაეყრდნო ინფორმაციას, რომ სამინისტროს უარის მიუხედავად (ოფიციალური განცხადება), მომიტინგეები მიტინგის ჩატარებას მაინც აპირებდნენ (ოსური საინფორმაციო გვერდის ინფორმაცია, რომელიც თავად სტატიაში არ არის მითითებული). ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მან ივარაუდა, რომ ამას „დიდი არეულობა" უნდა მოჰყოლოდა. ჟურნალისტის ვარაუდი ვერ ჩაითვლება ზუსტ ინფორმაციად.

მეხუთე აბზაცში ნათქვამია, რომ „წინასწარ დაანონსებულ აქციაში მონაწილეობის მიღებას აპირებდა ცნობილი ოსი ოლიგარქი ჯუსოევი". სტატიაში არ ჩანს, საიდან იცის ეს ამბავი ჟურნალისტმა. ასევე, არ არის გადამოწმებული იმავე აბზაცში მოყვანილი ინფორმაცია, რომ „მიტინგს ჯუსოევი აფინანსებს". თუმცა, მონიტორთან საუბრის დროს, ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ წერისას ის ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებას ეყრდნობოდა. ჟურნალისტი ასევე ამბობს, რომ აღნიშნული განცხადება მანამდე, იმავე გაზეთში იყო გამოქვეყნებული და მან აღარ ჩათვალა საჭიროდ, რომ

მკითხველისათვის კიდევ ერთხელ ეთქვა ამის შესახებ.

იმავე სტილით გრძელდება შემდეგი აბზაციც: „ოპოზიციის დაფინანსებას ის შემდეგშიც გააგრძელებს. კოკოითს საწინააღმდეგო აქციების ჩატარებაც მომავალში მოუწევს". ესეც ჟურნალისტის მიერ გამოთქმული ვარაუდია და არა გადამოწმებული ფაქტი. ჯუსოევის სამომავლო გეგმების შესახებ საუბარი მხოლოდ თავად ჯუსოევს ან მის საქმიანობაში ჩართულ პირს შეუძლია.

მერვე აბზაცში საუბარია იმაზე, რომ „ცხინვალის აღსადგენად დიდი თანხები გამოიყო. ამის მიუხედავად, ცხინვალს არაფერი ეშველა და როგორც ალბერტ ჯუსოევი ამტკიცებს, ცხინვალისათვის განკუთვნილი თანხები ედუარდ კოკოითმა მიითვისა. ეს უკანასკნელი იმ კოკოითის ძმაა."  ამ აბზაცში მკითხველისათვის გაუგებარი რამდენიმე რამაა: რამდენია რიცხვებში „დიდი თანხა"? რასთან შედარებით დიდი? მონიტორთან საუბრისას, ჟურნალისტმა აღნიშნა, „ყველამ იცის, რომ მილიარდებზეა საუბარი". თუმცა, მკითხველს მხოლოდ ვარაუდი შეუძლია ამის თაობაზე. მეორე პრობლემა ისაა, რომ ის, რასაც „ჯუსოევი ამტკიცებს", სტატიაშივე არ არის სხვა წყაროსთან გადამოწმებული. ჟურნალისტთან საუბრისას ირკვევა, რომ ჟუსოევსა და კოკოითს შორის ამ თემაზე სასამართლო დავაც კი მიმდინარეობს. ეს ფაქტი არ არის ნახსენები სტატიაში. ასევე, მკითხველისათვის გაუგებარია, ვინ არის „ის" კოკოითი და გარემოება, თუ რატომ არ მიუთითა ავტორმა მისი სახელი და თანამდებობა.

სტატიის შემდეგი თემაა მოსკოვის მიტინგი. ჟურნალისტი ამბობს, რომ „ჩვენებურებს დაეზარათ, შეეფასებინათ მოსკოვში გამართული ანტიქართული მიტინგი, რომელიც რუსეთში მცხოვრებმა სომხებმა გამართეს". რომ არაფერი ვთქვათ თავად ჟურნალისტის მიერ მიტინგის ანტიქართულად შეფასებაზე თავად ჟურნალისტის მიერ და ისეთი მიკერძოებული სიტყვების გამოყენებაზე, როგორებიცაა „ჩვენებურებს დაეზარათ", არ ჩანს, კონკრეტულად ვინ არ გააკეთა კომენტარი. მონიტორთან საუბრისას, ირკვევა, რომ ჟურნალისტს ჰყავდა კონკრეტული წყარო, რომლის სტატიაში დასახელებისაგან მან თავი შეიკავა. ამის დასაბუთებული მიზეზი არ არსებობს.

შემდეგ აბზაცში ჟურნალისტი აგრძელებს: „ჩვენი ხელისუფლების პასიურობა გასაგებიცაა. მათ ხომ სომხეთის ხათრით გახსნეს მტრულად განწყობილ რუსეთთან საზღვარი". მკითხველი ამ მონაკვეთის მიხედვით ვერ იგებს, რამდენად ზუსტია ეს ინფორმაცია, სიმართლეა თუ არა, რომ ლარსის საზღვარი სწორედ სომხეთის „ხათრით" გაიხსნა და ეს მხოლოდ ჟურნალისტის მოსაზრება არ არის. მონიტორთან საუბრის დროს, ჟურნალისტი ამბობს, რომ რეინტეგრაციის მინისტრი თემურ იაკობაშვილი ამ თემაზე სხვადასხვა მედიით გაკეთებულ განცხადებებს

ეყრდნობოდა და რომ ეს „ყველამ იცის".

ბოლო აბზაცში კი ნათქვამია, რომ „სომხური მედიის ინფორმაციით, აქციის მონაწილეებმა საგანგებო კომისიის შექმნაც მოითხოვეს, რომლის შემადგენლობაში სომხეთის, საქართველოს, რუსეთისა და შვეიცარიის წარმომადგენლები უნდა შევიდნენ". მიუხედავად იმისა, რომ ამ ინფორმაციის წყარო, ზოგადად მაინც, მითითებულია - სომხური მედია, არ არის ინფორმაცია გადამოწმებული, ვთქვათ, რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ან გაზეთ „სამხრეთის კარიბჭის" რომელიმე ჟურნალისტთან, რომელიც ჯავახეთის რეგიონში მუშაობს და შეძლებდა დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ან აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებას „ახალი თაობის" ჟურნალისტისათვის.

საბოლოოდ, სტატია მკითხველს არ აწვდის არათუ გადამოწმებულ ინფორმაციას, არამედ, არ უთითებს ინფორმაციის არსებულ წყაროებსაც კი, რაც შეიძლება არაზუსტ ინფორმაციად ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორთან საუბრის დროს ჟურნალისტმა თითქმის ყველა ინფორმაციის წყაროს არსებობა დაადასტურა. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მკითხველისათვის შეიძლება არ იყოს ცნობილი ის, რაც, ჟურნალისტის თქმით, „ყველამ იცის" და ამიტომ აუცილებელია ინფორმაციის წყაროს მითითება, ასევე, მოპოვებული ინფორმაციის სხვა – სასურველია, დამოუკიდებელ - წყაროებთან გადამოწმება. ასევე, მკითხველი არ არის ვალდებული, ახსოვდეს, რა ეწერა ჟურნალისტს ამავე თემაზე ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში, ან რა განცხადებები გააკეთეს ოფიციალურმა პირებმა სხვა მედია საშუალებებით. ინფორმაციის გავრცელებისას აუცილებელია წყაროს მითითება.

## დასკვნა

სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი.

I მუხლი: **ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

**საგაზეთო მასალა № 19**

**სიღნაღს იქითაც საქართველოა**

**არსებითი განხილვა**

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის პირველი მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“ და მეშვიდე მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული და სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“.

ქარტიის განმარტებების თანახმად, „ზუსტ ინფორმაციად“ ითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა – ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია. წარმოდგენილი სტატია კი თითქმის მთლიანად ეყრდნობა მოსახლეობის კომენტარებს, რომლებიც არ არის გადამოწმებული სხვა წყაროსთან. რამდენიმე ფაქტთან დაკავშირებით მეორე წყაროდ ავტორი იყენებს გამგებელს, თუმცა, ფაქტების უმრავლესობის გადამოწმება გამგებლის კომენტარიდან შეუძლებელი ხდება, რადგან აღნიშნულ კომენტარში გამგებელი ყველა ფაქტზე არ იძლევა განმარტებას. მაგალითად, ჟურნალისტი წერს, რომ არხილოსკალოელებს „პრეტენზიები ძირითადად სოციალური სააგენტოს მიმართ აქვთ“ და ამის საილუსტრაციოდ გვთავაზობს ეთერ უგუნურაშვილისა და მარიამ საქძის კომენტარს: „სოციალურ დახმარებას ვითხოვთ, აგენტები გვეუბნებიან, მიიღებთო, მაგრამ უკვე თვეები გავიდა. გთხოვთ, დაგვეხმაროთ, რომ ისეთი კომისია გამოგვიგზავნონ, რომელიც სამართლიანად შეგვამოწმებს“. რამდენად რეალური და საფუძვლიანია მსგავსი პრეტენზიები, ამის დადასტურება ან უარყოფა სტატიიდან შეუძლებელია, რადგან ჟურნალისტი არ ამოწმებს ამ ინფორმაციას მეორე წყაროსთან, ამ შემთხვევაში, სოციალური სუბსიდიების სააგენტოს თანამშრომლებთან.

სტატიაში გამოყენებულია დიდი რაოდენობით არაიდენტიფიცირებული წყარო. სტატიაში ავტორი მთლიანობაში გვთავაზობს 8 კომენტარს, აქედან სამ კომენტარს არ ჰყავს კონკრეტული ავტორი: „ამბობენ გლეხები“, „ამბობენ არხილოსკალოელები“, „ამბობენ ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგები“ - ასეთ განზოგადებულ რესპონდენტებს

გვთავაზობს სტატიის ავტორი ძალიან კონკრეტული ციტატების ავტორად. უფრო მეტიც, ციტატაში, რომლის ავტორადაც სტატიაში გამოცხადებულნი არიან „ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგები“, საუბარია კონკრეტულ ბრალდებებზე კონკრეტული სახელმწიფო მოხელეების მიმართ. კერძოდ, ციტატაში ნათქვამია: „გამგებლის მოადგილეს, გელა თეთრაულს, შევჩივლეთ: - გვიშველეთ რამე, სოფელში აღარაფერი გვაქვს, ხომ არ დავიხოცებითო? გვითხრა, - დაიხოცეთო. საჯარო მოხელე რომ ასე გიპასუხებს, ის ამ მთავრობის რეიტინგს მაღლა ასწევს? ჩვენი დეპუტატი ავთო ლეკაშვილი ნუღარ შეეცდება რამე გვთხოვოს, რადგან მეორედ აღარ ავირჩევთ. გზის გაკეთებას შეგვპირდა, შემდეგ კი შემოგვითვალა, გრეიდერის მოტანა ძვირი ჯდება და ვერ დაგეხმარებითო. დეპუტატი რომ ხალხს დაპირდება, სიტყვა არ უნდა გატეხოს, რადგან მის სიტყვას შემდგომში აღარავინ დაიჯერებს. ერთი გაკეთებული საქმე მაინც გვაჩვენოს“. ციტატაში მოყვანილი ფაქტების დამადასტურებელი ან უარმყოფელი არგუმენტაცია სტატიაში ნაჩვენები არ არის. სტატიის ავტორმა მონიტორთან საუბარში განმარტა, რომ დროში იყო შეზღუდული და ამის გამო სხვა წყაროებთან დაკავშირება ვერ მოახერხა, რაც ვერ გამოდგება ჟურნალისტის გამამართლებელ არგუმენტად. მით უმეტეს, რომ სტატია გამოქვეყნებულია თვითმმართველობის არჩევნებამდე თვენახევრით ადრე და მასში საუბარია არაიდენტიფიცირებული წყაროების მხრიდან თვითმმართველობის წარმომადგენლების მიმართ ბრალდებებზე, რაც კიდევ უფრო მეტად ავალდებულებს ჟურნალისტს მსგავსი ბრალდებების გადამოწმებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ჟურნალისტის მხრიდან ადგილი აქვს ფაქტის განზრახ დამახინჯებას, რაც ქარტიის მე-11 მუხლის თანახმად, ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს.

ქარტიის განმარტების თანახმად, არაიდენტიფიცირებული ინფორმაცია – რაგინდ მნიშვნელოვანი – უნდა გავიდეს სარედაქციო სვეტში და არა ახალ ამბებში. იგივე ეხება ამბავს, რომელსაც ჟურნალისტი შეესწრო, მაგრამ რომელიც არ დასტურდება დოკუმენტურად – ფოტოთი, ვიდეოთი, ხმის ჩანაწერით და ა.შ. წარმოდგენილი სტატიას კი გაზეთში არ აქვს შესაბამისი მინიშნება, რომ ეს არის სარედაქციო სვეტი და არა – ახალი ამბების ნაწილი. ხოლო რაც შეეხება ავტორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ მან რამდენიმე ინფორმაცია თავად გადაამოწმა, როდესაც საკუთარი თვალით იხილა, მაგალითად, შემოუღობავი სასაფლაო სოფელში, ვერ ჩაითვლება ჟურნალისტის მცდელობად, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია, რადგან გაზეთში არ არის განთავსებული შესაბამისი ფოტომასალა და სტატიაში

არ არის ნაჩვენები, რომ ჟურნალისტმა რაიმე ფორმით გადაამოწმა რესპონდენტების მონათხრობი. უფრო მეტიც, სტატია მთლიანად ეთმობა სოფლის მაცხოვრებლების კომენტარებს და გაზეთში არც ერთი მათგანის ფოტო არ არის გამოქვეყნებული. სამაგიეროდ, დაბეჭდილია დედოფლისწყაროს გამგებლისა და მისი მოადგილის ფოტო.

ქარტიის განმარტებების თანახმად, ზოგადად, ევროპული ტენდენცია იმგვარია, რომ ჟურნალისტი უნდა ებრძოდეს დისკრიმინაციულ გამონათქვამებს. წარმოდგენილ სტატიაში კი ჟურნალისტი უხვად იყენებს ისეთ კომენტარებს, რომლებიც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დისკრიმინაციის წახალისება, მაგალითად, ,,ჩვენი ცხვარ-ძროხა არაბებმა გაზიდეს და ხვალ-ზეგ შალის ნაწარმსა თუ ტყავს ათმაგ ფასში მოგვასყიდებენ, ესაა საქმე? დღესაც სიღნაღში ბრძანებულა მიშა, სიღნაღს იქითაცაა საქართველო“ და სხვა. ჟურნალისტი არათუ ემიჯნება, არამედ იზიარებს მსგავსი გამონათქვამების პათოსს, რისი დასკვნის საფუძველსაც იძლევა სათაურად გამოტანილი ციტატა: ,,სიღნაღს იქითაც საქართველოა“.

### დასკვნა

სტატიაში დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლები:

I მუხლი: **„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.**

VII მუხლი: **„ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული და სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“.**

**საგაზეთო მასალა №20**

**ვიღაც კუსა „ატინგიცდა"**

**არსებითი განხილვა**

მონიტორის აზრით, სტატიაში დარღვეულია ქარტიის მე-4 მუხლი, რომლის თანახმად, „ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს" და მე-10 მუხლი, რომლის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი". ორივე მუხლი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, თუ რამდენად კეთილსინდისიერად მოიპოვებს და აქვეყნებს ჟურნალისტი მასალებს.

მე-10 მუხლთან დაკავშირებით გაყოფილია ჟურნალისტის და რედაქტორის პასუხისმგებლობა. ჟურნალისტის პასუხისმგებლობაა, რამდენად კეთილსინდისიერად მოიპოვებს მასალას ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ; რედაქტორის პასუხისმგებლობაა, რას დაბეჭდავს და რას – არ დაბეჭდავს. მე-10 მუხლთან მიმართებაში ქარტია ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესზე, რომლის გარეშეც საჯარო მოხელის პირად ცხოვრებაში შეჭრა არაეთიკურია. მე-4 მუხლის განმარტების თანახმად, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი (რომლის გაზომვა მყარი პარამეტრებით შეუძლებელია) ეთიკის კუთხით ამართლებს ინფორმაციის, ფოტოს ან დოკუმენტის მოპოვების არაკეთილსინდისიერ გზას – როცა სხვა გზა არ არსებობს.

გაზეთში გამოქვეყნებული ფოტოს მინაწერი იწყება შემდეგი წინადადებით: „ეს ერთი შეხედვით უწყინარი ფაქტი ჩვენს ყურადღებას, რა თქმა უნდა, არ მიიპყრობდა, რომ არა გურიის გუბერნატორის მორიგი „ტინგიცი". აღნიშნული წინადადება გვამცნობს, რომ „ეს ერთი შეხედვით უწყინარი ფაქტი", წარმოადგენს ფოტოს გადაღების ამბავს, რომელიც რედაქციის ყურადღების მისაპყრობად არ იყო გათვალისწინებული; ანუ ფოტო გაზეთში გამოსაქვეყნებლად არ გადაუღიათ. შესაბამისად, ნაკლებად სარწმუნოა ის ფაქტი, რომ ფოტოს მოსალოდნელი გამოქვეყნების თაობაზე წინასწარ იყვნენ ინფორმირებულები ფოტოზე გამოსახული ადამიანები, მათ შორის, გუბერნატორის მოადგილეც, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რედაქციამ არ მიმართა კეთილსინდისიერ მეთოდს ფოტოს მოპოვებისა და გამოქვეყნების დროს.

მინაწერში, ასევე, ვკითხულობთ: „გასართობი ღონისძიებების დროს ჟურნალისტების ერთ, მხიარულ კატეგორიას წესად აქვს, ღონისძიების

მთავარ გმირებთან სურათების გადაღება“, რის შემდეგაც იმავე მინაწერიდან ვიგებთ, რომ „გურიის მოამბის“ კორესპონდენტი გიორგი სირაძეც ამ (მხიარულ) კატეგორიას განეკუთვნება, რომელმაც ისურვა სამახსოვრო (და არა საგაზეთო) ფოტოს გადაღება მომღერალ ნატო გელაშვილთან, რომელიც იმ დღეს ოზურგეთში იმყოფებოდა სტუმრად. როგორც ირკვევა, მომღერალთან და „მხიარულ ჟურნალისტებთან“ ერთად, „გასართობი ღონისძიების დროს“ იმყოფებოდა შალვა ლორთქიფანიძეც. გაზეთში გამოქვეყნებული ფოტო გადაღებულია გასართობი ღონისძიების დროს, ანუ იმ დროს, როდესაც საჯარო მოხელე (ამ შემთხვევაში გუბერნატორის მოადგილე) სარგებლობდა პირადი ცხოვრების უფლებით. თუმცა, გარდა იმისა, რომ ფოტო არაკეთილსინდისიერი გზით არის გამოქვეყნებული, ამავე ფოტოს თან ახლავს არაკეთილსინდისიერი კომენტარი, რომელიც შეიცავს შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს. მაგალითად, გუბერნატორის მოადგილის მხრიდან ერთ-ერთ „მხიარულ“ ჟურნალისტთან გახუმრება „გასართობი ღონისძიების დროს“ რედაქციამ შეაფასა, როგორც „ტინგიცი“, თავად გუბერნატორის მოადგილე მოიხსენია ტერმინით - „კუსა“, რომელიც, როგორც რედაქტორმა მონიტორთან განმარტა, შალვა ლორთქიფანიძის მეტსახელი ყოფილა

**დასკვნა**

მასალაში დარღვეულია ქარტიის შემდეგი მუხლები:

IV მუხლი: **„ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს“;**

X მუხლი: **„ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი“.**

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი...................................................................................................................................1

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია........................................................................2

**ნაწილი პირველი**

**საგაზეთო მასალა № 1**. „მერის შვილის კვალი კრიმინალურ საქმეში" ....................5

**საგაზეთო მასალა № 2**. „ლუგანსკელი ტანია" ..........................................................9

**საგაზეთო მასალა № 3**. „ჩაფიძის კლინიკიდან უსახსრობის გამო გამოწერილი მამაკაცი დაიღუპა"..........................................................................12

**საგაზეთო მასალა № 4**. „საარჩევნო ადმინისტრაციები – შემადგენლობა და კვალიფიკაცია: როგორაა დაკომპლექტებული საუბნო საარჩევნო კომისიები, ვინ არიან და როგორ ინიშნებიან მისი წევრები"..........................15

**საგაზეთო მასალა № 5**. „გარდაცვლილი გმირის დედა გაზეთის რედაქციას საჯაროდ ბოდიშის მოხდას სთხოვს"..........................................................................19

**საგაზეთო მასალა № 6**. „მეოთხეკლასელი გოგონა სამმა თანატოლმა ბიჭმა დაიჭირა და თმები გაკრიჭა... ბავშვმა ისეთი ტრავმა მიიღო, რომ მშობლებმა აურზაურის გარეშე გაარიდეს და სხვაგან გადაიყვანეს"..................24

**საგაზეთო მასალა № 7**. „რატომ აკავშირებენ ლანჩხუთელი გოგონების გაუჩინარების ისტორიას სატანისტურ სექტასთან"..............................................32

**საგაზეთო მასალა № 8**. „წინ წარმატებისაკენ!"..............................................................37

**საგაზეთო მასალა № 9**. „კიდნეპინგში ეჭვმიტანილი, გოლდსმიტისაგან მიტოვებული გუდავაძე რუსეთს მიმართავს დახმარებისთვის" ..............................43

**საგაზეთო მასალა № 10**. „არჩევნების მოახლოებასთან ერთად ზეწოლის ფაქტები გახშირდა"..............................................................................................................48

**საგაზეთო მასალა № 11**. „სამი ძმანი გურულები..."...................................................52

**საგაზეთო მასალა № 12**. „თქვენ, ოპოზიციის ლიდერებმა რომ ჩაიჯვით იპოდრომზე, ჩვენც იმიტომ ჩავიჯვით რკინიგზაზე!"............................................55

**საგაზეთო მასალა № 13**. „დირექტორის სახელი ბავშვების ფანტაზიას შეეწირა..." ..........................................................................................................62

**საგაზეთო მასალა № 14**, „ჩოხატაურში ტერორი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა"...........................................................................................................65

**საგაზეთო მასალა № 15**. „მივედი, ვნახე, დავიჯერე'' ........................................71
**საგაზეთო მასალა № 16**. „ტყეს კარი არა აქვს'' ........................................81
**საგაზეთო მასალა № 17**. „გაზეთ „გურია ნიუსის" რედაქციას'' ........................................89
**საგაზეთო მასალა № 18**. „ოსურმა ოპოზიციამ მიტინგი ვერ ჩაატარა'' ........................................92
**საგაზეთო მასალა № 19**. „სიღნაღს იქითაც საქართველოა" ........................................ 96
**საგაზეთო მასალა № 20**. „ვიღაც კუსა "ატინგიცდა'' ........................................103

**ნაწილი მეორე**

**საგაზეთო მასალა № 1**. „მერის შვილის კვალი კრიმინალურ საქმეში'' ........................................107
**საგაზეთო მასალა № 2**. „ლუგანსკელი ტანია'' ........................................111
**საგაზეთო მასალა № 3**. „ჩაფიძის კლინიკიდან უსახსრობის გამო გამოწერილი მამაკაცი დაიღუპა'' ........................................113
**საგაზეთო მასალა № 4**. „საარჩევნო ადმინისტრაციები – შემადგენლობა და კვალიფიკაცია: როგორაა დაკომპლექტებული საუბნო საარჩევნო კომისიები, ვინ არიან და როგორ ინიშნებიან მისი წევრები'' ........................................116
**საგაზეთო მასალა № 5**. „გარდაცვლილი გმირის დედა გაზეთის რედაქციას საჯაროდ ბოდიშის მოხდას სთხოვს" ........................................117
**საგაზეთო მასალა № 6**. „მეოთხეკლასელი გოგონა სამმა თანატოლმა ბიჭმა დაიჭირა და თმები გაკრიჭა... ბავშვმა ისეთი ტრავმა მიიღო, რომ მშობლებმა აურზაურის გარეშე გაარიდეს და სხვაგან გადაიყვანეს'' ........................................120
**საგაზეთო მასალა № 7**. „რატომ აკავშირებენ ლანჩხუთელი გოგონების გაუჩინარების ისტორიას სატანისტურ სექტასთან ........................................123
**საგაზეთო მასალა № 8**. „წინ წარმატებისაკენ!'' ........................................127
**საგაზეთო მასალა № 9**. „კიდნეპინგში ეჭვმიტანილი, გოლდსმიტისაგან მიტოვებული გუდავაძე რუსეთს მიმართავს დახმარებისთვის'' ........................................ 131
**საგაზეთო მასალა № 10**. „არჩევნების მოახლოებასთან ერთად ზეწოლის ფაქტები გახშირდა'' ........................................133
**საგაზეთო მასალა № 11**. „სამი ძმანი გურულები...'' ........................................136
**საგაზეთო მასალა № 12**. „თქვენ, ოპოზიციის ლიდერებმა რომ ჩაიჯვით იპოდრომზე, ჩვენც იმიტომ ჩავიჯვით რკინიგზაზე!'' ........................................139
**საგაზეთო მასალა № 13**. „დირექტორის სახელი ბავშვების ფანტაზიას შეეწირა...'' ........................................144

**საგაზეთო მასალა № 14**. „ჩოხატაურში ტერორი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა''..........148
**საგაზეთო მასალა № 15**. „მივედი, ვნახე, დავიჯერე''..........151
**საგაზეთო მასალა № 16**. „ტყეს კარი არა აქვს''..........153
**საგაზეთო მასალა № 17**. „გაზეთ „გურია ნიუსის" რედაქციას''..........155
**საგაზეთო მასალა № 18**. „ოსურმა ოპოზიციამ მიტინგი ვერ ჩაატარა''..........157
**საგაზეთო მასალა № 19**. „სიღნაღს იქითაც საქართველოა"..........160
**საგაზეთო მასალა № 20**. „ვიღაც კუსა ''ატინგიცდა''..........163